

სამეცნიერო ურომების კრებული

ქართულური ენათმეცნიერება

IX

COLLECTION OF SCIENTIFIC PAPERS

KARTVELIAN LINGUISTICS

ედვინება პროფესორ
ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადებიდან
მე-100 წლისთავს

Dedicated to the 100th Birthday of
Prof. Parnaoz Ertelishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities
ქართული ენის ინსტიტუტი
Institute of the Georgian Language

სამეცნიერო შრომების კრებული

ქართველური ენათმეცნიერება

IX

COLLECTED SCIENTIFIC WORKS

KARTVELIAN LINGUISTICS

ედღვნება პროფესორ ფარნაოზ ერთელიშვილის
დაბადებიდან მე-100 წლისთავს

Dedicated to the 100th Birthday of Prof. Parnaoz Ertelishvili

2023

კრებული ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ფარნაოზ ერთელიშვილის (1923-1972) ხსოვნას. ის ათწლეულების განმავლობაში მოღვაწეობდა უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე, ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით დაარსებულ ტოპონიმის ლაბორატორიას. ფ. ერთელიშვილს 2023 წელს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

კრებულში იბეჭდება ფარნაოზ ერთელიშვილის კოლეგებისა და მოსწავლეების მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი მოვლენები, რომლებშიც წარმოჩენილია მისი, როგორც ქართული ენის მკვლევრის, დამსახურება.


კრებულში თავმოყრილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო სტატიები. ნაშრომები ნაკითხული იყო აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიასა და ფარნაოზ ერთელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციებზე და მოიცავს ქართველურ ენათა, ძველი ქართული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკა-პრაგმატიკის, ლექსიკა-ლექსიკოგრაფიის, ტექსტოლოგიის, ეტიმოლოგიისა და ონომასტიკის საკითხებს.

„ქართველური ენათმეცნიერების“ IX კრებული საინტერესო იქნება ჰუმანიტარული და მომიჯნავე დარგების მკვლევრებისათვის, სტუდენტებისათვის, ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

რედაქტორები: პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე**, პროფესორი **რამაზ ქურდაძე**

პასუხისმგებელი მდივანი – ასოცირებული პროფესორი **რუსუდან ზექალაშვილი**

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.



ფარნაოზ ერთელიშვილი
(1923 - 1972)

შინაარსი/Contents

პროფესორი ფარნაოზ ერთელიშვილი – მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და სამეცნიერო შრომების ნუსხა	7
Prof. Parnaoz Ertelishvili – Brief Biographical Information and List of Scientific Works	7

მოგონებები – პროფესორი ფარნაოზ ერთელიშვილი Memories of Professor Parnaoz Ertelishvili

† ელენე ბაბუნაშვილი, † ბესარიონ ჯორბენაძე ქართული ენის დაულალავი მკვლევარი	16
† ივანე გიგინეიშვილი ფარნაოზ ერთელიშვილი	19
† თედო უთურგაიძე ფარნაოზ ერთელიშვილი	21
† პაატა ცხადაია ზნემალალი და პრინციპული	24
† ალექსი ჭინჭარაული „არწივი თვალთ იბანს“	26
† ბესარიონ ჯორბენაძე დედაენის რაინდი	28
დამანა მელიქიშვილი ფარნაოზ ერთელიშვილი	32

სამეცნიერო სტატიები Scientific Articles

მზექალა შანიძე აკაკი შანიძე და დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი	37
Mzekala Shanidze Akaki Shanidze and the Georgian-Russian Dictionary of David Chubinashvili	37
რუსუდან ზეკალაშვილი კვალიფიკაციათა ძირითადი სახეები ქართული ენის განმარტებითსა და ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში	45
Rusudan Zekalashvili The Main Kinds of Qualifications in the Georgian Explanatory Dictionary and in the Georgian-German Dictionary	45

დარეჯან თვალთვაძე	
„საქმე მოციქულთას“ ტექსტი ქართულ ხელნაწერებში	61
Darejan Tvaltvdze	
The Text of "The Acts of the Apostles" in Georgian Manuscripts.....	61
ქეთევან მარგიანი-სუბარი	
ზმნისწინთა ორი ტიპი და მათი ურთიერთმიმართება სვანურ ენაში (სემანტიკურ-ფუნქციური ანალიზი)	80
Ketevan Margiani-Subari	
Two Types of Preverbs and their Relationship in the Svan Language (semantic-functional analysis)	80
დამანა მელიქიშვილი	
ქართული ზმნის ულღებადი ფორმების კლასიფიკაციის პრინციპებისათვის	88
Damana Melikishvili	
On the Principles of Classification of Conjugated Georgian Verb Forms	88
სალომე ომიადე	
ბრძანებითის ზმნურ ფორმათა შესახებ ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნში	99
Salome Omiadze	
On the Imperative Verb Forms in Prince Bagrat's Cookery Book	99
ინგა სანიკიძე	
ნაცვალსახელთა ერთი ჯგუფისათვის ახალ ქართულ ენაში	106
Inga Sanikidze	
For One Group of Pronouns in the New Georgian Language	106
რამაზ ქურდაძე	
მიმართვის ადგილისათვის რთულ წინადადებაში (ქართული ანდაზების მაგალითზე)	114
Ramaz Kurdadze	
On the Place of Address in Compound and Complex Sentences (on the example of Georgian proverbs).....	114

ონომასტიკა

Onomastics

ნარგიზ ახვლედიანი

ჰიდრონიმ „კინკიშა“-ს ეტიმოლოგიისათვის.....125

Nargiz Akhvlediani

For the Etymology of the Hydronym "Kinkisha"125

ქეთევან მარგიანი-დადვანი

X- XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლები: გვარსახელები –
კიკედიანი, ცხუმიანი, გლანი, მარეგიანი130

Ketevan Margiani-Dadvani

Written Monuments of Svaneti of the X-XVIII Centuries Surnames – Kikediani,
Tshumiani, Glani, Maregiani130

გიორგი ქიტოშვილი

ტოპონიმი „ელამი“ ბიბლიის ქართულ ვერსიებში.....139

Giorgi Kitoshvili

The Toponym "Elam" in the Georgian Versions of the Old Testament139

**პროფესორი ფარნაოზ ერთელიშვილი –
მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და სამეცნიერო
შრომების ნუსხა**

**Prof. Parnaoz Ertelishvili – Brief Biographical Information
and List of Scientific Works**

პროფესორი **ფარნაოზ ერთელიშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, მწერალი და პედაგოგი, დაიბადა 1923 წლის 27 თებერვალს ქალაქ თბილისში. მისი მშობლები – ქალბატონი ანიკო და ბატონი გიორგი – თავიდანვე ზრდიდნენ შვილში სწავლის სიყვარულსა და შრომისმოყვარეობას.

1940 წელს ფარნაოზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელი სტუდენტი იყო, როცა მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. დემობილიზაციის შემდეგ, 1946 წელს, ჭაბუკმა სწავლა გააგრძელა მშობლიურ უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაამთავრა.

მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად (სტუდენტობის წლებიდანვე), შემდეგ – მასწავლებლად, დოცენტად და 1969 წლიდან – პროფესორად.

1954 წელს აკად. ვარლამ თოფურიას ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში“, რომელიც ნიგნად გამოსცა 1963 წელს.

1967 წელს ფარნაოზ ერთელიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“.

ფარნაოზ ერთელიშვილმა შეადგინა ტოპონიმთა ჩანერისა და აღწერის პროგრამა საქართველოს ტერიტორიაზე, დაასაბუთა ტოპონიმის ლაბორატორიის დაარსების აუცილებლობა და მოხსენებითი ბარათით მიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს. მართლაც, 1969 წელს თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან მისი და აკად. შ. ძიძიგურის (იმ წლებში ახალი ქართული ენის კათედრის გამგის) თაოსნობით შეიქმნა ტოპონიმოლოგიური ცენტრი – ტოპონიმის ლაბორატორია და ფ. ერთელიშვილი დაინიშნა მის მეცნიერ-ხელმძღვანელად.

პროფესორ ფ. ერთელიშვილს ეკუთვნის ნაშრომები ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგში: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ეტიმოლოგია, ლექსიკოლოგია. მათში საყურადღებო დასკვნებია ქართულში ზმნური თუ სახელური ფუძეების აგებულებისა და ფონემატური შედგენილობის შესახებ. განსაკუთრებით იყო მეცნიერი დაინტერესებული ენობრივი მოვლენის ისტორიით, დიაქრონიულ ასპექტში განიხილავდა პირის ნიშნებისა და ვნებითობის სუფიქსთა გენეზისის, ქცევის, სონანტური ანლაუტისა და აუსლაუტის, ზოგიერთი სიტყვანარმოებითი აფიქსის ფუნქციისა და წარმომავლობის, ინვერსიის, მახვილის საკითხებს. მან შექმნა გამოკვლევათა სერია „სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ძიებანი“.

ფარნაოზ ერთელიშვილი იკვლევდა ფრაზეოლოგიასაც – ხატოვან იდიომურ თქმებს, ანდაზებსა და აფორიზმებს. მან გამოაქვეყნა ნოველების კრებული ქართული ანდაზების თემაზე (ფ. გიორგაძის ფსევდონიმით).

პროფესორი ფარნაოზ ერთელიშვილი ახალგაზრდა გარდაიცვალა 1972 წლის 6 ივლისს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად იქცა, რომ ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადების დღეს, 27 თებერვალს, იმართება სამეცნიერო სესია ონომასტიკის პრობლემების შესახებ. მეცნიერის დაბადებიდან 75-ე

წლისთავს მიეძღვნა თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული მისივე სახელობის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მომზადებული კრებული: „ქართველური ონომასტიკა“, ტ. I (რედ. პ. ცხადაია), თბილისი, 1998; დაბადებიდან მე-80 წლისთავს – „ქართველური ონომასტიკა“, ტ. II (რედ. პ. ცხადაია), თბილისი, 2004. ამავე წელს – ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, VIII (რედ. ლ. გეგუჩაძე), თბილისი, 2004; დაბადებიდან 95-ე წლისთავს – „ქართველური ონომასტიკა“, კრებული 10 (რედ. პ. ცხადაია), თბილისი, 2018.

პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის ძირითადი პუბლიკაციები¹:
List of scientific works of Prof. Parnaoz Ertelishvili

საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი:

Эртелишвили Фарнаоз Георгиевич, **Вопросы гипотаксиса в грузинском языке (ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში):** Автореф. дис. работы, представ. на соискание учен. степ. канд. филол. Наук, Каф. новогруз. яз., Тбилиси: ТГУ, 1954, 16 с.

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი:

Эртелишвили Фарнаоз Георгиевич, **Вопросы фонематической структуры и истории глагольных основ в грузинском языке (ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში):** Автореф. дис. на соискание учен. степ. докт. филол. Наук, ТГУ, Тбилиси: ТГУ, 1967, 33 с.

მონოგრაფიები:

- **რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში: I, ჰიპოტაქსის საკითხები,** რედ. ივ. ქავთარაძე, თსუ, ახალი ქართული ენის კათედრის შრომები, 4, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1962, 282 გვ., რეზ. რუს. ენაზე.
- **ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში** (გაანალიზებულია 5481 ზმნური ფუძე), რედ. ა. კაჭარავა, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1970, 358 გვ., რეზ. რუს. ენაზე.
- **სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში** (გაანალიზებულია 11362 ფუძე), თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1980, 232 გვ.

სხვა პუბლიკაციები:

- **ერთეულისა და სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვათა ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში:** თსუ სტუდენტთა XI სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1949.
- **სხუა სიტყვის ეტიმოლოგიისათვის:** თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 1950, №5, თბილისი, გვ. 211-219.

¹ ბიბლიოგრაფიის შედგენისას, გარდა ინტერნეტში განთავსებული მასალებისა, გამოვიყენეთ ფილოლოგიის დოქტ. მანანა ტუსკიას მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია. ნუსხაში არ შეგვიტანია ზოგიერთი საგაზეთო სტატია და რამდენიმე გამოუქვეყნებელი ხელნაწერი.

- **იოანე ბოლნელის ენის სტილური თავისებურებანი:** თსუ სტუდენტთა XII სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1950.
- **ერთიანი ქართული ენის დამკვიდრებისათვის სკოლაში:** გაზ. „სახალხო განათლება“, 1951, 5 სექტემბერი.
- **ვინ, რა, სადა კითხვით სიტყვათა ბუნებისათვის:** თსუ ასპირანტთა V სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1951; იხ. კრებულში: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, ნ. 1, თბილისი, 1956, გვ.144.
- **თუ კავშირის სემანტიკისათვის:** თსუ ასპირანტთა VI სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1952.
- **სინტაქსის ობიექტის საკითხისათვის:** თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1952.
- **ანდაზების დამახასიათებელი ზოგი ნიშნისთვის:** თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1955, 19-22 ნოემბერი.
- **რატომ იყენებს II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1956, ტ. 61, თბილისი, გვ. 307-313.
- **ანდაზის ცნების საკითხისათვის:** ჟურნ. „მნათობი“, 1957, №3, თბილისი, გვ. 102-109.
- **მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადებათა ქვენყობა ძველ ქართულში:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 1957, ტ. 65, გვ. 217-245, რეზ. რუს. ენაზე.
- **მორფოლოგიური ომონიმია და მისი შედეგები ქართულში:** ნაკითხულია თსუ ახალი ქართული ენის კათედრის სხდომაზე, 1958 წლის 16 მაისი.
- **აფორიზმის ცნების საკითხისათვის:** ჟურნ. „მნათობი“, 1958, №5, თბილისი, გვ. 161-169.
- **პირის ნიშანთა გენეზისის საკითხისათვის ქართველურ ენებში:** ნაკითხულია თსუ ახალი ქართული ენის კათედრის სხდომაზე, 1958 წლის 21 ნოემბერი.
- **ზოგი მწკრივის ფუნქცია ძველ ქართულში:** ნაკითხულია თსუ ახალი ქართული ენის კათედრის სხდომაზე, 1958 წლის დეკემბერი.
- **დრო-კილოთა წარმოების საკითხები ძველ ქართულში:** ა) ხოლმეობითი: ნაკითხულია თსუ ახალი ქართული ენის კათედრის სხდომაზე, 1959 წლის დეკემბერი.
- **მიმღეობის ერთი ტიპი ქართულში:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1959, ტ. 71, თბილისი, გვ. 253-259.
- **დ//-ნ(ენ) ვნებითობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1960, ტ. 93, თბილისი, გვ. 77-91, რეზ. რუს.ენაზე.
- **უმარცვლო უ ძველ ქართულში:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1963, ტ. 96, თბილისი, გვ. 79-87, რეზ. რუს.ენაზე.
- **ფ. გიორგაძე (ფსევდონიმი), ძალა და აღმართი (იგავ-არაკები ქართული ანდაზების თემებზე),** რედ. ი. ვარდოსანიძე, თბილისი: ნაკადული, 1963.

- **დიალექტოლოგიური მასალების შეკრების ორგანიზაციის საკითხები:** საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა I (V) სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, თეზისები, თბილისი, 1963, გვ. 29.
- **„მორფემიზებული“ კომპლექსები ქართულში:** იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1964, ტ. 14, თბილისი, გვ.147-160, რეზ. რუს. ენაზე.
- **ქართული სიტყვის საგანძური** [ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის გამოცემის დამთავრების გამო]: გაზ. „კომუნისტი“, თბილისი, 1965, 13 თებერვალი.
- **ქცევის საკითხისათვის ქართულში:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 1965, ტ. 114, გვ. 177-198, რეზ. რუს. ენაზე.
- **ქართული სალიტერატურო ენის სათავეებთან:** ჟურნ. „ცისკარი“, თბილისი, 1966, №2, გვ. 116-125.
- **რ სონანტი ზმნური ფუძეების ანლაუტში:** თსუ X სამეცნიერო სესია, VI, თბილისი, 1966, თეზისები.
- **რ სონანტი ზმნური ფუძეების ანლაუტში:** ორიონი (საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, შემდგენლები: ტ. კასრაძე, ი. იმნაიშვილი და სხვ.), თბილისი, 1967, გვ. 157-164.
- **სამთანხმოვნისანი კომპლექსები ზმნური ფუძეების აუსლაუტში:** თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XI სამეცნიერო სესია, თეზისები, თბილისი, 1967, გვ. 13-14.
- **ზოგიერთი ზმნური ფუძის ისტორიისათვის:** საქ. სსრ ქართული ენის კათედრების VII სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1967.
- **ახალი სალიტერატურო ენის ისტორიისათვის:** ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, თბილისი, 1968, №2, გვ.11-16.
- **ზოგი ფონეტიკური სახეცვლილების შესახებ სახელის ფუძეში:** თსუ შრომები, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ტ. IX, თბილისი, 1969.
- **ლა//ლე პრეფიქსები ქართულში:** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, თბილისი, 1969, №5, გვ.155-164.
- **ზოგი ფონეტიკური სახეცვლილების შესახებ ზმნურ ფუძეში:** კრებული „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს“, თბილისი, 1969, გვ. 166-178.
- **მოხსენებითი ბარათი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს:** ქართველური ონომასტიკა, კრებული 1 (ეძღვნება პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავს), რედ. პ. ცხადაია, თსუ-ს ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ფარნაოზ ერთელიშვილის სახელობის სამეცნიერო-საკვლევო ლაბორატორია, თბილისი, 1998, გვ. 23-39.
- **შევკრიბოთ ქართული ტოპონიმები** (თანაავტორები: შ. ძიძიგური, ბ. ჯორბენაძე): გაზ. „კომუნისტი“, თბილისი, 1970, 26 აპრილი.
- **რ, ლ (მ, ნ) სონანტთა მერყევი ბუნებისათვის ფუძეთა ბოლოკიდურა პოზიციაში:** თსუ, ფილოლოგიის ფაკულტეტის XIII სამეცნიერო სესია, თეზისები, თბილისი, 1970, გვ. 23-24.
- **ინსტრუქცია ტოპონიმიკური მასალის ჩამწერათვის,** თბილისი, 1970 (გამოიცა რამდენჯერმე).

- **სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ძიებანი (1. ცხოველები):** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ტ. 3, B2 (140), თბილისი, 1971, გვ.171-176, რეზ. რუს. და გერ. ენებზე.
- **სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ძიებანი (2. გორგუარ (→გვარ) გუარ (→გვერ):** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1971, №2, გვ. 119-126.
- **Инструкция по записи топонимических материалов,** Тбилиси, 1971.
- **სახელურ ფუძეთა სტრუქტურის საკითხები ქართულში, IV:** ნაკითხულია თსუ ახალი ქართული ენის კათედრის სხდომაზე, 1971 წლის დეკემბერი.
- **სამთანხმოვნისა და ოთხთანხმოვნის კომპლექსების შესახებ სახელთა ფესვების აუსლაუტში:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (სერია B – ჰუმანიტარული მეცნიერებანი), თბილისი, 1972, №3, გვ. 65-73.
- **სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ძიებანი (ცეცხლი):** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1973, №4, გვ. 99-102.
- **Ertelischwili, Parnaos, Strukturell-etymologische Forschungen: cecxli: „Wissenschaftliche Zeitschrift der Friedrich-Schiller-Universität Jena (Gesellschafts- und sprachwissenschaftliche Reihe)“ [WZ-FSU (GS-Reihe)],** 22 (1973) 3, S. 359-362.
- **სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ძიებანი [3. ცინდალ-ი//ცინტალ-ი]:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (სერია B – ჰუმანიტარული მეცნიერებანი), ტ. 6-7, ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიკოსს, პროფ. არნოლდ ჩიქობავას დაბადების 70 წლისთავს, მთ. რედ. შ. ძიძიგური, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1974, გვ. 111-113.
- **ტოპონიმის აღწერა-შესწავლასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები:** ქართველური ონომასტიკა, კრებული 1 (ეძღვნება პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავს), რედ. პ. ცხადაია, თბილისი, 1998, გვ. 40-53.
- **ძალა და აღმართი (იგავ-არაკები ქართული ანდაზების თემებზე),** მე-2 გამოცემა (რედ. თ. ღვინაძე), თბილისი: ინტელექტი, 2002, 108 გვ.

თარიღიანი ხელნაწერები:

- **იოანე ბოლნელის ქადაგებანი (ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი),** სადიპლომო ნაშრომი, 1950 (ხელნაწერი).
- **ჰიპოტაქსი საშუალ ქართულში,** 1954 (ხელნაწერი).
- **ქართული ენის სინტაქსის ზოგიერთი საკითხი,** 1954 (ხელნაწერი).
- **რთული ქვენყობილი წინადადების სინტაქსის საკითხები ახალ ქართულში,** 1954 (ხელნაწერი).
- **ჰიპოტაქსი თანამედროვე ქართულში,** 1955 (ხელნაწერი).

- პირის ნიშანთა გენეზისის საკითხისათვის ქართველურ ენებში, 1956 (ხელნაწერი).
- პერმანსივები ძველ ქართულში, 1959 (ხელნაწერი).
- ისევ ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისისათვის ქართულში, 1962 (ხელნაწერი).
- ქართული სალიტერატურო ენის ზოგიერთი საკითხი, 1964 (ხელნაწერი).
- ხმოვანთმონაცვლეობა ზმნურ ძირებში, 1965 (ხელნაწერი).
- რ სონანტის შენცველი კომპლექსები სახელის ფუძის ანლაუტში, 1968 (ხელნაწერი).
- იშ სუფიქსიანი ნათესაობითის კვალი ქართულში, 1968 (ხელნაწერი).

საკანდიდატო დისერტაციების რეცენზიები:

- რეცენზია ეკატერინე ოსიძის საკანდიდატო დისერტაციისა თემაზე: „მიმღობის წარმოება ქართულში“, 1958.
- რეცენზია ციალა ქურციკიძის საკანდიდატო დისერტაციისა თემაზე: „ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ“ (IX-XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), 1959.
- რეცენზია ალექსი ჭინჭარაულის საკანდიდატო დისერტაციისა თემაზე: „ხევსურულის თავისებურებანი“, თბილისი, 1960.
- რეცენზია გრიგოლ ბერიძის საკანდიდატო დისერტაციისა თემაზე: „ქართული ენის ჯავახური დიალექტი“, 1960.
- რეცენზია სერგი სერებრიაკოვის საკანდიდატო დისერტაციისა თემაზე: „ძველი ქართულ-რუსული ლექსიკონი“, 1963.
- რეცენზია ვახტანგ იმნაიშვილის საკანდიდატო დისერტაციისა თემაზე: „კომპოზიტები ძველ ქართულში“, 1970.

მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი - პ რ ო ფ ე ს ო რ ი ფ ა რ ნ ა ო ზ ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

M e m o r i e s o f P r o f e s s o r P a r n a o z E r t e l i s h v i l i

† ელენე ბაბუნაშვილი, † ბესარიონ ჯორბენაძე²

ქართული ენის დაუღალავი მკვლევარი

27 თებერვალს 50 წელი უნდა შესრულებოდა გამოჩენილ ქართველ ენათმეცნიერს, ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმის ლაბორატორიის მეცნიერ-ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ფარნაოზ გიორგის ძე ერთელიშვილს.

თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ბევრი რამ მოასწრო ქართული მეცნიერების დაუღალავმა და ენერგიულმა მოამბაგემ. მისი დიდი ნიჭი და ფართო დიაპაზონი კარგად გამოჩნდა მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი ნათლად მეტყველებს, რა მრავალმხრივი ინტერესები ამოძრავებდა ნიჭიერ მკვლევარს. მისი დაკვირვებული თვალი ყველაფერს მისწვდა: ქართული ენის მორფოლოგიის თუ სინტაქსის საკვანძო საკითხებს („ქცევის საკითხისათვის ქართულში“, „-ნ/(ენ) ვნებითობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის“, „სინტაქსის ობიექტის საკითხისათვის“, „რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში“), სალიტერატურო ენასა და სტილს („ახალი სალიტერატურო ენის ისტორიისათვის“), ქართულ ფრაზეოლოგიას („აფორიზმის ცნების საკითხისათვის“, „ანდაზის ცნების საკითხისათვის“), ფონეტიკას („ზოგი ფონეტიკური სახეცვლილების შესახებ სახელის ფუძეში“, „სონანტთა მერყევი ბუნებისათვის ფუძეთა ბოლოკიდურ პოზიციაში“), ეტიმოლოგიას („სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ძიებანი“, „სხუა-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის“), ტოპონიმის საკითხებს („ტოპონიმის ამოცანები“), დიალექტოლოგიას („დიალექტური მასალების შეკრების ორგანიზაციის საკითხები“). განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფ. ერთელიშვილის მონოგრაფია „ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“ (სადოქტორო დისერტაცია). ამ ორიგინალურ ფუნდამენტურ გამოკვლევაში დადგენილია ზმნური ფუძეების სტრუქტურული მოდელები და ამასთან დაკავშირებით განხილულია ზმნური ფუძეების სტრუქტურასა და ისტორიასთან დაკავშირებული ცალკეული ფონეტიკური და მორფოლოგიური საკითხები. ფ. ერთელიშვილი იყო სულსჩამდგმელი და ორგანიზატორი ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმის ლაბორატორიისა.

ამ სრულიად ახლებური ტიპის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა უთუოდ რთული საქმე იყო. ფ. ერთელიშვილს ამ მხრივ არ ჰყოლია წინამორბედი და მაგალითის მიმცემი და, მიუხედავად ამისა, მან შეძლო სათანადოდ გარკვეულიყო ახლებურ სიტუაციაში, წარმოეჩინა ის თავისებურებანი, რომელიც ტოპონიმის შეგროვებასა თუ კვლევა-ძიებას შეეხებოდა, დაემტკიცებინა ტოპონიმისადმი განსაკუთრებული მეცნიერული მიდგომის საჭიროება და როგორც საქართვე-

² მოგონებები ამოღებულია კრებულიდან: ქართველური ონომასტიკა (რედ. პ. ცხადაია), II (ედვინება პროფ. ფ. ერთელიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს), თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2004.

მათი მონოდებისთვის მადლობას მოვახსენებ ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლებს: გიორგი ქიტოშვილსა და დოდო შონიას.

ლოს, ასევე საკავშირო მასშტაბითაც ტოპონიმიკის ლაბორატორიისათვის გარკვეული მეცნიერული ავტორიტეტი მოეპოვებინა. მართალია, იგი ყოველთვის გრძნობდა ამ მნიშვნელოვან საქმეში ახალი ქართული ენის კათედრის, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერას, მაგრამ მაინც ამ ახალი საქმის ორგანიზაცია, როგორც იტყვიან, მთლიანად მას დააწვა მხრებზე – დანყებული ლაბორატორიის თანამშრომლების შერჩევით და დამთავრებული სპეციფიკური ტოპონიმიკური პრობლემების წარმოჩენით. მას ჰქონდა საოცარი უნარი, სხვებისთვისაც დაენახვებინა და შეეყვარებინა ის საქმე, რომლის მნიშვნელობასაც მანამდე ბევრი იქნებ ვერც კი ამჩნევდა. თუმცა წმინდა ტოპონიმიკური კვლევა-ძიების თვალსაზრისით მან ცოტა რამის გაკეთება მოასწრო, მაგრამ ბრწყინვალე ენათმეცნიერული განათლება და შეუმცდარი მეცნიერული ალლო ყოველთვის ეხმარებოდა მას სწორად და დროულად გარკვეულიყო სრულიად ახლებურ ვითარებაშიც.

ტოპონიმიკის ლაბორატორიის მუშაობას თავიდანვე დაედო საფუძვლად პროფესორ ფ. ერთელიშვილის მიერ შემოთავაზებული პრინციპები, რომელთა საჭიროებასა და მნიშვნელობას იგი თავისი პირადი მაგალითით უმტკიცებდა ყველას. უმთავრესი ამათგან იყო: სიზუსტე და მეცნიერული კეთილსინდისიერება, რაც წარმმართველი უნდა გამხდარიყო მთელი ლაბორატორიის მუშაობისათვის.

ლაბორატორიის სამეცნიერო კვლევა-ძიების გზები, რომელიც შეიმუშავა პროფესორმა ფ. ერთელიშვილმა, ასეთია: შეგროვდეს ტოპონიმიკური მასალა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, რის საფუძველზეც, ერთი მხრივ, გამოიციემა ტოპონიმიკური ლექსიკონები, ხოლო, მეორე მხრივ, კვლევა-ძიების შედეგად გაირკვევა საქართველოს ტოპონიმიის სტრუქტურა და, შესაძლებლობის ფარგლებში, ეტიმოლოგია, წარმოჩინდება ტოპონიმიკური წარმოების სისტემები.

რა გაკეთდა ტოპონიმიკის ლაბორატორიაში იმ პერიოდში, როცა მას პროფესორი ფ. ერთელიშვილი ხელმძღვანელობდა?

ტოპონიმების შეგროვების მხრივ: დაიწყო საქართველოს ტოპონიმების გეგმაზომიერი, ინტენსიური აღწერა, გამოიცა სპეციალური ინსტრუქციები ტოპონიმების შემკრებთათვის, დაიბეჭდა პოპულარული ხასიათის წერილები რესპუბლიკურ გაზეთებში, რესპუბლიკის რამდენიმე რაიონის მასწავლებლებს ჩაუტარდათ ახსნა-განმარტებითი თათბირები ტოპონიმიკის საკითხებზე. ჩატარებულმა სამუშაომ სასურველი შედეგი გამოიღო: კერძო პირების, ზოგიერთი რაიონის მასწავლებლების, ძირითადად კი თვით ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ ჩანერილი ტოპონიმების რაოდენობამ 100 000 ერთეულს გადააჭარბა.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მხრივ: ტოპონიმიკის ლაბორატორიაში თავდაპირველად დაიწყო ტოპონიმიკის რეგიონული პრობლემების დამუშავება. ძირითადად ესაა საკანდიდატო დისერტაციების თემები. შესწავლილია არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმია, მუშავდება მთიულეთ-გუდამაყრის, სვანეთის, სამეგრელოს, იმერეთის ტოპონიმია. გარდა ამისა, ლაბორატორიის თანამშრომლები იკვლევენ ონომასტიკის ზოგადსა და თეორიულ საკითხებს: ტოპონიმიკური წარმოების შესახებ, ქართული ეთნონიმიკისა და ჰიდრონიმიკის საკითხები, ტოპონიმიკის საგანი და ტოპონიმის ადგილი ენის საერთო ლექსიკაში, ქართული ტოპო-

ნიმები უცხოურ (სპარსულ, არაბულ, თურქულ, სომხურ, ბერძნულ) წყაროებში, ტოპონიმიკური კვლევის მეთოდები. ლაბორატორიაში სისტემატურად ეწყობა ტოპონიმიკური სემინარები, სადაც მონვეული პირები და ლაბორატორიის თანამშრომლები კითხულობენ აღწერითი, კვლევითი და რეფერატული ხასიათის მოხსენებებს.

მუშაობის ორგანიზაციის მხრივ: პროფესორ ფ. ერთელიშვილის ინიციატივით ლაბორატორიის თანამშრომლები სხვადასხვა ვადით მივლინებული იყვნენ საბჭოთა კავშირის ტოპონიმიკურ ცენტრებში გამოცდილების გასაზიარებლად და სამეცნიერო კონტაქტების დასამყარებლად. ჩატარდა საკოორდინაციო თათბირი.

ლაბორატორიის თანამშრომლები პერიოდულად მონაწილეობენ საკავშირო თუ რესპუბლიკური კონფერენციების მუშაობაში.

პროდუქტიული მუშაობის სანინდრად ლაბორატორიაში ყოველთვის ითვლებოდა შრომის სწორი ორგანიზაცია და ჩატარებული სამუშაოს ზუსტი აღრიცხვა. ამიტომაც ლაბორატორიაში სისტემატურად ტარდებოდა და ტარდება სხდომები, რომლებზეც თითოეული თანამშრომელი ლაბორატორიას აბარებს თავისი მუშაობის ანგარიშს.

გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია, უფრო მეტი, ვიდრე უკვე გაკეთდა, მაგრამ პროფესორ ფარნაოზ ერთელიშვილის მიერ შემუშავებული და ლაბორატორიაში დანერგილი პრინციპების წყალობით ლაბორატორიის მომავალს სასიკეთო პირი უჩანს.

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 23 თებერვალი, 1973წ.

† ივანე გიგინეიშვილი

ფარნაოზ ერთელიშვილი

როდესაც ომის ქარტეხილმა გადაიარა, არაერთ ომგადახდილ ახალგაზრდას მიეცა საშუალება უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისა. ისინი მრავალმხრივ გამოირჩეოდნენ სხვებისაგან. ისინი საშუალო სკოლის მერხებიდან პირდაპირ არ გადმომსხდარან უნივერსიტეტის აუდიტორიებში. მათ დიდი გამოცდილება ჰქონდათ ცხოვრებისა მიღებული და მერე როგორი გამოცდილება! საშინელი ომის ცეცხლში იყვნენ გამონრთობილნი; იცოდნენ, რომ მეცნიერების მწვერვალების დაუფლება არანაკლებ ძნელია, ვიდრე ომის დროს რომელიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლისა; იცოდნენ, რომ მეცნიერების შესწავლას ჯერ, რა თქმა უნდა, ნიჭი სჭირდება, მაგრამ მართო ნიჭი ვერ უშველის საქმეს, ნიჭთან ერთად დიდი შრომაა საჭირო, ამ შრომის სიყვარულია საჭირო, საჭიროა მეცნიერების სიყვარული. ამიტომ იყო, რომ ამ ახალგაზრდებს იმთავითვე გარკვეული დამოკიდებულება ჰქონდათ გამომუშავებული უნივერსიტეტში სწავლისადმი და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითოეული დღე აღნუსხული, დაგეგმილი და წინასწარ დახარჯული ჰქონდათ რაიმე, სრულიად გარკვეული საქმისათვის.

ამათ შორის ერთი უპირველესთაგანი იყო ფარნაოზ ერთელიშვილი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ფარნაოზ ერთელიშვილის მიხედვით ვმსჯელობთ ჩვენ ახალგაზრდობის ამ თაობის შესახებ.

ფარნაოზ ერთელიშვილმა ისე გაატარა უნივერსიტეტში სწავლის ხუთი წელი, როგორც უნდა გაატაროს ჭეშმარიტმა სტუდენტმა. იგი არა მარტო სამეცნიერო დისციპლინებს სწავლობდა, არამედ მეცნიერულ კვლევასა და მკვლევრობასაც. ამიტომ სტუდენტობიდანვე მიიქცია ყურადღება როგორც მკვლევარმა, რომელსაც სამეცნიერო მიზნებიც გარკვეული ჰქონდა და საკვლევი თემატიკაც გათვალისწინებული. ამიტომ იყო, როცა იგი სტუდენტობის დროსვე ახალი ქართული ენის კაბინეტის ლაბორანტად მუშაობდა, უმცროსი კურსების ხელმძღვანელად და ნამდვილ მასწავლებლად გვევლინებოდა.

შემდეგ ბრწყინვალედ დაცული სადიპლომო ნაშრომი, ასპირანტურაში სწავლისა და დაძაბული ნაყოფიერი მუშაობის წლები, პირველი საკვალიფიკაციო ნაშრომი... და ფარნაოზ ერთელიშვილმა ერთბაშად დაიკავა უნივერსიტეტის მასწავლებელთა შორის მონინავის ადგილი, ხოლო სულ მალე იგი უნივერსიტეტის პროფესორი გახდა და მალევე მოიპოვა სრულიად დამსახურებული დიდი ავტორიტეტი.

ახლა კიდევ უფრო მკვეთრად გამოვლინდა ფარნაოზ ერთელიშვილის შესანიშნავი პიროვნული და ინტელექტუალური, მეცნიერული თვისებები, მისი ნიჭი სამეცნიერო მუშაობის ორგანიზატორისა, ხელმძღვანელისა. ამას იგი ახერხებდა იქაც კი, სადაც თითქოს საამისო პირობები და საშუალება არც იყო. სტუდენტს არათუ სადიპლომო თემას არ მისცემდა ისეთს, რომელშიაც მეცნიერული სიახლის გამომჟღავნება შესაძლებელია გაძნელებოდა, საკურსო შრომაშიც

დამოუკიდებელ მუშაობას მოითხოვდა მისგან, დამოუკიდებელ კვლევას; მუდამ სტუდენტობის სერიოზულ მეცნიერულ მუშაობაში ჩაბმას ესწრაფოდა. კიდევაც იმიტომ იყო, რომ ფარნაოზ ერთელიშვილმა ძალიან მნიშვნელოვანი და დიდად საჭირო საქმე გააკეთა. შექმნა ტოპონიმიკის ლაბორატორია. ამ ლაბორატორიის მუშაობაში მან ჩააბა საქმის მცოდნე და ნიჭიერი ახალგაზრდები, დაუსახა მათ მტკიცე გეგმა და გააჩაღა ინტენსიური მეცნიერული მუშაობა, რამაც სულ მოკლე ხანში უხვი ნაყოფიც გამოიღო. სავალალო ისაა, რომ ამ მუშაობის ნაყოფს ჩვენი მეცნიერული საზოგადოება მხოლოდ ფარნაოზის სიკვდილის შემდეგ ხედავს.

ფარნაოზ ერთელიშვილს განუზომელ სიხარულს ანიჭებდა ყველაფერი, რაც სასარგებლო და საყურადღებო კეთდებოდა მეცნიერებაში. ამავე დროს მას შესწევდა ძალა და კეთილშობილური უნარი, ტოლერანტული დამოკიდებულება გამოეჩინა სხვათა აზრებისადმი. იგი ერთნაირად გამოიჩნეოდა როგორც მეცნიერული, ისე მოქალაქეობრივი თვისებებით, მთლიანი პიროვნება იყო.

და ეს პიროვნება ისე ნავიდა ჩვენგან, რომ ამქვეყნად თავისი ცხოვრების ნახევარ საუკუნესაც კი ვერ მოესწრო, ვერ მოიმკო თავისი ხელით დათესილი სიკეთე.

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 23 თებერვალი, 1973 წ.

† თედო უთურგაიძე

ფარნაოზ ერთელიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი ფარნაოზ ერთელიშვილი, რომელსაც 27 თებერვალს 70 წელი შეუსრულდებოდა, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, ამათგან სამი მონოგრაფიულად არის გამოცემული.

მეორე მსოფლიო ომიდან მობრუნებულმა ფ. ერთელიშვილმა მშობლიურ უნივერსიტეტს მოაკითხა, საიდანაც პირველკურსელი ჭაბუკი წაიყვანეს საომრად. 1945 წლიდან სიკვდილამდე იგი უნივერსიტეტს ემსახურებოდა, ჯერ იყო კათედრის ლაბორანტი (სტუდენტობის წლებიდანვე), შემდეგ – მისი დოცენტი და პროფესორი.

სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ფ. ერთელიშვილი ერთნაირად აფასებდა – ორივე ამ საქმეს ყველაზე მაღლა აყენებდა ცხოვრებაში...

წინამდებარე წერილში შევხვები ფ. ერთელიშვილის კვლევით მუშაობას. მისი სამეცნიერო ინტერესები მრავალმხრივი იყო, ეხებოდა როგორც ქართული ენის ფონემატურ სისტემას, ისე სინტაქსურ-მორფოლოგიურ და ლექსიკოლოგიურ სისტემებს, საერთოდ, სალიტერატურო ენის ქმნადობისა და განვითარების საკითხებს.

1966 წელს ფ. ერთელიშვილმა გამოაქვეყნა წერილი – „ქართული სალიტერატურო ენის სათავეებთან“ („ცისკარი“ №2). აქ იგი აყალიბებს სალიტერატურო ენის ცნებას, გამოყოფს სალიტერატურო ენის დამახასიათებელ ნიშნებს, რითაც იგი განსხვავდება ტერიტორიული დიალექტებისა და საერთო-სახალხო ზეპირი სამეტყველო ენისაგან, ეს ნიშნებია: ტერმინოლოგია, სპეციფიკური ლექსიკა, რთული სინტაქსური კონსტრუქციები, საკავშირებელ საშუალებათა განვითარებული სისტემა, შემასმენელთა ნაკლებობა, განსაზღვრებათა სიხშირე. ამ ნიშანთა ერთობლიობას მკვლევარი აძლევს „შეფარდებით ღირებულებას“, ე. ი. ამ ნიშნებს ვხვდებით საერთო-სახალხო სამეტყველო ენაშიც, მაგრამ ამ უკანასკნელში შესამჩნევად ნაკლებად არიან ისინი; თანაც სალიტერატურო ენა დამწერლობით არის წარმოდგენილი, რაც ხელს უწყობს ნორმათა ჩამოყალიბებას ორი სხვა ნიშნის: განვითარებული კალიგრაფიისა (ივ. ჯავახიშვილი) და ლიტერატურული პროფესიონალიზმის მაღალი დონის გვერდით. სალიტერატურო ენის ზემოთ ჩამოთვლილმა თვისებებმა საშუალება მისცეს მკვლევარს, V საუკუნეშივე ჩამოყალიბებულად ევარაუდა სალიტერატურო ქართული ენა.

ფ. ერთელიშვილის პირველი მონოგრაფია – „რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, პიპოტაქსის საკითხები“, 1963 წელს გამოქვეყნდა. ამ მონოგრაფიაში ავტორი ისეთ საკითხებს იკვლევს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა და კვლავ იქცევენ მკვლევართა ყურადღებას. გამოსაყოფია შემდეგი საკითხები: 1. რთული წინადადების ჩამოყალიბების გზები; 2. სინტაქსის ობიექტი; 3. რამდენად გამართლებულია რთული წინადადების შეტანა

სინტაქსურ კვლევაში. ძიება ხდება ქართულ მასალაზე დამყარებით: შესწავლილია მიმართებითი ნაცვალსახელების, ზმნიზედებისა და კავშირთა შემცველი წინადადებები. ავტორის აზრით, მიუღებელია დებულება, რომლის მიხედვითაც, დამოკიდებული წინადადება კითხვითი წინადადებისაგან მომდინარეობს, რადგან ვინ, რა, სადა, რომელი... იმთავითვე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიც იყო, რაც კარგად ჩანს როგორც სალიტერატურო ძეგლების, ისე ქართული დიალექტების ჩვენებით. ეს ნაცვალსახელები ჩამოყალიბდნენ მიმართებით ნაცვალსახელებად (წევრ-კავშირებად) და მათი შემწეობით შესაძლებელი გახდა „აღარ გამეორებულიყო მიმართებითი სიტყვა (მოვიდა კაცი, რომელმაც თქვა... და არა მოვიდა კაცი, კაცმა თქვა...)“ შეესრულებინა წინადადების წევრის როლი (...რომელმაც თქვა და არა ...კაცმა თქვა), კონკრეტულად მომხდარიყო მითითება განსასაზღვრ სახელზე (მთას მოადგა კაცი, რომელმაც... შდრ. მთას მოადგა კაცი, რომელსაც...).

სინტაქსის ობიექტის განსაზღვრა ტრადიციულია: არსებითია შესიტყვების წევრთა გრამატიკული ურთიერთობა – **წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების დადგენა**. აქედან ამოსვლით რთულ წინადადებაში მან არსებითად მიიჩნია მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის სპეციფიკური ურთიერთობა: მიმართებითი ნაცვალსახელი იმართვის დაქვემდებარებული წინადადების შემასმენლისაგან, მაგრამ რიცხვში ეთანხმება მისამართ სიტყვას, რომელიც მთავარი წინადადების წევრია...

ფ. ერთელიშვილის ბოლო ორი მონოგრაფია ეხება ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის შესწავლას ზმნურ და სახელურ ფუძეებში („ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“, თბილისი, 1970; „სახელთა ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“, თბილისი, 1980).

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ იგი სწავლობდა არა ქართულ ზმნურ და სახელურ ფუძეებს, არამედ ზმნურ და სახელურ ფუძეებს ქართულში, რასაც აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ამჟამად ჩვენთვის არსებითია ნაშრომთა ის დებულებები, რომლებიც წარმოგვიდგენენ ფონემატურ კანონზომიერებებს ქართულში. ჯერ დადგენილია ზმნურ/სახელურ ფუძეთა სტრუქტურული მოდელები, მაგალითად, უმარცვლო ზმნური ფუძეები წარმოდგენილი არიან 4 მოდელით და ა. შ. საბოლოო ჯამში, ზმნებს ახასიათებს 43 ტიპის სტრუქტურული მოდელი, რაოდენობრივად ყველაზე მეტია ერთმარცვლოვანი ფუძეები; ხმოვანი ზმნურ ფუძედ არ გვხვდება ქართულში; იშვიათია ხმოვნით დაწყებული ან დამთავრებული ფუძე – ესენი არსებითად ნასესხები ფუძეებია. ზმნურ ფუძეებში თავიკიდურად ყველაზე ხშირია წყვილთა ხმოვნის კომპლექსები. ტიპურია თანამიმდევრობა ხშული + ხშული (მგ, დგ ტიპისა). „თანხმოვანთა კომპლექსების ეს ხუთი მოდელი ქართულისთვის ძირითადია იმ აზრით, რომ მოდელების შემადგენელ კომპლექსთაგან თითოეული შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ტიპის ფუძეებშიც და ერთი და იმავე ტიპის სხვადასხვა ფუძეშიც. წყვილთანხმოვნის კომპლექსების სხვა ოთხი მოდელი (სონორი + ხშული, სონორი + ჩქამიერი ნაპრალოვანი, სონორი + სონორი, ნაპრალოვანი + ხშული) იმ თავისებურებებს გვიჩვენ-

ნებს, რომ მოდელის შემადგენელი თითოეული კომპლექსი, როგორც წესი, თითო ზმნურ ფუძეში გვხვდება...“. აქ წარმოდგენილი დებულებები ფრიად მნიშვნელოვანია ქართული ენის ფონემატური სისტემის კანონზომიერებათა შესაცნობად. აქვეა წარმოდგენილი სხვა მნიშვნელოვანი დასკვნაც: „წყვილთანხმოვნის კომპლექსების მოდელები ზმნური ფუძეების ბოლოკიდურა პოზიციაში ემთხვევა თავკიდურა კომპლექსების მოდელებს. არსებითად რაოდენობრივია სხვაობანი, რომლებიც მოდელების შიგნით ვლინდება“ და სხვ. აქ მრავალ დებულებას შეხვედებით, რომლებიც დღესაც მნიშვნელოვანია. სახელთა ფუძეებიც ამნაირადვეა გაანალიზებული. არსებითია ის, რომ ზმნებში გამოვლენილი ფონემატური თვისებები აქაც დასტურდება.

ცალკე უნდა გამოიყოს ფუძეთა რედუქციაციის ძიება ფ. ერთელიშვილის ნაშრომებში. მან მრავალი რედუქციური სახელური და ზმნური ფუძე განიხილა და გამოავლინა ქართულში: აღწერა ისინი და ჩამოაყალიბა მათი გარდაქმნის წესები. ეს ძიება დღესაც გრძელდება სხვა მკვლევართა ამ პრობლემისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომებში.

ფარნაოზ ერთელიშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა ნაყოფიერი იყო: მისი ნაშრომები ქართული ენის შესწავლის ერთ-ერთი წყაროა დღესაც; ამავე დროს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მისი მონაწილეები თავდადებით ემსახურებიან ქართული ენის კვლევისა და სწავლების საქმეს.

1993 წ.

† პაატა ცხადაია

ზნემაღალი და პრინციპული³

ფარნაოზ გიორგის ძე ერთელიშვილი დაიბადა 1923 წლის 27 თებერვალს ქალაქ თბილისში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა 1940 წელს და გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. 1941-1946 წლებში განვეული იყო საბჭოთა არმიის რიგებში. იქიდან დაბრუნების შემდეგ განაგრძო სწავლა თავისსავე ფაკულტეტზე. აკად. ვარლამ თოფურიას ხელმძღვანელობით გაიარა მეცნიერის გზა ლაბორანტის მოკრძალებული თანამდებობიდან ახალი ქართული ენის პროფესორამდე.

ფარნაოზ ერთელიშვილი ქართული ენის ყველა მხარის კვლევის გაფართოებას თვლიდა უპირველეს ამოცანად, რომელსაც ამავე დროს არა მარტო მეცნიერული ღირებულება ჰქონდა. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ტოპონიმისა და საერთოდ დიალექტოლოგიას... აქტიურად აბამდა სტუდენტებს სათანადო მასალების მოძიების საქმეში. 1965 წელს თსუ-ში შეიქმნა საუნივერსიტეტო ტოპონიმიკური ლაბორატორია, რომლის გამგეობის თავმჯდომარედაც თვით ბატონი ფარნაოზი იქნა არჩეული (გამგეობაში შევიდნენ პროფ. არნ. ჩიქობავა, ასპირანტები და თსუ თანამშრომლები – ა. ალექსიძე, რ. გორდეზიანი, თ. კვაჭანტირაძე, ი. კიკნაძე, სტუდენტი პაატა ცხადაია). მაგრამ ცხადი გახდა, რომ მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე ისეთი დიდი საქმის კეთება, როგორც საქართველოს ტოპონიმიკის სრული აღწერა და შესწავლა-გამოცემაა, ვერ განხორციელდებოდა. ახალი ქართული ენის კათედრის გამგის, პროფ. შ. ძიძიგურისა და განსაკუთრებით ფ. ერთელიშვილის დიდი მეცადინეობით 1969 წელს თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან დაარსდა ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი – ტოპონიმიკის ლაბორატორია.

მთელი თავისი სიცოცხლე (სამწუხაროდ, ხანმოკლე) ფარნაოზ ერთელიშვილმა ქართული სიტყვის შესწავლასა და კვლევას მიუძღვნა: მეცნიერულ მსჯელობებში ყოველთვის მკაცრ ფორმულირებებსა და მშრალ ლოგიციზმს ეყრდნობოდა. ყმანვილობის ასაკში ლექსებსაც წერდა თურმე. როგორც გადმოსცემენ, მისი პირველი პოეტური სტრიქონები ქართული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლებსაც მოსწონებიათ... შემდეგ კი, უკვე მონიფულობის ასაკში, ქართულ ანდაზებზე ნოველები შექმნა. ქართული სიტყვის კვლევა მისი ცხოვრების უმთავრესი მიზანი იყო. ამიტომაც უწოდა მას ერთ-ერთ საგაზეთო სტატიამ „სიტყვის რაინდი“ ბესარიონ ჯორბენაძემ, რომელიც ასევე უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან.

მეცნიერულ მუშაობაში სტუდენტების ჩაბმა მისი პედაგოგიური მოღვაწეობის უმთავრესი ნიშანთაგანი იყო. ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც შემომთავაზა, რომ მომცემდა სამეცნიერო თემას და მიხელმძღვანელებდა, თუკი კავკასიური ენების განყოფილებაზე გადავიდოდი (ვსწავლობდი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე)... არ ვიცი, როგორ გავუმართლეთ,

³ პროფ. პ. ცხადაიას წერილი იბეჭდება შემოკლებით.

მაგრამ ფაქტია, რომ ტოპონიმის ლაბორატორიის „პირველი თაობა“ ძირითადად თავისი სტუდენტყოფილებით დააკომპლექტა – ენდობოდა როგორც ჩვენს მოქალაქეობრივ კეთილსინდისიერებას, ისე საქმისადმი ერთგულებას. მკაცრი და მომთხოვნი მოძღვარი იყო, პირუთვნელი და მიუკერძოებელი შემფასებელი, პრინციპული და ზნემაღალი, რომელიც უკომპრომისობას მოითხოვდა როგორც პირადულ ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობასა და მეცნიერულ მოღვაწეობაში. საქებად სიტყვას იშვიათად გამოიმეტებდა, მაგრამ ობიექტურობა არასოდეს ღალატობდა. არც თავის თავს ზოგავდა და არც ჩვენ. მკაცრად მოითხოვდა ყველა დავალების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებას, ანგარიშის ჩაბარებას. სამსახურში ჩვენს მოსვლა-წასვლასაც აკონტროლებდა. ამიტომაც ყველაზე მეტად ჩვენ დაგვაკლდა როგორც მორალური და მეცნიერული ორიენტირი.

ქართველური ონომასტიკა, ტ. I, ეძღვნება პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავს, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1998, გვ. 3-5.

† ალექსი ჭინჭარაული

„არწივი თვალთ იბანს“

სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდაზე მე და ბატონი ფარნაოზი მენყვილენი აღმოვჩნდი. ვინც მაშინდელ გამოცდებში მონაწილეობდა, ეს სომეხა, როგორ გვიჭირდა ხოლმე ჯარისკაც-აბიტურიენტებთან ურთიერთობა: კაცი დასაკარგავიდან სამშობლოში მოსულა, სწავლაც უნდა, მაგრამ ყველაზე მეტად უნდა, რომ დარჩეს აქ, თავისიანებთან, აღარ დაბრუნდეს იმ ჯოჯოხეთში. არადა, ვთქვათ, ხაზაროვსკში როგორ მოემზადებოდა მისაღები გამოცდებისათვის, როცა დედ-მამის მიერ ნაპატივები ახალგაზრდებიც კი ხშირად აღმაშფოთებელ უფიცობას ამჟღავნებდნენ...

ამიტომ ჯარისკაცებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და, ყოველ შემთხვევაში, „სამიანს“ არავინ დაამადლებდა, თუ ძალიან წყალნალეული ან თავხედი არ გამოდგებოდა.

და, აი, ჩვენთან გამოგზავნეს სიმპათიური, შავგვრემანი, ბრგე ჯარისკაცი, რომელმაც, გადახედა თუ არა ბილეთს, თქვა: „ბატონო, შეიძლება, დავინყო?“. „არა, არ შეიძლება, ჯერ მოიფიქრეთ და მერე დაინყეთ!“ – ეს ბატონმა ფარნაოზმა ბრძანა, შესამჩნევად გაღიზიანებულმა. როგორც შემდეგ გაირკვა, ორივე გაგვაოგნა ჯარისკაცის ასეთმა სითამამემ, სითამამემ კი არა (ჩვენის აზრით), თავხედობამ: ამას უყურე, ჯერ საკითხები არ წაუკითხავს წესიერად და „დავინყებ“-ო, დაინყებ, თორემ... დიახ, შემდეგ გაირკვა, რომ ორივე ასე უარყოფითად განვენყვეთ გამოსაცდელის მიმართ.

აბიტურიენტმა ერთხელ კიდევ გადახედა საკითხებს და თქვა: „მეტი მოსაფიქრებელი არაფერი მაქვს, დავინყებ“. მე პირადად იმანაც გამაკვირვა (და, ალბათ, გამაბრაზა კიდევაც), რომ აბიტურიენტს ფანქარი და ქალაღლიც კი არ უხმარია, რომ საკითხები ჩამოენერა, წინადადება გაერჩია...

დაინყო, მაგრამ რა დაინყო! „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ შეხვდა. ჩემი შთაბეჭდილება ასეთი იყო: თვითონ მე, გამომცდელი, შევძლებდი თუ ვერა საკითხის ასე მწყობრად, ორიგინალურად და უნაკლოდ გაშუქებას, ჩემს თავს გამოვუტყდი, რომ – ვერა!

მე ეს დამჩემდა ადრიდანვე: შეიძლება უაღრესად დიდმა მწუხარებამ ცრემლი საერთოდ გამიშროს, დარდი ვერ მომაკაროს, მაგრამ ალალი სიხარული, მადლიანი სიტყვა და საქმე, მოყვასის თანალმობა ცრემლს აღმიძრავს ხოლმე. ბატონ ფარნაოზსაც ეს სჭირდა და მე მაბრალებდა: შენი ბრალია, რომ ასე დავქალაჩუნდიო, ცრემლი რა ვაჟკაცის საქმეაო!

ერთხელ დუშეთში ჩემს ბიძაშვილს ბაძია ჭინჭარაულს, კარგ ვაჟკაცს და კარგ მასპინძელს, ვენვიეთ მე და ბატონი ფარნაოზი. ბაძიასაც გარკვეულ სიტუაციებში თვალეები „მოუნწყლიანდება“ ხოლმე. „მტირალეები ყოფილხართ ეს ხევსურები და მეც დამაჩვიეთ“-ო, ბრძანა ბატონმა ფარნაოზმა. „გეშლება, ძმობილო, – შენიშნა ბატონმა ბაძიამ, – ვაჟკაცს რომ ცრემლი მოერევა, არ ტირის, უბრალოდ არწივი თვალთ იბანს!“ „არწივი თვალთ იბანს“-ო! ეს გამოთქმა ისე მოენონა ბატონ ფარნაოზს, რომ სრულიად შეეცვალა გუნება-განწყობილება, მოიღიხინა.

კარგ მასპინძლობას რომ თავი გავანებოთ, მარტო ამ გამოთქმისთვის ღირდა დუ-შეთში ასვლაო, იტყოდა ხოლმე შემდეგ...

ჰოდა, ჯარისკაცის პასუხმა და ჩემი ზემოთქმული განწყობილების უეცარმა ცვლამ ცრემლი დამიძრა. თქვენ მოუსმინეთ, პაპიროსს მოვწევ და გეახლებით-მეთქი, ვუთხარი ბატონ ფარნაოზს, დერეფნის ბოლოსკენ ნავედი (გამოცდები დერეფანშიაც ტარდებოდა). შორიდან თვალს ვადევნებდი. ჯარისკაცი კვლავ დაუბრკოლებლად აგრძელებდა თავის საქმეს. ბატონმა ფარნაოზმა მომიხმო, უღვაშებში ოდნავ დამცინავი ღიმილი გაუკრთა, რომელიც ჩვენ, გამომცდელებს, გვხებოდა, ჩუმად მითხრა: „ახლა მეორე არნივი დაიბანს თვალებს“ და ხმამაღლა: თქვენ მოუსმინეთ, მე პაპიროსს მოვწევო.

გამოცდის გავრძელებას აზრი აღარა ჰქონდა, მანამდე რომ არ დაგვეწერა, ისეთი „ხუთი“ ერგებოდა, და მეგობრულ საუბარზე გადავედით. სადაურობა ვკითხეთ. გვითხრა. რა ნაწილში და სად მსახურობო? მაგას ვერ გეტყვითო. ოჯახში მარტო დედ-მამა ჰყოლია. იციან თუ არა, რომ აბარებო, არა, არ იციან, რატომ უნდა ვანერვიულო, თუ ჩავაბარე, ჩავალ, თუ არა, ნავალ და ნაწილიდან გამოვუგზავნი წერილსო.

თბილისში ვისთან ათევთ ღამესო? – დაინტერესდა ბატონი ფარნაოზი. „ბატონო, რატომ ეგრე დანვრილებით მეკითხებით ყველაფერს?“ ბატონი ფარნაოზი: „იცით, ეს გამოცდები ჩვენთვის ძალიან დამლელია, ათასნაირ ხალხთან გვინევს ურთიერთობა და ნერვების წყვეტა. ახლა თქვენი კაიკაცობით ბოროტად ვსარგებლობთ და ვისვენებთ“. „ღამეებს ვაგზალში ვათევ“, – თქვა აბიტურიენტ-ჯარისკაცმა...

მაშინ ბატონი ფარნაოზის მშობლები – ქალბატონი ანიკო და ბატონი გიორგი – გარდაცვლილნი იყვნენ, და-ძმას – ქალბატონ დალისა და ბატონ მალხაზსაც – თავ-თავისი ოჯახები ჰქონდათ და ბატონი ფარნაოზი მარტო ცხოვრობდა. ბატონმა ფარნაოზმა გამოცდების დამთავრებამდე თავის ბინაში გადასვლა შესთავაზა ჯარისკაც-აბიტურიენტს. არაფერი მოსარიდებელი, არაფერი ხელის შემშლელი, არც მასპინძლობით შეგანუხებ, ბიბლიოთეკაც მაქვსო და სხვა. ჯარისკაცმა მადლობა გადაიხადა და კატეგორიულად უარყო უცნობი ლექტორის წინადადება... რომ ეს ახალგაზრდა უნივერსიტეტის სტუდენტი გახდებოდა, ამაში იოტისოდენი ეჭვიც არ გვეპარებოდა.

შემდეგ ბატონმა ფარნაოზმა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან ჩამოაყალიბა ტოპონიმიკის ლაბორატორია. როცა კადრების შერჩევა დაიწყო, მაშინ მოისაკლისა ჩვენი ნაცნობი ახალგაზრდა. ისტორიის ფაკულტეტზე (სადაც ის აბარებდა) ასპირანტთა შორის არ აღმოჩნდა. სად გაანაწილეს და სად წავიდა, ვერავინ უთხრა. სულ ჩიოდა: დროზე ვერ მივაკითხე, თვალი ვერ მივადევნე, ჩემი ბრალიაო. სხვა საკითხია, ისურვებდა თუ არა ის ახალგაზრდა უნივერსიტეტში დარჩენას, მაგრამ ბატონ ფარნაოზს კი გულით უნდოდა მისი აქ დატოვება.

კარგა ხნის შემდეგ, როცა ამ „ჯარისკაცის“ მოთხოვნების მშვენიერი წიგნი წავიკითხე და როცა ბატონი ფარნაოზი უკვე წასული იყო ჩვენგან, ერთხელ კიდევ „დაიბანა არნივმა თვალნი“, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 7-8, 23 თებერვალი, 1993წ.

† ბესარიონ ჯორბენაძე

დედაენის რაინდი

ფარნაოზ ერთელიშვილი ერთ ამბავს იხსენებდა ხშირად. ერთხელ ადრიან გაზაფხულზე კახეთში, თავის სოფელში, ყოფილა. ორღობეში მოხუც გლეხკაცს გადაჰყრია – სახლის წინ ჩამომჯდარიყო ჯოხზე დაყრდნობილი და ნაზამთრალ სხეულს მზეს აფიცებდა. ერთმანეთი მოუკითხავთ. მერე მოხუცს ცისკენ აუხედავს და უთქვამს: შაგნებული დღეა, დაილოცოს ამის მადლი, იცის, რო მცივა და მათობსო.

მართლაც, კარგად არის ნათქვამი. მისი სიბრძნე ისაა, რომ ბუნებაშიც შეგნებას უნდა ვეძებდეთ და ვაფასებდეთ. მაგრამ აკი ისიც თქმულა, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, რადგან ესეც ღვთივ ნაბოძები ნიჭი ყოფილა, სიტყვის მადლისა და სიღრმის წვდომის უნარი. ფარნაოზ ერთელიშვილს უხვად ჰქონდა ეს ნიჭი ზეგარდმოსული. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, მთელი თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლე ქართული სიტყვის შესწავლასა და კვლევას რომ მიუძღვნა. ვინც მის საენათმეცნიერო ნაშრომებს გასცნობია, ვისაც კი მისი მოხსენებები მოუსმენია, ის მაშინვე იგრძნობდა, თუ მკაცრ მეცნიერულ ფორმულირებებსა და მშრალ ლოგიციზმს რაოდენ დიდი გულისხმიერი სითბო და დედაენის თავდავინყებულობა სიყვარული ჰქონდა საფანელად. თავადაც, პიროვნულადაც, ასეთი იყო: თავდაჭერილი, დინჯი, მკაცრიც კი, უკომპრომისო და იმავდროულად კოლეგებისათვის თავდადებული, სტუდენტების მიმართ გულისხმიერად მზრუნველი, ჭეშმარიტი გონებამახვილობის დამფასებელი და მეგობრებთან ღრმის მოყვარული. მისთვის უცხო იყო ყოველდღიურ წვრილმანებს განმარიდებელი ასკეტიზმი, თუმცა, ერთი შეხედვით, ზოგიერთს შესაძლოა მხოლოდ მეცნიერული პრობლემატიკით გატაცებულ პიროვნებადაც მოსჩვენებოდეს. ეს იმიტომ, რომ შემთხვევითი ნაცნობებისაგან ფამილარობას ვერ ეგუებოდა, ხოლო თვით უახლოეს ადამიანებსაც კი მკაცრად განსჯიდა, თუკი საქმისადმი უგულისყურობას შენიშნავდა. რაინდული ბუნების კაცი იყო და ხშირად მარტოდმარტოს მოსწევია უნიჭობის, უმეცრებისა და უტიფრობის წინააღმდეგ ბრძოლა და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოწინააღმდეგენი არცთუ იშვიათად ქვენა გრძნობებს აყოლილი მედროვეები იყვნენ, თვით მას არასდროს უღალატნია ჩვენს ამღვრეულ ყოფაში ზოგჯერ ასე ძნელად შესანარჩუნებელი ზნეობრივი სინამინდისათვის.

ჯერ კიდევ ყმანვილმა ლექსად სცადა გამოეხატა თავისი ნაგრძობ-განცდილი. ეს იყო ჭაბუკური სურვილი, ქართული სიტყვისთვის მიენდო თავისი გულისნადების გამოხატვა, პირველი გაბედვა ქართული ენის სიღრმეების წვდომისა. ჩანს, ძალაც შესწევდა ქადილისა, რადგან ის პირველი პოეტური ცდანი შეუმჩნეველი არ დარჩა და ქართული პოეზიის მაშინდელმა თვალსაჩინო მოღვაწეებმაც მოუწონეს და შეუქქეს. მხატვრული სიტყვისადმი სიყვარული არც შემდგომ განელეობია: შეადგინა ქართული ანდაზების კრებული, სადაც რუდუნებით მოუყარა თავი ხალხური გონებამახვილობის ჭეშმარიტ ნაკვესებს, ხოლო შემდგომ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ანდაზებისა და აფორიზმების ენობრივ

ანალიზს. „ქართული ენის მიმართ ჩვენი ინტერესები, გასაგები მიზეზის გამო, მხოლოდ მეცნიერული არ შეიძლება იყოს, – აღნიშნავდა იგი, – ქართული ენის ყველა მხარეს გამომზევლება, აღწერა-აღწერა და მოვლა-პატრონობა უნდა. ეს ჩვენი საკუთარი მხრებით უნდა ვზიდოთ. თუ ამ მიმართულებით მიზანს მივაღწევთ, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება თვით ენათმეცნიერებისათვის, ხოლო განუზომელი – ჩვენი ენის (და ჩვენი ერის) ისტორიისთვისაც, მისი ანმეცნიერებისათვისაც და მომავლისთვისაც“. ესაა, ასე ვთქვათ, თეორიული განზოგადება იმ სამოქმედო პროგრამისა, რომელსაც თავად, პირადი მაგალითით, ახორციელებდა პროფ. ფ. ერთელიშვილი, ასე ფართოდ და ღრმად ხედავდა იგი ქართული ენის ყოველმხრივი შესწავლის მომავალს, სავსებით მართებულად თვლიდა აუცილებელ პირობად ენის არა მხოლოდ საკუთრივ მეცნიერულ კვლევას, არამედ დედაენის ღირსებათა პროპაგანდას, ხალხში დაუნჯებული, ჯერ კიდევ გამოუვლენელი ფორმების შეკრებას და ამ საქმიანობაში საზოგადოების ფართო ფენების ჩართვას. განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიეცა ამ წამოწყებას იმ დროიდან, როცა პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტოპონიმის (გეოგრაფიული სახელების) შეგროვებასა და მეცნიერული შესწავლის საქმეს ჩაუდგა სათავეში.

ვისაც 50-იან-60-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე პედაგოგიური მოღვაწეობა ან სტუდენტობა მოსწევია, მისთვის დაუვიწყარი იქნება ის შემოქმედებითი ატმოსფერო, ფასეული მეცნიერული ტრადიციების დამკვიდრებისა და ახლის ძიების ის სულისკვეთება, რომელიც გულგრილს არავის ტოვებდა. ეს იგრძნობოდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიებზე, სტუდენტთა კონფერენციებზე, სადაც ხშირად გამართულა ფართო მასშტაბის პაექრობა ქართული ლიტერატურისა და ენის პრობლემებზე. ა. შანიძეს, გ. ახვლედიანს, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას მათივე აღზრდილი თაობა ამოუდგა გვერდით, რომელიც მათივე შექმნილ მეცნიერულ მემკვიდრეობას ავითარებდა, რაც სრულიადაც არ გამოორიცხავდა პრინციპულ საკითხებზე აკადემიურ კამათს თვით მეცნიერების კლასიკოსად აღიარებულ მასწავლებლებთან და კვლევის ახალი მეთოდებისა და გზების ძიებას. ახლანდელი გადასახედიდან ამკარა ხდება, რომ სწორედ ძიების ეს დაუოკებელი სურვილი, თვით ასეთი შემოქმედებითი გარემო იყო მეცნიერთა ახალი თაობის აღზრდის, განსწავლისა და პიროვნებად ჩამოყალიბების ჭეშმარიტი სკოლა. ასეთ ვითარებაში შემთხვევითი ხალხი მალე ჩამოსცილდებოდა ხოლმე მეცნიერების ძნელსა და თავგანწირვის ფასად დასაძლევ გზას, ხოლო ისინი, ვინც გონებრივი და სულიერი ზრდის მიზნით თავისი ნებით ამბობდა უარს ამა სოფლის სალხინობელ ცთუნებებზე, დღეს უკვე მეცნიერული კეთილსინდისიერებისა და ჭეშმარიტად შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშად ქცეულან. სწორედ მეცნიერთა ამ პლეადის ღირსეული წარმომადგენელია ფარნაოზ ერთელიშვილი.

სტუდენტობიდან ეზიარა იგი მეცნიერული აღმოჩენების სიხარულს. შემდგომ თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე აკად. ვარლამ თოფურიას ხელმძღვანელობით გაიარა მეცნიერის გზა ლაბორანტიდან კათედრის პროფესორამდე, სიცოცხლის ბოლო წლებში კი (1969 წლიდან) ხელ-

მძღვანელობდა ამავე კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიას – რესპუბლიკაში ონომასტიკური კვლევის ცენტრს, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. ეს ლაბორატორია პროფ. ფ. ერთელიშვილის ინიციატივითა და აკად. შ. ძიძიგურის (იმ წლებში ახალი ქართული ენის კათედრის გამგის) თაოსნობით შეიქმნა.

ფარნაოზ ერთელიშვილის საკუთრივ ენათმეცნიერული კვლევის სფერო თავდაპირველად ქართული ენის ფონემატური და გრამატიკული სისტემებისა და სტრუქტურების შესწავლით განისაზღვრებოდა. ამ საკითხებს მიუძღვნა მან რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი, შორს მიმავალი დასკვნების მქონე გამოკვლევა, ხოლო ხანგრძლივი და შრომატევადი კვლევის შედეგები შეჯამებული და თეორიულად განზოგადებული სახით მის სამ მონოგრაფიას დაედო საფუძვლად: „რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში“ (1963), „ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“ (1970), „სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“ (გამოქვეყნდა გარდაცვალების შემდგომ, 1980 წელს). ვისაც ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს საენათმეცნიერო კვლევა-ძიების სპეციფიკაზე, მან კარგად უნყის, თუ რა ნებისყოფა, მომქანცველი შრომის რამდენი დღე სჭირდება თუნდაც იმ მასალის მოპოვებასა და სისტემატიზაციას, რომელიც ამ მონოგრაფიაშია გაანალიზებული. აღარაფერს ვამბობთ თვით მასალის მეცნიერული შეფასების შესახებ, რაც ჭეშმარიტად განგებისგან მომადლებულ შემოქმედის ნიჭსა და უნარს საჭიროებს. ფარნაოზ ერთელიშვილს, საბედნიეროდ, ორივე უშურველად ჰქონდა ბოძებული: მაძიებელი კაცის ნებისყოფა და შემოქმედის ნიჭიერება.

როგორც აღინიშნა, სიცოცხლის ბოლო წლებში ფ. ერთელიშვილის მეცნიერული ინტერესების განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენდა საქართველოს ტოპონიმიკა. ეს დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ კიდევ 1965 წელს თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა საუნივერსიტეტო ტოპონიმიკური საზოგადოება, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფ. ფ. ერთელიშვილი, ხოლო 1969 წლის ივნისიდან უნივერსიტეტისვე ახალი ქართული ენის კათედრასთან მისივე ხელმძღვანელობით დაარსდა ტოპონიმიკის ლაბორატორია, რომლის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა რთული და დაძაბული სამუშაოები. საჭირო იყო იმის გარკვევა და დასაბუთება, რამდენად გაამართლებდა ასეთი ლაბორატორია თავის დანიშნულებას.

ეს იყო პირველი ორგანიზაცია, რომელიც სპეციალურად აგროვებდა და იკვლევდა ქართულ ტოპონიმიას. დაინერა ინსტრუქცია ტოპონიმების ჩამწერათვის, ტოპონიმიკურ კვლევა-ძიებაში ჩაება ამ საქმით დაინტერესებული ახალგაზრდობა – ძირითადად ქართველურ ენათა განყოფილების სტუდენტები. პირველივე სამუშაოებმა აჩვენეს, რომ ქართული ტოპონიმიკა ფრიად საყურადღებო მასალას იძლევა ენათმეცნიერული კვლევისათვის და არა მხოლოდ ენათმეცნიერებისათვის. ქართული ტოპონიმების შესახებ დაინერა რამდენიმე საკურსო და სადიპლომო ნაშრომი. ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ ქართული ტოპონიმიკა იმდენად ბევრ საკითხს მოიცავს, იმდენად უხვია მასალა, რომ მხოლოდ სპეციალურ დაწესებულებას შეუძლია დაძლიოს ეს რთული და მასთან ფრიად საინტერესო სამუშაო.

არსებობის პირველივე დღეებიდან ლაბორატორიამ, ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად, მიზნად დაისახა ტოპონიმების შეგროვება-აღწერის საქმე. ფართოდ ჩაება საქართველოს რაიონების მასწავლებლობა, ინტელიგენცია, საერთოდ, ყველა დაინტერესებული პირი. ჩატარდა გამსვლელი თათბირები რაიონულ ცენტრებში. ყველა ამ ღონისძიებამ სასურველი შედეგი გამოიღო, ტოპონიმიკის ლაბორატორიას მოსდიოდა გზავნილები, წერილები, ხელნაწერი ლექსიკონები...

ახლა უკვე სოლიდური მასალა დაუგროვდა ტოპონიმიკის ლაბორატორიას, რამდენიმე კრებულიც გამოიცა, დაისტამბა ტოპონიმიკური ლექსიკონები, ჩატარდა სამეცნიერო სესიები... პერსპექტივა დიდია, რადგან საძირკველია მყარი. ამ საძირკველთან კი ფარნაოზ ერთელიშვილი იდგა. ძნელიც იყო მაშინ იმის წარმოდგენა, რომ დიდი იდეით ანთებული რამდენიმე ენთუზიასტისა და მათი ხელმძღვანელის მონდომება ასე მალე ასეთ შედეგს გამოიღებდა. ეს კიდევ ერთი ნიმუშია იმისა, თუ რა შეუძლია დიდი მიზნის რწმენას და იმთავითვე ჭეშმარიტ მეცნიერულ წინამძღვრებზე დაფუძნებულ შემოქმედებით შრომას.

წელს 70 წელი შეუსრულდებოდა, ის კი მხოლოდ 49 გაზაფხულს მოესწრო, დატოვა უაღრესად ფასეული საენათმეცნიერო ნაშრომები, ჭეშმარიტი მეცნიერის სახელი და რწმენა იმისა, რომ დიდ საქმესთან შეჭიდება მხოლოდ მაღალი სულიკვეთების პიროვნებას ხელეწიფება, რომ სწორედ ეს არის ადამიანის სულისა და აზრის უკვდავება.

გაზ. „განათლება“, 26 თებერვალი, №8, 1993წ.

დამანა მელიქიშვილი

ფარნაოზ ერთელიშვილი

ყოველთვის მძიმეა და ტკივილიანი წარსულში ლაპარაკი იმ ადამიანზე, რომელიც შენი მასწავლებელი და გზის გამკვალავი იყო. ბატონი ფარნაოზი ყოველთვის მაკლია და მის წინაშე თავს მუდამ ვალდებულად და ვალმოუხდელად ვგრძნობ, როგორც კეთილსინდისიერების უმაღლესი მართლმსაჯულის წინაშე... ბედმა გამანებივრა, რომ ასეთი ორი მოძღვარი და მსაჯული მყავდა: ბატონი ვარლამი და ბატონი ფარნაოზი.

მე ფარნაოზ ერთელიშვილის ლექციები არ მომისმენია: მაშინ ჩვენს ფაკულტეტზე მორფოლოგიის კურსი ვარლამ თოფურისას მიჰყავდა, ხოლო სინტაქსის კურსს კი, რომელიც ყურდნობოდა არნოლდ ჩიქობავას „მეთოდური იმანენტიზმის საფუძვლებს“, ივანე გიგინეიშვილი კითხულობდა. ფარნაოზ ერთელიშვილი კავკასიური ენების განყოფილებასა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე უძღვებოდა ქართული ენის გრამატიკის კურსს... მაგრამ მე იგი მისი ძმის, მალხაზის, წყალობით გავიცანი (მალხაზი ჩემი თანასკოლელი, მერე კი თანაკურსელიც იყო). მაშინ მათი დიდებული ოჯახი ჩვენთან ახლოს, ვორონცოვზე, გორკის ქუჩაზე ცხოვრობდა... რომ არა მალხაზი, ალბათ, ბატონ ფარნაოზს, გარეგნულად მკაცრსა და პირქუშს, მისალმებასაც კი ვერ გავუბედავდი... მაგრამ ახლოს რომ გავიცანი, მივხვდი, რომ იგი მკაცრი იყო პირველ რიგში თავისი თავის მიმართ. გარეგნულად თითქოს მიუდგომელი და ცივი, სინამდვილეში იგი, სიმკაცრის მიუხედავად, გულჩვილი და გულკეთილი ადამიანი იყო, შინაგან სითბოს აფრქვევდა იმათ მიმართ, ვისაც შემოიკრებდა თავის გარშემო. არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა სტუდენტების დაინტერესებისა და მეცნიერულ კვლევაში ჩაბმისა, მათთან ერთად მუშაობისა. დიდი ნიჭისა და ერუდიციის მეცნიერი, პრინციპულობის, კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის, მაღალი ზნეობის მოქალაქეობის მაგალითი იყო სტუდენტებისათვის. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სტუდენტთა საენათმეცნიერო წრეს, არასოდეს იშურებდა დროსა და ენერგიას მათთვის საინტერესო საკითხებზე საუბრის, სამუშაო თემების შერჩევისა და ხელმძღვანელობისათვის. მაშინ იგი უფროსკურსელებს (დოდო ნინუას, ვიოლა კალანდაძეს, ლია ელიავას...) ამუშავებდა ქართული იდიომატიკის საკითხებზე და უკვე იწყებდა ქართული ტოპონიმის შესწავლის მისეული ფართო პროექტის დამუშავებას, რამაც უზარმაზარი შედეგი გამოიღო: უნივერსიტეტში მისი ინიციატივით დაარსდა ტოპონიმის ლაბორატორია! ამისათვის იგი ეძებდა და არჩევდა საუკეთესო სტუდენტებს. მისი ხელმძღვანელობით 60-იან წლებში მნიშვნელოვანი სადიპლომო შრომები შესრულდა ქართული იდიომატიკის სფეროში, საქართველოს ტოპონიმის თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ტოპონიმის კვლევას...

ყველაფერი ეს მსმენოდა უფროსკურსელებისაგან და თავადაც მენახა. და აი, ერთხელ, შემთხვევით, როცა I კორპუსის მესამე სართულზე აუდიტორიიდან გა-

მოსულს შევხვდი, გამბედაობა მოვიკრიბე და მისალმების შემდეგ ვთხოვე, ზმნასთან დაკავშირებული რაიმე ისეთი თემა მოეცა, რომელიც არ დამუშავებულა-მეთქი. ბატონ ფარნას თავშეკავებულად ჩაელიმა და ნახევრად ხუმრობით მკითხა: „აკაკი შანიძის „საფუძვლების“ შემდეგ რაიმე ახლის აღმოჩენას ხომ არ გვიპირებო“. მე შემრცხვა, დავიბენი და ისლა ვუპასუხე, ისტორია მაინტერესებდა-მეთქი... არ გასულა დიდი ხანი, დამიბარა და „საენათმეცნიერო საუბრებისათვის“ დამავალა ძველი და გარდამავალი ხანის ქართული ტექსტების მიხედვით შემესწავლა მეშველზმნიანი ფორმების განვითარების ისტორია. მე დიდი ინტერესით ვიმუშავე, კონფერენციაზეც წამაკითხა და თეზისებიც გამოაქვეყნა... გავიდა დრო და IV კურსზე ბატონმა ფარნამ სადიპლომო შრომისათვის შემომთავაზა თემა, რომელიც, როგორც ჩანს, თვითონაც აინტერესებდა: „მაგრამ ახლა მაგისთვის არა მცალიაო“ (მაშინ მას უკვე დაცული ჰქონდა საკანდიდატო დისერტაცია ქართული ჰიპოტაქსური წინადადების ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით და სადოქტოროზე, ქართული ზმნის ფონემატური სტრუქტურის საკითხებზე, მუშაობდა). ჩემთვის შერჩეული თემა ეხებოდა დროისა და კილოს ურთიერთმიმართების საკითხს ქართული ენის ისტორიაში. მას მოსწონდა არნოლდ ჩიქობავას თეორია ქართული ზმნის ფორმებში ასპექტური დაპირისპირების ისტორიის თაობაზე და ფიქრობდა, რომ ამ თვალსაზრისით ძველი ქართული ტექსტების მასალა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ შესწავლილი. ამ ზოგადთეორიული საკითხის დასამუშავებლად მან სრულიად კონკრეტული თემა მომცა: „II კავშირებითის მწკრივის ფუნქციები ძველ ქართულში ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მიხედვით“; მათხოვა ამ ტექსტის აკაკი შანიძისეული გამოცემა, რომელიც უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იყო და გამაფრთხილა, რომ თვალის ჩინივით გავფრთხილებოდი (რადგანაც იმ ზაფხულში სვანეთში მივდიოდი სტუდენტურ ექსპედიციაში და თან უნდა წამეღო). ახლაც ვხედავ მის კმაყოფილ ღიმილს, ექსპედიციიდან დაბრუნებულმა რომ დაჯგუფებულ მასალასთან ერთად ვაჩვენე წინასწარი დასკვნებიც, რომლებიც ადასტურებდნენ მის ვარაუდს ქართულ ენაში კილოსთან მიმართებით დროის კატეგორიის უწინარესობის თაობაზე. ანალიზი ძველბერძნულ და ძველსომხურ ტექსტებთან მიმართებით იყო გაკეთებული, რაც დასკვნებს დამაჯერებლობას მატებდა (შანტრენის „ბერძნული ენის“ და ერნუს „ლათინური ენის“ ისტორიული გრამატიკების მიხედვით, სიგმატური ფუტურუმის ფორმა კავშირებითისაგან მომდინარეობდა). რეცენზენტი იყო ბატონი ვარლამი, რომელმაც ნაშრომს უმაღლესი შეფასება მისცა, ხოლო მისი ძირითადი ნაწილი არნოლდ ჩიქობავას რეკომენდაციით დაიბეჭდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ VII ტომში. სადიპლომო შრომა დავიცავი 1962 წლის 31 მაისს, რეცენზენტი ბატონი ვარლამი იყო, რომელმაც უმაღლესი ნიშნით შეაფასა ჩემი სადიპლომო შრომა და საგანგებოდ აღნიშნა, რომ კლასიკური ენების ისტორიულ გრამატიკებში მიღებულ დასკვნას ჩემს სადიპლომო ნაშრომში წარმოდგენილი უტყუარი ქართული ემპირიული მასალა არ უჭერს მხარს.

სადიპლომო შრომის დაცვის მეორე დღეს კი, 1962 წლის 1 ივნისს, პირველი შვილის დედა გავხდი...

გავიდა დრო... ბატონი ვარლამის გარდაცვალების შემდეგ ჩემი მსაჯულიცა და გულშემატიკივარიც ბატონი ფარნა იყო... ჩვენ კოლეგები გავხდით და მალხა-

ზის წყალობით ოჯახებითაც დავახლოვდით: თან, ბედად, ერთ ქუჩაზე დავსახლდით და მისვლა-მოსვლაც გავახშირეთ. ერთელიშვილების ტრადიციული ოჯახი გამოირჩეოდა თავისი მაღალი ღირსებითა და სამაგალითო ქცევით, მშობლებისა და ერთურთის პატივისცემითა და სიყვარულით, ყოველგვარი სიკეთითა და კეთილშობილებით. ეს ტრადიცია ფარნას შემდეგაც ღირსეულად გააგრძელა მალხაზისა და მეგის ოჯახმა, ფარნას დის, ქალბატონი დალის, ოჯახმა...

ბატონი ფარნა ჩვენთან, თიანეთშიც, ყოფილა სტუმრად რამდენიმეჯერ: ჯერ კიდევ ხათუნას დაბადებამდე, მეგი და მალხაზი რომ ისვენებდნენ თიანეთში. სხვა დროსაც ალექსი ჭინჭარაულთან ერთად ჩამოსულა და ხშირად შეგვახსენებდნენ ხოლმე გადაკვრით: „გუშინ ვიყავით თიანეთს, აპიატ ტუდა ტიანეთო“...


და აი, ერთხელაც, I კორპუსის II სართულის დიდ ფოიეში, კიბეების თავზე, შემხვდა: ძალიან აღელვებული ჩანდა, შეწუხებული და გულნატკენი, გაჯავრებულიც კი: ტოპონიმიკის ლაბორატორიაში პრობლემების გამო. ძალიან განიცდიდა ყველაფერს, მაგრამ გულჩახვეული იყო და არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. ამიტომ აღარ ჩავძიებდით. მეორე დღეს შაბათი და კვირა მოდიოდა და შევთავაზე, თიანეთში მივდივართ ორი დღით და იქნებ თქვენც წამოსულიყავით-მეთქი. გაეხარდა და დამთანხმდა... დილით დავურეკე, უნდა მეთქვა, გამოგივლით-მეთქი, მაგრამ შორიდან ყრუ ხმამ მიპასუხა: „ფარნა აღარ არისო“... თავზარი დამეცა...

ასე უეცარი და მძიმე გულდანწყვეტით დასრულდა ჩვენი – მასწავლებლისა და მოწაფის – გზა. დღეს განსაკუთრებით გვაკლია სალი მეცნიერული აზროვნების განვითარებისათვის მისი გონივრული რჩევა და მხარდაჭერა, მისი გულშემატკივრობა და, საერთოდ, მისი მდიდარი სულიერი სამყარო...

2023 წელი

სამეცნიერო სტატიები

Scientific Articles



მზექალა შანიძე

Mzekala Shanidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

**აკაკი შანიძე და დავით ჩუბინაშვილის ქართულ-
რუსული ლექსიკონი¹**

**Akaki Shanidze and the Georgian-Russian Dictionary of David
Chubinashvili**

საკვანძო სიტყვები: ქართულ-რუსული ლექსიკონი, აკაკი შანიძე, დავით ჩუბინაშვილი,
ლექსიკოლოგია, ლექსიკოგრაფია, ეტიმოლოგია

Keywords: Georgian-Russian Dictionary, Akaki Shanidze, David Chubinashvili, Lexicology,
Lexicography, Etymology

¹ ნაკითხულია მოხსენებად აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (24.02.2023). ამ დღეს გავიდა ერთი წელი მას შემდეგ, რაც რუსეთმა ომი ატეხა უკრაინაში. მინდა, გამარჯვება ვუსურვო ჩვენს მეგობარ უკრაინელ ხალხს.

The scholarly legacy left by Akaki Shanidze comprises, among other important papers, several lexicographic works (a dictionary of Vazha-Pshavela's poems, a complete concordance of Rustaveli's epic poem, etc.). Casual remarks concerning the history of various lexical forms or phraseologisms often turn into full-sized independent essays clearly demonstrating the keen interest of the author in lexicography.

The present paper is written in memory of my father for the 136th anniversary of his birth, but at the same time, I have attempted to show, using his personal notes and some books now in my possession, how Akaki Shanidze used the Georgian-Russian Dictionary of David Chubinashvili. I have also copied and analysed Akaki's own additions and corrections written in his neat and legible script on the pages of an old copy of the dictionary given to him as a gift by the son of D. Chubinashvili in 1911 when Akaki was a student of the Saint Petersburg Imperial University.

The Dictionary is a well-thumbed book, showing that Akaki used it often. The additions and corrections are numerous and interesting from a linguistic point of view. Akaki's personal correspondence (now kept at the National Archives of Georgia) shows his incessant efforts to have the dictionary published for the second time. It was published in 1984 as a replica of the first.

აკაკი შანიძის სამეცნიერო დანატოვარში ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიას დიდი ადგილი უჭირავს. კარგად არის ცნობილი მისი ლექსიკონები (ვეფხისტყაოსნისა, ვაჟა-ფშაველას თხზულებებისა და ა. შ.). აკაკის ხელმძღვანელობით ან მონაწილეობით ბევრი ლექსიკოლოგიური გამოკვლევა დაიბეჭდა. მის ნაწერებში ბევრია სტატია ცალკეულ სიტყვათა წარმომავლობის შესახებ. განმარტებითი ხასიათის შენიშვნები უხვად არის გაბნეული მის წიგნებში. ამიტომ სრულიად კანონზომიერი იყო, რომ აკაკის ინტერესი ჰქონდა სხვა ლექსიკოგრაფიულ ნაშრომთა მიმართ. იგი ყურადღებით სწავლობდა სხვა ავტორთა მეთოდს, სალექსიკონო მასალის შერჩევის პრინციპებს და თუ საჭიროდ მიაჩნდა, ასწორებდა კიდევაც.

ამ სტატიას ნაწილობრივ მოგონების ფორმა აქვს. ამავდროულად მკითხველი გაეცნობა ზოგიერთ საარქივო მასალას, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. საარქივო მასალის მონოდებისათვის მადლობელი ვარ ჩემი მოწაფის, შოთა პაპავასი. სტატიაში წარმოდგენილი სხვადასხვა ხასიათის ცნობა აჩვენებს, როგორ ავსებდა აკაკი შანიძე ძველ ლექსიკონებს; როგორ ხმარობდა მათ წლების განმავლობაში; როგორ საჭიროდ მიაჩნდა მას ამ ლექსიკონების ხელახლა გამოცემა და რამდენ ძალისხმევას ახმარდა იგი ამ საქმის შესრულებას.

ამჟამად ჩემს ხელთ არის დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის ორი ცალი. ერთი ძველი, 1887 წლისა (ლექსიკონი, 1887)² და მეორე ახალი – 1984 წლისა, რომელსაც თავფურცელზე აწერია: „დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ

² სტატიაში ქართულ-რუსული ლექსიკონის მასალის დამონმებისას მითითებულია სვეტის ნომერი.

მომამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984“ (ლექსიკონი, 1984). ძველი გამოცემის ცალი ჩემს პირად საკუთრებაში გადმოვიდა 1983 წელს ასეთი წარწერით: „ჩემს საყვარელ შვილს შუბეკალას ო. შანიძე. 24. X. 1983“. მასში ჩაკინძულია ქართული ღრამმატიკა ახლად შედგენილი დავით ჩუბინოვისაგან *Грузинская грамматика, вновь составленный Давидом Чубиновым, С. Петербургъ. რუსული ტექსტი ყველგან დაბეჭდილია ძველი რუსული ორთოგრაფიით. ასე მაგალითად, თანხმოვანზე გათავებული ყოველი სიტყვის ბოლოს წერია ე. წ. твердый знак. ქართული ღრამმატიკის დასაწყისში წარწერაა წვრილი ხელით „ნიკო ჩუბინაშვილის მიერ მოძღვნილი, მამა მისის დავითის საწსოვრად (sic) 29/IV 1911 წ. პეტერბურგი“. ეს წარწერა შავი მელნით წვრილი ხელით არის დაწერილი და აკაკის შემდგომი წლების ხელისაგან განსხვავდება. ალბათ ამიტომ, ვინმეს ეჭვი რომ არ აელო, აკაკიმ თავისი ახალგაზრდობისდროინდელ წარწერას ქვეშ მიაწერა: „ეს ჩემი ხელით არის ნაწერი. ა. შანიძე, 8.II.1963“.*

ნიკო ჩუბინაშვილი დავით ჩუბინაშვილის ვაჟი იყო და მამა აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილისა. ნიკოს შესახებ ჩვენ ბევრი ცნობა არა გვაქვს. რამდენიმე ჩანაწერი ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილის სახელზე იძებნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში შექმნილ პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზაში. ერთ-ერთი ჩანაწერიდან ვიგებთ: „1912 წლის 14 დეკემბრის გაზეთ „იმერეთის“ ცნობით, ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილმა პეტერბურგის ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის ქართულ სამეცნიერო წრეს რუსულ-ქართული ლექსიკონის ორი ეგზემპლარი შესწირა“ (ელექტრონული რესურსი, I). ძნელია იმის თქმა, ვისი ავტორობით შედგენილი ლექსიკონი გადასცა ინსტიტუტს ნიკო დავითის ძე ჩუბინაშვილმა, მე-19 საუკუნის ლექსიკოგრაფ ნიკო ჩუბინაშვილის († 1845) თუ მამამისის, დავით ჩუბინაშვილისა, მაგრამ თვით ეს ამბავი აჩვენებს, რომ ნიკოს პეტერბურგის ქართველობასთან ჰქონია კავშირი და ამიტომ მოულოდნელი არც ის არის, რომ მას ურთიერთობა ჰქონოდა აკაკი შანიძესთანაც, როგორც პეტერბურგში სასწავლად ჩასულ ქართველ სტუდენტთან.

დავით ჩუბინაშვილმა თავისი ლექსიკოგრაფიული საქმიანობა იმით დაიწყო, რომ 1840 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში სამეცნიერო ლექსიკონი დაბეჭდა – ქართულ-რუსულ-ფრანგული. თავდაპირველად ეს ლექსიკონი ყოფილა ქართულ-რუსულ-ლათინური, მაგრამ აკადემიის რჩევით ლათინური ფრანგულით შეუცვლია. ამასი მას მარი ბროსე დახმარებია. 1878 წელს დავით ჩუბინაშვილმა დიდი შრომის შედეგად ეს ლექსიკონი გადაამუშავა, შეასწორა, შეავსო და პეტერბურგის აკადემიას წარუდგინა დასაბეჭდად. ამ ლექსიკონის ბეჭდვას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა, რაც დაწვრილებით არის აწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში (დლონტი, 1980). მხოლოდ 1887 წელს მოხერხდა მისი ბეჭდვის დაწყება პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში. იგი იბეჭდებოდა ნაკვეთებად და როცა მისი ბეჭდვა დასრულდა ავტორის გარდაცვალებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე, 1890 წლის მარტში, ამ ვრცელმა ქართულ-რუსულმა ლექსიკონმა შეადგინა დიდი ფორმატის 1780 სვეტი, ანუ 890 გვერდი. ლექსიკონის დაბეჭდვა დავით ჩუბინაშვილმა მოახერხა ილია ოქრომჭედლიშვი-

ლის ნივთიერი ხელშეწყობით. ამიტომ გასაგებია, რომ ავტორმა თავისი ახალი ლექსიკონი „ილია ლაზარის“ უძღვნა.

აკაკი შანიძეს დავით ჩუბინაშვილის ამ ქართულ-რუსული ლექსიკონის ხელახლა დაბეჭდვა ჯერ კიდევ 1950-იან წლებში მოუხდომებია. მის არქივში ინახება წერილი, დათარიღებული 1958 წლის 12 ნოემბრით, რომელშიც აკაკი სვამს ლექსიკონის დაბეჭდვის საკითხს. დავიმონებთ წერილის ნაწილს:

„...ლექსიკონი წლების განმავლობაში დიდ სამსახურს უწევდა მწერლებს, მთარგმნელებს, პრესის მუშაკებს, მოსწავლეებს და სხვ. იგი ერთად-ერთი იყო და საკმაოდ ვრცელიც. მართალია, მას ნაკლიც ახლდა და არა ერთი და ორი, მაგრამ უნაკლო არა არის რა ქვეყანაზე.

ნიკო მარმა ერთ დროს მოისურვა, რომ ეს ჩუბინაშვილის ლექსიკონი ახლად გამოცემულიყო. ამისათვის მან გადაანერინა თავის ცოლს ეს ლექსიკონი ბარათებზე. შემდეგ მას უნდოდა შეეცხო იგი და შესწორებული სახით გამოეცა, მაგრამ ამ საქმეს განხორციელება არ დასცალდა.

ჩუბინაშვილის ლექსიკონი ამჟამად ძნელი საშოვარია. თუ ვინმე სადმე როგორმე იპოვის, ზღაპრული ფასი უნდა გადაიხადოს, – 500-600 მან. და მეტიც. ჩვენი უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის კაბინეტს მოეპოვებოდა ამ ლექსიკონის ერთი ცალი, მაგრამ მოგვკარეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩუბინაშვილის ლექსიკონი დღევანდელ საჭიროებას მთლიანად ვერ აკმაყოფილებს, მისი გამოცემა აუცილებელია (ლექსიკონის ნაკლი ის არის, რომ შიგ ყველა ერთადაა თავმოყრილი: ძველი ქართულის, საშუალი ქართულისა და ახალი ქართულის სიტყვები).

ამიტომ საჭიროა, აღიძრას შუამდგომლობა უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წინაშე, რომ ეს ლექსიკონი გამოიცეს უცვლელად ფოტო-მექანიკური წესით, ეს თბილისშიც არის მოსახერხებელი.

აღვნიშნავ ამასთანავე, რომ ფოტო-მექანიკური წესით რუსეთში უკანასკნელ ხანებში გამოცემულია: დალის ლექსიკონი, უშაკოვის ოთხტომიანი ლექსიკონი და, უკანასკნელ, სრეზნევის ძველი რუსული ლექსიკონის მასალები (ჯერჯერობით I ტომი, A – K)“ (საქმე, 552).

ეს წერილი აჩვენებს, რომ აკაკი შანიძე კარგად ხედავდა ჩუბინაშვილის ლექსიკონის ნაკლოვან მხარეებსაც, მაგრამ მისი გამოცემა მაინც საჭირო საქმედ მიაჩნდა. დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონი იმ ხანებში არ დაბეჭდილა. ამის შემდეგ, უკვე 70-იანი წლების ბოლოდან, აკაკიმ კვლავ დაიწყო მცდელობა, რომ დაებეჭდა ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი. მის არქივში ბევრი პირადი ხასიათის წერილი არის მაშინდელი საგამომცემლო საქმის მეთაურთა თუ მაღალი პარტიული თანამდებობის პირთა მისამართით. დღეს, ერთი შეხედვით, უცნაურია, რატომ დასჭირდა 96 წლის აკაკი შანიძეს, ორჯერ მიემართა თხოვნის წერილით ცეკას პირველი მდივნისათვის, ედუარდ შევარდნაძისათვის, რომ შესაბამის კომიტეტს უზრუნველყო ლექსიკონის ბეჭდვის საქმე.

თავის ლექსიკონში დავით ჩუბინაშვილს, მსგავსად მისი წინამორბედი ლექსიკოგრაფებისა, ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანისა, ზმნათა განმარტების დროს განსამარტავ ერთეულად აღებული აქვს საწყისი (არაბული ტერმინოლოგიით: მასდარი). ჩუბინაშვილი საწყისის შემდეგ უჩვენებდა ხოლმე არა მთელ ფორმას პირიანი ზმნისა, არამედ დასაწყისს (პირველ პირში): *გარდმო-ბირება (ვი) – იგულისხმება გარდმოვიბირებ*. აკაკი შანიძე დავით ჩუბინაშვილის ამ პრინციპს აფასებდა, როგორც მარტივსა და ყველასთვის ადვილად გასაგებს. თუმცა იმასაც ამბობდა, რომ ლექსიკონის ავტორს თავის დროზე მტკიცე სისტემა არ შეუქმნია. ჩუბინაშვილის მიკველეული საქმე მთლიანი სისტემის სახით წარმოდგენილი არის აკაკი შანიძის ნაკვლევში: „გიორგი მთაწმიდლის ენა „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით“, რომელიც 1946 წელს გამოვიდა. ეს სისტემა ინდექსებისა გატარებულია აკაკი შანიძისა და მისი მოწაფეების მომდევნო პერიოდის ნაშრომებში.

ზმნების დალაგების ეს წესი, რომელიც დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონს აქვს, განსხვავდება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პრინციპებისაგან (როგორც ცნობილია, განმარტებით ლექსიკონში ზმნები მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმით არის განსამარტავად მოცემული). შესაძლოა ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი ქეთევან ლომთათიძე აშკარა წინააღმდეგი გამოდიოდა ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონისა. აკაკი შანიძის საარქივო მასალებში არის ზოგიერთი ჩანაწერი ამსახველი ამ აზრთა შეხლა-შემოხლისა. მაგალითად მოვიყვანთ ამონარიდს ედუარდ შევარდნაძისადმი 1980 წელს გაგზავნილი წერილიდან:

„როგორც დღეს გავიგე, ამ დღეებში მსჯელობა ყოფილა ამ წიგნის შესახებ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივან ამხ. გ. ენუქიძესთან. როგორც გადმომცეს, სხდომაზე წიგნის გამოცემის წინააღმდეგ გაულაშქრია ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს ქ. ლომთათიძეს. ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, რომ ამ სხდომას არ დამასწრეს მე, ამ საქმის მოთავე.

მე დიდ გაუგებრობად მიმაჩნია დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონის გამოცემის წინააღმდეგ გალაშქრება. მეტიც: ეს არის აშკარად მტრული გამოსდომა ქართული კულტურის წინააღმდეგ.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ოთხჯერ გამოიცა. ვლ. დალის რუსული ლექსიკონი აღადგინეს და გამოსცეს. დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონი რომ მეორედ გამოიცეს, ვითომ რა დაშავდება? საჭირო რომ არ იყოს, მე ამას არც მოვკიდებდი ხელს“ (საქმე, 552).

არის კიდევ ერთი ასეთი, 1980 წლის 8 აპრილის დღიურის ჩანაწერი:

„...ქ. ლომთათიძეს უთქვამს: დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონს პროტექციით ბეჭდავენო. მწერალთა კავშირის მდივანს ჯანსუღ ჩარკვიანს ამის გამო შეუნიშნავს: დავით ჩუბინაშვილს რაში სჭირდება პროტექციაო!“ (საქმე, 552).

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო და მოკლედ მოვჭრა, წინააღმდეგობისა და სხვადასხვა დაბრკოლების მიუხედავად, საბოლოოდ აკაკი შანიძემ ჯიუტად თავისი გაიტანა და ლექსიკონი დაიბეჭდა საკმაოდ დიდი ტირაჟით (30.000 ცალი) 1984 წელს.

რაც შეეხება იმ მინაწერებს, რომლებიც აკაკი შანიძეს შეტანილი აქვს ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის ძველ გამოცემაში – აკაკი, როგორ ჩანს, ხშირ-ხშირად იყურებოდა ამ წიგნში. სხვადასხვა ფერის მეღნიტ (ზოგჯერ ფანქრით) სალექსიკონო სტატიებში მას შეტანილი აქვს ათეულობით შენიშვნა (კორექტურული ჩათვლით!); შევსებულია დეფინიციები, გასწორებულია ავტორისეული მითითებები ამა თუ იმ სიტყვის სადაურობაზე, აშიებზე დატანილია ეტიმოლოგიები, დამატებულია ლემები განმარტებებითურთ. ასე მაგალითად: ჩუბინაშვილთან არ გვხვდება „გარო“. სათანადო ადგილას აკაკი უმატებს (სვ. 258): „გარო – ცხელი წვნის მიერ თავზე მოგდებული სიმსუქნე“. „ხოჭიჭი“ ჩუბინაშვილს განუმარტავს, როგორც „პატარა აკვანი, ჭოჭინა“ (სვ. 1754). აკაკის „ჭოჭინა“ სიტყვაში „რ“ ასო ჩაუმატებია და მიუწერია: „ჭროჭინა სხვაა. მასზე ბალლი ჯელს მოავლებს, გაგორდება და თან გაჰყვება, ამით ის ფეხს აიდგამს“. „მალა, ზურგის ძვლის ნაკვეთი“ (სვ. 662) – ამბობს ლექსიკონი; აკაკი დასძენს: „ბარკლები საცა შეერთდება, გავასთან“. „ლიჭყი“ (სვ. 651) ჩუბინაშვილს გაყინულ მინად ესმის, რაზეც აკაკი მიუთითებს: „შეცდომაა: ლიჭყი – ახლად შესველებული (წვიმისაგან ან თოვლისაგან)“.

კიდევ ერთ ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ აკაკი შანიძის მიერ გასწორებული სიტყვის წარმომავლობის მიმანიშნებელი ჩანაწერებიც:

სვ. 96 **ბარაქალა** ჩუბ.: **სპარს.** შან.: **არაბ.**

სვ. 121 **ბუასილი** ჩუბ.: **სპარს.** შან.: **არაბ.**

სვ. 122 **ბუკი** ჩუბ.: **სპარს.** შან.: **არაბ.**

სვ. 585 **კაბა** ჩუბ.: **სპარს.** შან.: **არაბ.**

სვ. 643 **ლატრა** ჩუბ.: **ფრანც.** შან.: **? ბერძ.**

სვ. 653 **ლოყა** ჩუბ.: **არაბ.** შან.: **სპ.**

ცალკე შეიძლება გამოვყოთ ორი მინაწერი, რომლებიც შესაძლოა სიახლედ ჩაითვალოს ეტიმოლოგიური ძიების თვალსაზრისით:

სიტყვა **სინსილა** ჩუბინაშვილს ასე აქვს განმარტებული: ახალი გამოჩეკილი მართვე მფრინველთა ან მძრომთა (სვ. 1178). ამ სიტყვაზე აკაკის მინაწერი ასეთია: „შენი სინსილა განყდა! შეიძლება აქ სინსილა იყოს არაბ. **سلسلا** (სილსილა) = ჯაჭვი; გენეალოგია გვარისა“. რა კავშირი შეიძლება იყოს ამ ორ განსხვავებულ განმარტებას შორის? არაბ. **سلسلا** (სილსილა) მართლაც ნიშნავს ჯაჭვს, მაგრამ აკაკის მინაწერში მოყვანილია ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობა – გენეალოგია, ანუ ჩამომავლობა. აქ საქმე გვაქვს მნიშვნელობის გაფართოებასთან და ასოციაციასთან რაღაც გრძელთან ან განგრძობითთან დროსა და სივრცეში.

მეორე სიტყვა არის **ლაჩარი**, ჩუბინაშვილის განმარტებით, „ქალაჩუნა, ჯაბანი (სვ. 645)“. ლექსიკონში ამ სიტყვის წარმომავლობა აღნიშნული არ არის. აკაკის აშიაზე მიუწერია: „< *ნაჩარ = სპ. ნაჩარ.“ ამას მოსდევს კვლავ აკაკის ხელით გერ-

მანული განმარტება „hilflos“, ანუ უმნეო. „ლაჩარ“ სიტყვა ბაქარ გიგინეიშვილს თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში კი შეუტანია, მაგრამ ეტიმოლოგია შემოთავაზებული არა აქვს. ბოლო დროს იყო მცდელობა ამ სიტყვის წარმოშობის ახსნისა. ნ. მაჭავარიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს სიტყვა „უნდა მომდინარეობდეს ტაპანთური ლაჩა „კოჭლი, უფეხო“-სიტყვიდან, რომელიც ტაპანთურში ადილეურიდანაა შესული: **ლაშა, ლაჩა, „კოჭლი“**. ამის დასადასტურებლად ავტორი ასე მსჯელობს: „ჩვენი აზრით, სიტყვა უნდა დაიშალოს ასე: **ლაჩ-არ-ი**, სადაც **-არ** სუფიქსი, ერთი შეხედვით, ქართულ **-არ** სუფიქსად შეიძლება ჩაგვეთვალა; (შდრ: ქადარი); თუმცა, ადილეურში **-რ** სუფიქსი სახელობითი ბრუნვისაა: **ქალარ „ბიჭი“**... სავარაუდოდ, ტაპანთურში ადილეურიდან **ლაშა, ლაჩა**, ლექსემა გაუფორმებელი სახით შევიდა... სავარაუდოდ, მნიშვნელობის გადანევით, შეიცავს მითითებას გარკვეულ ფიზიკურ ნაკლზე: სიკოჭლესა და მემარცხენეობა/ცაცეობაზე, რომელიც კავკასიური მენტალიტეტით ნაკლად ითვლებოდა წარსულში“.

ნ. მაჭავარიანის რეკონსტრუქცია, ჩემი აზრით, საკმაოდ ბუნდოვანია. შესაძლოა დავუშვათ, რომ მნიშვნელობის გადანევამ „კოჭლს“ „მხდალის“ მნიშვნელობა მისცა, მაგრამ ამ შემთხვევაში ფონეტიკური ცვლილების პროცესი მეტ ახსნას მოითხოვს. „ლაჩარ“ სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა ტაპანთური დიალექტის საფუძველზე ნაძალადევი ჩანს, რადგან ქართული სიტყვა სპარსული სიტყვის სტრუქტურას იმეორებს. გარდა ამისა, მესხურ დიალექტში დადასტურებულია სიტყვა „ნაჩარ-ი“ შემდეგი მნიშვნელობით: მდარე, ცუდი, უხარისხო (მაისურაძე, 1954).

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ აქ საკმარისია. აკაკი შანიძის მინანერები მოწმობს, როგორი ყურადღებით ექცეოდა იგი ჩუბინაშვილის ნაშრომს. აკაკის არასოდეს უთქვამს, რომ ეს ლექსიკონი უნაკლოა. მან კარგად იცოდა ამ წიგნის ავ-კარგი და ეს დაუნერია კიდევაც. აკაკი შანიძეს იგი ქართული ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიაჩნდა; ამიტომაც მოახმარა მან სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დიდი ძალ-ღონე მის ხელმეორედ დაბეჭდვას.

ლიტერატურა:

ლექსიკონი (1887). საუნჯე ქართულის ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელ-ახლად შემუშავებული დავით ჩუბინოვისაგან, Грузино-русский словарь, вновь составленный Давидом Чубиновым, Давид Иессевич Чубинашвили, С. Петербургъ, тип. Академіи Наукъ, 1887.

ლექსიკონი (1984). ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, Грузино-русский словарь, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი, 1984.

მაისურაძე, ილ. (1954). მასალები მესხური ლექსიკიდან, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV.

საქმე, 552: აკაკი შანიძის პირადი ფონდი (№268), ანაწერი №1, საქმე №552, უახლესი ისტორიის ცენტრ. არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყ., საქართველოს ეროვნული არქივი.

ლლონტი, ალ. (1980). ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან, ჟურნ. „მნათობი“, №11, 1980.

ელექტრონული რესურსები

ელექტრონული რესურსი I: <https://prosopography.iliauni.edu.ge/factoids/44854-1912-tslis-14-dekembris-gazet-imeretis-tsnobit-ni>.

ელექტრონული რესურსი II: https://www.aicl.ge/wp-content/uploads/2022/06/e-journal-2020-nana.machavariani_ka.pdf.

ელექტრონული რესურსები ინტერნეტიდან ამოღებულია 2023 წლის 21 აპრილს.

რუსუდან ზეკალაშვილი

Rusudan Zekalashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

კვალიფიკაციათა ძირითადი სახეები ქართული ენის განმარტებითა და ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში

The Main Kinds of Qualifications in the Georgian Explanatory Dictionary and in the Georgian-German Dictionary

საკვანძო სიტყვები: ქართული ენის ლექსიკა, ლექსიკოგრაფია, სტილისტიკა, სტილისტიკური მითითებები, განმარტებითი ლექსიკონი, ქართულ-გერმანული ლექსიკონები

Keywords: Lexis of Georgian language, lexicography, stylistics, stylistic labels, explanatory dictionary, Georgian-German dictionaries

The main types of qualification traditionally established and used in the Georgian lexicography are discussed in the given work. They namely are as follows: the period, place and branch of usage of the lexical units, their emotional coloring and corresponding stylistic characteristics; also, the qualification of the lexical units and lexicographic means of presenting them in the Georgian Language Explanatory Dictionary as well as in the Bilingual Georgian-German Dictionary.

There are several words in the lexis of any language, differing in emotional coloring, alongside with the neutral lexis. Some lexical units are usable only in the language of poetry, others in colloquial speech, or only in the official speech e.g., Georgian word **loqha** ‘**cheek**’ and **tuchebi** – ‘**lips**’ are neutral common words but the words **ghatsvi** and **bageebi** (in the same meaning as above) are used only in poetic style.

The destination of any kind of dictionaries, besides giving the phonetic, grammatical and semantic characteristics of words, is to deliver full information about their emotional-expressive coloring.

According the special literature, the references of the word-entry include four groups of qualification: **time, style, place and branch qualifications** (Margalitadze, 2019:30-31). But it should be noted that such kinds of qualifications cannot be protected from the subjective approach (Duden, Deutsches Universalwörterbuch), because it is well known that the lexis which is absolutely normal and neutral for one person can be offensive or unbearable for others or simply incomprehensible, for example, it can be understood as poetic, archaic, sometimes even mocking, rude and many other types. This is approved by means of comparison of the different dictionaries data.

Emotional lexis expresses **positive** attitudes (*courtesy, respect, caress, humor*) or **negative** ones such as *mocking, disrespect, irony, diminution*. Different stylistic coloring of the words are reflected in the first volume of the **Explanatory Dictionary of the Georgian Language** (1950) where along with the word explanations, the sphere of their distribution is pointed out (such as: science, technical sphere, or something else), **period** of usage (*new, old, Soviet period, neologism*) and **geographical area** of usage (from which dialect) are also used to underline the character of the words.

The words carrying **emotional-stylistic coloring** are the words of *caressing, diminutive words, ironic words, euphemisms, polite words, diminutive, diminutive-caressing, coarse words, or respectful words*, there we have also *colloquial, bookish* and other kinds of words. This principle is carried out through all of the eight volumes of the abovementioned **Explanatory Dictionary** and the same principle is also preserved in the new edition of the mentioned dictionary.

For the history of the Georgian lexicography the translating dictionaries are also of great importance, namely, Georgian-German dictionary edited in Zurich (1960-1976) (compiled by Kita Tschenkéli) in which the corresponding qualifications are represented in German as it was aimed for the German speaking users (see. Tschenkéli, 1960-1974).

The place qualifications include the areas of distribution of dialectic lexis: dialectic, such as *Imeretian, Gurian, Mokhebian, Kartli, Kakheti, Khevsurian* and many other peculiarities of the Georgian language and its numerous dialects.

According to the time qualifications, the most numerous large archaic layer (about 5.850 words) are met not only in historical materials and other kinds of the old texts but the new modern lexis is also represented and this data is very interesting.

There are also quite many words from the **branch** qualifications, for example, the terms of such branches as *botany, zoology, medicine, economy, physics, chemistry* and others.

The **stylistic** qualifications are of special interest in the meaning of stylistic and emotional – expressive coloring of the lexical units: *poetic* and *sublime, euphemistic, colloquial, figurative, familiar, disrespectful, humiliating* and many others which are derived by means of Georgian suffixes: *-a, -una, -ura, -uka, -ukela, -ana*).

In general, it is difficult to find the exact corresponding translation for the words of stylistic coloring in the bilingual dictionaries. In the case of archaic words, it is even not as necessary, because to explain the semantics of the archaic words it can be impossible to select the needed old linguistic correspondences. Right explanation of the semantics is quite enough if it is well done.

Observing carefully the dictionary compiled by K. Tschenkéli, it can be concluded that the main reliable source for the author of the dictionary was the Explanatory Dictionary of the Georgian Language and the qualifications which are used in its contents.

We can see in the Georgian-German Dictionary compiled by R. Zekalashvili, edited in 2009 (and the second edition in 2015), that it is mainly focused on Georgian-speaking users and the **stylistic level of emotional coloring** of the main words are given in Georgian such as: *elevated (amagh.), colloquial (saub.), also official (of.)* and so on. In case the German equivalent word is of different stylistic coloring, the information is pointed by means of rounded brackets.

Discussion of the above mentioned dictionaries once again confirms that it is of great importance to denote emotional and stylistic characteristic features in order to underline the of the lexical units. This helps the users of the dictionaries to use the words correctly.

ფუნქციური სტილები და ემოციურად შეფერილი ლექსიკა

ნებისმიერი ენის ლექსიკური ფონდი მრავალფეროვანია და მოიცავს სხვადასხვა ლექსიკურ ფენას. გარდა ნეიტრალური სიტყვებისა, ძალიან ბევრია სხვადასხვა ემოციური ელფერის მქონე ლექსიკური ერთეულიც.

ადამიანი საუბრისა და წერის დროს იყენებს არა მარტო ინფორმაციული შინაარსის ნეიტრალურ ლექსიკას, არამედ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას სათქმელის ან თავად ადრესატისადმი. ამას განსაზღვრავს ბევრი ფაქტორი: განსახილველი თემა, საკომუნიკაციო სიტუაცია (ოფიციალურია თუ არაოფიციალური გარემო), ადრესატთან დამოკიდებულება (ნაცნობია თუ უცნობი ადრესატი, ასაკით უფროსია, უმცროსი თუ თანატოლი), სად და როდის მიმდინარეობს კომუნიკაცია, მოსაუბრის/დამწერის მიზანი – რა უნდა თქვას ან დაწეროს, რა მიზანს ისახავს და ა. შ. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით მოსაუბრე უპირატესობას ანიჭებს სასურველ საკომუნიკაციო რეგისტრს და იყენებს შესაბამის ლექსიკურ ერთეულებსაც. წერილობითი ტექსტების შექმნისას ავტორი (მწერა-

ლი, ჟურნალისტი...) ირჩევს თავისი მიზნის შესაბამის სტილსა და სათანადო ლექსიკურ ერთეულებს.

ყველა ენაში არსებობს აზრის გამოხატვის უამრავი სინონიმური საშუალება და მოუბარი პირის/წერილობითი ტექსტის ავტორის საკომუნიკაციო სტრატეგია განაპირობებს მის არჩევანს: რომელი სიტყვა გამოიყენოს ამა თუ იმ სიტუაციაში კონკრეტულ ადრესატთან, მწერალი ან პუბლიცისტი კი წინასწარ განსაზღვრავს მკითხველის ფაქტორს: ასაკს, ინტერესებს, განათლების დონეს, მისი გათვით-ცნობიერების დონეს არჩეულ თემასთან დაკავშირებით. პერსონაჟების დახატვისას მათი მეტყველების სპეციფიკა მწერლის ჩანაფიქრის განხორციელებას ემსახურება.

ამიტომაც ზეპირი საუბრისას სათქმელის შესაფერისი ფორმისა და საჭირო სიტყვების მოძებნა არც ისე ადვილია, კიდევ უფრო რთულია ეს მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში.

მაინც რა აძნელებს სასურველი აზრის გამოსახატავად მაქსიმალურად შესაბამისი საშუალებების პოვნას? ენაში ამის შესაძლებლობა ბევრია და ამიტომ ჭირს სხვადასხვა სინონიმურ ლექსიკურ ერთეულში (ან ფრაზეოლოგიზმში) სწორედ საჭიროსა და შესატყვისის მოძებნა. ამის მიზეზი ისაა, რომ სიტყვებს განსხვავებული სტილისტიკური შეფერილობა აქვთ და არ შეიძლება მათი გამოყენება შეუსაბამო კონტექსტში. ისიც უნდა ითქვას, რომ ენის შესაძლებლობები თითქმის ამოუწურავია ამ თვალსაზრისით. გავიხსენოთ პერსონაჟთა მეტყველება ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილისა და სხვათა ნაწარმოებებში, რამდენად მრავალფეროვანია და ზუსტად ხატავს მათს ხასიათს.

არც ისაა გამორიცხული, რომ სხვადასხვა კონტექსტში ერთსა და იმავე სიტყვას განსხვავებული სტილისტიკური დატვირთვა ჰქონდეს, მაგრამ მაინც არსებობს ძირითადი **სემანტიკური ბირთვი**, რომელიც გამორიცხავს მის გამოყენებას საპირისპირო ექსპრესიული მნიშვნელობით. მაგ., *ემშაკი* პირდაპირი მნიშვნელობით, ცხადია, უარყოფითი კონოტაციის მქონეა, მაგრამ ბავშვის შესახებ ნათქვამი „გოგა ძალიან *ემშაკია*“, პირიქით, ალერსს გამოხატავს. ასევეა ამ სიტყვისგან ნაწარმოები ზედსართავი სახელი *ემშაკური*: *ემშაკური თვალები/გამოხედვა* მხოლოდ ანც, მოუსვენარ ბავშვს ან ადამიანს აქვს და უარყოფითი ელფერი გამქრალია; „ვირი“ სრულიად უწყინარი და მშრომელი შინაური ცხოველია, მაგრამ, ადამიანზე თუ ვიტყვით, ვირიანო, მაშინ ხაზს ვუსვამთ მის სიუხემეს, სიჯიუტეს, ხეპრეობას; „მიდის“ ზმნა ნეიტრალურია, „*მიბრძანდება*“ – თავაზიანი და მოკრძალებული (ეს ფორმა ზოგჯერ ირონიულ ელფერსაც ატარებს), მაგრამ „*მიეთრევა*“ ან „*წაშავდება*“ აგდებულ დამოკიდებულებას გამოხატავს და უხეშია; მიუხედავად იმისა, რომ „*ცხენი*“ ქართულ ცნობიერებაში მხოლოდ დადებით ემოციას აღძრავს, ქალის მასთან შედარებისას კარგავს დადებითობას: *ცხენით ქალია, ცხენით მოდის* ითქმის უსიამოვნო აგებულების, უშნოფეხებიან და ანონილ ქალზე; „*შველივით გოგონა*“ კი მხოლოდ სასიამოვნო ემოციასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსიკურ ერთეულთა სტილისტიკური შეფერილობა და ემოციურობა სხვადასხვა ენაში ერთმანეთს იშვიათად ემთხვე-

ვა. ის, რაც დადებით ემოციას აღძრავს ერთი ენის მატარებლისთვის, შეიძლება განსხვავებული ან სულაც უარყოფითი კონოტაციისა აღმოჩნდეს სხვა ენისთვის.

ზოგი სიტყვის ემოციური შეფერილობა გამოსაძევია მხოლოდ პოეტურ ენაში, ზოგისა კი – სასაუბროში. მაგ., *ლოყა* და *ტურები* ნეიტრალური ლექსიკური ერთეულებია, *ლანჯი* და *ბაგეები* კი – პოეტური; ადამიანის *პირისახის* შესახებ ნათქვამი *დინგი* ან *დრუნჩი* დამამცირებელია და ა. შ. უსასრულოდ შეიძლება ამ ჩამონათვალის გაგრძელება.

ზოგი სიტყვა გამოყენების სიხშირითა და გავრცელებულობით გამოირჩევა, ზოგი იშვიათად ხმარებულია და, ამდენად, სტილისტიკურად მარკირებული. მაგ., *ქუდი* და *თავსაბურავი*, *ტანსაცმელი* და *სამოსი/სამოსელი*, *ფეხსაცმელი* და *ფეხსამოსი*, *ყური* და *სასმენელი* და ა. შ.

ფუნქციური სტილის მიხედვით გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი: **სასაუბრო** და **ნიგნური** ლექსიკა (იხ. Sandig, 1986; ბასილაია, 1991; გვენცაძე, 1991; არაბული, 2004; თ. სანიკიძე, ი. სანიკიძე, 2009; Novotny, 2008; ზექალაშვილი, 2012). ამას გარდა, სიტყვები დაყოფილია საკომუნიკაციო სიტუაციის მიხედვით: ოფიციალური, არაოფიციალური, ფამილიარული; ლექსიკა დიფერენცირებულია გამოყენების თვალსაზრისით სოციალური ჯგუფების მიხედვით: ბავშვური, მოსწავლეთა, სტუდენტური, სლენგი, ჟარგონული...

ყველაზე მრავალფეროვანი მაინც სიტყვის ემოციური შეფერილობაა, რომლის ერთი ნაწილი **დადებითი** ემოციის გამომხატველია (ამაღლებული, მოფერებითი, თავაზიანი, ალერსობითი, ეფემიზმი, სახუმარო), ნაწილი კი – **უარყოფითისა** (აგდებული, დაცინვითი, კნინობითი, ირონიული და სხვ.). დუდენის გერმანულენოვან ლექსიკონში, მაგალითად, ემოციურ მითითებათა რაოდენობა 55-ს აღწევს, თუმცა აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ლექსიკონში ერთი და იმავე სიტყვის კვალიფიკაცია ოდნავ განსხვავებულია (ამის შესახებ იხ. Ludwig, 1991).

ცალკეულ **ფუნქციურ სტილში**, გარდა სხვა ენობრივი მახასიათებლებისა, გამოიყენება იმ სტილისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები. ამა თუ იმ სტილში დამკვიდრებული სიტყვები შესაძლებელია შეგვხვდეს სხვა სტილშიც, თუმცა ეს ლექსიკური ერთეულები უმეტესად მარკირებული ხდება და ახალ სტილისტიკურ შეფერილობას იღებს. დღემდე სადავო ჩანს საკითხი, რას აღნიშნავს ლექსიკის **ექსპრესიულობა**, **ემოციურობა**, **შემფასებლობა**, **ხატოვანება** თუ **გამომსახველობა** (ამის შესახებ იხ. Емельянова, 2013, с. 279). მეცნიერები ხაზს უსვამენ ასევე სხვა ტერმინების – სტილისტიკური **დონე** (Stilebene), სტილისტიკური **ფენა** (Stilschicht) და სტილისტიკური **შეფერილობა** (Stilfärbung) – ერთმანეთისაგან გარჩევის სირთულეს (Ludwig 1991, S. 297; ასევე: Sandig, 1986; Fleischer, 1993; Novotny, 2008 და სხვ.).

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და ტერმინოლოგიური პრობლემებისა, ძირითადად, განარჩევენ ოთხ სტილისტიკურ ფენას (Stilschichten): 1. **სტანდარტული** (ნეიტრალური) სტილისთვის დამახასიათებელს; 2. ნორმალურზე **ამაღლებული** ანუ **საზეიმო** სიტუაციებისთვის გამოყენებულს (ამასვე მიაკუთვნებენ **პოეტურ** ლექსიკას); 3. **სასაუბრო** სიტუაციებისთვის გამოყენებულს, რომელსაც ახასიათებს ერთგვარი თავისუფლება და დაუდევრობაც კი; 4. **ვულგარ-**

რულ სიტყვა-გამოთქმებს (გამოყოფენ ფამილიარული ურთიერთობების დროს გამოყენებულ **უხემ** და **ობსცენურ** ლექსიკასაც, თუმცა ხშირად ასეთი უხამსი სიტყვები არ შეაქვთ ლექსიკონებში). ერთგვარ გრადაციას ამ ფენებს შორის ასე გამოხატავენ: შუალედური მდგომარეობა უკავია **ნეიტრალურ**, არამარკირებულ ლექსიკას, მის ზევით ათავსებენ ამაღლებულ და პოეტურ ლექსიკას, ქვევით კი – **სასაუბროს**, **სასაუბრო-ფამილიარულსა** და **ვულგარულს** (Ludwig, 1991, S. 012-015).

სტილისტურ შეფერილობებში (Stilfärbungen) გამოყოფენ: სახუმაროს, შეფარვითს (ეფვემისტურს), მოძველებულს, გადაპრანჭულს, ზედმეტად პათეტიკურს, საკანცელარიოს, აგდებითს, დამცინავს, სალანძღავს, უხემს (იხ. იქვე, გვ. 013-014). სხვადასხვა ჯგუფი და ჩამონათვალი ერთმანეთისაგან განსხვავდება.

განმარტებითი ლექსიკონების სიტყვა-სტატიაში გამოყენებული კვალიფიკაციები

სიტყვათა ლექსიკურ-სტილისტიკური **შრეები** უნდა აისახოს ლექსიკონებში, ამას გარდა, მიეთითოს სიტყვის გამოყენების პერიოდი, არეალი და სფერო, სტილისტიკური თუ ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობა. ასეთი დახასიათების გარეშე გაურკვეველი დარჩება ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ნიუანსები და გამოყენების შესაბამისი სტილი.

ერთენოვან ანუ განმარტებითს ლექსიკონში სიტყვა-სტატია მოიცავს საკმაოდ მრავალფეროვან ინფორმაციას: გრამატიკულს (საჭიროების შემთხვევაში – ფონეტიკურსა და დერივაციულსაც), სემანტიკურსა და სტილისტიკურს, სხვა შემთხვევაში ის სრულყოფილი ვერ იქნება.

ლექსიკონის მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რა **კონოტაცია** (ანუ ენობრივი ერთეულის დამატებითი, თანმდევი მნიშვნელობა; იხ. ჭაბაშვილი, 1989) აქვს სიტყვას, გარდა ძირითადისა, რომელ სტილს მიეკუთვნება (სასაუბროსა თუ წიგნურს), უხემია თუ ალერსობითი, პოეტურია თუ ყოველდღიური მოხმარებისა, ხომ არ აქვს დამამცირებელი ან ირონიული ელფერი, ხომ არაა მოძველებული...

1950 წელს, როდესაც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პირველი ტომი გამოვიდა, სარედაქციო საბჭოს ჩამოყალიბებული ჰქონდა სიტყვა-სტატიის აგების პრინციპები.

ქველ-ში სალექსიკონო სტატიის კვალიფიკაციის შესახებ ასეა მითითებული:

ა) აღნიშნავს სიტყვის **ემოციურ** იერს – პატივისცემა, ირონია და სხვ.

ბ) უთითებს **დარგს**, რომელშიც ის გავრცელებულია.

გ) აჩვენებს სიტყვის გამოყენების **პერიოდს**: ახალია თუ ძველი, საბჭოური თუ ნეოლოგიზმი.

დ) ასახავს ლექსიკური ერთეულის გავრცელების **არეალს**: საყოველთაოდ გამოიყენება თუ მხოლოდ რომელიმე კუთხეში (იხ. ქველ, 1950, 1, გვ. 093-095), უცხო სიტყვებთან მიწერილია მათი წარმომავლობაც.

პირველი ტომის შესავალში ჩამოთვლილია სალექსიკონო ერთეულის დამატებითი სტილისტიკური შეფერილობის აღმნიშვნელი მითითებები: *ალერსობითი*,

დამცირებითი, დაცინვითი, ევფემიზმი, ვულგარიზმი, ზრდილობიანი, ირონიული, კნინობითი, კნინობით-მოფერებითი, სალანძღავი, მოფერებითი, პატივისცემით, უპატივცემლო, ბავშვური, ბარბარიზმი, სასაუბრო, წიგნური, არქაიზმი, ისტორიული, რევოლუციამდელი, ნეოლოგიზმი, კანცელარიზმი, მეტაფორული, ფიგურული (იხ. ქეგლ, 1950, 1, გვ. VI). როგორც ვიცით, ლექსიკონში არაა შეტანილი სათაკილო და უნმანური სიტყვები.

ცხადია, დროთა განმავლობაში ლექსიკოგრაფიაში ამ ტიპის მითითებები იცვლება და უფრო მრავალფეროვანი ხდება, ამას გარდა, ლექსიკოგრაფები ითვალისწინებენ უცხოურ გამოცდილებას.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, სიტყვა-სტატიის დამატებითი მითითებები ოთხ ჯგუფს მოიცავს: **დროისმიერ, სტილისტიკურ, ადგილისმიერ და დარგობრივ** კვალიფიკაციებს (იხ. მარგალიტაძე, 2019, გვ. 30-31). სხვადასხვა ლექსიკონი ამ ჯგუფების ოდნავ განსხვავებულ დასახელებასაც გვთავაზობს, მაგ.: ა) მითითებანი, რომლებიც ახასიათებს თანამედროვე ენის **წიგნურ** ფორმას; ბ) **სასაუბრო** ფორმას; გ) ლექსიკის **ქრონოლოგიურ** შრეებს; დ) **ემოციურ-ექსპრესიულ შეფასებას** (Емельянова, 2013).

დროისმიერ კვალიფიკაციაში იგულისხმება ძველი და ახალი ლექსიკური ერთეულები (არქაული, ძველი, მოძველებული, რევოლუციის დროინდელი, საბჭოური ლექსიკური ერთეულები თუ ნეოლოგიზმები), თუმცა ეს კვალიფიკაცია ყველაზე მეტად ცვალებადი და არამდგრადია. ის, რაც 50-80 წლის წინ ახალ სიტყვად მიიჩნეოდა, ახლა შეიძლება მოძველებულიც იყოს. ყველაზე მეტად შეეხო ეს საბჭოურ ნეოლოგიზმებს. ერთ დროს *კოლექტივი, კოლმეურნე, კოლმეურნეობა, ადგილკომი, კომპარტია* ახალი სიტყვები იყო, ახლა, პირიქით, მოძველებულად მიიჩნევა. არც ისაა გამორიცხული, რომ ძველი ლექსიკური ერთეული ხელახლა შემოვიდეს ხმარებაში და ახალი სიცოცხლე შეიძინოს (მაგ., ლარი, მანდატური და სხვ.).

ადგილისმიერი კვალიფიკაცია ქართული ენის ტერიტორიული დიფერენციაციის ამსახველია და მასში გამოყოფილია კუთხური (ანუ დიალექტური) ლექსიკა. ხშირად მითითებულია, კონკრეტულად რომელ კილოშია ეს სიტყვა გავრცელებული. ქართულ ენაზე გამოცემულია ბევრი დიალექტური ლექსიკონი, მაგრამ განმარტებით ლექსიკონშიც აუცილებელი გახდა ზოგიერთი სიტყვის შეტანა. დავასახელებთ ქეგლ-ში განმარტებულ ზოგიერთ დიალექტიზმს: **იმერული** – აბზუკვა, აბოჭვა, აპოლიკდება, ბანდალი, ბანდლი, ბზუკი, დაბაყული, დაბიყინდება, მაკვლიერი, მამბაკუნა, მალაზონი, მანჭკვარა, შაშკვლამი და სხვ., **ქართლური** – ახანინდება, გაღავდება, დაბოტავს, დაიკროლება, დაკონიანდება, თავჯალაბობა, ნამგალობა, ნამჯობა, ფუჩინა, ჭიატა და სხვ., **კახური** – აკორკოტება, ბაღლა-უჭობა, ბუსკულა, ზინზილები, თავგისკბილა, ლაქათა, ჭაპური, ჭრიანტელი და სხვ., **ფშაური** – აბლატი, ათირებს, აკო, აბოყირდება, ლიბო, მარახული, მეგოდრე, ნადობი, ნადედობი, ჭეკო, ჭერემა და ა. შ.

დარგობრივი კვალიფიკაცია სიტყვების გამოყენების სფეროს უთითებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე გვაქვს საკმაოდ ბევრი სპეციალური ლექსიკონი, ტერმინოლოგიის გარკვეული ნაწილი მაინც შეტანილია ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში. მაგ.: ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანატომიური, სა-

მედიცინო, საავიაციო, სამშენებლო, არქიტექტურული, სამუსიკო, ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ეკონომიკური და უამრავი სხვა დარგისა. მაგალითად, **მათემატიკური** ტერმინებიდან: დიფერენციალი, ერთეული, ერთნიშნა, თანამამრაველი, თანაჯერადი, ნამრავლი, ნაშთი... **ეკონომიკური**: აქცია, დემპინგი, დეპრესია, დეფიციტი, დრაფტი, ექსპორტი, ექსტენსიური, ვალორიზაცია, ზემოგება, ზედირებულება... **სამედიცინო**: ანტიგენი, ანტისხეული, ანტიტოქსინი, ანურია, გენოტიპი, დამბლა, დამწვრობა, დეკომპენსაცია, დეპრესია, დერმატიტი, დეფეკაცია და ა. შ.

აუცილებელია **სტილისტიკური** კვალიფიკაციის მითითება, რომელიც ძალზე მრავალფეროვანია. საკამათოა შესაბამისი ტერმინებიც, რადგან სხვადასხვა ნაშრომში მათი დეფინიცია განსხვავდება. **დუდენის** უნივერსალურ გერმანულ ლექსიკონში მსჯელობაა ამ ტიპის კვალიფიკაციათა სუბიექტურობაზე, რადგან, რაც ერთი ადამიანისთვის ამაღლებული ლექსიკაა, მეორისთვის შეიძლება იყოს არქაული ან უხეში და დამცინავიც კი (იხ. Duden, 2003). ამასვე მოწმობს სხვადასხვა ლექსიკონის მონაცემთა შედარებაც. მაგალითად, სიტყვა **Scheiße** ასეა განმარტებული გერმანულ-ქართულ ლექსიკონში: ნაკელი, ნეხვი; განავალი; სიბინძურე; მიმართვა: du Scheiße! უხეშია და ქართულად შეესატყვისება: შე, ნავავო! ნეხვო! ემოციური ნათქვამი: ach, Scheiße! ფამილიარულია და დამახასიათებელია სასაუბრო სტილისთვის, შეიძლება გადმოიცეს ქართულად სიტყვით: ჯანდაბა! (იხ. ზექალაშვილი, ქირია, 2009; შდრ. DWDS).

Sauarbeit *f* =, -en სასაუბრო სტილში გამოიყენება (სიტყვასიტყვით: ღორული სამუშაო), ნიშნავს: შავ (ჭუჭყიან), აუტანელ ან მომაბეზრებელ სამუშაოს (ზექალაშვილი, ქირია, 2022)

Dreckskerl *m* უხეშია, ნიშნავს არამზადას, დამპალ ადამიანს; გერმანული ენის დიგიტალურ ლექსიკონში მოცემულია კვალიფიკაცია: სალანძღავი სიტყვა (DWDS).

Dreckwetter *n* ფამილიარულია, ნიშნავს ავდარს, საძაგელ ამინდს; DWDS-ში მასთან მითითებულია: salopp (ფამილიარული), derb (უხეში) (იხ. DWDS).

Affenhitze *f* პაპანაქება და ხვატია; DWDS-ში აღნიშნულია salopp (ფამილიარული).

Antlitz *n* კი პოეტური სიტყვაა და აღნიშნავს სახეს, პირისახეს, გარეგნობას (ზექალაშვილი, ქირია, 2022).

Aar *m* პოეტურია, იგივეა, რაც არნივი; **Odem** *m* პოეტურად იგივეა, რაც სუნთქვა და ა. შ.

სტილისტიკური აღნიშვნები ორენოვან (ქართულ-გერმანულ) ლექსიკონებში

ლექსიკური ერთეულების სტილისტიკური შეფერილობა ასახულია არა მარტო განმარტებით, არამედ თარგმნით ლექსიკონებშიც. ქართული ლექსიკონგრაფიის ისტორიისთვის ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ორენოვანი ლექსიკონების შესწავლა. ამჯერად შევჩერდებით ქართულ-გერმანულ ლექსიკონებ-

ზე. ასეთი ორენოვანი ლექსიკონები სხვადასხვა დროს გამოიცა უცხოეთსა და საქართველოში: თეოდორ კლუგე, 1920; რიხარდ მეკელაინი, 1928; ნოდარ ადამია, 1963; ოთარ ხუციშვილი და თამარ ხატიაშვილი, 1977; ვილი ლანგე, 1987; მიხაელ იელდენი, 2001; მე-2 გამოცემა, 2016; ბადრი შარვაძე, 2008; რ. ზექალაშვილი, 2009 (მე-2 გამოცემა, 2015).¹ ამ ლექსიკონთა შორის მოცულობითა და ინფორმაციის მრავალფეროვნებით დღემდე განსაკუთრებული ადგილი უკავია **კიტა ჩხენკელის** ქართულ-გერმანულ ლექსიკონს, რომელიც გამოიცა ციურისში (ჩხენკელი, 1960-1974). სამწუხაროდ, ემიგრაციაში მყოფმა ავტორმა თვითონ ვეღარ მოასწრო ლექსიკონის ყველა ნაკვეთის გამოცემა (სულ 26) და მე-7 ნაკვეთის შემდეგ გამოცემაზე მუშაობა გააგრძელა მისმა მოწაფემ, შვეიცარიელმა ქართველოლოგმა **იოლანდა მარშევმა** (ვიქტორ ნოზაძესთან, ლეა ფლურისა და რუთ ნოიკომთან ერთად).

კიტა ჩხენკელის ლექსიკონში სიტყვების კვალიფიკაციები **გერმანულ** ენაზეა შეტანილი, რადგან ის გათვალისწინებულია ძირითადად უცხოელი (გერმანულენოვანი) მომხმარებლებისთვის. ამ ლექსიკონში გამოყენებულია შემდეგი კვალიფიკაციები (იხ. Tschenkeli, 1960-1974):

ადგილისმიერი კვალიფიკაციები: კუთხური, იმერული, კახური, გურული, ქართლური, ფშაური და სხვ.

დროისმიერი კვალიფიკაციები: ისტორიული historisch, ახალი დროის neuzeitlich, რევოლუციამდელი vorrevolutionär, არქაიზმი (Archaismen) და მოძველებული გამოთქმები (veraltet).

ძალიან ბევრია **დარგობრივი კვალიფიკაცია:** ბოტანიკური, ზოოლოგიური, სამედიცინო, ეკონომიკური, ფიზიკის, ქიმიისა და სხვ.²

განსაკუთრებით საინტერესოა **სტილისტიკური კვალიფიკაციები:** პოეტური poetisch, ეფემისტური euphemistisch, beschönigend, სასაუბრო umgangssprachlich, ფამილიარული familiär, ფიგურული figürlich, im übertragenen Sinn, დამამცირებელი despektierlich, verächtlich, geringschätzig, ვულგარული vulgär, ირონიული ironisch, კნინობითი Diminutiv, ბავშვური Kindersprache და სხვ.

დავასახელებთ შესაბამის მაგალითებს:

ადგილისმიერი კვალიფიკაციები ახლავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ დიალექტიზმებს: იმერულს, გურულს, აჭარულს, ქართლურს, კახურს, ფშაურს, ხევსურულს, მოხეურსა და სხვ.

იმერული ლექსიკიდან ვხვდებით: აბზუკული, ბაბუდა, ბანდული, ბანდლი, ბანცალი, ბობორიკა, შარნა, შაშკვლამი, შებელილი, შებუდრებული, შეკონჯილი, წკიპზე, შემოლოცვა, შემოტრეტილი, შეტირილი, შეფერთხილი, შექაქანება, შეხირხლული, შეხიციანება, შმაშური, მოშუპვა, შხვართი, ჩაკლიცვა...

გურული ლექსიკიდან: ამფერი, არაკაცი, არჩივი, ახტაჯანა, ბაბიდა, ბათურა, გაბახება, ბეყერა, ბოროიანი...

კახური ლექსიკიდან: ალავერდა, ამთვენი, არკაუჭა, ბანგა, ბებერა, ბურსუკი, გონგორა, გორგომიჭელა...

¹ ლექსიკონთა ჩამონათვალი იხ. Sekalashwili 2016, S. 465-466.

² ამ ტიპის მითითებებს სტატიაში არ განვიხილავთ.

ფშაური ლექსიკიდან: აბლატი, აღმანი, ამლათზე, აღმე, ახალ-უხლები, ბაგ-ბაგი, ბარდელი, ბარლოჯანი, ბონთვერა, ბოჭირი...

ბევრი სიტყვა გავრცელებულია არა მარტო ერთ, არამედ ორ და სამ კილოში, რაც აღნიშნულია კიდევ ლექსიკონში.

დროისმიერი კვალიფიკაციები: არქაული ლექსიკური ფენა ყველაზე ვრცელია და მოიცავს 5850-მდე სიტყვას:

აბრამიანი (in Wein u. Honig eingelegtes Brot)

აზავერი Lastochse *m*

აზამბარი (Wein, den man einem, der neu zu e-m Trinkgelage dazukommt, zum Ausgleich für das Versäumte anbietet)

ანდერძ-ნამაგი schriftliche letztwillige Verfügung

აპნისი Januar *m*

არმური dichter Nebel u. Wind

არვე Herde *f*

არზა Bittschrift *f*

არმალანი Gabe *f*, Geschenk *n*

ასასი Nachtwächter *m*

ალაპი (Holz-) Zaum *m*

აშპაშხანა (türkisches) Restaurant

აჯა (flehentliche) Bitte

ბაზაზი Stoffhändler *m*; **ბაზაზხანა** Stoffhandlung *f*

ბაყლი Eiter *m*; **ბაყლიანი** eitrig

არგანი Stock *m*, Stab *m*

სალმობა Schmerz (en *pl*) *m*, Weh *n*, Krankheit *f*, Übel *n*

ხამლი Schuh *m*, Stiefel...

რევოლუციამდელი (vorrevolutionär) ლექსიკა (სულ 53 ერთეული):

იასაული (vr.) Polizeibeamter *m* auf dem Lande

იუნკერი 1. (hist.) Junker *m*, Großgrundbesitzer 2. (vr., mil.) Zögling *m* e-r militärischen Erziehungsanstalt, Kadett

კეთილშობილება Edel-mut *m*, -sinn, Hochherzigkeit *f*; თქვენო კეთილშობილება (vr.) Euer Wohlgeboren

მამასახლისი (vr.) Dorf-ältester *m*

მაღალაღმატებულება (vr.) Exzellenz *f* (als Titel)

მაღალკეთილშობილება: თქვენო მაღალკეთილშობილება (vr.) Euer Hochwohlgeboren

მეშჩანი (vr.) Klein-, Spieß-bürger *m*

ოთხკლასიანი (vr.) (Elementarschule mit vierjährigem Lehrplan)

ახალი დროისთვის (neuzeitlich) დამახასიათებელი ლექსიკა (136 ერთეული):
აგიტპროპი (nz.) (Abk. für აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილება) Agitations- und Propagandaabteilung *f*

ადგილკომი (nz.) (Abk. für ადგილობრივი კომიტეტი) Lokalkomitee *n*
(der Gewerkschaft)
გარღვევა (nz.) Rückstand *m* (in der Erfüllung des Produktionsplanes)
დაბადებულობა (nz.) Geburtenziffer *f*
დაკონტრაქტება (nz.) Kontrahierung *f*; Kontraktssystem *n*
დამკვრელი (nz.) Stoß...
დამკვრელობა (nz.) Stoßarbeit *f*

სტილისტიკური კვალიფიკაციები მოიცავს ამა თუ იმ სტილის კუთვნილ და ემოციურ-ექსპრესიულ ლექსიკას.

პოეტური (poetisch) და ამაღლებული:
ვარდ-ღანვი (poet.) rosige Wangen
ზღვისფერი (poet.) meerfarben, lasurfarben, blau
თვალდანამული (poet.) mit tränenfeuchten Augen
თვალბზიანი (poet.) „sonnenäugig“, d.h. mit schönen/strahlenden Augen
თვალმცეცხლავი (poet.) mit feurigen Augen
თილისმა *Fig* (poet.) bezaubernd, berückend

სასაუბრო (umgangssprachlich) სამეტყველო სტილის სიტყვები:
ვირის აბანო (umg.) Gefängnis *n*, Loch, Kittchen
არიფი (umg.) unerfahren, menschenscheu
აჭალ-ბუჭულები *pl* (umg.) viele kleine Kinder
აჭია-ბაჭია (umg.) Unsinn *m*, Blödsinn
აჯაბაჯა (umg.) krummbeinig

ფამილიარული (familiär) და ირონიული (iro.) ელფერის ლექსიკა:
დოყლაპია (fam.) blöd, dumm; Gaffer *m*, Maulaffe
ვიგინდარა (fam.) Eindringling *m*, Schmarotzer, Taugenichts
გოგრა (umg. und iro.) Kopf *m*, Schädel
თხისწვერა (iro.) „Ziegenbärtiger“, d.h. der einen langen spitzen Kinnbart hat
მოვიკალათებ (iro.) seine Zelte aufschlagen
კვერცხი: რა წითელი კვერცხია! (iro.) „was ist er für e. rotes Ei!“ d.h. was ist er besser als die andern!
ჭკუის კოლოფი *fig* „Schachtel voller Verstand“ (iro.) Allwissender *m*
მამაცხონებული (umg.) „e-r, dessen Vater die Seligkeit erlangt hat“ (sagt man zum Ausdruck e-s Lobes od. iro. imS e-s Vorwurfes)
ნახირ-ნახირ: მეც ნახირ-ნახირ (iro.) ich will auch so sn, ich gehöre auch dazu (z.B. zu dieser Gesellschaft)
ვპატრიოტობ *e.* guter Patriot *sn*; (iro.) sich als Patriot aufspielen
ჩაჰბარდა პატრონს *a*) (umg., iro.) „er hat sich dem Ruf des Herrn ergeben“, d.h. er ist gestorben
როდინობა: როდინობის კვირაში (umg., iro.) „in der irgendwann-Woche“, d.h. irgendwann

სიძე-ბატონი (höfl. od. iro. gebr.) der Herr Schwiegersohn (od. Schwager)
წამოსკუპდა (iro.) sich (hin)setzen (an e-n ungehörlichen Platz)
ტლინკაობა un schönes Tanzen, Hopsen *n; fig* (iro.) Amusement *n*, Vergnügung *f*
ჩამოფქვავს *fig* (mst iro.) zu Ende reden
მამაძალი (als Schimpfwort gebr.) Kanaille *f*, Gauner *m*, Schurke, Spitzbube

ეფემისტური (euphemistisch, beschönigend) სიტყვა-გამოთქმები:
არგასანყვეტო! nicht zu Vernichtender! (euphemistische Redensart statt des Fluches: სა-
სიკვდილე! = dem Tode Geweihter!)
მკბენარი (euph.) Ungeziefer *n*
პერანგის ამხანაგი (euph.) „Gefährte des Hemdes“, d.h. Unterhose *f*
საჯდომი (euph.) der Hintere, Gesäß *n*
უსახელო (imer.) (euph.) „Namenlose“ (Bezeichnung für: Schlange)
უხსენებელი „nicht zu Erwähnende“ (euph.) (Bezeichnung für: Schlange)

ვულგარული (vulgär) სიტყვები:
გამკრავი (vulg.) liederliches Frauenzimmer
ლეში (vulg.) Leiche *f*, Leichnam *m*
მაზალო (vulg.) wunderlich, sonderbar (Mensch)
მუდრეგი (vulg.) herrenlos; verdammt, verwünscht
პროშტი (vulg.) Schmatz *m*, Kuß
ტრაკი (vulg.) Arsch
რა ჩემი ფეხებია?! (vulg.) das ist ja lausig (was du da bringst usw.)!
ჩასაძალღებელი (vulg.) der (wie e. Hund) krepieren soll (Fluchwort)
ჩაცეცხლავს (vulg.) (auf)essen od. (aus)trinken
ჩაახეთქებს (vulg.) j-m et. zu fressen geben
ხვიშტი (vulg.) (sagt man, wenn man in seinen Erwartungen betrogen wird: rein nichts)
ხოში (vulg.) Begierde *f*, Lust
ხუთსართულიანი fünfstöckig; ~ გინება (vulg.) derbes Geschimpfe/Geschelte
ჯიგრიანი 1 (vulg.) gründlich, tüchtig და ა. შ.

აგდებითი ან დამამცრობელი (despektierlich, verächtlich, geringschätzig) სიტყვები:
დაეგდება 1. (desp.) bleiben, sitzen, hocken 2. (desp.) j-d liegt auf der faulen Haut/liegt herum
დედაკაცი (desp.) Weibchen *n*, Weibsbild
გომბიო (desp.) Mädchen *n*
ვაჟბატონი (desp.) der hohe Herr, e. Sauberer Herr, eine nette Pflanze
ვაჭრუკანა (desp.) Krämer *m*, Krämerseele *f*
მიეთრევა (desp.) sich hinschleppen, hinscheren (Erreichung des Ziels)
ლანირაკი (desp.) frecher Bengel, Taugenichts *m*, Nichtsnutz
პირწავარდნილი (desp.) wahr(haftig), wirklich, echt
მივაქვავებ *fut* (desp.) j-m et. (verächtlich) hinschmeißen/ bringen

ცინდალა (imer.) (desp.) nichts Besonderes darstellend (Mensch), unbedeutend
ნიალი *inf* (desp.) Herumziehen *n*

კნინობითი (**diminutiv**) ლექსიკური ერთეულები ნაწარმოებია სუფიქსებით:

-ა, -უნა, -უნია, -ურა, -აკ, -უკა, -უკელა, -იკო, -ანა:

ბიჭიკო (Kosewort, *dim v.* ბიჭი);

გოგონა (*dim v.* გოგო) kleines Mädchen, Mädelchen *n*, Kleine *f*

გუბურა *dim* 1. kleine Pfütze/Lache 2. kleiner Teich

დაბდურა (*dim* von დაბდური)

დათუნა, დათუნია (*dim v.* დათვი = Bär; oft als Kosename gebr.) kleiner Bär

დაიკო (*dim v.* და = Schwester) Schwesterchen *n*

ეშმაკუნა (*dim v.* ეშმაკი) Teufelchen *n*, Wildfang *m*, Schalk

ვირიკელა (*dim v.* ვირი = Esel) 1. Eselchen *n* 2. Dummkopf *m*

თაგუნა (*dim v.* თაგვი) Mäuschen *n*

კატუნა (*dim v.* კატა) Kätzchen *n*, Miezchen

კაცუნა (*dim v.* კაცი) Menschlein *n*, Männlein (a. desp.)

პაპია (imer.) (*dim v.* პაპა) Großväterchen *n*

უჯრაკი (*dim v.* უჯრა) kleine Schublade usw.

ფისუნია (*dim v.* ფისო) Miezchen *n*

ცხენუკა 1. *dim* Pferdchen *n* 2. (umg.) untaugliches Pferd *n*

ნალდუნა (*dim v.* ნალდი) kleine Hippe

ბავშვთან (Kindersprache) ან ბავშვის მიერ გამოყენებული ერთეულები:

აჩუა (Kind.) Pferd *n*

ბაბა (Kind.) Brot *n*

ზიზია (Kind.) schöne, bunte Sachen (z.B. Kleider, Ketten usw.)

კაკა (Kind.) Frucht *f*, Süßigkeit

კიჭი (Kind.) Zähnchen *n*

ნანა (Kind.) schlafen

ფააფუ (Kind.) es hat nichts mehr! es ist nichts mehr da!

ფუფალა (Kind.) der liebe Gott

ფუფუა (Kind.) Wehweh *n*

ფუჩინა (Kind.) Kuh *f*

ჩიჩია (Kind.) Fleisch *n*

ხიხია (Kind.) et. Schlechtes (das man nicht in den Mund stecken darf)

ჯუჯულა (Kind.) Bibi *n*, Hühnchen და ა. შ.

ჩანს, რომ ყველა ჩამოთვლილი კვალიფიკაცია ლექსიკონში კ. ჩხენკელმა მრავალგზის გადაამონმა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის ავტორს საქართველოში ჩამოსვლა არ შეეძლო, მას ხელი მიუწვდებოდა ქეგლ-ის გამოქვეყნებულ ტომებზე (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით) და ითვალისწინებდა იქ გამოყენებულ კვალიფიკაციებს.

ორენოვან ლექსიკონებში ძნელია სიტყვისთვის ზუსტი ეკვივალენტის შე-
რჩევა სტილისტიკური შეფერილობის მიხედვით და ზოგჯერ, მაგალითად, არქა-
ულ ფენაში, არცაა ეს საჭირო, რადგან სემანტიკის ასახსნელად აუცილებელია
გასაგებად განმარტება.

2009 წელს გამოცემული ქართულ-გერმანული ლექსიკონი³ ძირითადად
გათვალისწინებულია ქართულენოვანი მომხმარებლებისთვის. მის შესავალში
ვკითხულობთ: „ლექსიკური ერთეულის სტილისტიკური დონეების/ფენების და-
ხასიათება აღნიშნულია ქართულად: *ამაღლ.*, *საუბ.*, *ფამ.*, *ოფიც.*, *ეულგ.* და სხვ.
თუკი ეს ეხება მხოლოდ გერმანულ სიტყვას, მაშინ მითითება მრგვალ ფრჩხილებ-
შია მოთავსებული: (*ამაღლ.*), (*საუბ.*), (*ძვ.*), (*ანდ.*) და სხვ. (სიტყვა-სტატიის აგე-
ბულების შესახებ იხ. Zekalashvili, 2016). ზოგიერთ სიტყვასთან აღნიშნულია **ექ-
სპრესიულ-ემოციური** შეფერილობაც, რაც მისი გამოყენების დამატებითსა და
სპეციალურ ნიუანსებზე მიუთითებს: „ხუმრობით“, „დაცინვით“, „ირონიულად“,
„ფამილიარულად“, „აგდებით“ და ა. შ.“ (ზექალაშვილი, 2009).

დასახელებულ ლექსიკონთა განხილვის შემდეგ შეიძლება კიდევ ერთხელ
გაესვას ხაზი, რამდენად მნიშვნელოვანია თარგმნით სტილისტიკურ ელემენტ-
კაციის აღნიშვნა ლექსიკური ერთეულების სემანტიზაციის მიზნით (სემანტიზა-
ციის შესახებ იხ. Zekalashvili, 2018).

დასკვნები

სტატიაში განხილულია ქართულ ლექსიკოგრაფიულ ტრადიციაში დამკვიდ-
რებული კვალიფიკაციების ძირითადი სახეები: ლექსიკური ერთეულის გამოყენე-
ბის პერიოდი, ადგილი ან გავრცელების დარგი, ემოციური შეფერილობები და
შესაბამისი სტილისტიკური დახასიათება; შესწავლილია ამ ტიპის ლექსიკის კვა-
ლიფიკაციისა და მათი ასახვის ლექსიკოგრაფიული საშუალებები ქართული ენის
განმარტებითა და თარგმნით ლექსიკონებში.

ნებისმიერი ენის ლექსიკურ ფონდში, გარდა ნეიტრალური ლექსიკისა, ბე-
ვრია სხვადასხვა ემოციური ელფერის მქონე სიტყვაც. ლექსიკონის დანიშნულე-
ბაა, გარდა სიტყვის ფონეტიკური, გრამატიკული და სემანტიკური დახასიათები-
სა, მომხმარებელს მიაწოდოს სრული ინფორმაცია მისი ემოციურ-ექსპრესიული
ელფერის შესახებაც.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, სიტყვა-სტატიის მითითებები ოთხ
ჯგუფს მოიცავს: **დროისმიერ**, **სტილისტიკურ**, **ადგილისმიერ** და **დარგობრივ**
კვალიფიკაციებს, თუმცა ცნობილია, რომ ამ კვალიფიკაციათა ნაწილი საბოლო-
ოდ სუბიექტურობისგან მაინც არაა დაზღვეული.

ემოციური ლექსიკა შეიძლება გამოხატავდეს **დადებითს** (ამაღლებული,
მოფერებითი, თავაზიანი, აღერსობითი, სახუმარო...) ან **უარყოფითს** დამოკი-
დებულებას (აგდებული, დაცინვითი, კინობითი, ირონიული და სხვ.). სიტყვათა
სხვადასხვა სტილისტიკური შრე ასახულია ქართული ენის განმარტებითი ლექსი-
კონის პირველივე ტომში (1950), რომელშიც მითითებულია სიტყვის გავრცელების

³ პირველი გამოცემა დაიბეჭდა თბილისში 2009 წელს, მე-2 გამოცემა – 2015 წელს.

სფერო, გამოყენების **პერიოდი**, გეოგრაფიული **არეალი**, **ემოციურ-სტილისტიკური** შეფერილობა: *ალერსობითი, დამცირებითი, ვულგარიზმი, ზრდილობიანი, ირონიული, კნინობითი, სალანძღავი და სხვ.* ეს პრინციპი გატარებულია რვავე ტომში (1950-1964) და შენარჩუნებულია ახალ რედაქციაშიც.

ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თარგმნითი ლექსიკონებიც, კერძოდ, ციურისში გამოცემული **კიტა ჩხენკელის** ქართულ-გერმანული ლექსიკონი (1960-1974), რომელშიც შესაბამისი კვალიფიკაციები გერმანულადაა მოცემული, რადგან გათვალისწინებულია გერმანულენოვანი მომხმარებლისთვის.

დიალექტიზმებთან მითითებულია **ადგილისმიერი** კვალიფიკაციები სიტყვის გავრცელების არეალის აღსანიშნავად, ხოლო **დროისმიერ** კვალიფიკაციებში – **არქაული, რევოლუციამდელი, რევოლუციის პერიოდისა** და შედარებით **ახალი** ლექსიკური ერთეულები.

სტილისტიკური კვალიფიკაციები ასახავს ლექსიკური ერთეულის **ემოციურ-ექსპრესიულ** ელფერს: **პოეტურს, ამალღებულს, ევფემისტურს, სასაუბრო სამეტყველო სტილისას, ფამილიარულს, ირონიულს, ვულგარულს, აგდებითს, დამამცრობელსა და კნინობითს.**

კ. ჩხენკელის ლექსიკონზე დაკვირვება ადასტურებს, რომ ავტორისთვის საყრდენი წყარო იყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და იქ გამოყენებული კვალიფიკაციები.

2009 წელს გამოცემულ ქართულ-გერმანულ ლექსიკონში (შემდგენელი რ. ზექალაშვილი) ქართული ლექსიკური ერთეულის სტილისტიკური დონე ან ემოციური ელფერი მოცემულია ქართულად, გერმანული სინონიმის განსხვავებული სტილისტიკური ელფერის შემთხვევაში კი ეს ინფორმაცია მითითებულია მრგვალ ფრჩხილებში.

თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ჭირს ლექსიკური ერთეულის სტილისტიკური შეფერილობის ზუსტი შესატყვისის შერჩევა, ზოგჯერ ეს არცაა აუცილებელი. მთავარია, რომ ამოსავალი ენის ლექსიკური ერთეულების ემოციურ-სტილისტიკური მახასიათებლები აღინიშნოს, რაც ხელს უწყობს მათს სრულყოფილ სემანტიზაციას და ეხმარება მომხმარებელს სიტყვის სწორად გამოყენებაში.

ლიტერატურა:

არაბული, ა. (2004). ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ბასილაია, ნ. (1991). ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა (რედ. თ. ზურაბიშვილი, ც. კალაძე), თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

გვენცაძე, ა. (1991). ზოგადი სტილისტიკა, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

ზექალაშვილი, რ. (2012). ქართული დიალოგური მეტყველება. ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

მარგალიტაძე, თ. (2022). ქართული ლექსიკოგრაფიის შესავალი (რედ. შ. აფრიდონიძე, რ. ზექალაშვილი), თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- სანიკიძე, თ., სანიკიძე, ი. (2009). ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
- Емельянова, О.Н. (2013). Стилистическая информация в толковом словаре (аналитический обзор проблематики), Красноярск: Сиб. федер. ун-т, СФУ, 2013.
- Fleischer, W., Michel, G., Starke, G. (1993). Stilistik der deutschen Gegenwartssprache. Frankfurt am Main: Peter Lang.
- Ludwig, K.-D. (1991). Markierungen im allgemeinen einsprachigen Wörterbuch des Deutschen. Ein Beitrag zur Metalexikographie, Berlin, Boston: Max Niemeyer Verlag. <https://doi.org/10.1515/9783111340616>
- Novotny, D. E. (2008). Stilistik der Deutschen Sprache. Lehrmittel für die Studenten der deutschen Philologie, Klaipeda. http://lib.jizpi.uz/pluginfile.php/12495/mod_resource/content/0/Novotny_E_Stilistik_der_deutschen_sprache_2008%20%281%29.pdf
- Sandig, B. (1986). Stilistik der Deutschen Sprache (Sammlung Götschen, 2229), Berlin. New York: Walter de Gruyter.
- Sekalashvili, R. (2016). Spezifik der Darstellung von Verben in Georgisch-Deutschen Wörterbüchern: Proceedings of the XVII EURALEX International Congress. Lexicography and Linguistic Diversity, 463-474. https://euralex.org/wp-content/themes/euralex/proceedings/Euralex%202016/euralex_2016_051_p463.pdf
- Zekalashvili, R. (2018). The Main Means of Semantization in the New Georgian-German Dictionary: General and Specialist Translation/Interpretation: Theory, Methods, Practice. International Conference Papers. – Kyiv: Agrar Media Group, 2018, 259-266. <https://dspace.nau.edu.ua/bitstream/NAU/35751/1/%D1%81%D0%B1%D0%BE%D1%80%D0%BD%D0%B8%D0%BA%20%D0%9D%D0%90%D0%A3%202018.pdf>

ლექსიკონები:

- ზექალაშვილი, რ., ქირია, ჭ. (2007). გერმანულ-ქართული ლექსიკონი = Deutsch-Georgisches Wörterbuch: 50000 ლექსიკური ერთეული (რედ. დალი ბახტაძე), მე-2 შევს. გამომცემა, თბილისი: გამომც. „დეგი“, 2007.
- ზექალაშვილი, რ., ქირია, ჭ. (2022). გერმანულ-ქართული ონლაინლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=44>
- ზექალაშვილი, რ. (2009). ქართულ-გერმანული ლექსიკონი (რედ. დ. ბახტაძე), 45000-ზე მეტი სიტყვა და გამოთქმა, თბილისი: გამომც. „საქართველოს მაცნე“.
- ქეგელ (1950, 1) – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1, თბილისი. <http://www.ena.ge/explanatory-online>
- ჭაბაშვილი, მ. (1989). უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მე-3 შევს. და შევს. გამომც., თბილისი: გამომც. „განათლება“. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=3>
- Duden (2003). Deutsches Universalwörterbuch. 5., überarbeitete Auflage, Mannheim. Leipzig. Wien. Zürich: Dudenverlag. <http://dnb.ddb.de>
- DWDS – გერმანული ენის დიგიტალური ლექსიკონი. Digitales Wörterbuch der deutschen Sprache: Das gegenwartssprachliche DWDS-Wörterbuch. <http://www.dwds.de>
- Tschenkéli, K. (1960-1974), Georgisch-Deutsches Wörterbuch, Bd. 1-3, Faszikel: 1-26 (in 26 Lieferungen), Bearbeitet von Yolanda Marchev, Zürich: Amirani-Verlag.

დარეჯან თვალთვაძე

Darejan Tvaltvadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

„საქმე მოციქულთას“ ტექსტი ქართულ ხელნაწერებში

The Text of “The Acts of the Apostles” in Georgian Manuscripts

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული ხელნაწერები, ახალი აღთქმის წიგნთა ძველი ქართული თარგმანები, „საქმე მოციქულთა“ , „სამოციქულო“

Keywords: Old Georgian manuscripts, old Georgian translations of the books of the New Testament, “Acts of the Apostles”, “Praxapostolos”

¹ ნაკითხულია მოხსენებად აკად. აკაკი შანიძის 136-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (24.02.2023).

“Among the outstanding monuments written in Old Georgian, one of the most prominent is undoubtedly “The Acts of the Apostles” (Akaki Shanidze). It must have been translated into Georgian soon after the translation of the Gospels (4th-5th centuries), but earlier manuscripts have not reached us. The oldest of the surviving manuscripts are dated by the 10th century.

Currently, there are two separate editions of the Old Georgian translation of “The Acts of the Apostles” (I. Abuladze, 1950, G. Garitte, 1955). In all, 11 manuscripts have been used for both editions. I. Abuladze published the text based on 9 manuscripts (S-407, S-1398, Ath.42, Kut-176, A-584, A-34, A-137, A-677 and K-4) and distinguished 4 versions (A and B – pre-Athonian, C – by George the Athonite and D – by Ephrem the Minor), whereas G. Garitte’s edition was based on two Sinaitic manuscripts of the 10th century (O/Sin. Geo.58/31/60 and O/Sin.Geo.39). At this time, the publishers had no access to the manuscripts preserved on mount Athos and in Jerusalem. Besides, the above-mentioned editions did not reflect the textual material preserved in the ancient liturgical collections of “The Acts of the Apostles”. Therefore, it is still a topical issue to study the manuscripts containing the text of Old Georgian translation of “The Acts of the Apostles” and the critical edition of the text of the Old Georgian translation. The latter reflects the data of all the important manuscripts and yields the necessary textual material for the identification of the stages of translation-edition of the text and the origin of the translation. Currently, with the financing of Shota Rustaveli National Science Foundation, a project (FR-21-7518) is under way, aimed at the preparation of such publication (Principal Investigator D. Tvaltvadze, Key members: D. Tvaltvadze, S. Sarjveladze, E. Giunashvili, T. Jikurashvili).

On the initial stage of the research, which embraced collection and classification of the manuscripts of “The Acts of the Apostles”, approximately 90 manuscripts were identified. Analysis of the collection of Georgian manuscripts proved that none of the analyzed codices contains only the text of “The Acts of the Apostles” (with the exception of fragmentary manuscripts where this is due to the damage/destruction of the integrity of the manuscript). The text of “The Acts of the Apostles” forms part of collections which differ in their content, structure and function. These are: a) Biblical collections, b) liturgical collections and c) exegetical collections.

“The Acts of the Apostles” and Epistles, as the unity of books related to the missionary activities of the Apostles, are chiefly represented in the form of a collection called “Praxapostolos”. About twenty codices with this name have been preserved. They include the Acts of the Apostles, Pauline Epistles and Catholic Epistles, although the structure of the collections is not homogenous. The collections mostly differ in the order of the books of the New Testament.

As “The Acts of the Apostles” and Epistles are closely linked to the Gospels, it is not surprising that the collections embraced the Gospels and the “Praxapostolos” together. In the Georgian manuscript tradition, such a collection is called “Gospel-Praxapostolos”. One of such collections is the 11th century manuscript Kut.176, which embraces the four Gospels, Pauline Epistles, Acts of the Apostles and probably also Catholic Epistles (the end of the manuscript is missing). One of such collections (A-482) has a reversed order (Acts, Catholic Epistles, Pauline Epistles and the Gospels). It should be noted that a complete collection of

the New Testament, consisting of the four Gospels, Acts and Revelation of Saint John the Divine, appeared in the later period of the Georgian manuscript tradition and may as well have been derived from printed editions (e.g. A-909, H – 664, 18th century).

The text of “The Acts of the Apostles” is included in different liturgical collections in the form of lections. Out of these, the oldest are lectionaries, which embrace lections from Old and New Testaments arranged according to the church calendar (for instance, the lectionaries of Kala, Latali and Paris). Lections of “The Acts of the Apostles” are also given in the liturgical collections containing lections from the Praxapostolos to be read throughout the year, such as lections from Acts, Pauline and Catholic Epistles arranged according to the ecclesiastical year/Collective Book of the Apostles. Lections of “The Acts of the Apostles” are also found in the mixed liturgical collections such as “Evangelion -Praxapostolos” and “Gulani”, which, alongside with other texts, contains lections of the “Acts of the Apostles”.

As for the text of “The Acts of the Apostles” represented in the exegetical collections, we mean the “Commentary on the Apostolicum” translated by Ephrem the Minor, based on the exegetical work of John Chrysostom, and obtained from the catenae collection compiled by Cyril of Alexandria. The text of George the Athonite’s “Praxapostolos” corrected by Ephrem the Minor in the process of translation was later, against the translator’s will, copied separately from the exegetical work and thus turned into a new independent version (D version). Thus, the manuscripts containing Ephrem the Minor’s version of “Praxapostolos” are of two types: a) the manuscripts representing the exegetical work translated by Ephrem the Minor, the Kimenic part of which comprises George’s text of “Praxapostolos”. The marginal marks in it denote the parts altered by Ephrem. The parts considered by Ephrem as “more appropriate translation” are given in the commentaries b) the manuscripts, in which the text of “Praxapostolos” edited by Ephrem is given without commentaries (i. e. this is not an exegetical but a Biblical book). In the manuscripts of the first type, known as “Commentary on the Apostolicum, Commentary on the Acts of Apostles is usually given together with the commentaries on Pauline and Catholic Epistles. Interestingly enough, among the Georgian manuscripts there are exegetical collections of another type, in which, alongside with the “Commentaries to the Praxapostolos”, there are explanations of certain books of the New Testament (e.g. “Commentary on St. Mark’s Gospels” and “Commentary on Praxapostolos”/“Commentary on Praxapostolos” and “Commentary on the Revelation of John”).

Research has revealed several manuscripts which have not been thoroughly analyzed and used in the existing publications until now (for instance, Ivir. georg.19 and Jer.Geo.94/82, in which there is an order peculiar of the old Pre-Athonian versions of “Praxapostolos” Books). At first sight, it seems that the text must be Pre-Athonian B version; Ivir.georg.78 – 11th century manuscript copied from George the Athonite’s autograph, which will be a reliable witness for the identification of George’s version of the text of “The Acts of the Apostles”; Jer.Geo.19 – the manuscript copied in the 12th-13th centuries, which, according to R. Blake, is the version of George the Athonite, although this opinion should be verified based on textological research. Also, there is a complete manuscript of “Praxapostolos”, Jer.Geo.129 and A- 482 collection of “Gospels-Praxapostolos”. Despite pertaining to the later period (13th-14th centuries), they are worth attention, and textological analysis will help find out which version

of the text is represented in them. Textological research should by all means use some liturgical collection of the 9th-10th centuries from Sinai mountain, namely: O/Sin.Geo.53 (9th-10th centuries), N/Sin.Geo.26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.54, N/Sin.Geo.26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.58, which, alongside with other works, include lections of “Acts” and, despite being fragmentary, may contain important textual material.

The research has been implemented within the grants project FR-21-7518 of Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSFG).

„საქმე მოციქულთა“ და მოციქულთა ეპისტოლეები, რომლებიც ტრადიციულად ერთ კრებულში „სამოციქულოში“ ერთიანდება, ქართულ ენაზე ადრევე, სახარების თარგმნის ახლო ხანებში უნდა ეთარგმნათ. „ხანმეტ ლექციონარში“ დადასტურებული პავლეს ეპისტოლეთა ფრაგმენტები გვავარაუდებინებს „სამოციქულოს“ სხვა ნიგნების ქართული თარგმანის არსებობასაც, თუმცა ადრეულმა ნუსხებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მოლნეულთა შორის უძველესი ხელნაწერები კი X საუკუნით თარიღდება, რომელთა უმეტესობა ნაკლული და დაზიანებულია, მაგრამ ხელნაწერთა ურთიერთშეჯერების შედეგად მათში დაცული ტექსტების რედაქციულობაზე მსჯელობა და დასკვნების გამოტანა მაინც არის შესაძლებელი.

„საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ტექსტი 1950 წელს გამოცა ილია აბულაძემ (აბულაძე, 1950). ეს იყო ახალი აღთქმის ამ ნიგნის პირველი მეცნიერული პუბლიკაცია. გამოცემისთვის დაწერილ რედაქტორის წინასიტყვაობაში აკაკი შანიძე წერდა: „ძველი ქართული ენის მეტად საჩინო ძეგლებს შორის ერთ-ერთი უპირველეს ადგილთაგანი, უეჭველია, „მოციქულთა საქმეს“ უჭირავს. იგი ადრე (IV-V საუკუნეებში) უნდა ეთარგმნათ ქართულად, მაგრამ მისი შემცველი ძველის-ძველი ხელნაწერები, ჟამთა სიავის გამო, დაკარგულა. ჩვენამდის მოუღწევია მხოლოდ მე-10 საუკუნისა და მერმინდელ ხანებში გადაწერილ ხელნაწერებს, რომელთაგან ტექსტის დადგენისა და გამოცემის მიზნით, არჩეულ იქნა ცხრა, რომლებიც უფრო ადრინდელია მოლნეულთა შორის. ამათი ტექსტების შედარებისა და შესწავლის საფუძველზე პროფ. ილია აბულაძემ გამოარკვია, რომ მოციქულთა საქმის ტექსტი ქართულად დღეს-დღეობით ოთხი რედაქციისა მოგვეპოვება, რომლებიც a, b, L, T ლიტერებით არის აღნიშნული. ამ რედაქციებში უძველესია a (ხელნაწერები AK), ამისგან გამოდის b (ხელნაწერები CD), რომელსაც ეყრდნობა თავის მხრივ L (ხელნაწერები EF), ამისგან კი უშუალოდ დამოკიდებულია T (ხელნაწერები GHI)“ (შანიძე 1950:05).

აკაკი შანიძის მიერ დასახელებული ცხრა ხელნაწერი, რომლებიც „საქმე მოციქულთას“ ტექსტის გამოცემისთვის გამოიყენა ილია აბულაძემ, შემდეგია: S-407; S-1398; Ath.42; Kut.-176; A-584; A-34; A-137; A-677 და K-4,² ხოლო მათი ტექსტების შედარებისა და შესწავლის საფუძველზე გამოყოფილი 4 რედაქციიდან ორი (a და b) წინათონური (a რედაქციისთვის გამოყენებულია ხელნაწერები: S-407,

² ე.წ. ლენინგრადული ნუსხა, რომელიც ამჟამად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში ინახება (იგივე K-12; G 117).

რომელიც გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით და S-1398 (გამოცემის K ნუსხა); b რედაქციისთვის ილია აბულაძე იყენებს Ath.- 42 (C) და Kut.-176 (D) ნუსხებს, მესამე (L რედაქცია) გიორგი მთაწმიდლის რედაქციაა (ხელნაწერები: A-584 (E) და A-34 (F); მეოთხე (S რედაქცია) – ეფრემ მცირისეული, რომელიც გამოცემულია სამი ხელნაწერის მიხედვით: A-137 (G), A-677 (H) და K-4 (I).

გამოცემის წინასიტყვაობაში ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „გამოყენებული ხელნაწერების უმეტესობა თბილისშია დაცული, ერთია ქუთაისში (C), ერთი ლენინგრადში (I) და ერთიც საბერძნეთში, ათონის ქართველთა მონასტერში (D). უკანასკნელის ფოტოპირები, ჩემი თხოვნით, გამოგზავნა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ ბლეიკმა, რომელსაც ამისთვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ... დიდად სამწუხაროა, რომ ხელი არ მიგვიწვდებოდა ორ ხელნაწერზე, რომლებიც დაცულია სინას მთაზე (ეგვიპტეში), და რომლებიც მე-10 საუკუნეშია გადაწერილი: ერთი 974 წელს (ცაგარ. №17; ჯავხ. № 39) და მეორე 977 წელს (ცაგარ. №16, ჯავხ. №31)“ (შანიძე, იქვე).

აქ დასახელებული იმ ორი ხელნაწერის მიხედვით, რომლებზეც 1950 წლის გამოცემისთვის ა. შანიძეს და ილ. აბულაძეს ხელი არ მიუწვდებოდათ, „საქმე მოციქულთას“ ტექსტი 1955 წელს გამოსცა ბელგიელმა ქართველოლოგმა ჟერარ გარიტმა (Garitte, 1955). ეს ხელნაწერებია: O/Sin.Geo.58/31/60 (977 წ., გარიტის გამოცემის A ნუსხა) და O/Sin.Geo.39 (974 წ., გარიტის გამოცემის B ნუსხა)³. ეს ნუსხები უთუოდ ათონამდელ რედაქციას ეკუთვნის, მაგრამ რამდენად ეთანხმება ილ. აბულაძის მიერ განსაზღვრულ a ან b რედაქციებს, ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ა. შანიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ O/Sin.Geo.39-ის ტექსტი (გარიტის გამოცემის B ხელნაწერი) b რედაქციისა უნდა იყოს (მეცნიერის ვარაუდი ეფუძნება მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის სინურ ხელნაწერთა აღწერილობაში წარმოდგენილ მწირ მასალას).

ამრიგად, არსებობს „საქმე მოციქულთა“ ტექსტის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გამოცემა და ორივე გამოცემისთვის სულ გამოყენებულია 11 ხელნაწერი. „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ტექსტის კრიტიკული გამოცემა, რომელიც ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერის მონაცემებს ასახავდა და ტექსტის თარგმნა-რედაქტირების ეტაპებისა და თარგმანის წარმომავლობის დადგენისთვის აუცილებელ ტექსტურ მასალას მოგვცემდა, ჯერჯერობით არ გვაქვს. „სამოციქულოს“ ძველი ქართული თარგმანის ტექსტის შემცველი ყველა ხელნაწერი დღემდე არ არის შესწავლილი, მათმა შესწავლამ კი შეიძლება ახალი მასალები გამოავლინოს. გარდა ამისა, ტექსტი შესაბამისი დღესასწაულების საკითხავების სახით დაცულია უძველეს ქართულ ლექციონარებშიც, რომლებიც ამ მხრივ, ასევე, არ არის შესწავლილი – ლექციონარების საკითხავები არ არის შედარებული დღემდე გამოყოფილ რედაქციებთან და არ არის განსაზღვრული მათი რედაქციული კუთვნილება. შესასწავლია სხვა ლიტურგიკულ კრებულებში („სანელინდო სამოციქულო“, „გამოკრებული სამოციქულო“, „რიგის სამოცი-

³ ჟ. გარიტმა სინური ხელნაწერების ტექსტი შეუდარა მის ხელთ არსებულ ათონური N42 ხელნაწერის 12 გვერდის ფოტოს (Ivir.georg.42) და სინური ლექციონარის (O/Sin.Geo.37) საკითხავებსაც (Garitte, 1955, pp. 175-183).

ქულა“ და სხვ.) წარმოდგენილი საკითხავებიც და ორიგინალურ თუ ნათარგმნ თხზულებებში წარმოდგენილი ციტატებიც. ამჟამად შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე (FR-21-7518),⁴ რომელიც სწორედ ამგვარი გამოცემის მომზადებას ისახავს მიზნად.

პროექტის ერთ-ერთ ამოცანას „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ტექსტის შემცველი ხელნაწერების მოძიება, მათი კოდიკოლოგიური შესწავლა და კატალოგიზაცია წარმოადგენს. ამ მიზნით დამუშავდა ქართულ ხელნაწერთა კოლექციების აღწერილობები (A, S, H, Q ფონდები, საქართველოს რეგიონებსა და უცხოეთში დაცული ხელნაწერების კატალოგები, ზოგ შემთხვევაში თავად ხელნაწერები ან მათი ფოტოასლები); შემუშავებულ იქნა აღწერილობის სქემა, რომლის მიხედვითაც შეიკრიბა ინფორმაცია „საქმე მოციქულთას“ ტექსტის შემცველი ხელნაწერების შესახებ შემდგომში მათი კატალოგიზირების მიზნით. შედგა 90-ე მეტი ხელნაწერის მონაცემების ამსახველი ბარათი, რომელიც მოიცავს მანუსკრიპტის როგორ არქეოგრაფიულ, ისე ანალიტიკურ აღწერილობას; გამოვლინდა ხელნაწერები, რომლებიც დღემდე არ ყოფილა გამოყენებული „საქმე მოციქულთას“ ტექსტის კვლევისთვის და რომელთა გათვალისწინება აუცილებლად უნდა მოხდეს პროექტის შემდგომ ეტაპზე დაგეგმილი ტექსტოლოგიური კვლევის დროს.

ხელნაწერთა აღწერილობის შედგენისას, გარდა არქეოგრაფიული პარამეტრებისა (როგორცაა ფონდისა და კოლექციის შიფრი, ხელნაწერის თარიღი, საწერი მასალა, ფურცელთა რაოდენობა, ზომები, ანბანის სახეობა, მელანი, ნაწერის სვეტების რაოდენობა, პაგინაცია, გადანერის ადგილი, გადამწერი, მომგებელი, გაფორმება და კოდექსის დღევანდელი მდგომარეობა, ანდერძები, მინაწერები და სხვ.), განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ხელნაწერი წიგნის სტრუქტურას, მის შედგენილობას და კრებულში წარმოდგენილ ახალი აღთქმის წიგნთა რიგს, რადგან „სამოციქულოს“ ქართულ ხელნაწერებში, ისევე როგორც ბერძნულ და სხვაენოვან კოდექსებში, წიგნთა თანმიმდევრობა სხვადასხვანაირია: დასტურდება ორგვარი რიგი და, შესაბამისად, ხელნაწერები ორ ნაწილად ჯგუფდება: 1. კოდექსები, რომლებიც შეიცავს ქართული თარგმანის ძველ, წინათონურ რედაქციებს – აქ ჯერ პავლეს ეპისტოლეებია წარმოდგენილი, შემდეგ მოციქულთა საქმეები და ბოლოს კათოლიკენი 2. კოდექსები, რომლებიც შედარებით გვიანდელია (მე-11 და მომდევნო საუკუნეები) და ათონური და პოსტათონური პერიოდის რედაქციების ტექსტს შეიცავს; მათში „საქმე მოციქულთა“ უსწრებს ეპისტოლეებს და ასეთი რიგი გვაქვს: „საქმე მოციქულთა“, „კათოლიკე ეპისტოლენი“ და „პავლენი“.⁵

ქართულ ხელნაწერთა კოლექციების დამუშავებისას გამოიკვეთა, რომ შესწავლილთაგან არცერთი კოდექსი არ შეიცავს მხოლოდ „საქმე მოციქულთას“

⁴ პროექტი FR-21-7518: „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება“; შესრულების ვადა: 15.03-2022–15.03.2025; პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დ. თვალთვაძე, ძირითადი შემსრულებლები: დ. თვალთვაძე, ს. სარჯველაძე, ე. გიუნაშვილი, თ. ჯიქურაშვილი.

⁵ შევნიშნავთ, რომ კრებულებში წიგნთა თანმიმდევრობა შეიძლება გამოყენებული იქნეს რედაქციებისა და თარგმანის მიახლოებითი თარიღის განსაზღვრისთვის.

ტექსტს (თუ არ ჩავთვლით ფრაგმენტულ ხელნაწერებს, სადაც ამის მიზეზი ხელნაწერი წიგნის მთლიანობის დარღვევა-დაზიანებაა). „საქმე მოციქულთას“ ტექსტი შეტანილია კრებულებში, რომლებიც თავისი შინაარსით, სტრუქტურითა და დანიშნულებით სხვადასხვანაირია: ესენია:

1. **ბიბლიური კრებული** („სამოციქულო“; „სახარება-სამოციქულო“; ახალი აღთქმის კრებული).

2. **ლიტურგიკული კრებული** (ლექციონარი; სანელინდო სამოციქულო/რიგის სამოციქულო/ გამოკრებული სამოციქულო; გულანი; ძველი და ახალი აღთქმის საკითხავების კრებული)⁶.

3. **ეგზეგეტიკური კრებული** (მხოლოდ „სამოციქულოს თარგანება“ ან „სამოციქულოს თარგანება“ და ახალი აღთქმის რომელიმე სხვა წიგნის თარგმანება (მაგ., „სახარების თარგმანება“ და „სამოციქულოს თარგმანება“/„სამოციქულოს თარგმანება“ და „იოანეს გამოცხადების თარგმანება“).

ტრადიციულად, „საქმე მოციქულთა“ წარმოადგენს იმ ბიბლიური კრებულის ნაწილს, რომელიც „სამოციქულოს“ სახელითაა ცნობილი და მოციქულთა საქმეებს და ეპისტოლეებს (7 კათოლიკე ეპისტოლე და პავლეს 14 ეპისტოლე) აერთიანებს. ქართულში „მოციქულ“ სიტყვისაგან (რაც წარვლინებულს, წარგზავნილს ნიშნავს) დანიშნულების სა-ო კონფიქსით ნაწარმოები სიტყვა „სა-მოციქულ-ო“, კარგად აღნიშნავს წიგნის დანიშნულებას – ეს არის წიგნი, რომელშიც მოციქულთა მისიონერული საქმიანობა და მათი მოძღვრებაა გადმოცემული (დანელია, 1983:193). ქრისტეს მოციქულების მოღვაწეობასთან დაკავშირებული ტექსტების ამ კრებულის სტრუქტურა იმთავითვე არ მოიაზრებდა „იოანეს გამოცხადებას“ და ოთხ სახარებას, რომელიც ცალკე კრებულის („ოთხთავის“) სახით უფრო ადრე ჩამოყალიბდა.

„სამოციქულოს“ შემადგენლობაში შემავალ იმ წიგნს, რომელიც მოგვიტხოვრობს ქრისტეს ამალლებისა და სულთმოფენის შემდეგ მისი მონაფეების (მოციქულების) სამისიონერო მოღვაწეობის ამბავს (ბერძ. Πράξεις των Αποστόλων), ძველ ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში მოიხსენიებენ შემდეგი სახელწოდებით: „საქმე წმიდათა მოციქულთა“/„საქმე მოციქულთა“/„საქმენი მოციქულთანი“/„საქმენი“. ერთ ათონურ ხელნაწერში (963-969 წწ) მის სათაურად დასტურდება ბერძნული სახელწოდების (Πραξάπιστοις) ტრანსლიტერაციით მიღებული „პრაქს აბუტოლო“: „დაესრულა პრაქს აბუტოლო. დიდებაჲ შენდა, ღმერთო“ (Ivir.georg.42,222r). საინტერესოა, რომ XII საუკუნის ხელნაწერის მომგებელი თავის ანდერძში „საქმე მოციქულთას“ „მომოსვლათა“ წიგნად მოიხსენიებს: „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და პატიოსნისა ჯუარისაჲთა, მოვიგე წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი მიმოსვლათა თარგმანი მე, უღირსმან და ცოდვათა შინა განფრდილმან მიქაელ...“ (Jer.Geo.16,280v).

„საქმე მოციქულთას“ ტექსტი „სამოციქულოში“. „საქმე მოციქულთას“, კათოლიკე ეპისტოლეებისა და პავლეს ეპისტოლეთა ტექსტების შემცველი კრე-

⁶ ბოლო ხანებში „საქმე მოციქულთას“ საკითხავები გამოვლინდა სახარება-ოთხთავის ზოგიერთ ხელნაწერზე (H-1741; O/Sin.Geo.19) დართულ განგებაშიც (ჩიტუნაშვილი, 2023).

ბულის სახელად „სამოციქულო“ (resp. „წიგნი სამოციქულო“) ძველ ქართულ სამწიგნობრო ტრადიციაში, როგორც ჩანს, ადრევე დამკვიდრა (საფარაუდოდ, „ოთხთავის“ პარალელურად, რომელიც ასევე კრებულია). მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „დადვა მონასტერსა მას შინა წმიდაჲ სახარებაჲ და წიგნი სამოციქულო“ (ილარიონ ქართველის ცხ.); „რათა არა მეორედ თარგმნილად შეირაცხოს წიგნი სამოციქულო“ (ეფრემ მცირე); „წინა-დაიდვა ოდესმე წიგნი სამოციქულო წარკითხვად და რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა. ხოლო მოქცევასა წელიწდისასა მით ნიშნითა აღვთუალეთ: ოცდაოთხ-ჯერ წარეკითხა“ (დავით აღმაშენებლის ცხ.). „სამოციქულოს“ რამდენიმე ხელნაწერში შემორჩენილია არსენ იყალთოელის იამბიკო, რომლის კიდურწერილობა გვაძლევს ნაკითხვას „წიგნი სამოციქულო“ (A-137,18v).⁷

წიგნს რომ სწორედ „სამოციქულო“ ერქვა, დასტურდება ძველი ხელნაწერების ანდერძებითაც. მაგალითად: „დავჩხრიკე წმიდაჲ ესე სულთა განმანთლებელი წიგნი სამოციქულო“; „მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი სამოციქულო“; „შევწირენ წიგნი სამოციქულო“... თუმცა, ცხადია, საკუთარი სახელი ჰქონდა მის შემადგენელ ბიბლიურ წიგნებსაც: („საქმე წმიდათა მოციქულთა“/ „საქმე მოციქულთა“/ „საქმენი“; „პავლენი“ / „პავლე“/ „პავლე მოციქულის ეპისტოლენი“; „კათოლიკენი“ / „კათოლიკე ეპისტოლეები“).

„წიგნი სამოციქულო“ სახელით ცნობილი ხელნაწერების რაოდენობა ალბათ ბევრად მეტი იყო, ვიდრე დღეს ჩვენამდე მოღწეული ოცამდე კოდექსია, რომელთაგან აქამდე ტექსტის კრიტიკული გამოცემისთვის მხოლოდ 10 ხელნაწერი იყო გამოყენებული. მათგან ხუთი წინათონური რედაქციის ნუსხაა, ორი – გიორგისეული, სამი კი – ეფრემ მცირის რედაქციისა.⁸ ესენია:

1. O/Sin.Geo.39, 974 წლის ხელნაწერი, რომელიც შეიცავს პავლეს ეპისტოლეებს, საქმე მოციქულთას, კათოლიკე ეპისტოლეებს ამ თანმიმდევრობით. ფ. გარიტის გამოცემაში (Garitte, 1955) იგი აღნიშნულია B ლიტერით.

2. O/Sin.Geo.58-31-60, 977 წელს გადაწერილი ნუსხა, რომელშიც წარმოდგენილია პავლეს ეპისტოლეები, საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლეები (ფ. გარიტის გამოცემის A ხელნაწერი (Garitte, 1955). ამავე ხელნაწერის ნაწილი აღმოჩნდა სინის მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერის ახალ კოლექციაში აღმოჩენილი 13-ფურცლიანი ფრაგმენტი N/Sin.Geo.8, რომელიც გამოცემაში გამოყენებული არ არის.

3. S-407. X საუკუნის მანუსკრიპტი, რომელიც შეიცავს პავლეს ეპისტოლეებს, საქმე მოციქულთას და კათოლიკე ეპისტოლეებს. ილ. აბულაძის გამოცემაში ეს ხელნაწერი არის C რედაქციის A ნუსხა (აბულაძე, 1950).

⁷ იქვე შემონახულია ეფრემ მცირის იამბიკოც, სადაც „წიგნი სამოციქულო“ სიბრძნის სახლად იწოდება, რომლის იატაკი ლუკას მიერ აღწერილი ქრისტეს მოციქულთა საქმეებია, შვიდი სვეტი – იაკობის, პეტრეს, იოვანეს და იუდას კათოლიკე ეპისტოლეები, ხოლო პავლეს 14 ეპისტოლე – სახურავი, რომელიც აკვირგვინებს ნაგებობას ოქროცხე-ბული მენაკებით (A-137,18v).

⁸ აქ წარმოდგენილ ჩამონათვალში შეტანილი არ არის ი. აბულაძის გამოცემაში გამოყენებული წინათონური b რედაქციის კიდეც ერთი ხელნაწერი Kut.176, რომელიც სხვა ტიპის კრებულია (იხ. ქვემოთ).

4. S-398 (+A-369 ფრაგმენტი), X საუკუნის ნაკლული ხელნაწერი. შემონახულია პავლეს ეპისტოლეები, საქმე მოციქულთა და აკლია კათოლიკე ეპისტოლეები. ილ. აბულადის გამოცემაში ის აღნიშნულია K ლიტერით და C რედაქციის ნუსხას წარმოადგენს (აბულაძე, 1950).

5. Ivir.georg.42; 963-969 წლებში გადაწერილი სამოციქულოს კოდექსი, რომელშიც ახალი აღთქმის წიგნები წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით: პავლეს ეპისტოლენი, საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლეები. ეს არის ილ. აბულადის გამოცემის b რედაქციის D ხელნაწერი (აბულაძე, 1950).

6. A-584. 1083 წელს გიორგი ხუცესმონაზონის მიერ გადაწერილი ხელნაწერი, რომელშიც წიგნების ასეთი თანმიმდევრობით გვაქვს: საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლენი, პავლეს ეპისტოლენი. ილ. აბულადის გამოცემაში L რედაქციის E ხელნაწერი (აბულაძე, 1950).

7. A-34 XIII საუკუნის კრებული. მასში შეტანილია საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლეები, პავლეს ეპისტოლეები ამ თანმიმდევრობით. ილ. აბულადის გამოცემაში ეს ხელნაწერი L რედაქციის F ნუსხაა (აბულაძე, 1950).

8. A-677 XI-XII საუკუნეებით დათარიღებული მანუსკრიპტი, რომელიც შეიცავს საქმე მოციქულთას, კათოლიკე ეპისტოლეებს და პავლე ეპისტოლეებს. ილ. აბულადის გამოცემაში T რედაქციის H ხელნაწერია (აბულაძე, 1950).

9. K-4 (K-12; G 117; პეტერბურგი) XIII საუკუნის ხელნაწერი. მასში წიგნების რიგი ასეთია: საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლენი და პავლეს ეპისტოლენი. ილ. აბულადის გამოცემაში ხელნაწერი I ლიტერითაა აღნიშნული და განეკუთვნება T რედაქციას (აბულაძე, 1950).

10. A-137, XIII-XIV საუკუნეების კრებული, რომელშიც წარმოდგენილია საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლეები და პავლეს ეპისტოლეები. ილ. აბულადის გამოცემის მიხედვით T რედაქციის G ნუსხაა (აბულაძე, 1950).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი 10 ხელნაწერისა, ქართულ ხელნაწერთა შორის გამოვლინდა „სამოციქულოს“ კიდევ რამდენიმე კოდექსი, რომელიც შეიცავს ახალი აღთქმის სამივე წიგნს – საქმე მოციქულთას, პავლეს ეპისტოლეებს და კათოლიკე ეპისტოლეებს სრულად ან ფრაგმენტულად, ანუ წარმოადგენს „სამოციქულოს“ ხელნაწერს. მათი ნაწილი გვიანდელია, თუმცა მათ შორის არის X-XIII საუკუნეების ხელნაწერებიც, რომლებშიც დაცული „საქმე მოციქულთას“ ტექსტი შესწავლილი არ არის. ასეთია მაგალითად: Ivir.georg.78, XI საუკუნის ხელნაწერი, რომელიც შეიძლება გადაწერილი იყოს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფიდან. მასში წარმოდგენილია საქმე მოციქულთა, პავლეს ეპისტოლენი და კათოლიკე ეპისტოლეები ევთალეს სტიქომეტრიის თანხლებით. „საქმე მოციქულთას“ არსებულ პუბლიკაციებში ეს ხელნაწერი გამოყენებული არ არის, რადგან იმხანად ივირონის მონატერში დაცული ქართულ ხელნაწერები გამომცემლებისთვის ხელმიუწვდომელი იყო.

იმავე მიზეზით არ არის შესწავლილი ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული XII-XIV საუკუნეებით დათარიღებული კოდექსი Ivir.georg.19, რომელშიც სამოციქულოს წიგნთა წინათონური ვერსიებისთვის დამახასიათებელი რიგი გვაქვს (პავლენი, საქმე, კათოლიკენი), თუმცა, ეს a priori არ ნიშნავს, რომ სამოციქულოს ტექსტიც იმავე რედაქციისაა. რომელი რედაქციის ტექსტია მასში

დაცული მხოლოდ ტექსტოლოგიური კვლევისას სხვა რედაქციებთან კოლაციის შემდეგ დადგინდება.

აქამდე საგანგებოდ არ ყოფილა შესწავლილი ქართულ ხელნაწერთა იერუსალიმურ კოლექციაში დაცული „სამოციქულოს“ ხელნაწერები, რომელთა შორის ყურდღებას იქცევს რ. ბლეიკის მიერ XI-XII საუკუნეებით დათარიღებული კოდექსები Jer.Geo.82 და Jer.Geo.94, რომლებიც მას მარხვის ციკლისთვის განკუთვნილი სამოციქულოს საკითხავების შემცველი ერთი ხელნაწერის, „ტრიოდონის“, ნაწილებად მიაჩნია (Blake, 1924: 115; 118), სინამდვილეში კი Jer.Geo.94/82 არის სამოციქულოს კოდექსი, რომელშიც „საქმე მოციქულთას“ მთელი ტექსტია თანმიმდევრულად წარმოდგენილი შესაბამისი ლიტურგიკული მითითებებით. კოდექსი, რომელშიც ახალი აღთქმის წიგნები დალაგებულია წინაათონური პერიოდისთვის დამახასიათებელი რიგით („პავლენი“, „საქმენი“ და „კათოლიკენი“), პალეოგრაფიული მახასიათებლებითაც მეთე საუკუნის ნუსხებს უდგას გვერდით. დ. ჩიტუნაშვილის აზრით (ჩიტუნაშვილი, 2023, ა), მისი გადამწერი, იგივე პირია, რომელმაც 963-969 წლებში ულუმბოში სამოციქულოს ის ხელნაწერი გადაწერა, რომელიც ამჟამად ივირონის მონასტერის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში 42-ე ნომრად ინახება (Ivir.georg.42). ამ ორი ხელნაწერის გადამწერის ხელი და წერის მანერა, მართლაც ერთნაირი ჩანს, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ Jer.Geo.94/82 მეთე საუკუნის 60-იანი წლების მახლობლად შექმნილ კოდექსად მივიჩნიოთ, ეს კი ცალსახად ნიშნავს, რომ იგი წინაათონური რედაქციის შემცველი ნუსხაა, სავარაუდოდ, იმავე 9 რედაქციისა, რაც Ivir.georg.42-ში გვაქვს დაცული. თუმცა ამ ვარაუდის სისწორე საბოლოოდ მათი შედარების შედეგად უნდა დადგინდეს.

ამავე კოლექციაში საინტერესო ხელნაწერია Jer.Geo.19, რომელიც XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება და თითქმის სრულად შეიცავს სამივე წიგნს: იწყება „საქმე მოციქულთას“ მე-2 თავის 24-ე მუხლით, რასაც მოსდევს კათოლიკე ეპისტოლენი და პავლეს ეპისტოლეები ევთალეს სტრიქომეტრიის დანართი ტექსტების თანხლებით. რ. ბლეიკის აზრით, ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისაა (Blake, 1924:51). გამოცემებში ხელნაწერი გამოყენებული არ არის, ამდენად მისი რედაქციულობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება ვერიფიცირებას საჭიროებს.

ასევე გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ხელნაწერად მიაჩნია რ. ბლეიკს XIV-XV საუკუნეების⁹ Jer.Geo.129 ხელნაწერიც (Blake, 1924:135), რომელიც ამ კუთხით საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა. მასში დაცულია საქმე მოციქულთას, პავლეს ეპისტოლეებისა და კათოლიკე ეპისტოლეების ტექსტი ევთალეს სტრიქომეტრია და საკითხავების ინდექსი.

განსაკუთრებით საინტერესოა სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილი ფრაგმენტები, რომელთაგან ერთი N/Sin.Geo.8 – 977 წლის ხელნაწერის O/Sin.Geo.58-31-60-ის ნაწილი აღმოჩნდა (სინური ხელნაწერების კატალოგი, 2005), ასევე XI საუკუნის ხელნაწერის ფრაგმენტი N/Sin.Geo.9, რომელშიც ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ საქმე მოციქულთას 7:23- 26:3 მუხლები, მაგრამ, სავარაუდოდ, „სამოციქულოს“ მთლიანი კოდექსის ნაწილია და დასადგენია, რომელი რედაქციის ტექსტია მასში შემონახული.

⁹ ალ. ცაგარელი ხელნაწერს XII-XIII საუკუნეებით ათარიღებს (Цагарели, 1888, с. 155).

საინტერესოა, რომ „ნიგნი სამოციქულო“, როგორც მოციქულთა საქმეთა და ეპისტოლეთა კრებული, არსებობს გვიანდელ პერიოდამდე, რასაც მოწმობს XVIII საუკუნის რამდენიმე ხელნაწერი (მაგ.: 1703 წლის H-971 ნუსხა – შეიცავს საქმეს, კათოლიკეს, პავლეს დანართებით; ასეთივე შედგენილობისაა 1755 წელს გადაწერილი ხელნაწერი Jer.Geo.115, რომელიც შეიძლება ბაქარის (1743 წ.) ბიბლიიდან იყოს გადაწერილი (მდრ. ხელნაწერი S-2572, რომელიც იმავე გადამწერს (ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს) გადაუწერია მოსკოვის 1765 წლის გამოცემიდან 1771 წელს).

„საქმე მოციქულთას“ ტექსტი კრებულში „სახარება-სამოციქულო“. მოციქულთა სამისიონერო საქმიანობასთან დაკავშირებული სამი ნიგნი (საქმეები, პავლენი და კათოლიკენი), ყველაზე ხშირად ცალკე, ახალი აღთქმის სხვა ნიგნებისგან დამოუკიდებლად „სამოციქულოშია“ წარმოდგენილი (20 ხელნაწერი), მაგრამ იმის გამო, რომ ისინი მჭიდრო კავშირშია ახალი აღთქმის კანონის სხვა ნიგნებთან, განსაკუთრებით კი სახარებებთან, გასაკვირი არ არის, ისეთი კრებულის გაჩენა, რომელშიც გაერთიანებულია „სახარება-ოთხთავი“ და „სამოციქულო“. ასეთ კრებულს „სახარება-სამოციქულო“ ეწოდება. ერთ-ერთი ასეთი კრებულია XI საუკუნის პირველ ნახევარში (1022-1031 წწ.)¹⁰ კონსტანტინოპოლოში შექმნილი კოდექსი Kut.176, რომელიც ოთხთავს, პავლეს ეპისტოლეებს, საქმე მოციქულთას და, სავარაუდოდ, კათოლიკე ეპისტოლეებსაც აერთიანებდა.¹¹ ხელნაწერი დაშლილი და ბოლონაკლულია. გამორიცხული არ არის, ეს კრებული „ახალი აღთქმის“ სრული კრებულიც ყოფილიყო (ხელნაწერს აკლია „საქმე მოციქულთას“ ბოლო ნაწილი და „კათოლიკენი“ მთლიანად (ტექსტი წყდება ლუე რვეულზე), რომელსაც შეიძლება „გამოცხადებაც“ მოჰყვებოდა. კოდექსის დღევანდელი მდგომარეობა გადაჭრით ამის მტკიცების საშუალებას არ იძლევა.

ქართულ ხელნაწერთა შორის გვაქვს კიდევ ერთი მსგავსი ბიბლიური კრებული, რომელშიც სამოციქულო და ოთხთავია გაერთიანებული, ოღონდ სხვა რიგით – ჯერ სამოციქულო, მერე – სახარებები. ესაა XVI საუკუნის ეტრატიხ ხელნაწერი A-482, რომელშიც წარმოდგენილია საქმეები, კათოლიკენი, პავლენი, სახარებანი ამ რიგით: საქმე მოციქულთა (15v-60 r); კათოლიკე ეპისტოლენი (61v-65v); პავლეს ეპისტოლენი (86v-190v); მათეს სახარება (208r-379v); მარკოზის სახარება (253r-279r); ლუკას სახარება (283r-242v) და იოანეს სახარება (345v-379v). „საქმე მოციქულთას“ და ეპისტოლეებს უძღვის (5r-14v) ევთალეს სტიქომეტრიის დანართი ტექსტები („პირველ სიტყუაჲ საქმისათჳს მოციქულთაჲსაჲ და უწყებაჲ განწესებისათჳს თავთაჲსა; სიტყუაჲ ბ – ნიგნისა ამისთჳს, რომელ არს საქმე მოციქულთაჲ; მიმოსლვაჲ პავლესი; განწესებაჲ თავთა წმიდათა მოციქულთა საქმისაჲ; იამბიკონი მოციქულთა საქმისა და მათთა მათ კათოლიკეთა და პავლეს ეპისტოლეთანი ბერძულიდან თარგმნილი ეფრემ მცირაჲსანი და ეფრემ მცირის და არსენ იყალთოელის ორიგინალური იამბიკოები); სახარებებს წინ უძღვის ევსები კარპიანიეს ეპისტოლე (205r-v); „თავნი“ (სათაურთა სარჩევი) და ერთვის „ზანდუკი სახარებისა საძიებლისაჲ საწელიწდოჲ“).¹²

¹⁰ Skhirtladze-Kldiashvili, 2022, pp. 311-397.

¹¹ ხელნაწერი ილ. აბულაძის გამოცემაში აღნიშნულია C ლიტერით და b რედაქციის ნუსხას წარმოადგენს.

¹² კრებულში წარმოდგენილი სახარებების ტექსტი გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა.

სამოციქულოს არსებულ გამოცემებში A-482 ხელნაწერი გამოყენებული არ არის (ტექსტი, სავარაუდოდ, **Θ** რედაქციისა). ამ ხელნაწერის შემწირველის ანდერძში წიგნის სახელწოდებაცაა დასახელებული: „შემოგწირეთ პატიოსნისა თულით მურასაჲ სახარებაჲ-სამოციქულო“ (A-482, 395v). წიგნი სახარება-სამოციქულოდ მოიხსენიება XVII საუკუნის ერთ-ერთ-მინაწერშიც: „დავისხენ სახარება-სამოციქულო ესე ისპანს“ (A-482, 395v).¹³

„სახარება-ოთხთავი“ და „სამოციქულო“ ერთი კრებულის ნაწილებად არის მოაზრებული 1719 წელს გაბრიელ საგინაშვილის მიერ გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ნუსხურად ორ ტომად გადაწერილ კრებულში, რომელიც დღეს Q ფონდში ინახება (Q-85 და Q-86). Q-85-ის თეთრტყავადაკრული ყდის ყუაზე ამოტივიფრულია წიგნის სახელი „EVANGELII“, ხოლო Q-86-ის ასეთივე ყდის ყუაზე – „APOSTOLI“. თუმცა, გადამწერი თავის ანდერძში ამ წიგნებს ქართული სახელწოდებით „სახარებად“ და „სამოციქულოდ“ მოიხსენიებს: „...აღწერე წმიდაჲ ესე სულთა განმანათლებელი სახარებაჲ და სამოციქულო მამისა ჩუენისა ხარიტონის და მოძღურისა და მასწავლელისაჲ უფლისა ჩემისა დიდისა ორბელისძის ბესარიონის ბრძანებითა, ვეცადე დიდად სიმართლესა და ჴელს, მაგრამ ლეკთაგან გვეშინოდა, თუ რა უცბად მენეროს, ნუ დამწყევლით, გვედრები...“ (Q-85, 171v).¹⁴

„საქმე მოციქულთას“ ტექსტი ახალი აღთქმის სრული კრებულის ხელნაწერებში. ასეთი კრებულები გვიანდელია (არ არის გამორიცხული, მომდინარეობდეს ბეჭდური გამოცემებიდან). ერთ-ერთია XVIII საუკუნის ხელნაწერი A-909, რომელიც ვახტანგ მეექვსის ბრძანებით გადაწერილია სიონის დეკანოზის შვილს, კერძოდიაკონ გაბრიელს. როგორც ანდერძიდან ირკვევა, ეს მაშინ მომხდარა, როცა ვახტანგი „საქართველოს გამგე“ იყო (1712 წლამდე). გადამწერის ანდერძის მიხედვით, წიგნი სახარება-სამოციქულოსთან ერთად შეიცავდა „იოანეს მოხილვას“ და „დავითს“: „ნებითა ღმრთისათა და ბრძანებითა საქართველოს გამგის პატრონის ვახტანგისითა მე ფრიად ცოდვილმან და ყოველთა კერძოდიაკონთა უნარჩევსმან სიონთა ღვთისმშობლის დეკანოზის შვილმან გაბრიელ აღწერე

¹³ როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ბიბლიური კრებული ძველ ხელნაწერებში შედარებით იშვიათად გვხვდება. შეიძლება ასეთი იყოს ქუთაისში დაცული კიდევ ერთი ხელნაწერი: Kut.261 (XIII-XIV სს.), რომელშიც წარმოდგენილია ოთხთავი, პავლეს ეპისტოლეები, საქმე მოციქულთა, სავარაუდოდ, იყო კათოლიკე ეპისტოლეებიც, რომელიც დღეს დაკარგულია – კრებული თავბოლო-ნაკლული და ძლიერ დაზიანებულია. ქუთაისის ხელნაწერების აღწერილობა ძალიან მწირ ცნობებს იძლევა ხელნაწერების შინაარსზე, ამიტომ მისი ადგილზე შესწავლის გარეშე, ძნელი სათქმელია, რასთან გვაქვს საქმე – ახალი აღთქმის წიგნებთან თუ ლიტურგიკულ კრებულთან, რომელშიც ამ წიგნებიდან საკითხავებია შეტანილი.

¹⁴ კრებულს „აპოსტოლედ“ მოხსენიებს 1703 წელს მოსკოვში გადაწერილი ერთი ხელნაწერის გადამწერიც: „დიდება ღმერთსა ყოვლისა არაარსისა დამაარსებელსა, რომლისა ძლით სრულ ვყავ წმიდაჲ ესე წიგნი აპოსტოლე აღწერად საქართველოს ხელმწიფის კარის დეკანოზის პეტრეს შვილმან, ფრიად ცოდვილმან და ყოველთა მწერალთა უმრწემესმან კავკასიქემ დიმიტრიმ ქალაქსა დიდსა სამეფოსა მოსკოვს, მპყრობელობასა პეტრე ალექსის შვილისასა. ქორონიკონს ტყა, ნოენბერსა გასულს ით“ (H-971, 254v).

წმიდა და სულთა განმნათლებელი სახარება-სამოციქულო, იოანეს მოხილვა და დავითი ესე. უწყის უფალმან გაკრძალვით ვსწერე და თუ რამ მცდარ ვიყო, ნუ მწყევთ. გვედრები, უფალნო, მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა ძისა მეფისა ვახტანგისნი“ (A-910, გვ. 90).

ამჟამად A-909-ში სახარებები არ არის, მასში წარმოდგენილია: საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლენი, პავლეს ეპისტოლენი, იოანეს გამოცხადება; უძღვის ევთალეს სტიქომეტრია და ერთვის „ზანდუკი საწელიწდო“. გადამწერის ანდერძში დასახელებული „დავითი“ კი დაცული გვაქვს A-910 ხელნაწერში, რომელსაც ასევე ახლავს გადამწერ გაბრიელის ანდერძი¹⁵. გამოცემებში ეს ხელნაწერი გამოყენებული არ არის, ამიტომ ტექსტის რედაქციულობა დადგენილი არაა (სავარაუდოდ, გიორგი მთაწმიდლის რედაქციისა). მ. ჯანაშვილის აზრით (Джанашвили, 1908, с. 164-170), ტექსტი ახლოს დგას A-345 (იგივე S-1138) ხელნაწერთან, ანუ C რედაქციის K ნუსხასთან).

შეიძლება ახალ აღთქმას სრულად შეიცავდა XVIII საუკუნის კიდევ ერთი ხელნაწერი – H-664. აღწერილობის მიხედვით, 341-ფურცლიან ამ კოდექსში „საქმე მოციქულთას“ ტექსტი და „იოანეს გამოცხადება“ წარმოდგენილი, რომელსაც ერთვის „საძიებელი წმიდისა სამოციქულოსი“ (5r-242v – საქმე მოციქულთა; 243r-273v – გამოცხადება იოვანე მოციქულისა; 273v-333v – საძიებელი წმიდისა სამოციქულოსი (ფფ.334-341 – დაუნერელია). გვერდების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, სავარაუდოდ, „საქმე მოციქულთას“ უნდა მოსდევს ეპისტოლეებიც, რასაც გვაფიქრებინებს ისიც, რომ წიგნს ბოლოს დართული აქვს მთელი სამოციქულოს საძიებელი. გარდა ამისა, წიგნს „სამოციქულოდ“ მოიხსენიებს მისი მფლობელი ერთ-ერთ მინაწერში: „ესე სამოციქულო გრიგოლ ხარჭაშნელ ეპისკოპოსისა არის, ვისაც შემდგომად ჩემისა დაგრჩესთ, ლოცვა ყავთ ჩემთჳს“ (H-664, 333r). შესაძლებელია ეს ხელნაწერიც ახალ აღთქმის სრული კრებული ყოფილიყო.

„საქმე მოციქულთას“ ტექსტი ლიტურგიკულ კრებულებში. ასეთი კრებულებიდან უძველესია ლექციონარები – საეკლესიო კალენდრის მიხედვით განყოფილი ღვთისმსახურების განგება ძველი და ახალი აღთქმიდან აღებული საკითხავებით. მათ შორის უძველეს VII საუკუნის ხანმეტ ლექციონარში, რომელიც ფრაგმენტულადაა მოღწეული, „საქმე მოციქულთას“ საკითხავები არ შემორჩენილა. მაგრამ შემორჩენილი პავლეს ეპისტოლეების ფრაგმენტები გვაფარაუდებინებს, რომ მასში „სამოციქულოს“ სხვა წიგნების, მათ შორის, „საქმე მოციქულთას“ საკითხავებიც უნდა ყოფილიყო შეტანილი.

ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები, მათ შორის, საკითხავები „საქმე მოციქულთადან“ გვაქვს მათე საუკუნის კალის (ლაგურკის) ლექციონარში (Lk-Q-1653). ამ ხელნაწერის მიხედვით კათოლიკე ეპისტოლეების ტექსტი გამოცემულია აქვს ქ. ლორთქიფანიძეს (¶ რედაქციის L ნუსხა). კალის ლექციონარში წარმოდგენილი „საქმე მოციქულთას“ ტექსტი რედაქციულობის თვალსაზრისით შესწავლილი არ არის (არსებულ გამოცემებში კალის ლექციონარის მასალა გა-

¹⁵ A ფონდის აღწერილობის მესამე ტომში (მ. ჯანაშვილი, 1908 წ.) შესული მასალა ვრცლად აღწერილი არ არის. დადგენილი არ არის ამ ორი კრებულის (A-909 და A-910) ურთიერთმართებაც.

მოყენებული არ ყოფილა). ასევე შესასწავლია ლატალის ლექციონარში (X ს.) (L1) დაცული „საქმე მოციქულთას“ საკითხავების ტექსტი, რომელიც გამოცემული აქვს კ. დანელიას (დანელია, 1997:401-427), მაგრამ დასადგენია მისი მიმართება წინაათონურ პერიოდში არსებულ ორ რედაქციასთან („საქმე მოციქულთას“ გამოცემებში ლატალის ლექციონარის საკითხავები გამოყენებული არ არის). ასეთივე ვითარებაა XI საუკუნის პარიზის ლექციონართან დაკავშირებითაც (დანელია, 1997:156-193).

საყურადღებოა, რომ შესწავლილი არ არის ლექციონარების გვიანდელ ხელნაწერებში არსებული ვითარება, კერძოდ, დასადგენია, რომელი რედაქციისაა ძველი და ახალი აღთქმის საკითხავების იერუსალიმურ კრებულებსა Jer.Geo.59 (XII-XIII სს), Jer.Geo.66 (XIII-XIV) და XIII-XIV საუკუნეების ათონურ ლიტურგიკულ კრებულში Ivir.georg.35-ში წარმოდგენილი „საქმე მოციქულთას“ ტექსტი.

„საქმე მოციქულთას“ საკითხავები შეტანილია ისეთ ლიტურგიკულ კრებულებში, რომლებშიც შესულია მთელი წლის საკითხავები სამოციქულოდან, როგორცაა „სანელინდო სამოციქულო“/„გამოკრებული სამოციქულო“/„რიგის სამოციქულო“ (ამ ტიპის კრებულები, ძირითადად, განყოფილია კონსტანტინოპოლურ კალენდარზე). მათ შორის უძველესია XI საუკუნის „სანელინდო სამოციქულო“ ხელნაწერი O/Sin.Geo.10, რომელშიც წარმოდგენილი საკითხავების ტექსტი გიორგი მთაწმიდლის რედაქციისა და A-141, რომელიც ასევე XI საუკუნეს განეკუთვნება (მასში წარმოდგენილი ტექსტის რედაქცია დადგენილი არ არის).

ასეთივე კრებულია XII-XIII საუკუნეების ათონური ხელნაწერი Ivir.georg.80, რომელიც შეიცავს მთელი წლის საკითხავებს საქმე მოციქულთას, პავლეს ეპისტოლეების და კათოლიკე ეპისტოლეებიდან. სავარაუდოდ, გიორგისეული რედაქციის ტექსტია წარმოდგენილი უფრო გვიანდელ, XIII-XVI საუკუნეების „სანელინდო სამოციქულოებში“, „რიგის სამოციქულოში“ და „გამოკრებული სამოციქულო“ სახელით ცნობილ ლიტურგიკულ კრებულებშიც (Jer.Geo.116, A-133, Jer.Geo.76, Jer.Geo.109, A-29, A-4, Kut. 487, H-1348), XVI საუკუნის Jer.Geo.95 და XVII-XVIII საუკუნეების კრებულებში H-84, H-365, H-832, Q-625 და სხვ.

„საქმე მოციქულთას“ საკითხავები გვხვდება ისეთ შერეულ ლიტურგიკულ კრებულში, როგორცაა „გულანი“ (მაგალითად, Kut.-16 (XVII ს), A-187 (XVII-XVIII სს), Q-104-ა და Q-104-ბ (XVIII ს). შერეული კრებულებიდან, რომლებიც სხვა თხზულებებთან ერთად შეიცავს სახარებისა და სამოციქულოს საკითხავებსაც, ყურადღებას იმსახურებს სინის მთის ახალი კოლექციის რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც IX-X საუკუნეებით თარიღდება და განკუთვნილია იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკისთვის (O/Sin.Geo.53; N/Sin.Geo.26; N/Sin.Geo.31; N/Sin.Geo.54; N/Sin.Geo.58).

„საქმე მოციქულთას“ ტექსტი ეგზეგეტიკურ კრებულებში. ამ შემთხვევაში საუბარია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ „საქმე მოციქულთას თარგმანების“ ტექსტზე, რომელიც ეფრემს, როგორც ერთ-ერთ ანდერძში თავად წერს, იოანე ოქროპირის თარგმანებაზე დაყრდნობით კირილე ალექსანდრიელის მიერ შედგენილი კომპილაციური კატენური კრებულიდან გადმოუღია: „ესე საქმისა მოციქულთასა თარგმანი სიტყუა-სიტყუად მრავალთა თარგმნილთაგან შემოკრებულ არს, და სიწმოსაგან სახელები თჳს-თჳს არა ეგებოდა დაწერაჲ. ხოლო ვითარცა

ზედანარწერილი ცხად-ჰყოფს, უმრავლესი და ყოველგან წმიდისა იოვანე ოქრო-პირისაჲ არს და ადგილ-ადგილდა დაერთვის სხუათაცა წმიდათაჲ მრავალთაგან წიგნთაგან ერთად შეკრებული წმიდისა კვრილეს მიერ“ (Jer.Geo.16,3v). „სამოციქულოს“ თარგმანების ქართულად გადმოღების პროცესში ეფრემმა, ფატობრივად, ჩამოაყალიბა სამოციქულოს ახალი, მეოთხე რედაქცია, თუმცა მას ეს მიზნად არ ჰქონია. ეფრემის მიერ თარგმნილ ეგზეგეტიკურ თხზულებაში განსამარტავად აღებული მოციქულის სიტყვები („მოციქულისაჲ“) გიორგისეულია, რომელიც მთარგმნელმა, სადაც საჭიროდ მიიჩნია, „უსაკუთრესი თარგმანით“ შეცვალა, მაგრამ ცვლილება შეიტანა არა კიმენურ ნაწილში, არამედ თარგმანების ტექსტში („თარგმანში“). როგორც თავად წერს: „სადაცა თარგმანი მაიძულებდა იმუთ ცვლილებასა სიტყვასა, იგი თარგმანსა შინა იოტაჲთა და უსაკუთრესითა აღმინიშნავს ყოველსა ადგილსა“ (Jer.Geo.16, 2v; თვალთვაძე, 2009:206).

ე. ი. ეფრემს გიორგისეული ტექსტი მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩაუსწორებია. „საქმე მოციქულთას“ და კათოკილე ეპისტოლეებში ასეთი კორექტირებული ადგილები შედარებით ცოტაა,¹⁶ რასაც ვერ ვიტყვით პავლეს ეპისტოლეების ნაწილზე, სადაც ეფრემს მნიშვნელოვნად შეუცვლია გიორგისეული ტექსტი (დანელია, 1974). ოღონდ ეფრემს საკუთრივ სამოციქულოს ტექსტში არცერთი ცვლილება თავად არ შეუტანია. სიტყვებს თუ წინადადებებს, რომლებიც შეცვალა, ეფრემმა საგანგებო ნიშანი იოტა დაუსვა (ორკბილა ტეხილი ხაზი (†), რომელიც ნაწერის სვეტს მარცხენა კიდეზე ვერტიკალურად ჩამოჰყვება), რომლითაც მონიშნა ჩასწორებული ადგილები და საკუთარი ვარიანტი, ანუ მის მიერ კორექტირებული ბიბლიური ტექსტი, სიტყვებით „უსაკუთრეს ესრეთ არს“ დაიწყო. ყველა ჩასწორებული ადგილი ეფრემის მიერ არის მარკირებული და ადვილად შესამჩნევია, ნათელია, რა ენერა გიორგისეულ რედაქციაში და რა და როგორ შეცვალა ეფრემმა. შეიძლება ამის გამოც გაუადვილდათ შემდეგ მწიგნობრებს სამოციქულოს ე.წ. ეფრემის ვერსიის შექმნა, რომლებმაც არ გაითვალისწინეს მთარგმნელის თხოვნა¹⁷ და შესწორებანი განმარტებებიდან კიმენურ ტექსტში შეიტანეს. როგორც ილ. აბულაძე წერს, პირველად ასე იქ მოიქცეოდნენ, სადაც „სამოციქულოს“ ტექსტს კომენტარები ახლდა, შემდეგ კი ჩამოუშორებიათ კომენტარები და შესწორებული „სამოციქულოს“ ტექსტი ცალკე წიგნად გადმოულიათ (აბულაძე, 1950:013-014). ასე შეიქმნა სამოციქულოს ახალი რედაქცია (Θ), რომელიც ეფრემ მცირის რედაქციის სახელითაა ცნობილი, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეფრემთან ერთად მისი შემქნელები არიან ის მწიგნობრებიც, რომლებმაც ეფრემის სურვილის საწინააღმდეგოდ ჩაერივნენ მის მიერ თარგმნილ ეგზეგეტიკური თხზულების ტექსტში, ჯერ ეფრემისეული სწორებების გათვალისწინებით შეცვალეს სამოციქულოს

¹⁶ ილ. აბულაძე წერს, რომ ეფრემის მიერ შექმნილი „საქმე მოციქულთას“ რედაქცია შეიძლება არც მიგვეჩნია განსაკუთრებულ რედაქციად, რომ არ გვექონდეს მისი ანდერძი, სადაც ის ზედმინევენით აღნიშნავს მის მიერ განეული შრომას (აბულაძე, 1950:013). ამავე აზრს იმეორებს ქ. ლორთქიფანიძეც კათოლიკე ეპისტოლეებთან დაკავშირებით (ლორთქიფანიძე 1956:117), მაგრამ „პავლეს“ შემთხვევაში ეფრემ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეუტანია ეპისტოლეთა ტექსტში (დანელია, 1974).

¹⁷ „ამის პირისთვის გვედრები ყოველთა ქრისტეს მოყუარეთა, რაჲთა პავლეს შინა, გინა სხუასა სამოციქულოსა, ამათ თარგმანთაგან ცვალებული სიტყუაჲ არა ვინ ჩაჰრთოთ, არამედ უცვალებელად იჰყაროთ დიდითა მოღუანებითა თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისაჲ“ (Jer.Geo.16,2v, თვალთვაძე, 2009:206).

გიორგისეული თარგმანის ტექსტი, შემდეგ კი ამ ვრცელი ეგზეგეტიკური თხზულებიდან კიმენური ტექსტი ამოკრიბეს და მას ბიბლიური წიგნის სახე მისცეს¹⁸.

შესაბამისად, სამოციქულოს ეფრემ მცირისეული რედაქციის ტექსტის შემცველი ხელნაწერები ორი ტიპისაა: ა) ხელნაწერები, რომლებშიც გვაქვს ეფრემის მიერ თარგმნილი ეგზეგეტიკური თხზულება, რომლის კიმენური ნაწილი სამოციქულოს გიორგი მთაწმიდლისეულ ტექსტს წარმოადგენს, ეფრემის მიერ კორექტირებული ნაკითხვები კი კომენტარების ნაწილშია მოცემული. ასეთი ხელნაწერებია: Q-1158; Jer.Geo.16; Jer.Geo.9; A-390; Ivir. Georg.18. (+Sim.Geo.8); S -1172; H- 2141; S-3656; Jer.Geo.6; S-1172; S-4812-d და ბ) ხელნაწერები, რომლებშიც სამოციქულოს ეფრემის მიერ რედაქტირებული ტექსტი კომენტარების გარეშეა წარმოდგენილი (ე. ი. გვაქვს არა ეგზეგეტიკური, არამედ ბიბლიური წიგნი). ასეთია ხელნაწერები: A-137; A- 677; A-482, K-4 (K-12; G 117).

პირველი ტიპის ხელნაწერებში, რომელთაც „სამოციქულოს თარგმანების“ სახელით ვიცნობთ, „საქმე მოციქულთას თარგმანება“, ჩვეულებრივ, პავლეს ეპისტოლეთა და კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანებებთან ერთადაა წარმოდგენილი. ამგვარი შედგენილობის ეგზეგეტიკურ კრებულში (ანუ წიგნში, რომელიც შეიცავს ეფრემ მცირის თარგმნილ „სამოციქულოს თარგმანებას“ სრულად) ერთ ნაწილად წარმოდგენილია „საქმე მოციქულთას თარგმანება“ სრული სათაურით: „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, განვრცელებითა თარგმანთაგან შემოკლებული თარგმანებაჲ საქმისა მოციქულთაჲსა, რომელსა შინა იშუთ დაერთვის სხუათაცა წმიდათა თარგმანებულისაგან მოკლე ძალი სიტყჳსაჲ“. ეფრემის ეს შრომა გამოცემულია ე. კოჭლამაზაშვილის მიერ (კოჭლამაზაშვილი, 2000-2006). გამოცემაში გამოყენებულია „საქმე მოციქულთას თარგმანების“ შემცველი 4 ხელნაწერი: Jer. Geo.16 (A); Q-1158 (E); S-3656 (G); H- 1172 (K)¹⁹.

საინტერესოა, რომ ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა სხვა ტიპის ეგზეგეტიკური კრებულიც, რომელშიც „სამოციქულოს თარგმანებასთან“ ერთად შეტანილია სხვა ეგზეგეტიკური თხზულებაც. ასეთია მაგალითად: S-3656 (1809 წ.) – ეგზეგეტიკური კრებული, რომელშიც შესულია თეოფილაქტე ბულგარელის

¹⁸ კ. დანელიამ დაადგინა, რომ ეფრემის მიერ შეტანილი ყველა ცვლილება უცვლელად არ გადასულა ცალკე გამოლებულ „სამოციქულოს“ ეფრემისეულ ტექსტში. ე. ი. ეფრემისეულ რედაქციულ ცვლილებს რევიზია განუცდია სხვა რედაქტორ-შემჯერებლების ხელში. ამ რევიზიაში იგულისხმება ეფრემისეული შესწორებების მიღება-უარყოფა და არა ახალი სახის ტექსტობრივი გადაკეთება (დანელია, 1983:342-352). ეფრემის რედაქცია, მიუხედავად იმისა, რომ თარგმანის სიზუსტის თვალსაზრისით უფრო ზუსტია, ენობრივად მძიმეა, და ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ლიტურგიკულ პრაქტიკაში გიორგისეული რედაქცია დამკვიდრა და კანონიკური ტექსტის უფლება მან მოიპოვა.

¹⁹ სულ გამოყენებული 11 ხელნაწერიდან დანარჩენი 7 სამოციქულოს სხვა ნაწილების - პავლეს და კათოლიკე ეპისტოლეების თარგმანებას შეიცავს: (Jer. 9 (B); Jer.6 (C) Ath.18 (D); A-390 (F); H-2141 (H); S- 1149 (L); S - 4812 (M). არსებობს კიდევ რამდენიმე გვიანდელი ფრაგმენტული ხელნაწერი: მაგ.: A-614, 40- ფურცლიანი სხვადასხვა დაშლილი ხელნაწერებისაგან შემდგარი წიგნი, რომელშიც შედარებით მეტი ადგილი (1r-30v) უჭირავს „სამოციქულოს განმარტებას“ (თუმცა, მათ შორის „საქმე მოციქულთას“ თარგმანების ტექსტი არაა); ასეთივეა S-1149 -ა. (კოჭლამაზაშვილი, 2003:351).

„მარკოზის სახარების განმარტება“ და ეფრემ მცირის „სამოციქულოს თარგმანება“ (საქმე მოციქულთას და პავლეს ეპისტოლეთა თარგმანება). როგორც ჩანს, გადამწერს დედნად ჰქონია ძველი ხელნაწერი, ამიტომ S-3656 ხელნაწერი, გვიანდლობის მიუხედავად, სამოციქულოს ტექსტის დასადაგენად საყურადღებო ვარიანტებს გვთავაზობს²⁰.

მისგან განსხვავებით სხვაგვარი შედგენილობა უნდა ჰქონოდა ეგზეგეტიკურ კრებულს S-4812-დ (XIX ს), რომელიც დღეს დიდი ფორმატის ხელნაწერის ფრაგმენტებს შეიცავს (სულ 12 ფ.), რომელთა შორის შემორჩენილია II კორინთ.13:2-16; „უნყებაჲ მიზესა გალატელთა ეპისტოლისასა“; „თავნი გალატელთა ეპისტოლისანი“; გალატ. 1:1-16-ის თარგმანება და ექვთიმე მთაწმიდლის თარგმნილი ანდრია კესარიელის „იოანეს გამოცხადების თარგმანების“ ფრაგმენტი (შემორჩენილია გამოცხ. 6:12-13:14; გამოცხ. 22:5-21). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს დიდი ზომის ხელნაწერი პავლეს ეპისტოლეებთან ერთად „სამოციქულოს“ სხვა წიგნების განმარტებასაც შეიცავდა, ანუ წარმოადგენდა ეგზეგეტიკურ კრებულს, რომელშიც „სამოციქულოს“ და „იოანეს გამოცხადების“ განმარტება იყო ერთად წარმოდგენილი.

ცხადია, შესწავლილი 90-ზე მეტი ხელნაწერიდან ყველა ერთნაირად მნიშვნელოვანი არ არის ტექსტის დასადაგენად, თუმცა გამოვყოფთ რამდენიმეს, რომლებიც დღემდე არ ყოფილა გამოყენებული „საქმე მოციქულთას“ ტექსტის კვლევისთვის და რომელთა გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩნია „საქმე მოციქულთას“ კრიტიკული ტექსტის დასადაგენად დაგეგმილი ტექსტოლოგიური კვლევის დროს. ასეთია:

- Ivir.georg.78 – XI საუკუნის სამოციქულოს ხელნაწერი, რომელიც გადანერილია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფიდან და „საქმე მოციქულთას“ გიორგი მთაწმიდელისეული რედაქციის ტექსტის დასადაგენად ერთ-ერთი სანდო „ტექსტური მონმე“ უნდა იყოს.
- Ivir.georg.19 – XIII-XIV საუკუნეების სამოციქულოს კოდექსი, რომელშიც პავლეს ეპისტოლეები, საქმე მოციქულთა და კათოლიკე ეპისტოლეებია წარმოდგენილი. ხელნაწერში სამოციქულოს წიგნების ძველი წინაათონური ვერსიებისთვის (ab) დამახასიათებელი რიგი გვაქვს, წინასწარი დაკვირვების შედეგად ტექსტი წინაათონური b რედაქციისა უნდა იყოს.
- Ivir.georg.42 – სამოციქულოს 963-969 წლებში გადანერილი ხელნაწერი (წიგნების რიგი: პავლე, საქმე, კათოლიკე), რომელიც ილ. აბულაძის გამოცემაში გამოყენებულია b რედაქციის ნუსხად, თუმცა გამომცემელს ჰქონდა მისი მხოლოდ შავ-თეთრი ფოტოები. ამ ხელნაწერის 12 გვერდის ფოტო გამოიყენა ჟ. გარიტმაც თავის გამოცემაში. ამჟამად ხელთ გვაქვს მთელი ხელნაწერის ციფრული ფოტოები, რომლებიც ბევრად უკეთესი გარჩევადობისაა და შეიძლება ზოგი ნაკითხვის დაზუსტება მოხდეს.
- Jer.Geo.94/82 - მეათე საუკუნის 60-იანი წლების მახლობლად იმავე გადამწერის მიერ გადანუსხული კოდექსი, რომელშიც „საქმე მოციქულთას“ ტექსტი სრულად არის წარმოდგენილი. ამ ორი ხელნაწერის შედარებამ და კოლაცამ მეათე საუკუნის სხვა ნუსხებთან შეიძლება საინტერესო შედეგები მოგვცეს.

²⁰ ე. კოჭლამაზაშვილის გამოცემის G ხელნაწერი (კოჭლამაზაშვილი, 2000)

- Jer.Geo.19 – XII-XIII საუკუნეებში გადანერილი სამოციქულო, რომელიც შეიცავს სამოციქულოს სამივე წიგნს თითქმის სრულად – საქმე მოციქულთას (ინყება თ. 2:24-დან), კათოლიკე ეპისტოლეებს, პავლეს ეპისტოლეებს და ახლავს ევთალეს სტრიქომეტრიული აპარატი. არსებულ გამოცემებში ხელნაწერი გამოყენებული არ არის. რ. ბლეიკის აზრით, ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისაა, თუმცა ამ მოსაზრების ვერიფიცირება ტექსტოლოგიური კვლევებით უნდა მოხდეს. ასევე, სრული ხელნაწერია სამოციქულოსი Jer. Geo.129 (XIV-XV).
- A-482 – XVI საუკუნის „სახარება-სამოციქულო“ კრებული, რომელიც, მიუხედავად თავისი გვიანდობისა, იმსახურებას ყურადღებას (შეიცავს: საქმეებს, კათოლიკე ეპისტოლეებს, პავლეს ეპისტოლეებს და სახარებებს). ტექსტოლოგიური ანალიზით უნდა დადგენდეს, რომელი რედაქციის ტექსტია მასში წარმოდგენილი (წინასწარი ვარაუდით ტექსტი ეფრემ მცირის რედაქციისაა).
- N/Sin.Geo.9 (XI), რომელშიც შემორჩენილია მხოლოდ „საქმე მოციქულთას“ 7:23-26:3 მუხლები. არსებულ გამოცემებში (Garitte, 1955; აბულაძე, 1950) აღნიშნული ფარაგმენტი, გასაგები მიზეზების გამო, გამოყენებული არ არის. სინურ ხელნაწერთა ახალი აღწერილობის მიხედვით (სინური ხელნაწერების კატალოგი, 2005:243), ფარაგმენტის ტექსტი ძირითადად მისდევს ჟ. გარიტის გამოცემაში გამოყენებული სინური ხელნაწერების (O/Sin.Geo.58-31-60 და O/Sin.Geo.39) ტექსტს ზოგიერთი სხვაობით. დეტალური კვლევა ამ ვარაუდის სისწორეს შეამოწმებს.
- ტექსტოლოგიური კვლევისთვის აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული IX-X საუკუნეების რამდენიმე ლიტურგიკული კრებული სინის მთიდან, კერძოდ: O/Sin.Geo.53 (IX-X სს), N/Sin.Geo. 26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.54, N/Sin.Geo.26; N/Sin.Geo.31, N/Sin.Geo.58, რომლებიც სხვა თხზულებებთან ერთად შეიცავს „საქმეთა“ საკითხავებს და, მიუხედავად ფარაგმენტულობისა, საყურადღებო ტექსტური მასალის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს.
- ტექსტის კრიტიკული გამოცემისთვის მნიშვნელოვანი იქნება უძველესი ლექციონარების (სინის, კალის, ლატალის, პარიზის) და სახარება-ოთხთავის ზოგიერთ ხელნაწერზე (H-1741, O/Sin.Geo.19) დართულ განგებებში წარმოდგენილი „საქმე მოციქულთას“ საკითხავების შესწავლა.

ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1950). „საქმე მოციქულთა“ ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი.
- დანელია, კ. (1974). ახალი მასალები ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდისა და მისი რედაქციის სამოციქულოს ისტორიის შესასწავლად: „მაცნე“, ელს, №4 1974, გვ. 27-47.
- დანელია, კ. (1983). ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი.
- დანელია, კ. (1997). ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები), ტ. I, ნაწილი II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კორნელი დანელიამ, თბილისი.

- თვალთვაძე, დ. (2009). ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი.
- კოჭლამაზაშვილი, ე. (2000-2006). სამოციქულოს განმარტება, გამოკრებილი იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ე. კოჭლამაზაშვილმა, I, თბილისი, 2000, II, 2006.
- კოჭლამაზაშვილი, ე. (2003). პავლეს ეპისტოლეთა განმარტება გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვათა წმიდა მამათა თხზულებებიდან თარგმნილი ეფთვიმე მთანმიდელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი.
- ლორთქიფანიძე ე. (1956). კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები: X-XIV საუკუნის ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ, რედაქტორი ა. შანიძე. თბილისი.
- სინური ხელნაწერების კატალოგი (2005). სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზ. ალექსიძემ, მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, ათენი.
- შანიძე, ა. (1950). რედაქტორის წინასიტყვაობა წიგნისათვის „საქმე მოციქულთა“ ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი.
- ჩიტუნაშვილი, დ. (2023). პალესტინური ოთხთავისათვის დართული საბანმიდური განგება, მრავალთავი, ტ. 28, თბილისი.
- ჩიტუნაშვილი, დ. (2023,ა) X საუკუნის უცნობი გადამწერი ულუმბო - იერუსალიმი-ათონი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა II“ , 28-30 ივნისი, თბილისი
- Blake, R. (1924). Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem, Paris, Librairie Auguste Picard.
- Garitte, G. (1955). L'ancienne version géorgienne des Actes des Apôtres : d'après deux manuscrits du Sinaï. Louvain: Publications Universitaires.
- Skhirtladze, Z., Kldiashvili, D. (2022). Georgian Manuscripts Produced in Eleventh-Century in Constantinople, *Dumbarton Oaks Paper*, Volume 76.
- Джанашвили, М. Г. (1908). Описание рукописей церковного музея Духовенства Грузинской Епархии – Книга III – Издание церковного музея, №13 – Тифлисъ.
- Цагарели, А. А. (1888). Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае // ППС. Т. IV. Вып. 1(10). С. IX, Прил.: I. Каталог грузинских рукописей монастыря Святого Креста близ Иерусалима.

კვლევა შესრულებულია შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) საგრანტო პროექტის FR-21-7518 ფარგლებში.

ქეთევან მარგიანი-სუბარი
Ketevan Margiani-Subari

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ზმნისწინთა ორი ტიპი და მათი ურთიერთმიმართება
სვანურ ენაში
(სემანტიკურ-ფუნქციური ანალიზი)¹
Two Types of Preverbs and their Relationship in the Svan
Language
(semantic-functional analysis)

საკვანძო სიტყვები: პრევერბი, ფუნქცია, სემანტიკა, ელიზია, პარონომასია.
Keywords: Preverb, Function, Semantics, Elysia, Paronomasia.

¹ ნაკითხულია მოხსენებად თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ინსტიტუტში გურია კვარაცხელიას ხსოვნისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (28.06.2022).

There are two types of preverbs in the Svan language: so called “prepositions-postposition” (according to V. Topuria’s terminology): **ži, ču, sga, ka** and basic preverbs: **an-, ad-/a-, es-/as-, la-**, as well as compound preverbs derived via the combination of these two types. All the functions of the Georgian preverb (route, orientation, derivation of future tense, aspect, assigning a new meaning to the verb) are usually characteristic of both types of Svan preverbs, however, compared to Georgian, their functions are more diverse. Also, there is no complete semantic-functional similarity between the two analytical types; Their spelling is also different.

The first type (“prepositions-postposition “), although they are postpositions which are added to the stem when they occur at nouns, but in relation to verbs they are still independent lexemes: morphologically - adverbs, and from the standpoint of syntax a) they appear as adverbial modifier, b) they form a paronomasic phrase, c) in hypotaxic construction they determine the basis for subordination by adding of intensifying particle **-i** (Georgian **-c**).

The second type of preverbs (basic preverb) in Svan, like in Georgian, is added to the verb only in the anlaut and is never disconnected from it at the modern stage of language development (cf. the first type, with which tmesis is still a common occurrence even today).

The difference between these two types of verbs with preverb is manifested from informativeness standpoint, more precisely - from the quality of confirmation of information one: verbs of the first type (“prepositions-postpositions “) verbs are semantically equal to Georgian preverbal forms: in the forms of indicative mood, a narrator conveys confirmed, non-doubtful information for him/her (“will write”, “would write”...) by using these forms. The basic preverbs give the verb the nuance of less categorical, unconfirmed, probable information, where the degree of certainty of a narrator is low; In other words, these two types of verbs with preverbs are opposed to each other by the degree (/level) of confirmation of information, which directly refers to a narrator’s subjective evaluation of the implementation of an action/fact; The degree of reliability of the information from a narrator’s position is depended on which verbal form a narrator will use – with preposition or with basic preverb (or combined one). Just this so called nuance determines the syntactic function by which verbs of the second type (with basic preverb) are opposed to verbs of the first type (with preposition-postposition); For example, future with preposition - postposition ჩუანხტუო/**čwaxṭäwi** (“will draw”) is semantically equal to that of the corresponding Georgian form, in Svan it is mainly used in parataxis, and in hypotaxis, like in Georgian, a **subordinating** conjunction is obligatory with it.

Since for a narrator, the information he/she conveys is not fully confirmed, that’s why it is necessary to use auxiliary means of **albat**, “perhaps”, **šesazloa** “probably” type in a simple sentence to achieve complete compatibility during the translation of this type of verbs into Georgian.

The mentioned semantics, compared to a simple sentence, is much more pronounced in a compound construction: in the case of using the form with basic preverb, the subordinating conjunction is no longer mandatory in a hypotaxic sentence - the verb itself contains the necessary nuance (which the verbs with preposition-postposition lack, if the above-mentioned forms with **-c** particle, which, in fact, replaces **rogorc ki** “as soon as”, are not included); Cf.:

ბაზი ჩილად ჩუაშდუე ი ლყარ დეშ ხოგიჭ / bāzi čiyad čwašdue i ləqār deš xogiç
- “Tonight **it will** definitely **snow** and the roof cannot withstand it.”

ბაზი ანშდუი (/ჩუანშდუიუნე), ლყარ დეშ ხოგიჭ / bāzi anšdui (/čwanšdwiwne)
, ləqār deš xogiç - “Tonight [**if**] **it snows**, the roof cannot withstand it.”

Also, even in the case of using the subordinating conjunction (which is an additional means of hypotaxis in Svan and, in the author’s opinion, is an influence of the literary language), the prepositional form cannot replace the verb with a basic preverb in the subordinate clause, since the style will be completely violated.

Thus, both types of Svan preverbs have functions which differ from Georgian preverbs:

1. So called “prepositions-postpositions”: a) appear independently as adverbial modifiers of place, b) form a paronomasic construction, c) in the case of insertion of **i** (Geo. **c**) in the form of the particle tmesis, they create such a basis of subordination that no subordinating conjunction (often even a correlate) is needed anymore, and a compound subordination of the archaic type (asyndetic connected sentences) is resulted.

2. a) Verbal forms of the first series with basic preverbs unambiguously express the semantics of doubt-probability, in turn, in the hypotaxic construction, it determines the possibility of conjunctionless connection, since in Georgian the doubt of information or a certain condition is conveyed by means of **tu** “if”, **rom** “that”, **radgan** “because” and similar lexemes (conjunctions). In Svan, based on semantics, this function was performed by verbs with basic preverbs.

b) Unlike preverbs of the first type, the verbs with basic preverbs belong to modalized evidential (of epistemic meaning) rows.

In the author’s opinion, of the analytical preverbs the separated ones as the parts of independent speech belong to the earlier stage of the language, and the formation of basic preverbs in Svan, as well as in Georgian, should be related to the process of dynamicization of the verb, which was also followed by the expressing function of the grammatical category - evidentiality, that was formed relatively late; By this time evidentiality was developed at the morpheme level in the verbs without preverb, but since the preverb already had the ability to express this semantics, the morpheme did not move in the forms with preverbs.

სვანურ ენას მოეპოვება ზმისწინთა ორი ტიპი – ძირითადი ზმისწინებები: ან- „მო-“ ად-/ა- „ნა-“ ეს-/ას- „მი-“, ლა- „მო-/შე-/ნა-“ და ე. წ. „წინდებულ-თანდებულ-ლები“ (ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით): ჟი (ა-/ზე), ჩუ (ჩა-/ჩამო-, -და, -ში), სგა (შე-/ში), ქა (გა-/ზე, გასწვრივ). ასევე გვაქვს მათი კომბინაციის შედეგად მიღებული რთული ზმისწინებები, რომლებშიც ელიზიის საფუძველზე წინდებულ-თანდებულის ხმოვანი სრულად ან ნაწილობრივ იკვეცება: ჟ’ად- < ჟი+ად-, ჩუ’ად- < ჩუ+ად-... იმ დიალექტებში კი, რომელთაც ხმოვის სიგრძე ახასიათებთ (ბალსზე-მოური, ლაშხური), წინდებულ-თანდებულის რედუცირებული ხმოვნის საკომპენსაციოდ ძირითადი პრევერბის ხმოვანი გრძელდება: ქ’ან- < ქა + ან-, სგ’ან- < სგა + ან-... (თოფურია, 2002, გვ. 204);

მიუხედავად იმისა, რომ, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ყველა მკვლევარი (ვ. თოფურია, ზ. ჭუმბურიძე...) გამოყოფს ზმისწინიან ფორმათა

წარმოების რამდენიმე სახეს (ოდენ ძირითადპრევერბიანი, ოდენ წინდებულ-თანდებულიანი, კომბინირებულზმნისწინიანი), მათ შორის სემანტიკური ფუნქცია არავის გაუმიჯნავს.

ქართული ზმნისწინის ყველა ფუნქცია (გეზი, ორიენტაცია, მომავალი დროის წარმოება, ასპექტი, ახალი მნიშვნელობის მინიჭება ზმნისთვის), სვანური პრევერბების ორივე რიგს ჩვეულებრივ ახასიათებს, თუმცა, ქართულთან შედარებით, მათი ფუნქციები უფრო მრავალფეროვანია. ასევე, სვანურშივე არ არის სრული სემანტიკურ-ფუნქციური თანხვედრა სახეებს შორისაც; განსხვავებულია მათი დანერვილობაც.

ა. შანიძის ცნობილი დებულება: „ზმნისწინი იგივეა ზმნისთვის, რაც თანდებული სახელისთვის. ერთიცა და მეორეც დამოუკიდებელი სიტყვა იყო ერთ დროს, მაგრამ დამოუკიდებლობა დაკარგეს და შეეზარდნენ სახელს ან ზმნას“ (შანიძე, 1973, გვ. 260) - სვანურ ენაში გამართლებულია სწორედ **„წინდებულ-თანდებულებთან“** მიმართებით, რომლებიც მართლაც თანაბრად დაერთვიან ზმნასა და სახელს. ყოველგვარი ფორმოზომიერების სახეცვლილების გარეშე გვხვდებიან ზმნასთან როგორც წინდებული, სახელთან კი როგორც თანდებული; **ჟი: ბაჩუ-ჟი** „ქვაზე“ – **ჟივიდე** „ამოიტანს“, **ჩუ: ვურუ-ჩუ** „ხვრელში“ – **ჩუ-ვიდე** „ჩამოიტანს“, **სგა: დაბისგა** „ყანაში“ – **სგ'აჩა < სგა-აჩა** „შევიდა“, **ქა: შუკუქა** „გზაზე/შუკაზე“ – **ქა-ვიდე** „გამოიტანს“ და სხვ.

„წინდებულ-თანდებულები“ ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან ელიზიის საფუძველზე ხმოვნით ნაწილს კარგავენ და უხორცდებიან ფუძეს: **ჟ'აჩად** („ავიდა“), **ქ'აჩად** („გავიდა“), **სგ'აჩად** („შევიდა“), **ჩუ'აჩად** („ჩავიდა“)...; მსგავსად ძირითად პრევერბთან კომბინაციისა, ამ შემთხვევაშიც ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში მათი ხმოვნითი ნაწილი იძენს სიგრძეს: **ჟ'აჩაჩად/ჟ'აჩად, ქ'აჩაჩად/ქ'აჩად** და სხვ. თანხმოვანზე დაწყებულ ფუძეებთან კი, ტრადიციული დანერვილობით, წინდებულ-თანდებული ცალკე იწერება; ამ ელემენტთა ადგილი ზმნასთან მყარი არ არის (ერთვიან ანლაუტში, აუსლაუტში, ასევე ტმესის საფუძველზე შეუძლიათ დაშორდნენ ზმნას რამდენიმე სიტყვითაც კი); ისინი ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზეც ინარჩუნებენ ისტორიულ დამოუკიდებლობას და ხშირად გვევლინებიან ზმნიზედებად. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, დანარჩენ, ჩვეულებრივ თანდებულიან სახელებთან შედარებით, ე. წ. წინდებულ-თანდებულიანი სახელები უფრო კონკრეტულად მიუთითებენ ამა თუ იმ ადგილზე; ასე მაგალითად: **ეჯა კინჩხს ათხუიდ** („ის კისერში მოხვდა“) იმას ნიშნავს, რომ უსათუოდ შიგნით, ქვევით, სიღრმეში ხდება მოქმედება; **კინჩხჟი** აუცილებლად ზემოდან, გარედან მოხვედრაზე მიგვითითებს, მაშინ, როდესაც **კინჩხს ათხუიდ** უფრო ზოგადი მნიშვნელობისაა, დაუნაწევრებელია – „ზე“-საც შეესატყვისება და „ში“-საც (ჩანტლაძე, 1971, გვ. 132).

ძირითადი პრევერბებისგან განსხვავებით, წინდებულ-თანდებულები გამოირჩევიან სინტაქსური ფუნქციების სიმრავლით:

1. წინადადებაში დამოუკიდებლად ან სხვა წევრთან ერთად **გვხვდებიან სხვადასხვა ტიპის (ძირითადად ადგილის) გარემოებად**. წინდებულ-თანდებულთა სრულმნიშვნელობა, გამოქვეყნებულ ტექსტებთან შედარებით, რომლე-

ბიჯ გარკვეულწილად რედაქტირებულია, უკეთ ჩანს ცოცხალ მეტყველებაში; მაგალითად, კითხვა: **ჟ'ესლრიდ [ჰ]ა ჩუ?** – ქართულად შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: **ადიხართ თუ ჩადიხართ?**, მაგრამ უფრო ზუსტია: **ზევით მიდიხართ თუ ქვევით?** პასუხი კი ერთი სიტყვით შეიძლება ამოიწეროს: **ჟი!** – ზევით; ან **ჩუ** – ქვევით; ან: **ჟი მამა, ჩუ!** – ზევით არა, ქვევით; ამგვარი კონტექსტები გამონაკლისს არ წარმოადგენენ;

საანალიზო ელემენტები დამოუკიდებელ ლექსებებად დასტურდება ფრაზეოლოგიზმებშიც; მაგალითად ამპარტავან ადამიანზე იტყვიან: **ჟი დეცს ხეპლურელ ი ჩუ** - გიმს - „ზევით ცას ენიხლავება („ეპანლურება“) და ქვევით - მინას“ (ქართულში ამ გამოთქმას შეესაბამება იდიომა: „ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამინა ქალამნადაო“). ვფიქრობთ, ჩამოთვლილი მონაცემები საანალიზო ელემენტთა დამოუკიდებლობის დასტურია და პირვანდელ ვითარებას ასახავენ.

2. ყურადღების მიღმაა დარჩენილი საანალიზო მორფემათა კიდევ ერთი ფუნქცია: **პარონომაზიული კონსტრუქციების შექმნის უნარი** ზმნის პირიან ფორმებთან ერთად; როგორც ცნობილია, ქართულში პარონომაზიას უწოდებენ მოვლენას, როცა ზოგჯერ ზმნის პირიან ფორმასთან უთანდებულო მოქმედებითის ფორმით მისივე სანყისია დაკავშირებული: „ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ველარა სმენ, რა კაცები არიან?!“ (ილია ჭავჭავაძე, „კაცია ადამიანი?!“); სვანურ ენაში მსგავს გამოთქმებში, მართალია, სანყისი მოქმედებითი, ზოგჯერ ვითარებითი ბრუნვის ფორმითაც შეიძლება მონანილეობდეს, მაგრამ ეს მეტად ხელოვნურად ჟღერს და ქართულის გავლენას უფრო ჰგავს; ქართულ პარონომაზიულ გამოთქმებს სვანურში სრულად მხოლოდ წინდებულ-თანდებულთა მონანილეობით შედგენილი წინადადებები ფარავს, სადაც ეს ელემენტი დამოუკიდებლადაც არის წარმოდგენილი და ზმნასთან ერთადაც:

ჟი ჟ'ჩანდ, მარე ჩუ დეშ ანტან = „ასვლით კი ავიდა („ზევით ავიდა“), მაგრამ ვერ ჩამობრუნდა (/ქვევით ვერ დაბრუნდა)“; სიტყვა სიტყვით: „ზევით ავიდა, მაგრამ ქვევით ვერ ჩამოვიდა“;

ჟი-ი ჟ'ჩანდ ი ჩუ-ი ჩ'ანტან = „ასვლითაც ავიდა და ჩამობრუნებითაც ჩამობრუნდა“ / „კიდევაც ავიდა და კიდევაც ჩამობრუნდა“ (სიტყვასიტყვით: „ზევითაც ავიდა და ქვევითაც ჩამობრუნდა“); ეს რაც შეეხება პარონომაზიას (მარგინი-სუბარი, 2009, გვ. 152) .

3. საყურადღებოდ მიგვაჩნია წინდებულ-თანდებულთა კიდევ ერთი შესაძლებლობა - ქართული „ც“-ს ბადალი **ი** ნაწილაკის დართვის შემთხვევაში წინადადება გარდაქმნან დამოკიდებულად:

შდრ.: **ქ'ჩანდ „გავიდა“ – ქა-ი აჩანდ „როგორც კი გავიდა/გავიდა თუ არა...“** ამგვარ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში არათუ საჭირო აღარ არის მაქვემდებარებელი კავშირი, არამედ შეუთავსებელია, ვინაიდან საანალიზო ელემენტი თავად გულისხმობს ამ მნიშვნელობას: **ქანთე ქაი აჩანდ, ჰანვისგა დავით ესხვიდ** (ბქ.) – „გარეთ გავიდა [თუ არა] (/როგორც კი) გავიდა), ეზოში დავითი დახვდა“...

ამრიგად, **სგა, ჩუ, ქა, ჟი** ელემენტები, მართალია, სახელთან ფუძეს შეზრდილი თანდებულებია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ზმნასთან მიმართებით ისინი დღესაც დამოუკიდებელი ლექსებებია: მორფოლოგიურად ზმნიზედები, სინტაქსის თვალ-

საზრისით კი გვევლინებიან გარემოებად, ქმნიან პარონომიულ შესიტყვებას, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ისინი ი (ც) ნანილაკის დართვით განაპირობებენ დაქვემდებარების საფუძველს.

ძირითადი პრევერბი სვანურში, მსგავსად ქართულისა, ზმნას მხოლოდ ან-ლაუტში ერთვის და ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მისგან არასოდეს არის გათიშული (შდრ. წინდებულ-თანდებული, რომელთანაც ტმესი დღესაც ჩვეულებრივი მოვლენაა).

წინდებულ-თანდებულიან და ძირითადპრევერბიან ზმნათა შორის განსხვავება თავს იჩენს ინფორმაციულობის, უფრო ზუსტად კი – ინფორმაციის დადასტურებულობის ხარისხის თვალსაზრისითაც, რაც გულისხმობს შემდეგს: ოდენ წინდებულ-თანდებულიანი ზმნები სემანტიკურად ქართული შესაბამისი (ზმნისწინიანი) ფორმების ფარდია: თხრობითი კილოს ფორმებში, დადებით თუ უარყოფით კონტექსტში მთქმელი ამ ფორმებით გადმოსცემს მისთვის დადასტურებულ, არასაეჭვო ინფორმაციას (დანერს, დანერდა...). ხოლო ძირითადი პრევერბები ზმნას ანიჭებენ ნაკლებკატეგორიული, ბოლომდე დაუდასტურებელი, სავარაუდო ინფორმაციის ნიუანსს, სადაც მთქმელის დარწმუნებულობის ხარისხი დაბალია; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოდენ წინდებულიან-თანდებულიანი და ძირითადპრევერბიანი ზმნები ერთმანეთს უპირისპირდებიან ინფორმაციის დადასტურებულობის ხარისხის თვალსაზრისით, რაც პირდაპირ მიემართება მთქმელის მიერ მოქმედების/მოვლენის შესრულებადობის (ან შეუსრულებლობის) სუბიექტურ შეფასებას; ზმნის რომელ ფორმას გამოიყენებს მთქმელი – წინდებულიანს თუ ძირითადპრევერბიანს (ან კომბინირებულს), ამაზე დამოკიდებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხის განსაზღვრა თავად მთქმელის პოზიციიდან. ეს, ერთი შეხედვით, მხოლოდ ნიუანსად შეიძლება აღვიქვათ, მაგრამ ასე არ არის, რადგან სწორედ ეს ე. წ. ნიუანსი განაპირობებს სინტაქსურ ფუნქციას, რომლითაც ძირითადპრევერბიანი ზმნები უპირისპირდებიან ოდენ წინდებულ-თანდებულიანებს; მაგალითად, წინდებულიან-თანდებულიანი მყოფადი **ჩუახტაჭუი** („დახატავს“) სემანტიკურად ქართულის შესაბამის ფორმას ფარავს, სვანურში ის ძირითადად თანწყობის შემთხვევაში გამოიყენება, ქვეწყობისას კი, ქართულის მსგავსად, მასთან ერთად **სავალდებულოა** მაქვემდებარებელი კავშირი. რაც შეეხება ძირითადპრევერბიან მყოფადს (აღხატუი(ნე)/ჩუადხატუი/ჩუადხატუისგ), ამ ფორმების გამოყენებით მთქმელი ნაკლებკატეგორიულია, მისი დარწმუნების ხარისხი შედარებით დაბალია, ფაქტობრივად, ის შეზღუდულად, თუმცა მაინც უშვებს შესაძლებლობას, რომ მოქმედება შეიძლება არც შესრულდეს („შესაძლოა დახატოს“) (მარგიანი და სხვ., 2019, გვ.143-148); კიდევ უფრო გამოკვეთილია ეს ნიუანსი წარსულ დროებში (ცხადია, გარდა აორისტისა). ვინაიდან მთქმელისთვის ინფორმაცია, რომელსაც გადმოსცემს, სრულად დადასტურებული არ არის, ამიტომაც ამ ტიპის ზმნების გადმოქართულებისას სრული თანხვედრის მისაღწევად მარტივ წინადადებაში საჭირო ხდება „აღბათ“, „შესაძლოა“ ტიპის დამხმარე საშუალებების გამოყენება.

აღნიშნული სემანტიკა, მარტივ წინადადებასთან შედარებით, ბევრად გამოკვეთილია რთულ კონსტრუქციაში: ძირითადპრევერბიანი ფორმების გამოყენე-

ბის შემთხვევაში ჰიპოტაქსურ წინადადებაში სავალდებულო აღარაა მაქვემდებარებელი კავშირი - საჭირო ნიუანსს თავად ზმნა შეიცავს (რასაც მოკლებულია წინდებულიან-თანდებულიანი ზმნა, თუ არ ჩავთვლით ზემოთ ხსენებულ ც'ნაწილაკდართულ ფორმებს, რაც, ფაქტობრივად, „როგორც კი“-ს ანაცვლებს); შდრ.:

ბზი ჩნლად ჩუშდუე ი ლყნარ დემ ხოგიჭ - „ამაღამ აუცილებლად მოთოვს და ყავარი ვერ გაუძლებს“.

ბზი ანშდუი (ჩუანშდუი), ლყნარ დემ ხოგიჭ - „ამაღამ [თუ] მოთოვს (ჩამოთოვს), ყავარი ვერ გაუძლებს“;

ასევე, თუნდაც მაქვემდებარებელი კავშირის გამოყენების შემთხვევაში (რაც დამატებითი საშუალებაა დაქვემდებარებისთვის და, ჩვენი აზრით, სალიტერატურო ენის გავლენაა), ოდენ წინდებულიანი ფორმა ვერ ჩაენაცვლება ძირითადპრევერბიან ზმნას დამოკიდებულ წინადადებაში, ვინაიდან სრულებით დაირღვევა სტილი.

როგორც ვხედავთ, როგორც კი კატეგორიული ტონი შევცვალეთ და წინდებულიანი ზმნა ძირითადპრევერბიანით ჩავანაცვლეთ, ბუნებრივად გადაკეთდა თანწყობილი წინადადება ქვენწყობილად ისე, რომ დამატებით მაქვემდებარებელი კავშირი არ გამოგვიყენებია.

ამრიგად, სვანურ ზმნისწინთა ორივე ტიპთან დასტურდება ქართული ზმნისწინებისგან განსხვავებული ფუნქციები:

1. ე. წ. „წინდებულ-თანდებულები“ ა) დამოუკლებლად გვევლინებიან ადგილის გარემოებად. ბ). ქმნიან პარონომაზიულ კონსტრუქციას. გ). ტმესის სახით ი (ქართ. „ც“) ნაწილაკის ჩართვის შემთხვევაში ქმნიან დაქვემდებარების იმგვარ საფუძველს, როცა აღარ არის საჭირო მაქვემდებარებელი კავშირი (ხშირად კორელატიც) და შედეგად ვიღებთ არქაული ტიპის რთულ ქვენწყობას (ასიდენტურად დაკავშირებულ წინადადებებს).

ვფიქრობთ, „წინდებულ-თანდებულების“ ჩამოთვლილი ფუნქციების ანალიზი ცხადყოფს, რომ, ქართულისგან განსხვავებით, სვანურში ისინი მხოლოდ „ოდესლაც დამოუკიდებელი სიტყვები“ (ა. შანიძე) კი არ არიან, არამედ ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზეც ასახავენ არქაულ ვითარებას.

2. ა) ძირითადი პრევერბიანი პირველი სერიის ზმნური ფორმები ერთმნიშვნელოვნად გამოხატავენ საეჭვოობა-სავარაუდოობის სემანტიკას, მთქმელის დარწმუნებულობის დაბალ ხარისხს, რაც, თავის მხრივ, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში განაპირობებს უკავშირო შეერთების შესაძლებლობას, ვინაიდან ინფორმაციის საეჭვოობას ან გარკვეულ პირობას ქართულში სწორედაც თუ, რომ, რადგან... და მსგავსი ლექსემები (კავშირები) ემსახურებიან. სვანურში კი ამ ფუნქციას, მათი სემანტიკის გათვალისწინებით, ძირითადპრევერბიანი ზმნები ითავსებენ.

ბ) ოდენ წინდებულ-თანდებულიანთაგან განსხვავებით, ძირითადპრევერბიანი ზმნები, მათი სემანტიკის გათვალისწინებით, მოდალიზებულ ევიდენციალურ (ეპისტემიკური მნიშვნელობის) მწკრივებს განეკუთვნებიან.

საანალიზო ზმნისწინთაგან, ჩვენი აზრით, ენის უფრო ადრინდელი ეტაპის კუთვნილებაა წინდებულ-თანდებულები, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილები, ხოლო ძირითადი პრევერბების ჩამოყალიბება სვანურში, ისევე, როგორც ქართულში, უნდა უკავშირდებოდეს ზმნის გადინამიკურების პროცესს,

რასაც თან მოჰყვა ასევე შედარებით გვიან ჩამოყალიბებული გრამატიკული კატეგორიის, ევიდენციულობის გამოხატვის ფუნქციაც, თუმცა, ეს უკანასკნელი უპრევერბო ზმნებში მორფემის დონეზე განვითარდა, მაგრამ რადგან პრევერბს უკვე ჰქონდა ამ სემანტიკის გამოხატვის შესაძლებლობა, მორფემა პრევერბიან ფორმებში აღარ გადმოსულა.

ლიტერატურა:

- თოფურია, ვ. (2002). შრომები, II, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- მარგიანი-სუბარი, ქ. (2009). ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბილისი: გამომცემლობა „მნიგნობარი“.
- მარგიანი, ქ., ქურდაძე, რ., ლომია, მ. (2019). ევიდენციულობის კატეგორია ქართველურ ენებში, თბილისი: გამომცემლობა „პეტიტი“.
- შანიძე, ა. (1973). ქართული გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, I, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ჩანტლაძე, ი. (1971). საზოგადო და გეოგრაფიულ სახელთაგან მომდინარე ადგილის ზმნისართები სვანურში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 27-37, თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

დამანა მელიქიშვილი
Damana Melikishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციის
პრინციპებისათვის
On the Principles of Classification of Conjugated Georgian
Verb Forms

საკვანძო სიტყვები: დიათეზა, გვარი, ქართული ენა, ზმნა, დამანა მელიქიშვილი,
აკაკი შანიძე

Keywords: Diathesis, Voice, Georgian Language, Verb, Damana Melikishvili, Akaki Shanidze

I. INTRODUCTION

We distinguish three types of diatheses; each of them groups verbs with the same morphological structure and syntactic construction.

Diathesis is a grammatically marked category defined by the combination of (morphological) structure and (syntactic) construction. Its semantic subcategory is voice. Voice can not be considered a grammatically marked category of the Georgian verb since the grammatical characteristics of the three semantically marked voices (autoactive [reflexive], [direct and indirect transitive] active, and passive) are shared and distributed in the three diathesis: namely, autoactive (reflexive) and active verbs with ergative construction have the same structure (**R-Ø**); while passive verbs with nominative construction, as well as active verbs containing an indirect object, and autoactive verbs – they all share the same structure (**R-ი**). Synthetic forms derived through conversion do not always depict passive semantics. This is why the new independent periphrastic form (consisting of the past objective participle + ‘იქმნა’ auxiliary verb) has been developed: it prevented polysemy and explicitly expressed passive meaning. This historically secondary form (formally distinguished from autoactive and active forms) cannot be typologically attributed to the diatheses so that the diatheses represent the primary system of the Kartvelian verb.

II. MORPHOLOGICAL STRUCTURE AND SYNTACTIC CONSTRUCTION

As shown in the chart below, we use grammatical (morphosyntactic) criteria for verb classification, namely: morphological structure and syntactic construction, as the basis for grouping Georgian verbs into conjugation types.

1st diathesis Structure: [R] + Ø; [R-th.suf.] + Ø; [R-ე/ი] + Ø; Construction: nominative - ergative - dative			
Autoactive (Reflexive-introvertive)		Active (Conveys process of action)	
Primary Structure	Derived Structure	Primary Structure	Derived Structure
[R]-Ø [R]-[ე/ი]- Ø	Ø-/ი-/უ-/ა-[R-th.suf.]-Ø [R-ე/ი]- Ø	[R-th.suf.]-Ø [R-ე/ი]- Ø	Ø/ი/უ/ა-[R-th.suf.]-Ø Ø/ი/უ/ა-[Rე/ი]-Ø
Incomplete (monopersonal) construction		Complete (bipersonal) construction	
Series I: მე/ის _{nom} ვ-ტრიალ-ებ/ტრიალ-ებ-ს Series II: მან _{erg} ვ-ი-ტრიალ-ე/ი-ტრიალ-ა Series III: მას _{dat} მ-ი-ტრიალი-ა/-ტრიალი-ა		Series I: ის _{nom} მას _{dat} ა-ტრიალ-ებ-ს Series II: მან _{erg} ის _{nom} ა-ტრიალ-ა Series III: მას _{dat} ის _{nom} უ-ტრიალ-ებ-ი-ა	

Incomplete (bipersonal) construction	Complete (trivalent// tripersonal) construction
Series I: მე/ის _{nom} მას _{dat} ვ-უ-ყურ-ებ Series II: მან _{erg} მას _{dat} ვ-უ-ყურ-ე/უყურ-ა Series III: მე/მას _{dat} მის _{gen} -თვის მ-ი-ყურ-ებ-ი-ა/უ-ყურ-ებ-ი-ა მ-ე-ყურ-ებ(ინ-)/ა-ე-ყურ-ებ-ი(ნ-) მ-ე-ყურ-ებ-ი(ნ)-ო-ს/ე-ყურ-ებ-ი(ნ)-ა	Series I: ის _{nom} მას _{dat} მას _{dat} უ-ტრიალ-ებს Series II: მან _{erg} ის _{nom} მას _{dat} (და-) უ-ტრიალ-ა Series III: მას _{dat} ის _{nom} მის _{gen} -თვის (და-) უ-ტრიალ-ებს-ი-ა და-ე-ტრიალ-ებს-ი(ნ)-ა და-ე-ტრიალ-ებს-ი(ნ)-ო-ს

2 nd diathesis			
Structure: [R] +ი; [R-th.suf.] +ი.			
Construction: nominative			
Stative (Neutral with regard to voice)		Dynamic (Active, Autoactive, Passive)	
Structure	Incomplete (monopersonal) construction	Structure	Complete (monopersonal) construction
∅/ა-/უ-[R]-ი	ვ-ნატ-ი-ვარ ნატ-ი-ნარ ნატ-ი-ა	∅-[R-th.s.]-ი ა-[R-th.s.]-ი ∅-უ-[R-დ-th.s.]-ი ი-ე-[R-th.s. (ებ)]-ი	Series I: მე/ის _{nom} ვ-ი-მალ-ებს-ი/ი-მალ-ება Series II: მე/ის _{nom} და-ვ-ი-მალ-ე/და-ი-მალ-ა Series III: და-ვ-მალ-ულ-ვარ და-ვ-მალ-ულ-იყავ და-ვ-მალ-ულ-იყო
Complete (bipersonal) construction		Complete (bipersonal) construction	
Series I: ის _{nom} მ-ი-ნატ-ი-ა/ გ-ი-ნატ-ი-ა/უ-ნატ-ი-ა Series II: ის _{nom} მ-ე-ნატ-ა/გ-ე-ნატ-ა/ ე-ნატ-ა Series III: ის _{nom} მ-ნატ-ებს-ი-ა/ გ-ნატ-ებს-ი-ა/ჰ-ნატ-ებს-ი-ა		Series I: მე/ის _{nom} მას _{dat} ვ-ე-მალ-ებს-ი/ე-მალ-ებს-ა; Series II: მე/ის _{nom} მას _{dat} და-ვ-ე-მალ-ე-ა Series III: მე/ის _{nom} მას _{dat} და-ვ-მალ-ვ-ოდ-ი/ დამალვოდა	

3 rd diathesis	
Stative (affective) (Expresses mental state)	Dynamic (Expresses mental or physical state)
Primary Structure	Derived Structure
∅/ა/ი/უ-[R]-∅ მ-ი-ყვარ-ს/უ-ყვარ-ს; მ-ი-კვირ-ს/უ-კვირ-ს; შე-მ-ი-ძლი-ა/შე-უ-ძლ-ი-ა	∅/ა/უ-[R-th.s.-ებს]-∅ ე-[R-th.s.-ებს]-ი ∅/ა/უ-[R-დ-th.s.-ებს]-ი

Primary Structure; Bipersonal Construction	
Series I: მე/მას _{dat} ის _{nom} მ-ი-ყვარ-ს/უყვარს Series II: მას _{dat} ის _{nom} შე-მ-ი-ყვარდ-ა/შე-უ-ყვარდ-ა Series III: მას _{dat} ის _{nom} მყვარებია/ჰყვარებია	
Derived Structure; Monopersonal Construction	Derived Structure; Bipersonal Construction
მაკანკალებს მე/აკანკალებს მას	Series I: მე/მას _{dat} ის _{nom} მენატრება/ენატრება Series II: მე/მას _{dat} ის _{nom} მომენატრა/ მოენატრა Series III: მე/მას _{dat} ის _{nom} მო-მ-ნატრებ-ი-ა/მო-ნატრე-ბ-ი-ა

The theme (stem) of the Georgian verb is mainly based on the two following structures:

I. R+Ø, R[ე/ი]+Ø, R-[th.suf.]+Ø, R[Ø/ე]-[th.suf.]+Ø, R-[th.suf.]+Ø: ნუხ-ს (worries) > ა-ნუხ-ებ-ს (makes him/her/it worried); გორ-ავ-ს (rolls about) > ა-გორ-ებ-ს (makes him/her/it roll about); ტრიალ-ებ-ს (spins) > ა-ტრიალ-ებ-ს (makes him/her/it spin), კანკალ-ებ-ს (trembles) > ა-კანკალ-ებ-ს (makes him/her/it tremble); მეფ-ობ-ს (rules) > ა-მეფ-ებ-ს (makes him/her/it rule); ცხოვრ-ობ-ს (lives) > ა-ცხოვრ-ებ-ს (lets him/her it live).

II. R+ი, R-[th.suf.]+ი: ხატ-ი-ხარ შენ – ხატ-ი-ა ის (you are painted - it is painted) - იმალ-ებ-ი შენ – ემალ-ებ-ი შენ მას (you are hiding - you are hiding from him); თბ-ებ-ი (you become warm), თეთრ-დ-ებ-ი (you are being bleached).

I. As a rule, the variable construction (case-variable subject: nominative – ergative – dative) is characteristic of the verbs of the first diathesis which consists of two subgroups. These subgroups are then distinguished by the presence or absence of a direct object.

1) The subject of verbs of the first subgroup is active but it does not have a direct object, a potential recipient of the action. Or, more precisely, they contain direct object, namely, themselves, i.e. their subject is self-acting – autoactive. Shanidze considers them as the verbs of the middle voice, medioactive subgroup. But, in the definition of the category of voice, there is no basis for differentiating middle voice. Chikobava considers these verbs voiceless stative forms. However, they hold a transitional position between absolute stativity and the process of action; expressing the state of physical or mental activity (კანკალებს (he/she trembles), კივის (he/she screams), გირის (he/she cries), ნუხს (he/she worries)). This can be graphically expressed as a circular motion (unlike absolute stativity which on its part can be expressed by a point): the action of such verbs emanates from and terminates at the same point, i.e. it returns to the self-acting person (subject). In short, these verbs have a reflexive semantic, the object of their action is the same as the subject, and the action is directed inward, toward the centre. Accordingly, they use an appropriate marker, the prefix ი- which we consider the marker of reflexivity within the monopersonal construction (in this case, it is not the marker borrowed from the subjective version of active forms. In French, this same function is fulfilled by the reflexive pronouns, whereas in Russian – by the suffix that

has developed from the reflexive pronoun via its grammaticalization (себя (self) > -ся). In the construction with the direct object though, the same prefix *ი-* implements the function of subjective orientation. As mentioned above, the autoactives do not have a direct object, although a direct object can still appear in such verbs: გიგლა სწავლობს უნივერსიტეტში (Gigla studies at the university) but: გიგლა სწავლობს გაკვეთილს (Gigla studies the lesson); გიგლა კარგად ხატავს, კარგად წერს... (Gigla paints/writes well), but: გიგლა ხატავს პორტრეტს, წერს ლექსს... (Gigla paints a portrait/composes a poem). The verbal forms of such complete construction forms the second subgroup.

2) Unlike the first subgroup, the verbs of the second subgroup are direct transitives, and they express the process of action; their subject is also active, but unlike the first subgroup, they have a direct object towards which the action is directed. Their construction is also variable; the cases for the subject are: nominative, ergative, and dative; the cases for the direct object are: dative and nominative; and the case for the indirect object is dative throughout.

Thus, **subgroup I**, where verbs are grouped according to their theme and construction, constitutes the **first diathesis** which consists of the incomplete and complete construction. The first subgroup expresses the state of action and thus, has stative meaning. The second subgroup, on the other hand, expresses the process of action and has dynamic meaning. The first one is primary and generates the second subgroup verbs in terms of both structure and construction (კანკალებს ის (he trembles) > ა-კანკალებს ის მას (he makes it tremble), ცხოვრობს ის (he lives) > ა-ცხოვრებს ის მას (he lets her/him/it live)). This group can be named the diathesis with ergative construction.

In terms of voice, the monoperosonal (monovalent) verbs of the first subgroup are reflexive, autoactive, intransitive (კანკალებს ის (he trembles), წუხს ის (he worries), იძინებს ის (he falls asleep), იძახის ის (he says)), while bipersonal verbs of the same group are indirect transitive (ხედავს ის მას (he sees him) – შეხედა მან მას (he looked at her)). As for the verbs of the second subgroup, they are active, and in terms of transitivity, they are direct transitive.

Subgroup II, which also combines verbs with the same structure and construction constitutes the **second diathesis**. Like the first diathesis, it consists of subgroups of incomplete and complete construction – the first one is stative while the second one is dynamic. Here as well, the first subgroup is the basis for the second subgroup in terms of both, structure and construction (გდი-ხარ (you are lying about) > უგდიხარ შენ მას (you are lying about for him/her)). The verbs of this structure do not have a direct object – their construction is stable: in all three series, the subject is in nominative case while an indirect object is in dative case.

These verbs can be called ‘indirect transitives’. This is a group of nominative construction.

In terms of voice, verbs of the first subgroup of this diathesis are neutral while verbs of the second subgroup can be either autoactive, active/indirect transitive, or passive according to the active or passive mood of their subject. Considering the universal definition of voice, (according to which a verb is passive if its subject is not active but is a recipient of the action), the structures R-ი, and R-ებ-ი are not necessarily passive: about 350 ე- and ა-prefixed verbs have an active subject (ელაპარაკება ის მას (he talks to him/her/it); ეჩხუბება ის მას (he quarrels with her); ეჯიბრება ის მას (he competes with her)), approximately 100 ი-prefixed so-called ‘deponent verbs’ are autoactives (reflexives), also ი-/ე-prefixed

ones are conversive autoactives and they as well have an active subject (ბავშვი იმალება (the child hides (himself)), ემალება ბავშვი დედას (the child hides from his mother)). Furthermore, თბება-type and -დ-suffixed denominative dynamic verbs are semantically autoactives. Regarding passive semantics, basically, only the R-ებ-ი structure verbs with inanimate subject are associated with it (see Melikishvili, 2001, pp. 61-70; 2002, pp. 3-15; Paradigms # 10(44), 11(45), 12(46), 14(48), 15(49), 16(50)).

Subgroup III, which consists of dative-construction and mixed-structure verbs, constitutes the **third diathesis**. This diathesis could be called ‘dative’ since the subject of verbs included in it is invariably in dative.

In the third diathesis (like in the first and second diatheses) two subgroups can be distinguished: the first subgroup consists of primary verbs with an archaic construction and structure. They have stative meaning and express an emotional state; their subject experiences a certain emotional state (მიყვარს მე ის – უყვარს მას ის (he loves (her)), მძულს მე ის – სძულს მას ის (he hates (it)), მიჭირს მე ის – უჭირს მას (ის) (he has difficulties (with it)).

It was exactly this archaic dative construction of these verbs that turned out to be the derivational model for the realization of the potential of the Georgian polypersonal verb forms. Namely, via inversion of dynamic verbs (both first diathesis, (ა-R-ებ) causative structure and second diathesis, (R-ებ-ი) structure verbs) a new, second subgroup of the verbs (having the subject with lack of volition and undergoing a certain non-material, emotional activity) was produced (აკანკალებს შიში/სიცივე მას (fear, cold makes him tremble) > აკანკალებს მას (შიშისაგან/სიცივისაგან) (=ვკანკალებ მე შიშისაგან/სიცივისაგან) (he trembles (involuntarily) from fear/cold); ანატრებს ის მას მას (it makes him miss her/it) > ენატრება მას ის (he misses (involuntarily) her/it)...¹.

It is precisely the subject’s lack of volition that distinguishes such verbs having identical structures but different constructions: ვ-ამცხიკვებ მე/ა-მცხიკვებ-ს ის (he/she sneezes) > მ-ამცხიკვებს მე/ამცხიკვებს მას (he/she sneezes (involuntarily)), ვ-ახველებ მე/ახველებს ის (he/she coughs) > მ-ახველებს მე/ახველებს მას (he/she cough (involuntarily)). Furthermore, by the analogy of verbs of the first diathesis, this process is extended to verbs of the second diathesis: ემოქნარება მას (he/she feels like yawning), ემცხიკვება მას (he/she feels like sneezing), მეხველება მე/ეხველება მას (he/she feels like coughing). Thus, a whole new system with great generative potential is created (See Melikishvili, 2001, pp. 344-346, Third Diathesis, Paradigms #7(59) - #14(66)).

At this stage, we will not discuss the issue regarding the inversion of the third series forms of the first diathesis (See D. Melikishvili, 2001, pp. 19-31), instead, we will only mention that inversion imparted the content of involuntary or non-witnessed actions of these verbs. This happened due to the fact that after acquiring dynamic content (> დამინერია, დამიგდია (I have (apparently) written/thrown it down)), the person in dative of the stative verbs type მინერია, მიგდია ის მე (it is written/it lies about for me) can be understood as the

¹ I think that there is no need to explain how the ‘forcing’ person, i. e. the ‘initiator’ in the causative form became submerged in the consciousness (of the speaker) and how, instead, the person that was before ‘undergoing’ a specific action (e.g. was made to tremble), i.e. was performing a specific action through somebody’s force or influence, was reinterpreted as the subject.

subject, and, accordingly, here **მ**-type prefixes acquired the function of the subject markers. Historically, these **მ**-type prefixes are the subject markers of archaic formation in affective verbs (where the subject undergoes some emotional activity).

Thus, involuntary semantics in the third series (as well as, in general, throughout the whole conjugation system of the Georgian verb) is related to the **მ**-type prefixes, i.e. to the markers of the person in dative case (the person that is functionally the subject *ვ-იხსენებ მე მას* (I (try to) remember it/him/her) – *მ-ახსენდება მე ის* (I involuntarily remember it/him/her); *ვ-იგვიანებ მე* (I am late (on purpose) – *მ-ავვიანდება მე* (I am running late (against my will)); *ვ-იცინი მე* (I laugh) – *მ-ეცინება მე* (I laugh (involuntarily)); *ვ-იღიმები მე* (I smile) – *მ-ეღიმება მე* (I smile (involuntarily)); *ვიღვიძებ მე* (I wake up) – *მეღვიძება მე* (I wake up (involuntarily)); *ვტირი მე* (I cry) – *მეტირება მე* (I feel like crying), *ვნანობ მე* (მას) (I regret it) – *მენანება მე ის* (I feel sorry for it/him/her), *ვნატრობ მე მას* (I dream about it/him/her) – *მენატრება მე ის* (I miss it/him/her (involuntarily)), *ვიფხან მე ხელს* (I scratch hand) – *მეფხანება მე ხელი* (I feel itching in hand)).

When describing verbs morphologically (especially when working on languages by mechanical means, such as a computer), it is obviously not appropriate to use the logical terms and notions: this is a methodological issue of principle, to the analysis of which Chikobava's seminal work on syntax – 'The Problem of the Simple Sentence in Georgian' (1928; 1968) is devoted.² It is also obvious that the interrelationship of the person and case markers has not changed throughout the history of the Georgian language, i.e. the formal system remains invariable (the **ვ**- the type markers are still associated with nominative and ergative cases, while the **მ**- type markers – with dative and nominative cases), although in the evolutionary process of the Georgian simple sentence, the direct correspondence between the semantics and the morphological elements was destroyed, i.e. the functional orientation markers of the person has changed³ (i.e. inversion took place in the third series forms of the first diathesis of both subgroups, as well as in the second subgroup of third diathesis).

CONCLUSION

If we compare the charts of 'series' and 'diatheses', we discover an interesting regularity which is not accidental but only substantiates the accuracy of the two classifications: basically, both classifications have the same criterion: each series, as well as each diathesis, is characterized by the combination of morphological structure and syntactic construction.

² It is well known that, because of the fact that the Georgian verb's logical subject and object do not always correspond to the real subject and object, Chikobava introduced the syntactic terms and notions, such as: 'coordination' and 'coordinates', which help us describe the structures and mechanisms of the Georgian clause with precision. However, in the process of formal analysis the usage of the term 'actant' is considered more convenient (See Datukishvili, 'The System of the Person Markers in Georgian', Collected articles dedicated to Zurab Chumburidze's 70th anniversary, Tbilisi, 1997, pp. 63). We also consider the usage of the 'term' actant reasonable when necessary (Melikishvili, 'The Conjugation System of the Georgian Verb', Tbilisi, 2001, pp.19), although, (because of its active content), it may be misleading; that's why we still prefer to use the syntactic terms offered by Chikobava ('major coordinate', 'minor coordinate'), which adequately express the syntactical mechanism of the Georgian verb.

³ See Melikishvili, 2001, pp. 19, 31.

Furthermore, forms of the third series, as well as the ones of the third diathesis, have dative construction and mixed structure: namely, the third series is based on the first and second series theme and was developed at a later stage from voiceless stative verbs (e.g. *მ-ი-გდ-ი-ე, მ-ი-ნერ-ი-ე*) through the process of inversion. Likewise, forms of the third diathesis of the second subgroup have been developed through inversion of mixed-structure verbs (e.g., *მაკანკალებს, მახველებს, მეძინება, მეღვიძება...*).

*„ყოველი საიდუმლოა ამას ენასა შინა დამარხულ არს“
ოვანე ზოსიმე*

1. ენათმეცნიერების დარგებს შორის გრამატიკა ერთადერთი დარგია, რომლის შესწავლის საგანი სიტყვის ფორმაა – სტრუქტურები და კონსტრუქციები.

2. ქართული მრავალპირიანი ზმნის 15.000 ზმნური ფორმისა და 9.000 ფუძის მორფოსინტაქსური ანალიზის შედეგად გამოვლინდა ქართული ზმნის ორი ძირითადი სტრუქტურა:

I დიათეზა: [R-(th.suf.)-0] (აშენ-ებ-0; ა-თბ-ობ-0; მალ-ავ-0)

II დიათეზა: [R-(th.suf.)-ი] (თბ-ებ-ი, ი-/ე-მალ-ებ-ი).

ორივე სტრუქტურის ზმნები შინაარსით აქტივებია.

3. I დიათეზის [R-(th.suf.)-0] სტრუქტურის ზმნები ნ. მარისა და ა. შანიძის „სერიების“ გრამატიკულ სისტემაში ცვალებად კონსტრუქციას გვიჩვენებენ: ა) სუბიექტი I სერიაში სახელობით ბრუნვაშია, II სერიაში – მოთხრობით ბრუნვაში; III სერიაში კი – მიცემითი; ბ) პირდაპირი ობიექტი I სერიაში მიცემით ბრუნვაშია, II და III სერიაში – სახელობითი; გ) ირიბი ობიექტი I და II სერიაში მიცემით ბრუნვაშია, III სერიაში კი – თანდებულის ნათესაობითი: (უ-)ხატავს ის მას მას – და(უ-)ხატა მან მას ის – დაუხატავს მას ის (მისთვის)).

სუბიექტის ნიშანი I და II სერიაში ვ-ს რიგისაა, III სერიაში კი – მ-ს რიგისა.

4. II დიათეზის [R-(th.suf.)-ი] სტრუქტურის ზმნების კონსტრუქცია უცვლელია: სუბიექტი სამივე სერიაში სახელობითია, ხოლო ირიბი ობიექტი – მიცემითი (ვეჩხუბებ-ი მე მას, ეჩხუბებ-ა – ნა-ეჩხუბ-ა – ნა-ს-ჩხუბ-ებ-ი-ა ის მას; ვ-უჯავრდ-ებ-ი მე მას, უჯავრდებ-ა – გაუჯავრდა – გასჯავრებია ის მას).

5. III დიათეზის სუბიექტი „განმცდელი“, „ინაქტიური“ სუბიექტია. ეს დიათეზა კონსტრუქციის ერთიანობის მიხედვით გამოიყოფა: „განმცდელი“, „ინაქტიური“ სუბიექტი სამივე სერიაში მიცემით ბრუნვაშია.

III დიათეზა სტრუქტურის მიხედვით ორ ქვეჯგუფად იყოფა:

I ჯგუფში ერთიანდება მ-ი/გ-ი-ყვარ-ს/უ-/ყვარს მე/შენ/მას ტიპის ზმნები.

II ჯგუფში განსხვავებული სტრუქტურის მიხედვით, თავის მხრივ, ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

I ქვეჯგუფის ფორმები მიღებულია I დიათეზის [R-0] სტრუქტურის სამ-პირიანი ზმნის კონვერსიის (მაკაუზირებელი პირის დაკარგვის, დეკაუზაციის) შედეგად, ანუ მიიღება II დიათეზის [R-ი] ორპირიანი ზმნა სუსტი, განმცდელი სუბიექტით, რომლის ფუნქციას, შესაბამისად, *მ*-ს რიგის პრეფიქსი ასრულებს: 1)

მ-/გ-ა-ნატრებს ის მე/შენ/ მას; > მ-/გ-ე-ნატრება მე შენ/ის; მ-ა-ჯავრებს ის მე მას > მ-ე-ჯავრება მე ის.

II ქვეჯგუფის ფორმები ასევე, მიღებულია მაკაუზირებელი პირის დაკარგვით: I დიათეზის სტრუქტურის ორპირიანი ზმნის კონვერსიის, დეკაუზაციის გზით მიიღება ერთპირიანი ფორმა სუსტი, განმცდელი (ე.წ. „ინაქტიური“) სუბიექტით, რომლის პრეფიქსი ასევე, მ-ს რიგისაა: მ-ა-გ-ა-ცახცახებ-ს, მ-/გ-ა-ჟრიალებს, მ-/გ-ა-კანკალებს (მე/შენ/ მას – ის) > მაცახცახებს, მაჟრიალებს, მაკანკალებს მე შიშისაგან, სიცივისაგან უნებლიედ).

6. ამგვარად, I და II სერიაში ზმნები აქტიურსუბიექტიანია, III სერიაში კი – ინაქტიურსუბიექტიანია. ასევე, I და II დიათეზის ზმნები აქტიურსუბიექტიანია, III დიათეზის ზმნების სუბიექტი კი – სუსტი, ინაქტიური შინაარსისაა.

7. მრავალპირიან ზმნას აუცილებლად ესაჭიროება პირთა მიმართების საორიენტაციო პრეფიქსები (ა-, ე-, ი-, უ-).

I დიათეზის [R-(th.suf.)-0] სტრუქტურაში სამივე პირთან მიმართებას ა-პრეფიქსი აჩვენებს: ვ-ა-ლაპარაკებ, ა-ლაპარაკებ, ა-ლაპარაკებს; მ-ა-ლაპარაკებს, გ-ა-ლაპარაკებს, ა-ლაპარაკებს; ვ-ა-ჯავრებ, ა-ჯავრებ, ა-ჯავრებს; მ-ა-ჯავრებს, გ-ა-ჯავრებს, ა-ჯავრებს;

II დიათეზის [R-(th.suf.)-ი] სტრუქტურაში ამავე მიმართებას სამივე პირთან ე-პრეფიქსი აჩვენებს: ვ-ე-ლაპარაკები/ე-ლაპარაკები/ე-ლაპარაკება; მ-ე-ლაპარაკებს/გ-ე-ლაპარაკებს/ე-ლაპარაკება; ვ-ე-ჯავრები/ე-ჯავრები/ე-ჯავრება მას მე/შენ/ის); მ-ე-ჯავრება/გ-ე-ჯავრება/ე-ჯავრება მე/შენ/მას ის; მოსაუბრე I და II პირებს შორის მიმართებას ორივე დიათეზაში ი-პრეფიქსი აჩვენებს, ხოლო არამოსაუბრე III პირთან მიმართებაზე უ-პრეფიქსი მიუთითებს: მი-ხატ-ავ-ს, მი-შენ-ებ-ს იგი მე მას (სახლს); მ-/გ-ი-შენ-დ-ებ-ა მე/შენ სახლი, მაგრამ: უ-შენ-ებ-ს იგი მას მას (სახლს); უ-შენ-დ-ებ-ა მას სახლი.

მინდა გავიხსენო იოანე პეტრინის პროკლე დიადოხოსის „ღვთისმეტყველების საფუძვლების“ თარგმანის ბოლოსიტყვაობა, რომელიც, სამწუხაროდ, დაზიანებული და ნაკლულია (იხ. H-1337), მაგრამ მთავარი სათქმელი მაინც შემორჩენილია: ესაა სამების საიდუმლოების გაცხადება გეომეტრიული ფიგურის – სამკუთხედის – მეშვეობით, სამკუთხედისა, რომელიც ნებისმიერი გეომეტრიული ფიგურის საფუძველთა საფუძველია. იოანე პეტრინი ამ საფუძველს უმატებს ქართული სიმღერა-გალობის სამხმოვანების საიდუმლოს, მე კი დღეს წარმოვადგინე ქართული სამპირიანი ზმნის სტრუქტურების – სამი დიათეზისა და სამი სერიის – სისტემა, რომელიც ქართული ხასიათისა და აზროვნების ნაყოფია. ქართული მრავალპირიანი (სამპირიანი) ზმნის მორფოსინტაქსური სისტემა ქართული ფსიქოლოგიური ტიპის, ბუნებისა და გონების შექმნილია.

ქართული ზმნის ფორმათა ცვალების სამი სერიისა და სამი დიათეზის გაერთიანებული სქემა ნათლად აჩვენებს ქართული სამპირიანი ზმნის უღლების მწყობრ, ლოგიკურად გამართულ სისტემას, რომელიც შექმნილია ქართული ბუნებისა და ხასიათის მქონე მოაზროვნე კოლექტივის მიერ. ამ სისტემაში ზმნური ფორმით მარკირებულია არა მხოლოდ სუბიექტი, არამედ ობიექტიც: ქართული ზმნის შემქმნელი კოლექტივის ცნობიერებაში სუბიექტისათვის მნიშვნელოვანია ობიექტიც, რომელიც მას შემოჰყავს თავის სივრცეში საკუთარი ნიშნით.

დიათეზებისა და სერიების გაერთიანებული სქემა:

I დიათეზა		II დიათეზა		III დიათეზა	
I ქვეჯგუფი ავტოაქტივი	II ქვეჯგუფი აქტივი	I ქვეჯგუფი	II ქვეჯგუფი	I ქვეჯგუფი	II ქვეჯგუფი
I სერია - თამაშობს ის (ნომინატიური) II სერია - ითამაშა მან (ერგატიული) III სერია უთამაშია (დატიური) მას	I სერია - ხატავს (ნომინატიური) II სერია - დახატა (ერგატიული) III სერია - დაუხატავს (დატიური) ის	I სერია - იმალება (ნომინატიური) II სერია - დაიმალა (ნომინატიური) ის III სერია დამალულა (ნომინატიური) ის	I სერია - ემალება (ნომინატიური) II სერია - დაემალა (ნომინატიური) III სერია - დამალვია (ნომინატიური) ის მას	I სერია - უყვარს / (დატიური) II სერია - შეუყვარდა (დატიური) III სერია - შეჰყვარებია (დატიური) მას	I სერია - ენატრება (დატიური) II სერია - მოენატრა (დატიური) III სერია - მონატრებია (დატიური) მას
<p>I დიათეზის ზმნებს ცვალებადი კონსტრუქცია აქვთ.</p> <p>სუბიექტის ბრუნვებია: სახ., მოთხრ., მიც.: I სერიაში – ნომინატიური; II-ში – ერგატიული, III-ში – დატიური; ტრიალებს ის – იტრიალა მან – უტრიალია მას. ვ/ასენებ/ს მე/შენ/ის მას – ააშენა მან ის – აუშენებია მას ის;</p>		<p>II დიათეზის ზმნებს სამივე სერიაში ნომინატიური კონსტრუქცია აქვთ.</p> <p>სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვამია: იმალება, ტრიალდება ის – დაიმალა, მოტრიალდა ის – დამალულა, მოტრიალებულა ის – ემალება ის მას – დაემალა ის მას – დამალვია ის მას</p>		<p>III დიათეზის ზმნებს სამივე სერიაში დატიური კონსტრუქცია აქვთ.</p> <p>სუბიექტური პირის ნიშანი ყველგან მ-ს რიგისაა (მ-/გ-/0) ამ ზმნების სუბიექტი განმცდელია, „ინაქტიურია“: მ/გ/ს-ცივა მე /შენ/ მას; შე-მ-/გ-/ს-/ცივდა მე/შენ/მას; შე-მ-/გ-/ს-/ცივნია მე/შენ/მას; მ-/გ-/0-ენატრება მე/ შენ/მას ის; მო-მ-/გ-/0-ენატრა, მო-მ-/გ-/0-ნატრებია მე/შენ/ მას ის; მ-ი/გ-ი/0-უყვარს; შე-მ/გ/ი/უყვარდა-შე-მ-/გ-/ჰ-ყვარებია მე/შენ/მას ის</p>	

დასკვნები

I. ქართული ზმნა მორფოლოგიურად **მ-** და **ვ-** ს რიგის პირის ნიშნების მონაცვლეობის საშუალებით განარჩევს ნებელობა-უნებლობის ლოგიკურ კატეგორიას: ერთი მხრივ, რეალურად, მატერიალურად მოქმედი, აქტიურსუბიექტიანი ზმნის ფორმასა და მეორე მხრივ, სულიერი და მენტალური მდგომარეობა-მოქმედების ზმნების ფორმებს.

მატერიალური, რეალური მოქმედების ზმნის სუბიექტის ნიშანი **ვ-**ს რიგისაა, ხოლო წარსულში მომხდარი (და გახსენებით აღდგენილი), სულიერი მოქმედება-მდგომარეობის გამომხატველი სუბიექტისა კი – **მ-**ს რიგისა.

II. მესამე სერია ინაქტიური სუბიექტის ფორმების სერიაა. მოქმედების სუბიექტი იხსენებს ან უარყოფს ფაქტს: *(თურმე) მ-ითქვამს, გა-მ-იკეთებია, დამიხატავს* (და არ მახსოვდა); უარყოფს მოქმედების ფაქტს: *არ მ-ითქვამს, არ გამიკეთებია, არ დამიხატავს...*

III. მესამე დიათეზა მთლიანად ინაქტიური სუბიექტის ჯგუფია, გუნება-განწყობის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი. შესაბამისად, – სუბიექტის მარკერი **მ-**ს რიგისაა. გრძნობა-აღქმის გამომხატველი და მენტალური შინაარსის ზმნებია: *მ-ეშინია – მ-რცხვენია – მ-სურს – მ-ინდა* (ძვ. მ-ინებს), *მ-გონია, მ-იყვარს; მ-იჭირს, მ-ენატრება, მ-ეჩვენება; მ-აკანკალებს, მ-ახველებს...*

IV. ამგვარად, **ვ-მ-** რიგის პრეფიქსები გარკვეული კანონზომიერებით ენაცვლებიან ერთმანეთს: კერძოდ, **ვ-** პრეფიქსი აქტიური სუბიექტის ნიშანია I დიათეზის I და II სერიებში; III სერიაში კი – განმცდელი, სულიერი მოქმედება-მდგომარეობის გამომხატველი, ინაქტიური სუბიექტის ნიშანი არის **მ-**: *ვ-ხატავ და-ვ-ხატე; ვ-ა-კეთებ – გა-ვ-აკეთე; ვ-ჭამ – შე-ვ-ჭამე – ნებელობა*; მაგრამ: *და-მ-იხატავს, გა-მ-იკეთებია, შე-მ-იჭამია... (თურმე) – უნებლობა*.

აღმოჩნდა, რომ ქართული ზმნის სტრუქტურების საფუძველი არის რიცხვი 3, რომელიც ნებისმიერი გეომეტრიული ფიგურის საფუძველია.

ამგვარად, ქართული ზმნის ფორმათა სტრუქტურული ანალიზის საშუალებით ირკვევა, რომ ზმნურ ხმოვანპრეფიქსთა **გრამატიკული** ფუნქცია პირთა შორის უთიერთმიმართების გამოხატვაა, ხოლო ე.წ. „გვარი“ და „ქცევა“ კონტექსტუალური მნიშვნელობის **სემანტიკური** კატეგორიებია.

ლიტერატურა:

მელიქიშვილი, დ. (2001). ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.

Melikishvili, D., Humphries, J. D., Kupunia, M. (2008). The Georgian Verb: A Morphosyntactic Analysis, Hyattsville, MD: Dunwoody Press.

სალომე ოშიაძე
Salome Omiadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ბრძანებითის ზმნურ ფორმათა შესახებ
ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნში
On the Imperative Verb Forms in Prince Bagrat's Cookery
Book

საკვანძო სიტყვები: კულინარიული რეცეპტი, საინსტრუქციო დისკურსი, აქტიური ზმნები, წართქმითი ბრძანებითის ფორმები.
Keywords: culinary recipe, instructive discourse, action verbs, affirmative imperative verb-forms.

Prince Bagrat's cookery book was published in the Georgian language in St. Petersburg in 1818. This book, which is a collection of cooking recipes, embraces instructive texts. Since, in the majority of cases, the directions of cooking express the action to be performed, the text under analysis abounds in affirmative imperative forms of action verbs addressed to the second person singular.

Taking into account the period in which the collection was published, it is not surprising that the book contains diverse examples of language norms. This diversity is also notable in the formation of the second person imperative. The text contains parallel forms peculiar of both Old and New Georgian: unmarked and marked forms of the Simple Past, i.e. the forms where the marker *ი* /i/ does not function (დააჭერ /daacher/– დააჭერი /daacheri/ (cut)). Out of these forms, the unmarked forms are more dominant; forms with endings -ევ /-ev/ and -ე /-e/ (ჩააგდევ /chaagdev/ / ჩააგდე /chaagde/ (drop)); past forms with suffix -ივ /-iv/ (derived from the present tense suffix -ევ /-ev/ – ევ /ev/ > ივ /iv/); forms with both preserved and lost *ვ* /v/ (არჩევ /archev/ – დაარჩივე /daarchive/ / დაარჩიე /daarchie/ (sort out)). Verbs with base-marker -ობ /-ob/, which have preserved the stem consonant *ვ* /v/ in the New Georgian, are found in the text under analysis without the consonant *ვ* /v/ (აცხობ /atskhob/ – გამოაცხე /gamoatskhe/ (bake), აწყობ /atskob/ – ჩააწყე /chaatske/ (put), cf. New Georgian: აცხობ /atskhob/ – გამოაცხვე /gamoatskhve/ (bake), აწყობ /atskob/ – ჩააწყვე /cahaatskve/ (put). The subject and object person markers are used non-systematically and excessively.

Almost all the recipes in Prince Bagrat's collection are of the same structure and usually start with the verb „მოიღე“ /moighe/ (take), which is always given in the singular form like other instructive verbs. In Barbare Jorjadze's cookery book, the texts of recipes start in diverse ways, but the verb „მოღება“ /mogheba/ (take) is also frequent there. However, in Jorjadze's book, this verb is given in the plural form „მოიღეთ“ /moighet/ (take), and is sometimes replaced by the verb „აიღეთ“ /aighet/ (take). Other imperative verbs in Barbare Jorjadze's book are also given in the plural form. The verb „მოღება“ /mogheba/ had numerous meanings in Old Georgian (bring, get, take, deprive of, take off/skim). In contemporary Georgian, this verb is found only in set expressions: „ბოლოს მოღება“ /bolos mogheba/ (to put an end to something) and „მონყალების მოღება“ /motskalebis mogheba/ (give alms). In the culinary discourse of the 19th century, the verb მოღება /mogheba/ means “to take”. Prince Bagrat's collection of recipes was published 56 years later than Barbare Jorjadze's book. It is undoubtedly interesting to compare these books not only with reference to the imperative forms but also in numerous other aspects, since they represent two important sources of the linguocultural data of the 19th century.

ბაგრატ ბატონიშვილის წიგნში, რომელიც 1818 წელს პეტერბურგში ქართულ ენაზე გამოიცა, რუსულის გზით შემოტანილი, ქართულს მორგებული ევროპული სამზარეულოა წარმოდგენილი. აღნიშნული წიგნი, როგორც კულინარიულ რეცეპტთა კრებული, საინსტრუქციო ხასიათის ტექსტებს აერთიანებს. სწორედ საინსტრუქციო ხასიათმა განაპირობა ის, რომ ლათინური წარმომავლობის საერთაშორისო სიტყვა რეცეპტმა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ სამედიცინო

ნო სფეროში გამოიყენებოდა, მოხმარების არე გაიფართოვა და გასტრონომიულ დისკურსშიც დაიმკვიდრა ადგილი – სამედიცინო რეცეპტი წამლის დამზადება-მიღების წესებს განსაზღვრავს, კულინარიული რეცეპტი კი საჭმლის მომზადებისათვის საჭირო მითითებებს გვანვდის. რადგან მითითება უმეტეს შემთხვევაში ზმნით გადმოცემულ მოქმედებას შესასრულებლად სახავს, ჩვენს საანალიზო ტექსტშიც აქტიურ ზმნათა წართქმითი ბრძანებითი ფორმები ქარბობს, რომლებიც მხოლოდით რიცხვში მდგომ მეორე პირს მიემართება.

ძველ ქართულში II ბრძანებითი მეორე პირის ფორმები სუბიექტური პირის ნიშნის უქონლობით უპირისპირდებოდნენ სათანადო წყვეტილის ფორმებს, რომელთა ფუძესაც ეყრდნობოდნენ. ახალი ქართული კი, რომელსაც ბრძანებითი კილოს საკუთარი მწკრივი არ მოეპოვება, წართქმითი ბრძანებითი მეორე პირისათვის ასევე წყვეტილის ფორმებს იყენებს და ასევე უნიშნოდ, თუმცა ამ უნიშნობას განსხვავებული საფუძველი აქვს – მეორე სუბიექტური პირის ნიშანი თხრობითი კილოს ფორმებთან ახალ ქართულში თითქმის არ იხმარება. ამდენად, ბრძანებითი ფორმას მეორე სუბიექტური პირის ნიშანი არ უნდა ჰქონდეს. არ უნდა ჰქონდეს ნიშანი სახელობითში მდგომ მესამე ობიექტურ პირსაც მხოლოდით რიცხვში როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში. ჩვენი საანალიზო მასალა კი განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს – **ჰ-** / **ს-** პრეფიქსები გამოიყენება ორპირიან გარდამავალ ზმნებში: დაჰკიდე / შეჰკიდე / ჩაჰკიდე, გაჰქენ, დაჰყარე, დასდგი, გასწურე / გარდასწურე ... დასტურდება **ჰ-** და **ს-** პრეფიქსების კონტამინირებით მიღებული **ჰს-** პრეფიქსის ხმარების შემთხვევებიც: დაჰსჭერ, გაჰსწურე, შეჰსდევე / დაჰსდევე, გაჰსტენე და მისთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დამონმებულ ზმნათაგან ზოგიერთს პარალელური უნიშნო ფორმაც ეძებნება, ზოგჯერ ძალიან ახლოსაც – იმავე რეცეპტის ფარგლებში: „ამოიღე და დადევი სინზედა, და ზედ დაასხი ცოტა ღვინო და ცოტა მარილიც მოაყარე, და დაჰსდევი საცერზედ რომ დაინრიტოს“ (ბატონიშვილი, 1818, გვ. 100). შეგვხვდა **ს-**ს გაორმაგების მაგალითიც: „მუჟე კომში ესოდენივე ... დასსჭერ ანუ დაჩეჩქე და ჩაყარე ამას შინა“ (გვ. 133). შეწყვილებული **ჰს-** უკუთქმითი ბრძანებითი გამოხატვისასაც დასტურდება: „ნუ გაჰსჭრი“, გვხვდება სხვა მაგალითებშიც: სამპირიან ზმნებში – „გაათბე ეს წვენი და აჭამე, ესე დიახ საუცხოვო არის, სუსტის ავანტყოფისათვის და მიჰსცემს, დიდ ყუათს“ (გვ. 5), აბსოლუტურ-სტატიკური (ტერმინის შესახებ იხ. მელიქიშვილი, 2014, გვ. 26-27) ერთპირიანი ზმნის ანმყოში: **ჰსწერია** და სხვ.

კრებულის შექმნის დროის გათვალისწინებით, ნორმირების ერთგვარი სურათი მოსალოდნელი არც იყო. დამონმებულ სიჭრელეს ზედმიწევნით ესადაგება აკაკი შანიძის მოსაზრება, რომელიც მან ანტონ კათალიკოსის გრამატიკული სკოლის შეფასებისას გამოთქვა: „კათალიკოსისთვის ამ პრეფიქსს (ცალად **ჰ-**ს, ტყუბად **ჰს-**ს) წმინდა მორფოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს: მისთვის იგი არც S_2 -ია და არც O_3 , არამედ რაღაც სამკაული, რომელიც საჭიროა ზმნის ფორმაში აკუსტიკური შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. თუ არა ასე, სხვაგვარად ვერ ავხსნით მას კათალიკოსის მიერ ნახმარ ზმნის ფორმებსა და სახელებში“ (შანიძე, 1981, გვ. 221). ამგვარადვე უნდა აიხსნას ბაგრატ ბატონიშვილის მიერ გამოყენებული შემდეგი ფორმებიც: **ჰსწენებული**, **მჰსგავსი**.

განსახილველ ზმნათა დაბოლოებას რაც შეეხება, წყვეტილის წარმოების ყველა ტიპის ნიმუშები დადასტურდა. უნიშნო ტიპი, რომელიც მხოლოდითის ფორმებში ნორმა იყო ძველი ქართულისათვის და ახალ ქართულში თითქმის არ გვხვდება (შეიძლება შეგვხვდეს მხატვრულ დისკურსსა და იშვიათად ზეპირ მეტყველებაში, კერძოდ, ბრძანებით წინადადებაში, ისიც სტილიზაციისთვის, იუ-მორითა თუ ირონიით), ჩვენს საანალიზო მასალაში შემდეგი ფორმებით არის წარმოდგენილი: **გაფცქვენ, დასსჭერ, დაჰსჭერ, დააჭერ, ჩააჭერ, გაუჭერ, გააკარ, მოაკარ, დაჰკარ, მიეც, უყავ, გაჰქენ** და მისთ. ჩამოთვლილი ზმნები ახალ ქართულში ნართაულ -ი-ს გვიჩვენებენ და ადასტურებენ კანონზომიერებას: „თუ საყრდენი მორფემა არის მარცვლოვანი და ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის ფორმებში კარგავს ხმოვანს, ზმნური ფორმა დაირთავს -ი ელემენტს, რომელიც თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან“ (გოგოლაშვილი, 2010, გვ. 360).

ბევრად ნაკლები ზმნა შეგვხვდა ი დაბოლოებით, მაგალითისთვის მოვიყვანთ **სხმა** ზმნის სხვადასხვა ზმნისწინიან ფორმებს: „მერე დაჰსჭერ და ზედ გარდაასხი სოუსი რომელიც გენებოს“ (გვ. 53); „ზედ დაასხი ერთი სტაქანი სქელი წვენი ჯორცისა“ (გვ. 54); „ერბოში ფქვილი ჩაყარე ცოტაოდნათ მოხრაკე ცეცხლზე, და ჩაასხი ამაშივე“ (გვ. 3). ნართაული ი-ს დათარიღებასთან დაკავშირებულ მსჯელობაში ზ. სარჯველაძე იმონებს კონტექსტს X საუკუნის ხელნაწერიდან („წმინდათა ცხორებანი“), რომელშიც იმავე ზმნის „შთა“-ზმნისწინიანი II ბრძანებითის ფორმა ი დაბოლოებით არის დადასტურებული, იქვე ი დაბოლოებითვეა წარმოდგენილი „მიეცი“ ფორმაც: „ჰრქუა წმიდამან სკმონ: მიიღე მტყუერისაგან და შთაასხი წყალსა და მიეცი იგი ყრმასა“ (სარჯველაძე, 1984, გვ. 441). მეცნიერი აღნიშნავს, რომ ნართაული ი სალიტერატურო ენის ძეგლებში IX საუკუნიდან გვხვდება და გამოთქვამს ვარაუდს, რომ იგი ცოცხალ მეტყველებაში უფრო ადრე, VII-VIII საუკუნეებში უნდა არსებულიყო.

სიხშირით ყველას ე-სუფიქსიანი წარმოების მაგალითები სჭარბობს. მათ შორის გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებსაც წყვეტილის ნიშნად -ე სუფიქსის თავდაპირველი სახე -ევ მოუდით. ეს არის ზმნები, რომლებიც წყვეტილში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ო-ს გვიჩვენებენ: დაალბევ, ანრთევ, დადევ / დაჰსდევ / შეჰსდევ, მოამხევ და სხვ. აღნიშნული ჯგუფის რამდენიმე ზმნა ორივე დაბოლოებით დავადასტურეთ: ჩააგდევ / ჩააგდე, დაანყევ / დაანყე, ჩაანყევ / ჩაანყე, ჩაურჭევ / ჩაურჭე. „ჩადევ“ ფორმის თანხმოვანმოკვეცილი ვარიანტი ტექსტში არ ჩანს, ერთგან კი მისი ნართაულხმოვნისანი სახეობა გვხვდება (ვიმონებთ დედნის პუნქტუაციით): „ბრინჯი და ქიშმიში ერთათ მოხარშე, აურივე ცოტა თაფლი ზემოჰსხენებულს ცომსავით გააკეთე ჩადევი ესე, და გამოაცხე, კარგი ფიროგი იქმნება“ (გვ. 14-15). დავდევი || დავდე ტიპის პარალელურ ფორმათა შესახებ მსჯელობს გ. გოგოლაშვილი და აღნიშნავს, რომ დებს ზმნის წყვეტილის მესამე პირის ფორმების – დადვა || დადო – გვერდით, რომლებიც ქართული ენის განმარტებითა და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში კანონზომიერ, თანაბარუფლებიან ფორმებად არის წარმოდგენილი, ასევე წყვილად უნდა დასტურდებოდეს პირველი და მეორე პირის ფორმებიც: დავდევი || დავდე, დადევი || დადე; „ქართული ენის განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში, სამწუხაროდ,

სუბიექტური I და II პირის პარალელური ფორმები არაა წარმოდგენილი, საჭიროებას კი ვგრძნობთ“ (გოგოლაშვილი, 2010, გვ. 387).

დამონმებულ შენიშვნას, ჩვენი მხრივ, დავამატებთ, რომ კორპუსულ მონაცემებზე დაყრდნობითა და თანამედროვე ბეჭდური მედიის ენაზე საკუთარი დაკვირვებით, მესამე სუბიექტური პირის ფორმად **დადვა** თითქმის აღარ იხმარება, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან **დადო** იფართოებს გამოყენების არეს და, შეიძლება ითქვას, დღეისათვის გაბატონებული ფორმაა. რაც შეეხება I და II პირის პარალელურ ფორმებს, მართალია, ე-სუფიქსიანები (დავდე, დადე) გაცილებით მაღალი სიხშირით გამოიჩინებიან, თუმცა არც -ევ(ი) დაბოლოების მქონე ფორმებს (დავდევი, დადევი) დაუკარგავთ ასპარეზი. ამდენად, საჭიროება მართლაც არის და, ზემოთქმულიდან გამომდინარე, უფრო აქტუალურიც გახლავთ პირველ და მეორე პირთა პარალელური ფორმების შესახებ ენის მატარებელთა ინფორმირება. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ორთოგრაფიულ ლექსიკონში II პირის პარალელური ფორმები წარმოდგენილია, მაგრამ წარმოდგენილია როგორც ბრძანებითის ფორმები და არა წყვეტილისა: „**დადე ბრძან. || დადევი**] (დადებს)“ (თოფურია, გიგინეიშვილი, 1998, გვ. 208). ეს კი არასპეციალისტს, რომელსაც არ სმენია ბრძანებითისა და წყვეტილის ფორმათა მიმართების შესახებ, ვერ დაეხმარება პასუხის მიღებაში, მით უფრო, რომ წყვეტილის ფორმებთან თითოეულის მხოლოდ ერთი (ახალი ქართულისათვის უპირატესი) ვარიანტი დასტურდება: „**დადებს, დადო || დადვა], (დავდე, დადე); დადოს || დადვას]; დაუდვია**“ (იქვე). ორთოგრაფიულ ლექსიკონში სამივე პირის პარალელურ ფორმათა წარმოდგენით თვალსაჩინო გახდებოდა ძველ და ახალ პარადიგმათა თანაარსებობაცა და თითოეული პარადიგმის ფარგლებში ფორმათა ურთიერთმიმართებაც: **დავდე** [|| დავდევი], **დადე** [|| დავდევი], **დადო** [|| დადვა].

ე-ზე დაბოლოებულ ფორმათა შორის გამოიყო რამდენიმე -ობ-თემისნიშნისანი ზმნა, რომლებსაც მეორე სუბიექტური პირის ბრძანებითის (წყვეტილის) ფორმებში ფუძისეული ვ თანხმოვანი არ უდასტურდება – **ჩაანყე**: „**ამოიღე და ჩაანყე ჭურჭელში**“ (გვ. 29), **დაანყე**: „**დაანყე თეფშზედ, და ზედ დაასხი სოუსი**“ (გვ. 55), **მოანყე**: „**ზედ მოანყე ნუმის გული მოხარშული და დაყოფილი ნახევრად**“ (გვ. 88), **გამოაცხე**: „**ისე გამოაცხე, ვითარცა ზემო წერილ არს**“ (გვ. 14), **ჩაურჭე**: „**მოიღე და დახვრიტე ხორცი შიგ ჩაურჭე ღორის ღორის ქონი**“ (გვ. 57). დამონმებული ფორმები დღესაც შეიძლება შეგვხვდეს, თუმცა არანორმატიულად შეფასდება, რადგან თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, ფუძისეული ვ უნდა შენარჩუნდეს „**ნამყო ძირითადის მხოლოდობითი რიცხვის I და II პირის და მრავლობითი რიცხვის ყველა პირის ფორმებში იმ ზმნებში, რომლებიც თურმეობით პირველში (კითხვაზე: რა უქნია?) ვ ბგერას წარმოგვიდგენენ ფუძეში**“ (ნორმები, 1986, გვ. 15).

უმეტესად არქაულ ვითარებას გვიჩვენებენ -ევ-სუფიქსიანი ფუძედრეკადი ზმნები. ამ ზმნათა წყვეტილის ფორმებში **-ევ** სუფიქსს **-ივ** ენაცვლება ისე, რომ, ძველი ქართული ენის ტექსტების მსგავსად (შთააბნივე, შეანყუდივე, შეაძლივე და მისთ.) **ვ** თანხმოვანი შენახულია: **არჩევ – გაარჩივე**: „**ის დანარჩომი ჯორცი, ამოიღე გაარჩივე ძვალთაგან და დანაყე ქუფთასავით**“ (გვ. 5); **ურევ – აურივე**,

ურივე: „ამაში **აურივე** მწუანილი და ადულე ცეცხლზედა და **ურივე**“ (გვ. 47); ახ-ვევ – გაახვივე: „ამოილე კოვზით და **გაახვივე** ამ გათხელებულს ცომში“ (გვ. 14); ამტვრევ – დაამტვრივე: „**დაამტვრივე** წვრილად შაქარი“ და მისთ. მეორე სერიის ფორმებში -ევ სუფიქსის ხმოვანნაცვალის -ივ სრულად არის დაცული ქართული ენის დიალექტებსა და XIX საუკუნის მწერალთა ენაშიც: „მენ შვიდის საქმე ავრი-ვეო და ახლა მივდივარ მერვეზე, ისიც უნდა ავრივეო“ (მთიულურ-გუდამაყრული), „გააკრა-გამოაკრა ეშვები და დაამტვრივა ქვაბი“ (შიგნიკახური), „ესები აა-რჩივა, ესები დაარჩივა“ (ფერეიდნული), „ერთი ჩანთა ოქრო მაგათი მონაგროვი ჩამოვიტანე, აილე და ჩასტივე ჰაბგაშიო!“ (ჯავახური)... (ქდკ); ილიასთან ვხვდებით: „ხელი დამიქნივა“, „აიქნივა სადავენი“, „გაიქნივა თავი“, „გამოეუწნივე ყელი“, „უნდა მოენვივა“, „თამამად შეეუტივე“, ვაჟასთან: „რად არ ირჩივა სიკვდილი“, „ნეტავი მეც კლდედ მაქცივა“ და მისთ. მაგალითების გაზრდა შეიძლება როგორც სხვა დიალექტებიდან, ასევე სხვა მწერალთა ტექსტებიდანაც.

აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“, მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლებაზე მსჯელობისას (157-ე პარაგრაფში „თემის ნიშანი ევ“) ვკითხულობთ: „ეს ევ მოუდის ორ ზმნას, რომელთაც იგი ჩამოშორდება II სერიის მწკრივებში. ეს არის ვა-კურთხ-ევ – ვაკურთხ-ე, ა-კურთხ-ე, ა-კურთხა და ვსძლე – ვსძლე, სძლე, სძლ-ო. სხვა ზმნები ხმოვან-მონაცვლეა: ევ გადაჰყვებათ II სერიის ფორმებში, მაგრამ ივ-ის სახით, თანაც ამ ივ-ისაგან მარტო ი რჩება, რადგანაც ივა, ივე, ივო, ჯგუფებში ვ იკარგება“ (შანიძე, 1976, გვ. 88). ვ-დაკარგული ფორმები ჩვენს საანალიზო ტექსტებშიც შეგვხვდა, თუმცა ბევრად ნაკლები, ვიდრე ვ-შენახული: „მოილე ტრედი გაყვლიფე და გაახვიე ვაზის ფოთოლში“ (გვ. 54), „კვერცხები დაამტვრიე“ (გვ. 70), „მოილე ნახევარ-გირვანქა კარგი ნაბლი, დაარჩიე და გაახმე ცოტად“ (გვ. 75).

ბაგრატ ბატონიშვილის კრებულში თითქმის ყველა რეცეპტი საერთო სტრუქტურისაა და იწყება ზმნით **მოილე**, რომელიც ყოველთვის მხოლოდითი რიცხვის ფორმით გამოიყენება ისევე, როგორც სხვა საინსტრუქციო ზმნები. განსხვავებული ვითარებაა ბარბარე ჯორჯაძის სამზარეულოს ნიგნში, რომელშიც რეცეპტთა ტექსტებს სხვადასხვაგვარი სტრუქტურა აქვთ. **მოლება** ზმნა იქაც ხშირად გვხვდება, მაგრამ მრავლობითი რიცხვის ფორმა **მოილეთ** ჭარბობს, რომელსაც ზოგ შემთხვევაში **აილეთ** ენაცვლება. ბრძანებითის სხვა ზმნებიც ბარბარესთან უმეტესად მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი. **მოლება** ზმნა ძველ ქართულში მრავალი მნიშვნელობით დასტურდება (მოტანა; მილება, ალება; წართმევა; მოხდა). თანამედროვე ქართულში მო-ზმნისწინიანი ფორმა მხოლოდ მყარ გამოთქმებში იხმარება, ესენია: „ბოლოს მოლება“ და „მონყალების მოლება“. XIX საუკუნის კულინარიულ დისკურსში **მოლების** მნიშვნელობა 'აღება': „**მოილე** იხვი და დაჰსჭერ წვრილათა ჩააგდე ცოტა ერბო და მოხრაკე, ანუ შეწვი“ (ბატონიშვილი, 1818, გვ. 45); „**მოილეთ** ორი გირვანქა ხორცი, ძალიან წმინდათ დაკეპეთ, გირვანქა ნახევარი ხახვი თან დააკეპეთ“ (ჯორჯაძე, 1874, გვ. 24). ჩვენს საანალიზო კრებულსა და ბარბარე ჯორჯაძის სამზარეულოს ნიგნს შორის 56 წელია სხვაობა. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მათი შედარება არა მხოლოდ ბრძანებითის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით, არამედ ბევრი სხვა ასპექტითაც – როგორც XIX საუკუნის ლინგვოკულტურულ ცნობათა წყაროებისა.

ლიტერატურა:

- ბაგრატი ბატონიშვილი (1818). ნიგნი შესამზადებელი სანოვაგეთა მზარეულთაგან, სანკტ პეტერბურლი: „იოსებ იოანესოვის სტამბა“.
- გოგოლაშვილი, გ. (2010). ქართული ზმნა: ფორმანარმოების საკითხები, თბილისი: „მერიდიანი“.
- ზექალაშვილი, რ. (2008). სალიტერატურო ენის ცვლილებები და ნორმები (წერილი მე-სამე), ზმნის მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 1, თბილისი: „ინტელექტი“.
- თოფურია, ვ., გიგინეიშვილი, ივ. (1998). ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი: „განათლება“.
- მელიქიშვილი, დ. (2014). ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, თბილისი: „ლოგოსი“.
- ნორმები (1986). თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი: „მეცნიერება“.
- სარჯველაძე, ზ. (1984). ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი: „განათლება“.
- ქდკ. ქართული დიალექტური კორპუსი <http://corpora.co/#/corpus>, მასალით სარგებლობის თარიღი 10.05.23.
- შანიძე, ა. (1976). ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- შანიძე, ა. (1981). სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბილისი: „მეცნიერება“, 113-279.
- ციხელაშვილი, ლ. (2015). მესამე ირიბობიექტური პირის მარკირების საკითხი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ნიგნი მეთხუთმეტე, თბილისი: „თსუ გამომცემლობის სტამბა“, 117-129.
- ჯორჯაძე, ბ. (1874). ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი, ტფილისი: „ექვთიმე ხელაძის სტამბა“.

ინგა სანიკიძე
Inga Sanikidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

**ნაცვალსახელთა ერთი ჯგუფისათვის ახალ
ქართულ ენაში**
**For One Group of Pronouns in the New Georgian
Language**

საკვანძო სიტყვები: ახალი ქართული ენა, მორფოლოგია, ნაცვალსახელთა
კლასიფიკაცია

Keywords: New Georgian language, Morphology, Classification of pronouns

Pronouns in Georgian language, like the grammatical descriptions of other languages, are classified by semantics, i.e. according to their meaning, and, conforming to the generally accepted opinion, we can distinguish between: personal, demonstrative, interrogative, possessive, interrogative-possessive, relative, relational, definite, indefinite and negative groups of pronouns [Shanidze, 1980; Martirosov, 1964]. In this respect, our attention is drawn to those groups, in the composition of which the particle forms are united. In the linguistic literature these units are referred to as relative pronouns („ვინ-ც“ (“vin – ts”), „რა-ც“ (“ra – ts”) and the like) or one set of indefinite pronouns, which are produced by adding the particles „მე“ (“me”) or „-ღა-ც[ა]“ (“gha-ts[a]”) to interrogative pronouns (“ვინ-მე” (“vin-me”), „რა-მე“ (“ra-me”) „ვი-ღა-ც[ა]“ (“vi-gha-ts[a]”), რა-ღა-ც[ა] (“ra-gha-ts[a]”), etc.).

As well as that, in the Georgian scientific literature, inflectional pronouns „იგივე“ (“igive”) and „ერთი და იგივე“ (“erti da igive”) are not classified in a specific group, which, we think, inadequately describes the modern system of pronouns both in terms of semantics and form. For more specification, we would like to note that neither Shanidze nor Martirosov place the named pronouns into classification groups in their scientific works and generally leave open the issue of their belonging to any semantic group. There is no doubt that the forms „იგივე“ (“igive”) and „ერთი და იგივე“ (“erti da igive”) are pronouns. That is why Ak. Shanidze groups „იგივე“ (“igive”) with „-ვე“ (“-ve”) particle nouns, he addresses it as a pronoun but does not say anything about which group it belongs to. In the “Basics of the Grammar of the Georgian Language” we read: “The particle „-ვე“ (“-ve”) is attached to all nouns, but it shows its peculiarity only with pronouns and numerals” (Shanidze, 1980, p. 104). The scientist considers their main features to be, on the one hand, the addition of the particle to the stem and, on the other hand, the presence of “too many mixed forms” („ორთავენი“ (“ortaveni”), „სამთავენი“ (“samtaveni”) with numerical nouns. The following question arises: why are not they included in the groups of pronouns, and which of the groups (we mean content groups) can they be assigned to, if they are referred to as pronouns in the scientific literature? We think that both of these pronouns could not be included in the traditionally classified groups due to the functional difference. „იგივე“ (“igive”) and „ერთი და იგივე“ (“erti da igive”) denote identity, that is, the sameness. Perhaps it remains an inexplicable phenomenon why they were kind of ignored when categorising pronouns into groups. It is possible to think that it was considered somewhat unacceptable to allocate an independent group for pronouns with two independent meanings, although there is a contradiction in this conceptual vector as well. The point is that the interrogative-possessive group also consists of two members (ვისი? (visi?) რისა? (risa?)/რისი? (risi?)) and they are not affected by such a restriction.

Undoubtedly, pronouns „იგივე“ (“igive”) and „ერთი და იგივე“ (“erti da igive”) are significantly different from personal and demonstrative pronouns by forms and functions, although they also show some similarity to these groups. This is also logical, because from the point of view of genesis, they were initially demonstrative forms, then turned into personal pronouns, and in the modern language they form independent entities. We would like to note that pronouns „იგივე“ (“igive”) and „ერთი და იგივე“ (“erti da igive”) cannot be equated with personal pronouns with the same semantics, which, despite the addition of the particle

„-ვე“ (“-ve”), remain functionally personal pronouns. These are: „მევე“ (“meve”), „შენვე“ (“shenve”), „მანვე“ (“manve”) and others. The latter do not have the ability to stand as a finite noun in the Georgian language, and that is why they remain in the group of personal pronouns.

Hence, we think that there is an important gap in the description of the Georgian language from the point of view of the pronouns „იგივე“ (“igive”) and „ერთი და იგივე“ (“erti da igive”), and the only way to solve the problem is to introduce a new substantive group in the pronouns, we consider it appropriate to separate the so-called *uniform* group. In our opinion, this kind of approach will make the system much more complete, and an independent group, named – *uniform*, will combine two extremely important pronouns for the Georgian language.

ნაცვალსახელი მეტყველების ნაწილთა შორის უაღრესად საინტერესო და თვითმყოფადი ჯგუფია. იგი განსაკუთრებული სიცხადით ინახავს ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ქართულისათვის დამახასიათებელ ბევრ საინტერესო მორფო-სემანტიკურ ასპექტს, რაც მნიშვნელოვნად შეაპირობებს მისსავე სირთულეს. არ. მარტიროსოვი წერს: „ნაცვალსახელი ნიშნავს სიტყვას, რომელიც ფრაზაში სახელის როლს ასრულებს, სახელის მაგივრობას ეწევა, მის ნაცვლად იხმარება“ (მარტიროსოვი, 1964, გვ. 2), ხოლო ა. შანიძე შენიშნავს: „ნაცვალსახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც ფრაზაში ეკვივალენტია რომელიმე სახელისა (არსებითისა, ზედსართავისა, რიცხვითისა): საგანს ან საგნის ნიშანს ის წარმოადგენს არა მისი ჩვეულებრივი სახელით, რომელიც ყოველთვის და ყველასთვის ერთი და იგივეა ამ საგნის ან მისი ნიშნის ერთსა და იმავე ვითარებაში, არამედ ისეთი სახელით, რომელიც მხოლოდ დასახელების მომენტისთვის არის გამოსადეგი“ (შანიძე, 1980, გვ. 41). ორივე ეს განმარტება ნაცვალსახელის ტრადიციულ გაგებას ეყრდნობა და უნივერსალურია მსოფლიო ენათა უმრავლესობისათვის.

საქმე ის არის, რომ ნაცვალსახელები როგორც სხვა, ისე ქართულ ენაში სემანტიკური ნიშნით, ანუ შინაარსის მიხედვით, არიან კლასიფიცირებულნი და, საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრებით, გვაქვს: პირის, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი და უარყოფითი ჯგუფები (შანიძე, 1980; მარტიროსოვი, 1964). ამათგან მიმართებით ნაცვალსახელთა „ჯგუფის სიტყვები ნაწარმოებია კითხვით ნაცვალსახელთაგან ც(ა) ნაწილაკის დართვით, რომელიც მათ კითხვის ძალას უკარგავს და მიმართებითად აქცევს: ვინც (ვინცა), რაც (რაცა)“ და მისთანანი (შანიძე, 1980: 43), ხოლო „...რივი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისა გაკეთებულია კითხვითებისაგან „მე“ ნაწილაკის დართვით: ვინმე, რამე, რომელიმე, როგორიმე, ხოლო მეორე რივი – რთული ლაც(ა) [ლა-ცა] ნაწილაკის დართვით: ვილაც, რაღაც, რომელიღაც, როგორიღაც“ (შანიძე, 1980, გვ. 44).

არც ა. შანიძე და არც არ. მარტიროსოვი ნაცვალსახელებს „იგივე“ და „ერთი და იგივე“ მათ მიერვე კლასიფიცირებულ ჯგუფებში არ ათავსებენ და, საერთოდ, ღიად ტოვებენ რომელსამე სემანტიკურ ჯგუფში მიკუთვნებულობის საკითხს. ის,

რომ ორივე ეს ფორმა ნაცვალსახელია, ვფიქრობთ, ეჭვს არ იწვევს, ამიტომაცაა, რომ ა. შანიძე „იგივე“ ნაცვალსახელს -ვე ნაწილაკიან სახელებთან განიხილავს, ნაცვალსახელს უწოდებს, თუმცა არაფერს ამბობს, რომელი მორფო-სემანტიკური ოდენობაა იგი. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ვკითხულობთ: „ვე ნაწილაკი ყოველგვარ სახელს ერთვის, მაგრამ თავისებურებას მხოლოდ ნაცვალსახელებთან და რიცხვითებთან იჩენს“ (შანიძე, 1980, გვ. 104); მეცნიერს მათ მთავარ თავისებურებებად კი, ერთი მხრივ, -ვე ნაწილაკის ფუძესთან შეზრდილობა და, მეორე მხრივ, რიცხვით სახელებთან „მეტად ნარევი ფორმების“ არსებობა (ორთავენი; სამთავენი) მიაჩნია. ა. არაბული ზემოთ დასახელებულ ნაცვალსახელთა დაწერილობის შესახებ წერს: „განსაკუთრებული შეცდომების წყაროა იგივე და ერთი და იგივე ნაცვალსახელთა ბრუნება (დამოუკიდებლად და არსებითთან ერთად), ვინაიდან ნაწილაკების დართვას ამ შემთხვევაში ფუძის ცვალებადობაც ემატება“-ო (არაბული, 2008, გვ. 120). დაისმის კითხვა: რატომ არ არიან დასახელებული ნაცვალსახელები ასახულნი ნაცვალსახელთა ჯგუფებში და რომელ მათგანს (ვგულისხმობთ შინაარსობრივ ჯგუფებს) შეიძლება მივაკუთვნოთ ისინი?

თითოეული ჩვენ მიერ განსახილველად გამოტანილი ნაცვალსახელის აგებულება საკმაოდ მარტივია და მათი მორფოლოგიური დანაწევრება არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. ნაცვალსახელი „იგივე“ III პირის იგი ნაცვალსახელზე -ვე ნაწილაკდართული ფორმაა, რაც შეეხება „ერთი და იგივე“ ნაცვალსახელის პირველ ნაწილს – ერთ-ი განუსაზღვრელობის ფუნქციის მქონე ლექსიკური ერთეულია, წარმოშობით – რიცხვითი სახელი, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც პირველთან „და“ კავშირითაა შეერთებული, -ვე ნაწილაკდართული „იგი“.

ორივე ზემოთ წარმოდგენილი ნაცვალსახელი არ განეკუთვნება უკვე ტრადიციულ საკლასიფიკაციო ჯგუფებს იმიტომაც, რომ ისინი შინაარსობრივად არ თანხვდებიან სხვა ნაცვალსახელებს და ფუნქციურად შორს დგანან მათგან; **იგივე და ერთი და იგივე** ნაცვალსახელები იდენტობის, ანუ იგივეობის, აღმნიშვნელნი არიან და საინტერესოა, ნაცვალსახელთა განაწილებისას რატომ მოხდა მათი ერთგვარი იგნორირება. ვფიქრობთ, ამაზე პასუხი არც ისე მარტივია. როგორც ჩანს, დასახელებულ მეცნიერებს გაუძნელდათ ორი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ნაცვალსახელისათვის გამოეყოთ ცალკე ჯგუფი; თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კითხვით-კუთვნილებითი ჯგუფი ასევე ორწევროვანია (ვისი? რისა?//რისი?); და კიდევ ერთი, რომლის აღნიშვნაც მეცნიერთა პოზიციის დასანახად აუცილებლად მიგვაჩნია, მდგომარეობს შემდეგში: -ც ნაწილაკდართული კითხვითი ნაცვალსახელები მიმართებით ჯგუფს ქმნიან, ხოლო -მე და -ლაც(ა) ნაწილაკდართულები – განუსაზღვრელობით ჯგუფს. ამგვარად, ამკარაა, რომ მხოლოდ კითხვით ნაცვალსახელებს მიენიჭათ პრივილეგია, ყოფილიყვნენ დამოუკიდებელ შინაარსობრივ ჯგუფთა საფუძველი. ამ მხრივ, მართლაც შეინიშნება ენის სისტემური მიდგომა ახალი შინაარსის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით, რასაც ვერ ვიტყვით **იგივე და ერთი და იგივე** ნაცვალსახელების შემთხვევაში. ისინი ცალკე დგანან როგორც ფორმითა და წარმოშობით (მისდევნენ იგი ნაცვალსახელის ფუძემონაცვლეობას), ასევე – სემანტიკურად.

დავუშვათ, რომ ნაცვალსახელი **იგი-ვე**, უბრალოდ, **იგი** პირის ნაცვალსახელზე ნაწილაკდართული ფორმაა და თავისი ფუნქციით იმ ნაცვალსახელთა გვერდით დგას, რომლებიც -ც ნაწილაკს კი დაირთავენ, მაგრამ პირის გაგებას ინარჩუნებენ. ესენია: იგი-ც/ისი-ც, ესე-ც, ეგე-ც (მაგალითად: „ისიც მოდის“; ან: „ეგეც მატყუებს“ და მისთ.) ასეთ შემთხვევაში დასახელებულ ფორმებს მსაზღვრელ სახელად დგომის უნარი ლოგიკურად არ შესწევთ, რადგან ისინი ზმნასთან შეწყობილ პირებს წარმოადგენენ – სუბიექტურს ან ობიექტურს. „ისიც ტიროდა“ – მაგალითად, ამ სინტაგმაში ნაწილაკიანი ნაცვალსახელი სუბიექტურ პირს აღნიშნავს, ხოლო ნიმუშში: „მე დღეს ისიც გავაკეთე“ – პირდაპირობიექტური პირის აღმნიშვნელია. სანაცვლოდ, არ მოგვეპოვება ფორმები – * [ისი-ც კაცი]; *[იგი-ც საქმე] და სხვ.

ახლა ვნახოთ, ამ თვალსაზრისით თუ რა ვითარება გვაქვს ნაცვალსახელთან **იგივე**. საქმე ის არის, რომ დასახელებული ფორმა, თავისსავე შინაარსიდან გამომდინარე (ვგულისხმობთ იგივეობის სემანტიკას), სიხშირული თვალსაზრისით მსაზღვრელი სახელია უფროა, ვიდრე – პირის გამომხატველი ნაცვალსახელი. ვხვდებით შესიტყვებებს: „იგივე ველი“ / „იგივე საზოგადოება“ / „იგივე საყვედური“ [გალაკ.]. ლოგიკურია, რომ ამ შემთხვევაში ნაცვალსახელს **იგივე** არ დაერთვის კითხვები *ვინ?* და *რა?*, როგორც ეს მათი პირისნაცვალსახელობის შემთხვევაში იქნებოდა აუცილებელი (მაგ.: ისიც იცინის – ვინ იცინის?; ან: ისიც მოიტანეს – რა მოიტანეს?). სანაცვლოდ, მას მიემართება კითხვითი ნაცვალსახელი – რომელი? [რომელი სამყოფელი? იგი-ვე სამყოფელი; რომელ-მა კაცმა? იმა-ვე კაცმა და სხვ.]; თუმცა ამავე ნაცვალსახელს ზოგჯერ პირის ნაცვალსახელის ფუნქციაც აკისრია. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ამგვარ პოზიციას მისი ისტორიული ფუნქცია და ფუძის წარმომავლობა განაპირობებს. უბრალოდ, ახალ ქართულში დასახელებული ფუნქცია მნიშვნელოვნადაა შევიწროებული, თუმცა მაინც ვხვდებით ფორმებს: „ეხლაც თვალწინ იგივე მახსოვს“ (გალაკ.); „იგივე უნდა ბოლომდის სწყუროდეს“ (ილია).

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითებს, რომლებშიც **იგივე** და **ერთი და იგივე** ნაცვალსახელები მსაზღვრელ სახელებად დგანან და, აქედან გამომდინარე, მათი მორფო-სინტაქსური ფუნქცია აცდენილია პირის ნაცვალსახელთა კლასიფიკაციის უძირითადეს საფუძველს – გამომხატოს ზმნასთან შეწყობილი პირის ნაცვალსახელოვანი ეკვივალენტი.

იგივე [//იმავე]:

„დროზედ ნახმარი ფარიცა იგივე ხმალი არიო“ (ჭავჭავაძე, 1961, I, გვ. 106).

„იგივე ქენჯნაა, იგივე ძრწოლა“ (ჭავჭავაძე, 1961, I, გვ. 221).

„დაუდგა იგივე ქალი“ (ჭავჭავაძე, 1961, I, გვ. 221).

„...და ახლა რომ ფეხებს სლაქავს, იგივე ძაღლი შეუყეფს“ (წერეთელი, 1950, I, გვ. 145).

„იმავე დღიდან აქამომდე უკუღმართად გვიცემს გული“ (წერეთელი, 1950, II, გვ. 383).

„ის სულ სხვა იყო!.. სულითაც იგივე მშვენიერება!...“ (წერეთელი, 1950, II, გვ. 407).

„დავბრუნდეთ ხანდახან ალგებთან. ჩვენს თვალწინ იგივე ველია“ (ტაბიძე, 1966, III, გვ. 114).

„ჩემო ზღვაო, ავად ვიყავ ... იმავე ზამთრის მარტოობის მწუხარებით ნამეტანით“ (ტაბიძე, 1966, IV, გვ. 120).

„მოტეხას ჰგავდა მრისხანე ცისას იმავე ცისკენ ავარდნა ალის“ (ტაბიძე, 1973, X, გვ. 11).

„იგივე საზოგადოება, სახელმწიფო თეატრში შეკრებილი, ეხლა სხვა სახით დაინახავს ზაქარია ჭიჭინაძეს“ (ტაბიძე, 1975, XII, გვ. 24).

„მიდიხარ გზაზე ოცნებაში გართული, უეცრად იგივე ფიქრი გამიელვებს თავში და მიჯაჭვულივით ერთ ადგილზე შედგები“ (ტაბიძე, 1975, XII, გვ. 544).

ერთი და იგივე:

„...ერთი და იგივე მას ეფარება სიზმრების ღვარი“ (ტაბიძე, 1965, II, გვ. 137).

„...ერთი და იგივე სიტყვა ან გამოთქმა მეორდება“ (ტაბიძე, 1975, XII, გვ. 161).

„მანერა ერთი და იგივე საგნისადმი მოპყრობისა იცვლება დროთა სვლასთან ერთად“ (ტაბიძე, 1975, XII, გვ. 24).

ახლა კი საილუსტრაციოდ იმ მაგალითებს წარმოვადგენთ, რომლებშიც **იგივე** გამოყენებულია პირის ნაცვალსახელის ფუნქციით.

იგივე:

„რაც კოკაში სდგა, იგივე თურმე წარმოსდინდება“ (ჭავჭავაძე, 1951, I, გვ. 99).

„იგივე უნდა ბოლომდის სწყუროდეს!“ (ჭავჭავაძე, 1951, I, გვ. 221).

„ჯიბე არის მეკავშირე ერთობის და მეგობრობის, იგივეა გზა და ხიდი სიყვარულის და ცოლ-ქმრობის“ (წერეთელი, 1950, II, გვ. 384).

„არტისტის ცხოვრება იგივეა, რაც ცილინდრის ზღვაზე მოგზაურობა“ (ტაბიძე, 1975, XII, გვ. 262).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო ნიმუშებში დაფიქსირებული ნაცვალსახელები თავიანთი ფუნქციით მაინც არ უტოლდებიან დანარჩენ პირის ნაცვალსახელებს, რომლებიც **იგივე** ნაცვალსახელის მსგავსად -ვე, -ლა ან -ც ნაწილაკდართულები არიან, მაგრამ მაინც ინარჩუნებენ მხოლოდ პირის გამოხატვის ფუნქციას. ასეთებია, მაგალითად: მე-ვე, შენ-ვე, მან-ვე ...; ან: მე-ლა, შენ-ლა, მან-ლა...; ან კიდევ: მე-ც, შენ-ც, მან-ა-ც და მისთანანი. საქმე ის არის, რომ ამ უკანასკნელთ მსაზღვრელ სახელად დგომის უნარი არ შესწევთ, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულში არ ფიქსირდება შემდეგი ენობრივი ვარიანტები – * მე-ც კაცი-ი, * მე-ვე კაცი-ი, *მე-ლა კაცი – მაშინ, როცა იგივე კაცი (მოთხრ. იმა-ვე კაცმა...), იგივე საქმიანობა (მოთხრ. იმა-ვე საქმიანობამ...) ქართული ენისათვის ბუნებრივი და ცოცხალი ფორმებია.

საყოველთაოდ გაზიარებული მოსაზრებით, ქართული ლინგვისტური აზრო-
 ნება ნაცვალსახელებს – ეს, ეგ, ის, იგი – სავსებით სამართლიანად ასახელებს
 საზიარო ნაცვალსახელებად პირისა და ჩვენებითი ჯგუფებისათვის: „ესენი პი-
 რის ნაცვალსახელებია,- წერს ა. შანიძე,- მაგრამ ამასთანავე ჩვენებითიც“ (შანი-
 ძე, 1980, გვ. 101). ეს მოსაზრება დაუეჭვებელ ენობრივ მოცემულობას ეყრდნობა.
 ეს / ეგ /ის / იგი ნაცვალსახელთა მიკუთვნებულობა იმისდა მიხედვით წყდება,
 თუ რასთან დგანან, ანუ რას მიემართებიან ისინი: I. ზმნას („ეგ მომწონს“) თუ II.
 სახელს („ეგ ქალი“). სწორედ ამავე პრინციპით უნდა გაიმიჯნოს **იგივე და ერთი**
და იგივე ნაცვალსახელები, რომლებიც ასევე საზიარონი აღმოჩნდებიან ორი
 შინაარსობრივი ჯგუფისათვის – პირისა და იგივეობითი ჯგუფისათვის (პირისა:
 „იგივე მტკივა“; იგივეობითი: „იგივე სატკივარი“).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ განსხვავებულია მათი ბრუნება, როცა
 ისინი პირს ან იგივეობას გამოხატავენ:

პირისა: იგივეობითი:

სახ. იგივე იგი-ვე იგივე კაც-ი

მოთხ. იმავე-მ იმან-ვე // მან-ვე იმავე კაც-მა

მიც. იმავე-ს იმა-ს-ვე // მა-ს-ვე იმავე კაც-ს(ა)

ნათ. იმავე-ს იმ-ის-ვე // მ-ის-ვე იმავე კაც-ის(ა)

მოქმ. იმავე-თი იმ-ით-ვე // მ-ით-ვე იმავე კაც-ით(ა)

ვით. იმავე-დ¹ იმ-ად-ვე // მ-ად-ვე² იმავე კაც-ად(ა)\

წოდ. _____

ასეთივე მდგომარეობაა **ერთი და იგივე** ნაცვალსახელის ბრუნების დრო-
 საც. დასახელებული ფორმა წინადადებაში ძირითადად მსაზღვრელ სახელად
 გვხვდება, მისდევს **იგივე** ნაცვალსახელის ბრუნების საერთო წესს და ძალზე
 იშვიათია მისი პირის ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენების შემთხვევები.
 ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს არის ის საფუძველი, რომლის გამოც უნდა მოვათავ-
 სოთ ის იგივეობის სემანტიკურ ჯგუფში და არა – სხვაგან.

სახ. ერთ-ი და იგი-ვე კაც-ი

მოთხ. ერთ-ი და იმა-ვე კაც-მა

მიც. ერთ-ს-ა და იმა-ვე კაც-ს // ერთ და იმავე კაც-ს

ნათ. ერთ-ის-ა და იმავე კაც-ის // ერთ-ი და იმავე კაც-ის

მოქმ. ერთ-ი და იმავე კაც-ით

ვით. ერთ და იმავე კაც-ად

წოდ. _____³

¹ ბრუნების ეს სქემა მოცემულია ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“
 –ვე ნაწილაკიან სახელთა განხილვისას (შანიძე, 1980, გვ. 104).

² ნაცვალსახელის ბრუნების დასახელებულ ვარიანტს ვხვდებით „ქართული ენის ორთოგ-
 რაფიულ ლექსიკონში“ იმავე ლექსემის ბუდეში (თოფურია, გიგინეიშვილი, 1998, გვ.
 295).

³ „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ ერთი და იგივე ლექსემის ბრუნების ზე-
 მოთ მოცემულ ვარიანტს გვთავაზობს (თოფურია, გიგინეიშვილი, 1998, გვ. 269).

ამრიგად, ჩვენ მიერ გაანალიზებული ორი ნაცვალსახელი (**იგივე და ერთი და იგივე**) როგორც სემანტიკური დატვირთვით, ისე – ფორმით მნიშვნელოვნად განსხვავდება პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ჯგუფებისაგან, თუმცა ამ ჯგუფების მიმართ გარკვეულ მსგავსებასაც ამჟღავნებს, რადგან ისინი გენეზისის თვალსაზრისით ჯერ ჩვენებითი, შემდეგ პირის ნაცვალსახელებად ქცეული ფორმებია, თანამედროვე ენაში კი – დამოუკიდებელ ერთეულებად ჩამოყალიბებული ოდენობები. ხელმეორედ ვიტყვით, რომ **იგივე და ერთი და იგივე** ნაცვალსახელები არ შეიძლება გავუტოლოთ იგივეობის სემანტიკის მქონე იმ პირის ნაცვალსახელებს, რომლებიც, -ვე ნაწილაკის დართვის მიუხედავად, ფუნქციურად პირის ნაცვალსახელებად რჩებიან. ასეთებია: მევე, შენვე, მანვე და სხვანი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ მსაზღვრელ სახელად დგომის უნარი არ შესწევთ და ამიტომაც იკავებენ კუთვნილ ადგილებს პირის ნაცვალსახელთა ჯგუფში.

ვფიქრობთ, რომ **იგივე და ერთი და იგივე** ნაცვალსახელების თვალსაზრისით, ქართულ გრამატიკულ, კერძოდ, ნაცვალსახელთა საკლასიფიკაციო სისტემაში მნიშვნელოვანი ხარვეზი შეინიშნება, პრობლემის გადანყვეტის ერთადერთ გზად კი ახალი შინაარსობრივი ჯგუფის გამოყოფა მიგვაჩნია მიზანშეწონილად. მას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება ვუნოდოთ იგივეობითი ჯგუფი, რომელიც ქართული ენისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ორ ნაცვალსახელს გააერთიანებს.

ლიტერატურა:

- არაბული, ა. (2008). ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- თოფურია, ვ., გიგინეიშვილი, ივ. (1998). ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“.
- მარტიროსოვი, არ. (1964). ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ. III, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გამოყენებული წყაროები:

- ტაბიძე გალაკტიონ (1966-1975): თხზულებათა სრული კრებული 12 ტომად, თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემა.
- წერეთელი აკაკი (1950-1963): თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- ჭავჭავაძე ილია (1951-1961): თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, რედ. პ. ინგოროყვა, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

რამაზ ქურდაძე

Ramaz Kurdadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

მიმართვის ადგილისათვის რთულ წინადადებაში (ქართული ანდაზების მაგალითზე)¹

On the Place of Address in Compound and Complex Sentences (on the example of Georgian proverbs)²

საკვანძო სიტყვები: რთული თანწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადება, მთავარი წინადადება, დამოკიდებული წინადადება, მიმართვა
Keywords: Compound sentence, complex sentence, main clauses, subordinate clauses, address

¹ სტატიაში მოყვანილი დებულებები წარმოდგენილი იყო ავტორის მიერ წაკითხულ მოხსენებებში: 1. ქვეწყობილი წინადადების რომელ ნაწილს უნდა მივაკუთვნოთ მიმართვა? თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, თეზისები, 6 თებერვალი, თბილისი, 2023, გვ. 98-100; 2. მიმართვის ადგილისათვის ქართულ რთულ თანწყობილ წინადადებაში, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, პროგრამა, 27-28 აპრილი, თბილისი, 2023, გვ. 7.

² The propositions cited in the article were presented in the reports read by the author: 1. To Which Part of the Complex Sentence Does the Address Pertain? Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities, Conference dedicated to the 105th anniversary of TSU, Theses, February 6, Tbilisi, 2023, pp. 98-100; 2. On the Place of Forms of Address in a Georgian Compound Sentence, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities, Scientific conference dedicated to the 147th anniversary of Ivane Javakhishvili's birth, Program, April 27-28, Tbilisi, p. 7.

As compared to simple sentences and sentences with multiple parts, the place of address in compound and complex sentences is a specific linguistic phenomenon and should be studied separately, because compound and complex sentences combine two or more simple sentences or sentences with multiple parts. In such cases, we have to answer the following question: which of the clauses does the address refer to?

In order to answer the above-mentioned question, we should identify the place of address in compound and complex sentences. In this way, we will find out the following: Which of the clauses does the address refer to? Is it semantically related to the entire compound or complex sentence or only to the clause in which it is placed?

As forms of address are used in numerous proverbs, we have selected Georgian proverbs as the empirical material for analysis.

With regard to the place of address in compound or complex sentences and identification of its semantic relation with the components of such sentences, we have distinguished the following cases:

1. The address is placed in a certain part of a compound or complex sentence and at the same time forms a semantic relationship with other parts. For instance, a compound sentence:

ცეცხლო, ახლოს ხელი დამწვი, შორს გივლი – გული მტკივაო.

tsetsxlo, axlos xeli damts'vi, shors givli – guli mt'ki'vao.

“**Fire**, when I am near you, you burn my hand, and when I am far from you, my heart aches”;

A complex sentence:

სიძევ, რაც გვიან-გვიან მოხვალ, უფრო შეგვიყვარდებიო.

sidzev, rats gvian-gvian moxval, upro shegviq'vardebio.

“**Son-in-law**, the later you arrive, the more we will love you”;

2. Each of the clauses contains a form of address, for instance, a compound sentence:

ბერო, მადლი წაგინცდა და, **მონაზონო**, სალოცავიო.

bero, madli ts'agits'q'da da, monazono, salotsavio.

“**Monk**, your grace is depraved and, **nun**, your shrine is depraved too”;

3. The address is given in one clause only and does not form a semantic relationship with any other clause:

- A compound sentence:

ყველა ჩირი მიჭამია, შენ რაღა ხარ, **ლეღვის ჩირო?**

q'vela chiri mich'amia, shen raya xar, leyvis chiro?

“I have tasted all kinds of dried fruit; why can't I taste you, **dried fig?**”

- In a complex sentence, the address is given in the main clause, forms its semantic component, and is not related to the subordinate clause:

კარგი ხარ, **კარის მამულო**, რომ არა გჭამდეს მამალი.

k'argi xar, k'aris mamulo, rom ara gch'amdes mamali.

“You are good, **estate**, if you don't get eaten by a rooster”.

The paper has been implemented within the framework of a project “Information Structure and the Hypotactic Patterns of Kartvelian Languages”, FR-21-352, financed by Shota Rustaveli National Science Foundation.

ცნობილია, რომ განკერძოებულ სიტყვას ან სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც აღნიშნავს მისამართ პირს და გადმოიცემა წოდებით ბრუნვაში დასმული სახელით, **მიმართვა** ეწოდება. მიმართვა არ არის დაკავშირებული სინტაქსურად წინადადების რომელიმე წევრთან; ის შეიძლება შედიოდეს წინადადების შემადგენლობაში: „შენ იცნობ კარგად, სოლომან, ჩემს გულს (ბარ., 52)“, მაგრამ შეიძლება ზოგჯერ ცალკეც იდგეს: „ – თამრო!.. – შევკვივლე მე კანკალით და თრთოლით. – გაბრიელ!.. – მომადახა იმან და ზედ დამეცა (ჭავ., 317)“ (კვაჭაძე, 1988, გვ. 285).

მაშასადამე, მიმართვა გვხვდება წინადადების შემადგენლობაშიც და ცალკეც. ორივე შემთხვევაში მისი გამოყენება, სხვა გრამატიკულ საშუალებებთან ერთად, აზრის გამართულობას, დამთავრებულობასა და ინფორმაციის სრულყოფილად გადმოცემას ემსახურება. ამის გათვალისწინებით, ზემოთ მიმართვის შესახებ ნათქვამი – ... ის შეიძლება შედიოდეს წინადადების შემადგენლობაში – შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: მიმართვა შედის წინადადების შემადგენლობაში, ემსახურება აზრის გამართულობას, დამთავრებულობას, ინფორმაციის სრულყოფილად გადმოცემას, თუმცა სინტაქსურად სხვა წევრებს არ უკავშირდება, ხოლო, როდესაც მიმართვა ცალკე დგას, რასაკვირველია, მაშინაც ამ დანიშნულებით გამოიყენება, ოღონდ ამავე ფუნქციას კონტექსტის დონეზე ასრულებს.

როცა მიმართვა წინადადების შემადგენლობაშია, ის შეიძლება იყოს წინადადების თავში, ბოლოში ანდა – წინადადების შუაში (კვაჭაძე, 1988, გვ. 292-293).

ამ საკითხზე მსჯელობისას უმთავრესად მარტივი წინადადების ნიმუშებია განხილული, იშვიათად წარმოდგენილია რთული თანწყობილი წინადადების მაგალითებიც; თუმცა მიმართვის ადგილის მხრივ მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებები საგანგებოდ არ განუხილავთ.

მარტივ და შერწყმულ წინადადებებთან შედარებით მიმართვის ადგილის განხილვა მეტად საყურადღებოა რთულ წინადადებაში, რადგან რთული, მათგან განსხვავებით, ორ ან ორზე მეტ მარტივ ან შერწყმულ წინადადებას აერთიანებს. **ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: რთულში შემავალ წინადადებათაგან რომლის შემადგენლობაში შედის მიმართვა?**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოითხოვს მიმართვის ადგილის გამორკვევას ორივე ტიპის რთულ წინადადებაში, რათა სრულყოფილი სურათი შეგვექმნას იმაზე, რთული თანწყობილი თუ რთული ქვენწყობილი წინადადების რომელი ნაწილის შემადგენლობაში შედის მიმართვა და აზრობრივად მთლიანად რთულ წინადადებას უკავშირდება ის, თუ მხოლოდ იმ ნაწილს, რომლის შემადგენლობაშიცაა.³

განსახილველად ქართული ანდაზების ნიმუშები შევარჩიეთ, რადგან მიმართვა ბევრ ანდაზაშია გამოყენებული.

³ ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ რთულ ქვენწყობილ წინადადებაზე გამახვილებული ყურადღება და ნათქვამია, რომ რთულ ქვენწყობილ წინადადებაში მიმართვა ჩვეულებრივ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებათა შუაშია: „მიგიხვდი, ჩემო მთხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი (ჭავ., 262)“; „იცით, ძმებო, რა მოვიგონე?(რაზ. 272)“; თქვენ იცით, ჩემო პატარა მკითხველებო, კომპი რა არის? (ყაზ., 2, 162); ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე (ჭავ., 264) (კვაჭაძე, 1988, გვ. 293-294).

I. მიმართვის ადგილისათვის რთულ თანწყობილ წინადადებაში

მასალის განხილვის საფუძველზე მიმართვის ადგილის მიხედვით რთულ თანწყობილ წინადადებაში სამი ჯგუფი გამოიყო:

ა) მიმართვა შედის რთული თანწყობილი წინადადების კომპონენტთაგან ერთ-ერთის შემადგენლობაში და მეორესთანაც (ან სხვა დანარჩენთანაც) აქვს აზრობრივი კავშირ-მიმართება. ასეთ შემთხვევაში თანწყობილი წინადადების მეორე წევრთანაც მიმართვის აზრობრივი კავშირის საჩვენებლად იმავე მიმართვას კვადრატულ ფრჩხილებში წარმოვადგენთ; რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ, ანდაზა ასეთი ფორმით არ გვხვდება:

- (1) „**კოდლაავ**, შენ სულ აკაკუნებ, მაგრამ [კოდლაავ] შენი გაკეთებული ხარატულები ვერ ვნახეო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 83);
- (2) „**მამავ**, გიყვარდა გუთანი, [მამავ] დაჯექ და ბანი უთხარი“ (კანდელაკი, 1999, გვ. 87);
- (3) „**ცეცხლო**, ახლოს ხელი დამწვი, [ცეცხლო] შორს გივლი – გული მტკივაო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 154).

თუ მიმართვა პირველი წინადადების ბოლოშია, მაშინ მისი გამეორება მეორე წინადადებასთან კავშირის საჩვენებლად აღარცაა საჭირო:

- (4) „შენ რას იკვებხნი, **ყმანვილო**, ყანა ამინდზე ჰკიდა“ (კანდელაკი, 1999, გვ. 147).

მოყვანილ მაგალითებში პირველი წინადადების შემადგენლობაში მყოფი მიმართვა აზრობრივად მეორე წინადადებასაც უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ გვხვდება პირიქითაც: მაგ., ქვემოთ ანდაზაში მიმართვა – *ექვთიმეო* – რითმის გამო რთული თანწყობილი წინადადების მეორე კომპონენტის ბოლოსაა, თუმცა მიემართება პირველსაც:

- (5) „ერთი შენ და ერთი მეო, არ გეწყინოს, **ექვთიმეო!**“ (კანდელაკი, 1999, გვ. 46).

ბ) რთული თანწყობილი წინადადების კომპონენტების შემადგენლობაში თავ-თავისი სხვადასხვა მიმართვაა, რომლებიც აზრობრივად მხოლოდ იმ ცალკეულ წინადადებას მიემართებიან, რომლებშიც გვხვდებიან:

- (6) „**ალოვ**, გადი – **დღევ**, დაღამდი“ (კანდელაკი, 1999, გვ. 13);
- (7) „**ბერო**, მადლი წაგინყდა და, **მონაზონო**, სალოცავიო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 25);
- (8) „გეუბნები, **კედელო**, – გაიგონე, **რეგვენო**“ (კანდელაკი, 1999, გვ. 32);
- (9) „ვაიმე, **დედავ**, გული მტკივა, სადა ხარ, ჩემო **ვარდკაჭკაჭავ**“ (ვარდკაჭკაჭას ძირებს ხარშავენ წამლად) (კანდელაკი, 1999, გვ. 54);
- (10) „**წითელო ვაშლო**, შენ გესვრი, **თეთრო**, შენ ჩამოვარდიო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 161).

გ) მიმართვა თანწყობილი წინადადების ერთი კომპონენტის შემადგენლობაში გვხვდება და სხვა წინადადებასთან არ ავლენს აზრობრივ მიმართებას:

- (11) „ლიტრას ეუბნებოდნენ და – კოკავ, შენ გაიგონეო!“ (კანდელაკი, 1999, გვ. 85);
- (12) „მულს ელაპარაკებოდნენ, – რძალო, შენ გესმოდესო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 97);
- (13) „ყველა ჩირი მიჭამია, შენ რაღა ხარ, ლეღვის ჩირო?“ (კანდელაკი, 1999, გვ. 143).

II. მიმართვის ადგილისათვის რთულ ქვენყობილ წინადადებაში

მიმართვის შემცველ რთულ ქვენყობილ წინადადებაში ორი ჯგუფი გამოიყოფა:⁴

ა) მიმართვა მთავარი წინადადების შემადგენლობაშია, მასთანვეა დაკავშირებული აზრობრივად და არა აქვს კავშირი დამოკიდებულთან:

- (14) „**კარგი ხარ, კარის მამულო**, რომ არა გჭამდეს მამალი“ (კანდელაკი, 1999, გვ. 77), დამოკიდებული წინადადება პირობითია;
- (15) „**ეგრე არა ჰქნა, ხუცესო, საქმე არა ჰქნა უნესო**, თორემ ეგ შენი ნაქნარი შენს შვილიშვილებს უწევსო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 45), დამოკიდებული წინადადება პირობითია.

ცალკე გამოსაყოფია მაგალითი, რომელშიც ხუთი მიმართვაა, მათგან პირველი ოთხი განცალკევებით დგას, მეხუთე ამყარებს აზრობრივ მიმართებას მთავართან, მის შემადგენლობაშია, შემდეგ კი წარმოდგენილია მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება:

- (16) „**მამამთილო იისაო, დედამთილო ბიისაო, მაზლო იაგუნდისაო, შვილო ნუშის გულისაო, მულო, შენ ამომივარდი**, რომ ხარ ავი სული-საო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 87).

ზოგჯერ ანდაზაში სინტაქსურად უფრო რთული კონსტრუქცია გვაქვს, მასში ავტორის, მთქმელის სიტყვებიცაა, რაც ცალკე სინტაქსური ერთეულია, თუმცა შემდეგ მას მოსდევს ჩვენთვის საინტერესო მიმართვის შემცველი რთული ქვენყობილი წინადადება:

- (17) „კატას უთქვამს: **ღმერთო, პატრონი დამიბრმავე**, რომ ჯამიდან მუდამ ლუკმა ამოვაცალოო; ძალღს უთქვამს: **ღმერთო, პატრონი გამიმრავლე**, [იმიტომ რომ] ყველა თითო ლუკმას მომიგდებს და მეყოფაო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 78), პირველი დამოკიდებული წინადადება მიზნის გარემოებითია, მეორე კი – მიზეზის გარემოებითი;
- (18) „საქონელმა თქვა: **ღმერთო, პატრონი მომეცი**, რომ მოხმარება შეეძლოსო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 118), დამოკიდებული მიზნის გარემოებითია;
- (19) „ცხვარს უთქვამს: **ღმერთო, ჩემს პატრონს ისე ნუ გააღარიბებ**, რომ შემოდგომაზე გამკრიჭოსო და **ნურც ისე გაამდიდრებ**, რომ გაზაფხულზე არ გამკრიჭოსო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 157), დამოკიდებული წინადადებები ვითარების გარემოებითია.

⁴ ქვენყობით მოყვანილ მაგალითებში მიმართვის ადგილის მკაფიოდ ჩვენების მიზნით მთავარი წინადადება გამუქებულია, ხოლო მიმართვა ხაზგასმულია.

ბ) მთავარში მყოფ მიმართვას დამოკიდებულ წინადადებასთანაც აქვს აზრობრივი კავშირი.⁵

(20) „**ეგრე არ უნდა, თაყაო**, შენ რო მამული გაყაო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 9), დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია.

ამ შემთხვევაში მთავარია: *ეგრე არ უნდა, თაყაო* და მის შემადგელობაში შედის მიმართვა: *თაყაო*. მაგრამ იგივე მიმართვა აზრობრივად დამოკიდებულსაც შეიძლება დაუკავშირდეს: *[თაყაო] შენ რო მამული გაყაო*.

(21) „**სიძევ**, რაც გვიან-გვიან მოხვალ, **უფრო შეგვიყვარდებიო**“ (კანდელაკი, 1999, გვ. 123), დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია.

ამ შემთხვევაში მთავარია: *სიძევ, უფრო შეგვიყვარდებიო* და ბუნებრივია, მის შემადგელობაში შედის მიმართვა: *სიძევ*. მაგრამ იგივე მიმართვა აზრობრივად დამოკიდებულსაც შეიძლება დაუკავშირდეს: *[სიძევ] რაც უფრო გვიან-გვიან მოხვალ*.

ასეთივეა ეს მაგალითიც:

(22) „**მღვდელი**, მე რომ შენს ჯიბეში ლობიოსა ვხედავ, **აღდგომა თავის დღეში არ მოვაო**“ (სახოკია, 1967, გვ. 141), დამოკიდებული მიზეზის გარემოებითია.

აქ მთავარია: *მღვდელი, აღდგომა თავის დღეში არ მოვაო* და მის შემადგენლობაშია მიმართვა: *მღვდელი*. მაგრამ იგივე მიმართვა აზრობრივად დამოკიდებულსაც შეიძლება დაუკავშირდეს: *[მღვდელი] მე რომ შენს ჯიბეში ლობიოსა ვხედავ*.

თუმცა ორივე შემთხვევაში მიმართვა უპირველესად მთავრის შემადგენლობაში შედის.

ცალკე, საგანგებოდ უნდა განვიხილოთ ერთი შემთხვევა:

(23) „**რაც მოგივა, დავითაო**, ყველა შენი თავითაო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 111), დამოკიდებული ქვემდებარულია.

ამ კონკრეტული მაგალითის შესახებ აღსანიშნავია ბოლო დროს გაჩენილი აზრთა სხვადასხვაობა, რაც სტრუქტურებთან გამოკითხვითაც დადასტურდა, კერძოდ, მათი აზრით, აქ „დავითაო“ მიმართვის ფორმა არ არის და მას ორნაირად ხსნიან: 1. „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“, იგულისხმება: დავით, ჩხუბით რაც მოგივა, ყველაფერი შენი ბრალია; 2. „რაც მოგივა და ვითაო, ყველა შენი თავითაო“, ნიშნავს: რაც მოგივა და როგორც (ვითარც), ყველაფერი შენით მოხდება.

ძნელია რომელიმე ამ ვარაუდის მართებულობის მტკიცება, მაგრამ, თუ ვიფიქრებთ, რომ „დავითაო“ მიმართვაა, რაც დამოკიდებულ წინადადებაშია და არა მთავარში, გამოდის, რომ ზემომოყვანილ მაგალითებთან მიმართებით ეს გამოწვევისა და სხვაგვარად უნდა აიხსნას. კერძოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მიმართვის ადგილი მაინც მთავარ წინადადებაშია და ეს წინადადება ისეთივეა, როგორც ზემოთ მოყვანილი (20), (21) და (22) მაგალითები, რომლებშიც მიმართვას დამოკიდებულ წინადადებასთანაც აქვს აზრობრივი კავშირ-მიმართება, თუმცა

⁵ ასეთ მაგალითებშიც მიმართვის დამოკიდებულ წინადადებასთანაც კავშირის საჩვენებლად იმავე მიმართვას კვადრატულ ფორმულაში ჩამატებულად წარმოვადგენთ.

ის მაინც მთავარი წინადადების შემადგენლობაში შედის, რადგან აქ დამოკიდებული წინადადების ფუნქცია არის ის, რომ მიუთითოს: **რაც მოგივა** და არა ის, რომ **განსაზღვროს, თუ ვის მოუვა**. მიმართვა მთავარში გაუჩინარებულია, მაგრამ იგულისხმება: „რაც მოგივა, **დავითაო**, ყველა შენი თავითაო“⁶, დამოკიდებული მიმართვას იმეორებს, მთავარი კი მას რეალურად აღარ წარმოგვიდგენს, რითაც გამონათქვამის მოხდენილი რითმულობა მიიღწევა, რაც ზოგადად ანდა-ზათა გარკვეული ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი.

ვფიქრობთ, ასევე უნდა ავხსნათ მიმართვის არსებობა ქვემოთ მოყვანილ დამოკიდებულ წინადადებაშიც:

(24) „**გოგიაო, გოგიაო, რაც მოგივა, მოგივაო**“ (კანდელაკი, 1999, გვ. 35), დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულია;

განხილული რთული ქვეწყობილი წინადადებების მაგალითების მიხედვით, შესაძლებელია, მიმართვა აპრიორულად გამოვრიცხოთ ამ ტიპის ჰიპოტაქსური კონსტრუქციების დამოკიდებული წინადადებებიდან. კერძოდ, ისეთი შემთხვევებიდან, როცა, ფაქტობრივად, დამოკიდებული წინადადებით რაიმე ახალი ინფორმაცია კი არ შემოდის, არამედ მთავარში მოცემული ინფორმაციის გადმოსაცემი საშუალებების (წინადადების წევრების) ან მთლიანად მთავარი წინადადების დაზუსტება გვაქვს მხოლოდ, რადგანაც, როგორც ცნობილია: „დამოკიდებული წინადადება მიემართება და ხსნის მთავარი წინადადების რომელიმე წევრს ან მთლიანად მთავარ წინადადებას; ამ ხსნელი წინადადება აა...“ (ქართული ენა, 2008, გვ. 132, უფრო ფართოდ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. კვაჭაძე, 1988, გვ. 310-311). ამის გათვალისწინებით **ამხსნელ წინადადებაში** გამორიცხულია მისამართი პირი და, თუ იშვიათ შემთხვევაში ის აზრობრივად მაინც დაუკავშირდება დამოკიდებულ, ამხსნელ, წინადადებას, მაშინ მისი (ან მისი რაიმე ქმედების) ახსნა-დაზუსტება ხდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ის მთავარში უკვე წარმოდგენილია.

საყურადღებოა, რომ მიმართვის შემცველი ზოგიერთი დიალოგის ფორმის ანდაზა შეკუმშული სახით გვხვდება. მათი გაშლის, სრულად გადაკეთების შემთხვევაში ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას ვიღებთ, რომელშიც, ზემოთ განხილული ქვეწყობილი წინადადებების მსგავსად, მიმართვა მთავარ წინადადებაშია და არ ავლენს კავშირს დამოკიდებულთან.

გადაკეთებისას აზრის მთლიანობა-დასრულებულობის დასაცავად სუბიექტის, კავშირის და გარკვეული ზმნების (*თქვა, უთხრა, უპასუხა, ასძახა და სხვ.*) ჩამატება გვინევს, რის გამოც სრულად გადაკეთებული წინადადებები ზერთულია, რომელთა მთავარი წინადადებანი თანწყობილია, ხოლო დამოკიდებული – პირდაპირ დამატებითი:⁷

(25) „**ვაი, დედავ, რა შვილი გიკვდებო და – მაგდენი არაფერიო**“ (კანდელაკი, 1999, გვ. 104),

⁶ მთავარი წინადადება აქ უსრულია, შემასმენელი აკლია, შეიძლება აღვადგინოთ: „... ყველა [არის / მოხდება] შენი თავითაო“.

⁷ გადაკეთებულ წინადადებებს დახრილად წარმოვადგენთ, ხოლო მათში აღდგენილ სიტყვებს – კვადრატულ ფრჩხილებში.

შდრ.: ვაი, დედავ, რა შვილი გიკვდებო და [დედამ თქვა, რომ] მაგდენი არაფერიო;

(26) „მგელო, ჭკუას მოდიო და სათხებოში შევხტეო?“ (კანდელაკი, 1999, გვ. 89),

შდრ.: მგელო, ჭკუას მოდიო და [მგელმა თქვა, რომ] სათხებოში შევხტეო?

(27) „მღვდელო, მონმე ვინა გყავსო და – დიაკონიო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 98),

შდრ.: მღვდელო, მონმე ვინა გყავსო და [მღვდელმა უპასუხა, რომ] დიაკონიო;

(28) „ობოლო, ვის აგინებ და ვინც გამზარდაო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 104),

შდრ.: ობოლო, ვის აგინებ და [ობოლმა უპასუხა, რომ] ვინც გამზარდაო;

(29) „პატარა ძღვენო, სად მიხვალო? – საიდანაც დიდს მოველიო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 107),

შდრ.: „პატარა ძღვენო, სად მიხვალო? [პატარა ძღვენმა უპასუხა, რომ] საიდანაც დიდს მოველიო“;

(30) „სიძევ, წვენი მიირთვიო და – ხორცსაც არა უშავსო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 123),

შდრ.: სიძევ, წვენი მიირთვიო და [სიძემ თქვა, რომ] ხორცსაც არა უშავსო;

(31) „ცხვარო, ვისი ხარო და ვის კარზედაც ვბლავიო“ (კანდელაკი, 1999, გვ. 157),

შდრ.: ცხვარო, ვისი ხარო და [ცხვარმა უპასუხა, რომ] ვის კარზედაც ვბლავიო.

ამრიგად, რთული წინადადების შემადგენლობაში მიმართვის ადგილის განსაზღვრისა და მიმართვის რთული წინადადების კომპონენტებთან აზრობრივი მიმართება-კავშირის თვალსაზრისით გამოიყოფა შემდეგი შემთხვევები:

1. მიმართვა რთული წინადადების ერთ ნაწილშია და სხვებთანაც ამყარებს აზრობრივ მიმართებას. ასეთია რთული თანწყობილი წინადადების პირველი შემთხვევა (ა პუნქტი): (1) – (5) და ზოგი რთული ქვენწყობილი წინადადება: (20) – (22).
2. რთული წინადადების ნაწილებს ყველას თავ-თავისი მიმართვა აქვთ. ასეთია ზემოთ განხილული რთული თანწყობილი წინადადების მეორე შემთხვევა (ბ პუნქტი): (6) – (10).
3. მიმართვა რთული წინადადების ერთ ნაწილში გვაქვს, დანარჩენში – არა და არც ამყარებს მათთან აზრობრივ კავშირ-მიმართებას, ასეთია:
 - რთული თანწყობილი წინადადებების მესამე შემთხვევა (გ პუნქტი): (11) – (13)
 - რთულ ქვენწყობილ წინადადებაში მიმართვა მთავარი წინადადების შემადგენლობაშია, მასთანვე დაკავშირებულია აზრობრივად და არა აქვს კავშირი დამოკიდებულთან: (14) – (19); (25 – 31)


ლიტერატურა:

- კანდელაკი, ა. (1999). ქართული ანდაზები. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“.
- კვაჭაძე, ლ. (1988). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- სახოკია, თ. (1967). ქართული ანდაზები. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- ქართული ენა (2008). ქართული ენა: ენციკლოპედია. თბილისი: გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“.

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის: „ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები“, FR-21-352 ფარგლებში.

ონომასტიკა

Onomastics



ნარგიზ ახვლედიანი

Nargiz Akhvlediani

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Batumi Shota Rustaveli State University

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლი-

ტერატურის კვლევის განყოფილება

Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature of

Niko Berdzenishvili Institute

ჰიდრონიმ „კინკიშა“-ს ეტიმოლოგიისათვის

For the Etymology of the Hydronym “Kinkisha”¹

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმი, ჰიდრონიმი, ეტიმოლოგია, ზანიზმი.

Keywords: toponym, hydronym, etymology, Zanism.

¹ მოხსენება წაკითხულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (27.02..2023).

Hydronym is an ancient and interesting part of toponymy. It contains a lot of interesting information for studying the material and spiritual life of the ancestors, for determining the history of the language development.

A hydronym is the name of a hydrographic object like a large and small river, its separate section – a whirlpool, a waterfall, Mosabruni, a fishing place, a branch, Fshani, as well as a sea, a lake, a canal, a swamp, a marshy are, etc.

This time we present the etymology of one hydronym confirmed in the municipality of Kobuleti and this is the hydronym “Kinkisha”.

The Kinkisha River is the left tributary of the Kintrishi River in the municipality of Kobuleti (Kobuleti municipality, Kvirike village). The Kinkisha River itself has small tributaries; they are: Sakire, Karimuli stream, Tserakveti stream, Sagebauri water, Kherknala, Gomi, Qhviali, Kobrona, Skurda, Dzeniseuli, Nabeghlava, Achkva (with small tributaries: Ganisguli, Achvankala, Sakalmakhe)

We think that Kinkisha is a hydronym of a complex structure. The first part of this hydron – Kinki (Kurtashi) – Ube (pants), in the same place Kurtalari – compare: Kart. Kvarti in former times- the shirt and its companion must have been one piece of clothing (Charaya, P., 1997: 80-83). As for the etymology of the hydronym “Kinkisha”, it can be assumed that it represents the confluence of two tributaries of the river (Kintrisho-n.a.). for comparison, Ubisa is a village in eastern Georgia, on the right and left banks of the Dzirula River, at an altitude of 320 meters above sea level. The hydronym Kinkisha can be considered in the list of landscape-geographical names.

შესავალი

ტოპონიმოლოგიაში ხშირად ასახულია ტომთა ის სახელწოდებები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ ამა თუ იმ ტერიტორიაზე. მასში შემონახულია ისეთი დამახასიათებელი საზოგადო სახელებიც, რომლებიც საკუთარ სახელებად შერჩენია ამა თუ იმ ადგილს: სოფელს, მდინარეს, მთას, ტყეს, წყაროს, საყანეს, საბალახოს და სხვას. ზოგჯერ ასეთი საზოგადო სახელი აღარც ააქვს თავის მოქმედ ლექსიკურ შემადგენლობაში, მაგრამ შერჩენილია ამ თუ იმ ადგილის სახელწოდებაში (ახვლედიანი, 1957, გვ. 107) ტოპონიმის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილია ჰიდრონიმია. იგი შეიცავს მრავალმხრივ საყურადღებო ინფორმაციას წინაპართა მატერიალური და სულიერი ცხოვრების შესასწავლად, ენის განვითარების ისტორიის დასადგენად.

ჰიდრონიმი ჰიდროგრაფიული ობიექტის – დიდი და მცირე მდინარის, მისი ცალკეული მონაკვეთის-მორევის, ჩანჩქერის, მოსაბრუნის, სათევზაო ადგილის, ტოტის, ფშანის, აგრეთვე ზღვის, ტბის, არხის, ჭაობის, ლენჭყის და სხვათა სახელია.

ძირითადი ნაწილი

ამჯერად, ჩვენ წარმოგიდგენთ ქობულეთის მუნიციპალიტეტში დადასტურებულ ერთ ჰიდრონიმს. ეს გახლავთ: „კინკიშა“ (ახვლედიანი, 2009 გვ. 74).


„კინკიშა“

1. ყოფილი სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში;
2. მდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტში, კინტრიშის მარცხენა შენაკადი.

თავდაპირველად წარმოგიდგენთ მდინარე კინკიშას გეომორფოლოგიურ დახასიათებას:

მდინარე კინკიშას აუზის ფართობია 31.5 კმ კვადრატია, ხოლო სიგრძე-15 კმ. მორფოლოგიურად ხეობის შუა და ზედა მონაკვეთები V- სებრია (ლექვა და სხვ., 2020, გვ. 16).


მდინარე კინკიშას ქვემო წელში, მცირე ჰიდროელექტროსადგურის ზემოთ, ორ კმ-იან მონაკვეთზე ხეობა რამდენადმე ფართოვდება და შემდგომ კვლავ ვიწროვდება. იგი ასევე ვიწროვდება ჰესის ქვედა ნაწილში, ამ მონაკვეთში კინკიშის ხეობა ბუნებრივად გაფართოებულ, ჩაკეტილ სივრცეშია მოქცეული. აღნიშნულ მონაკვეთზე ხეობის ძირის საშუალო სიგანეა 30-40 მ. კალაპოტის სიგანე საშუალოდ 15-20 მ ხოლო ხეობის ფერდობების საშუალოდ დახრა- 30-40 გრადუსია (იქვე, გვ. 15).



მდინარე კინკიშას მაქსიმალური წყალმოვარდნები ახასიათებს აგვისტოს მეორე ნახევრიდან სექტემბრის პირველ ნახევრამდე. როგორც წესი, მდინარის დონე იშვიათად აღწევს, მაგრამ არ ცდება დამცავი ჯებირის ზედა ნიშნულს, მდინარის დონის დამცავი ჯებირის დონეზე აცდენის ერთადერთი შემთხვევა აღირიცხა 1978 წელს. ამ დროს წყალმოვარდნის ტალღის სიმაღლემ მიაღწია დაახლოებით 5.5 მეტრს, ხოლო მდინარის ხარჯმა 90-100 მ3/წმ. 1978 წლის ყველაზე ძლიერი წყალმოვარდნა გამოწვეული იყო მდინარე ხეობაში, სათავე ნაგებობის ზემოთ მოწყობილი ხელოვნური წყლის აუზის ავსებით და უცაბედი გარღვევით. ე. ი. წყალმოვარდნა ხელოვნური ჩარევის გზით იყო პროვოცირებული (იქვე, გვ. 19).

მდინარე კინკიშას ხეობის ფერდობები აღნიშნულ მონაკვეთებზე აგებულია შუა ეოცენის, შუა და ზედა ნყების ვულკანოგენურ-დანალექი ქანებით, ტუფობეჭიებით, ტუფოქვიშაქვებით, ტუფოკონგლომერატებით, ანდეზიტური საფარით და ანდეზიტ ბაზალტებით (გამყრელიძე და სხვ. 1964). ფერდობები ტყის საფარითაა შემოსილი. მდინარე კინკიშას ძირითად ნაკადს არ ახასიათებს ბუნებრივი კატასტროფული წყალმოვარდნები და ღვარცოფები (ლექვაძე და სხვ. 2020, გვ. 21).

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიედინება მდინარე კინტრიში, რომლის მთავარი შენაკადია მდინარე კინკიშა, რომელიც თავის მხრივ შეიცავს შენაკადებს: საკირე, ქარიშხლის ღელე, წერაკვეთის ღელე, საგებაურის წყალი, ხერკნალა, გომი, ყვიალი, ქობრონა, სკურდა, ძენისეული, ნაბელღავა, აჭყვა (თავისი მცირე შენაკადებით: განისგული, აჭყვანკალა, საკალმახე).



არსებობს გამოკვლევა ქობულეთის მთავარი მდინარის კინტრიშის შესახებ. იგი მეგრულ-ჭანური წარმოშობის ჰიდრონიმი ჩანს. ამას გვაფიქრებინებს ტოპოფორმანტი „იმ“. ეს სუფიქსი ფართოდაა გავრცელებული სვანურშიც, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზანურ ელემენტთან უნდა გვქონდეს საქმე.

მეგრული წარმომავლობის ტოპონიმთა წრეში აქცევდა „კინტრიშ“-ს ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1960:428). ჰიდრონიმ „კინტრიში“-ს ფუძე „კინტრ“ („ნაკინტრება“||„ნაკინდრება“), მკვლევარ აზ. ახვლედიანის ზეპირი ინფორმაციით, დასტურდება აჭარულში და ნიშნავს „ნაკიდება“, „ნაჩხუბება“-ს. იმერხევში, მკვლევარ შ. ფუტყარაძის ცნობით, დასტურდება „ნეიკინტლენ“-“ნაკამათდნენ“, რაც შეეხება ჰიდრონიმ კინტრიშის სახელდების მოტივაციას, აქ მართლაც ერთმანეთს ერთვის ორი მდინარე „კინტრიში“ – „კინკიშა“ და თითქოს ხდება მათი ერთმანეთზე ნაკიდება ნაკინტრება, ნაჩხუბება.

მდინარე კინკიშა – კინტრიშის მარცხენა შენაკადია (ქობულეთის მუნიციპალიტეტი სოფ. კვირიკე. კინკიშა (კინკ-იმ-ა) კომპოზიტური აგებულების ჰიდრონიმია. ამ ჰიდრონიმის პირველი ნაწილი კინკ -კინკი არ გვხვდება ქართული ენის

ჯავახურ დიალექტში, არც მესხურში, არც რაჭულში, არც თუშურში, არც ქიზიყურში, არც ინგილოურში (არ. მარტიროსოვი, ჟ. ფეიქრიშვილი, აღ. კობახიძე, პ. ხუბუტია, სტ. მენტეშაშვილი, ნ. როსტიაშვილი). კინკ - კინკი (კურთაში) – უბე (ნიფხვისა), კურთაში ბორკი – ტოტი ნიფხვისა იქვე კურთალარი – შდრ.: ქართ. კვართი-ძველად, პერანგი და მისი ამხანაგი ერთად შეერთებული, ერთი ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო (ჭარაია, 1997:80-83), ხოლო „იმ“ ზანური ტოპოფორმანტია, ისევე როგორც კინტრ(იმ)-ს შემთხვევაში, „ა“ – კი, შესაბამისად, მატოპონიმებული სუფიქსია. ვვარაუდობთ, ჰიდრონიმი „კინკიშა“ ზანიზმია და „უბისა“-ს ნიშნავს. კინკასერი მიკროტოპონიმია ზემო აჭარაში: კინკასერი – საძოვარი (სოფ. ტბეთი, შუახევის მუნიციპალიტეტი) ცნობა მოწოდებულია აზ. ახვლედიანის პირადი არქივიდან.

რაც შეეხება ჰიდრონიმ „კინკიშა“-ს ეტიოლოგიას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი მდინარის (კინტრიშის-ნ.ა.) შენაკადს, ტოტის შესართავს ნიშნავს. შდრ.: უბისა – სოფელია აღმოსავლეთ საქართველოში, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მდინარე ძირულას მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 320 მ.-ია. მას მალე მთები ისე აქვს გარშემორტყმული, რომ ყველა ადგილიდან თავისი განლაგებითა და მდებარეობით უბეს წააგავს. ჩვენი ვარაუდით, ჰიდრონიმი „კინკიშა“, ალბათ, ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ სახელწოდებათა ნუსხაში უნდა განვიხილოთ.

ლიტერატურა:

- აზ. ახვლედიანის პირადი არქივი, 1971 წელი, რვეული №3 (უჩამბა), შუახევის მუნიციპალიტეტი.
- ახვლედიანი, გ. (1957). აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმის ზოგიერთი საკითხისათვის, ჟურნალი „მნათობი“, №2, თბილისი.
- ახვლედიანი, ნ. (2009). ზანიზმები აჭარის ტოპონიმიაში, ბათუმი: გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- ლეჟავა, ზ., ნიქარიშვილი, კ., ყარალაშვილი, თ., ნასყიდაშვილი, ა. (2020). მდინარე კინკიშის ხეობის ღვარცოფული ნაკადების კვლევის შედეგები, საქართველოს აღ. ჯავახიშვილის სახ. გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, XX.
- ჭარაია, პ. (1997). მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯავახიშვილი, ივ. (1960). ქართველი ერის ისტორია ტ. I თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქეთევან მარგიანი-დადვანი Ketevan Margiani-Dadvani

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sokhumi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

X- XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლები: გვარსახელები – კიკედიათი, ცხუმიათი, გლათი, მარეგიათი¹

Written Monuments of Svaneti of the X-XVIII Centuries Surnames – Kikediani, Tshumiani, Glani, Maregiani

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, ონომასტიკა, წერილობითი ძეგლები, გვარები
Key words: Svaneti, Onomastics, Written Monuments, Surnames

¹ ნაკითხულია მოხსენებად ფ. ერთელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტში (27.02. 2023)

The written monuments of Svaneti chronologically cover the X-XVIII centuries. These are the historical documents of Svaneti, chronicles of spirits, and epigraphic monuments. The first reports about them in the scientific literature appear from the beginning of the 19th century: M. Brose, D. Bakradze, B. Nizharadze, Al. Khakhanashvili, N. Marr, E. Takaishvili, G. Chubinashvili, S. Kaukhchishvili, P. Ingorokva, V. Silogava put a lot of effort into collecting, recording, researching, and publishing these monuments.

The written monuments of Svaneti are not only interesting but also crucial from a linguistic point of view. These monuments are composed by the norms of the Sashuali Georgian (the term belongs to A. Shanidze referring to the Georgian language of the transition period, XII – XVIII centuries), also by the grammatical-stylistic and lexical peculiarities of both Old Georgian and Svan. In the scientific literature, these monuments are called Svanisms (E. Takaishvili).

The written monuments of Svaneti are full of onomastic materials. Archaic anthroponymic forms are especially interesting. The publication presents the etymologies of the following surnames based on the data of the written monuments of Svaneti from the X – XVIII centuries:

- **Kikedian** / Gigdeliani < **Kikta** (anthroponym)
- **Glan** < Svan. “A person with a senseless expression”
- **Tskhumiani** / **Chkhvimani** < Svan. **Tskhvimra** “Hornbeam”
- **Maregiani** / **Margiani** < Svan. **li-marg** / **la-marg** “Helpful, useful”

The rich anthroponymy of the written monuments of Svaneti gives an idea about the naming process in medieval Svaneti. In Kartvelology, there exists an opinion that among the endings of Kartvelian surnames (“ian/an,” “dze,” “shvili,” “el,” “ul/ur,” “ia,” “ava,” “skiri,” “chi,” “shi,” “kva,” “ti,” etc.) the “ian/an” formant production is the most ancient. The analysis of the onomastic materials of the written monuments of Svaneti supports this statement. “In Georgia, the surname has a long, centuries-old history. The existence of Georgian surnames is documented from the VIII-XIX centuries. However, it did not occur at that time. The surname originated earlier in our country” (R. Topchishvili).

Archaic anthroponymic forms are particularly interesting among the diverse onomastic materials of the written monuments of Svaneti. The following surnames, which have disappeared, can be found in these monuments: **Hirekiani, Pokheliani, Abugiani, Amnasariani, Itanoziani, Manashiani, Bobchiani, Palgariani, Gazhaniani, Kikediani, Tbeliani, Msavianani, Chushuliani, Rubagiani, Chkhumipkhe, Goshuanipkhe, Beutmanipkhe**, etc.

In the monuments, the groups of Georgian or Svan appellatives turned into anthroponyms are separated without any marking: **Mama, Rkina, Gedi, Tovlai, Monguri, Tetrari, Makharobel**, etc. The group of appellations turned into anthroponyms marked with the suffix “-a” of cuteness-caressing are also emphasized: **Lkhina, Maghala, Ertgula, Akhala**, etc. Without adding any format to these monuments there are toponyms: **Baghdad, Jordan, Crimea, Khakhuli**, etc. Ethnonyms are **Prangi, Jiki, Tatari**, etc.

In Svan, today’s consonant-based public names are vowel-based in the chronicles of the early period. This gives us the right to assume that the cutting of final vowels is a new phonetic process in Svan, chronologically dating back to the XIII century. In relation to the issue of

auslaut, this observation should not be without interest. From the linguistic-cultural point of view, it is also interesting that the lexical-semantic side of the written monuments (especially the anthroponymics of the chronicles of the spirits of Svaneti) is much clearer and transparent compared to the modern Svan language. Personal names created with foreign anthropoforants (-"khan," -"khan," -"bi") are not confirmed.

სვანეთის წერილობითი ძეგლები ქრონოლოგიურად მოიცავს X-XVIII საუკუნეებს; ეს არის სვანეთის ისტორიული საბუთები და საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებლები, სულთა მატიანეები, ეპიგრაფიკული ძეგლები – ფრესკული ისტორიული წარწერები, სვანეთის ლაპიდარული, ქედური და ნაკანრი წარწერები, წარწერები ზარებზე... სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ პირველი ცნობები ჩნდება XIX საუკუნის დასაწყისიდან: **მ. ბროსემ, ბართოლომეიმ, დ. ბაქრაძემ, ბ. ნიჟარაძემ, ალ. ხახანაშვილმა, ნ. მარმა, ე. თაყაიშვილმა, გ. ჩუბინაშვილმა, ს. ყაუხჩიშვილმა, პ. ინგოროყვამ, ვ. სილოგავამ...** დიდი ამაგი დასდეს მათ შეკრებას, შესწავლას, გამოკვლევასა და გამოცემას. სვანეთის წერილობითი ძეგლები შეიცავენ არაერთ უმნიშვნელოვანეს ცნობას შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიის შესახებ. ეს წერილობითი წყაროები საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით, რამდენადაც საშუალი ქართულის ნორმებით შედგენილ ამ ძეგლებში გარკვეულწილად ასახულია როგორც ძველი ქართულის, ისე სვანურის გრამატიკულ-სტილისტური და ლექსიკური თავისებურებანი, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში სვანიზმებადაა მიჩნეული.

სვანეთის წერილობითი ძეგლები მდიდარია ონომასტიკური მასალებით; აქ წარმოდგენილი განსაკუთრებით მდიდარი ანთროპონიმია და შედარებით მწირი ტოპონიმია წარმოდგენას იძლევა შუა საუკუნეების სვანეთის გეოგრაფიული ნომენკლატურისა და, ზოგადად, სახელდების პროცესების შესახებ. ძეგლების მრავალფეროვანი ონომასტიკური მასალიდან განსაკუთრებით საინტერესოა არქაული ანთროპონიმული ფორმები. აქ გვხვდება დღეს, სამწუხაროდ, უკვე გამქრალი და გადაშენებული შემდეგი გვარსახელები: **ჰირეკიანი, ფოხელიანი, აბუგიანი, ამნასარიანი, ითანოზიანი, მანაშიანი, ბობჩიანი, ფალგარიანი, გაჟანიანი, კიკედიანი, ტბელიანი, მსავიანი, ჭუშულიანი, ბაჩილიანი, რუბაგიანი...**

სულთა მატიანეების და, ზოგადად, X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლების ანთროპონიმია და თანამედროვე სვანურ გვარსახელთა სისტემა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ძეგლებში გამოიყოფა ყოველგვარი მარკირების გარეშე ანთროპონიმებად ქცეული ქართული და სვანური აპელატივების ჯგუფები: **თოვლაი, თვარე /მთვარეი, თეთვრაი, მახარობელ, მამა, აღმართი, აზნაური, ჭიქა, ქარი, რკინა, გედი, ჯავშანი, ოდიშ-ელ-იან, საღირ-ელ-იან...** სვანური: **სარაგ „წყარო“, ნელარ „კასრი“, ნინ „ენა“, ბერეჟ „რკინა“, შიხ „ნახშირი“, ხუნ „საძირკველი“, ბაჟინ „მაცნე, შიკრიკი“, მანგურ...** გამოიყოფა აგრეთვე ჯგუფი კნინობით-მოფერებითობის -ა სუფიქსით მარკირებული ანთროპონიმებად ქცეული აპელატივებისა: **ლხინა, ნალდა, მალალა, ერთგულა, ახალა, ნალველა...**

დღეს თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები (**ხუნ** „საძირკველი“, **კოჯ** „კლდე“, **ბერეჟ** „რკინა“) XIII საუკუნის მატინანეში ხმოვანფუძიანებია: **ხუნა**, **კოჯა**, **ბერეჟი**... რაც გვაფარაუდებინებს, რომ ბოლოკიდურ ხმოვანთა მოკვეცა სვანურში ახალი ფონეტიკური პროცესია, ქრონოლოგიურად XIII საუკუნის შემდგომდროინდელი. აუსლაუტის საკითხთან მიმართებით აღნიშნული დაკვირვება ზოგადად სვანურისათვის, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. ყოველგვარი ანთროპოფორმანტის დართვის გარეშე ძეგლებში პირის, ძირითადად მამაკაცთა სახელებად გვხვდება ტოპონიმები: **ბაღდადი**, **იორდანე**, **ყირიმი**, **ხახული**... ეთნონიმები: **ფრანგი**, **ჯიქი**, **თათარი**...

ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ფაქტი, რომ სულთა მატინანეების ანთროპონიმის ლექსიკურ-სემანტიკური მხარე თანამედროვე სვანურთან შედარებით ბევრად უფრო მკაფიო და გამჭვირვალეა:

„ვინცა **დოლს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჭვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **ასიბერისა... მუშტილასა... იწე ასიბერიანისა – ბაღდადისა – მრ~მისა... თვალშავისა** და ძისა მისისა აბესალამს... **თვალმინდი ხვერგუანისა...** (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941, გვ. 149).

თანამედროვე სვანურისაგან განსხვავებით, X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობით ძეგლებში ქართველურ -იან/-ან გვარდაბოლოების გვერდით გვხვდება ძველი ქართული -**ეან** და დასავლურ ქართულ არეალში გავრცელებული -**ფხე** სუფიქსები: **ჩხუმიფხე**, **გომუანიფხე**, **ბეუთმანიფხე**...

„ვინცა **ღეშტერით** ამა კრებასა მოეგება და სული შეჭვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **სუკვა ბეუთმანიფხესა... მამქან ათარიფხესა... მარიამ გორელიფხესა**, **სალირელას**, **ვეშავ ლოღელიანისა** (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941, გვ. 122).

სვანეთის წერილობით ძეგლების მონაცემების საფუძველზე ეტიმოლოგიები გვარსახელებისა **კიკედიანი**, **ცხუმიანი**, **გლანი**, **მარეგიანი** შემდეგი სახით შესაძლოა წარმოვადგინოთ:

კიკედიანი / გიგდელიანი < **კიკტა** (ანთროპონიმი). კიკედიანი > გიგდელიანი.

გვარი **გიგდელიანი** კიკტა საკუთარი სახელიდან მომდინარე ეპონიმური გვარსახლი უნდა იყოს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სნძ-ში არ გვხვდება გვარი **გიგდელიანი**, ამ გვარის წამომადგენლები დღეს მოსახლებენ ლენჯერში. საკუთარი სახელი **კიკტა** არ იცის თანამედროვე სვანურმა ონომასტიკონმა, მაგრამ დადასტურდა წერილობით ძეგლებში:

„ღმერთო მიეც დღე... **ჯანსუყს**, **ბესის**, **ყადის** და **კიკტას**, **გარსოს**, **მამაც კაცს**“ (XV-XVIII სს. მოსახ. 24, ტ. I, გვ. 291).

-**ელ** აფიქსი, რომელსაც ყრუთა ასიმილაციური გამჟღერება უნდა გამოეწვიოს, სადერივაციო ფორმანტია და საკმაოდ ხშირად გვხვდება სვანურ გვარსახელთა სისტემაში: შდრ. ხვინთელანი, ჯამდელიანი, გაზდელიანი, მარგველიანი, ჩამგელიანი...

სნძ-ში დადასტურებული **კიკედიანი** ფორმა შესაძლოა გვარსახელის **გიგდელიანი** – ჩამოყალიბების შუალედური საფეხური იყოს, წარმოდგენილი სრულ-

ხმოვანებითა და ნაწილობრივი ასიმილაციით. „*ვინცა ლეშტერით ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა... სინი ვითარიანია, ივანე კიკელიანისა, ბრჯი კიკელიანისა, მეუღლესა მისა ნათელისა*“ (მატ. IV, სვან. საისტ. ძეგლ. 1941, გვ. 121).

გვარსახელი **ცხუმია**ნი / ჩხვიმიანი < სვან. **ცხვიმრა** „რცხილა“ (შდრ. სოხუმი < ცხუმი). **ჩხვიმიანი** ერთი შეხედვით თითქოს შეიძლებოდა, ეთნონიმურ გვარსახელად მიგვეჩნია და ლეჩხუმელის სვანური ფორმისთვის დაგვეკავშირებინა: **მელჩხვიმ** „ლეჩხუმელი“ (შდრ. ძველი სვანური გვარი **თაკუერელიანი**). მაგრამ წერილობითი ძეგლების ანალიზმა სხვაგვარი სურათი და თავლსაზრისი წარმოაჩინა. **ჩხვიმიანი** მცენარეულობის სახერლთაგან ნაწარმოებ გვართა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ტიპის არაერთი გვარი გვხვდება ქართველურში: მუხაძე, რცხილაძე, ყყონია, ხორბალაძე, ჭინჭარაული...

სვანეთის წერილობით ძეგლებში დაცულია გვარის ადრინდელი ფორმა **ცხუმიანი**; **ცხუმიანი** > **ჩხვიმიანი**. ჩვენი ვარაუდით, გვარსახელი **ცხუმიანი** რცხილის სვანურს სახელს (ცხუმ/ცხუმ-რა/ცხვიმრა) უნდა უკავშირდებოდეს; (სვან. ლე-ცხუმერ „რცხილნარი“). გ. მელიქიშვილის, მ. ქაღდანის მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად სწორედ სვან. **ცხუმ** „რცხილა“ უდევს საფუძვლად, ამოსავალ ეტიმონად ზღვისპირა ქალაქ სოხუმს. შდრ. ასევე სვანეთის სოფლების სახელები **ცხუმარი** და **რცხმელური**.

სვანეთის წერილობით ძეგლებში გვარი ცხუმიანი წარმოდგენილია შემდეგი ფონეტიკური ვარიანტებით: **ცხვიმიანი, ცხომიანი, ცხუვიმიანი, ცხუმიანი...**

ამავე წერილობით ძეგლებში გვარი **ჩხუმიანი**ც არის წარმოდგენილია შემდეგი ფონეტიკური ვარიანტებით: **ჩხომიანი, ჩხვიმიანი, ჩხუმიფხე...**

ამოსავალ ცხუმ/ცხუმ-რა სიტყვაში ერთადერთი ძირეული ხმოვანი უ უმლაუტიანია, რაც ხდება სწორედ განმაპირობებელი ფაქტორი ასეთი მრავალფეროვანი ფონეტიკური ვარიანტების არსებობისა: სვანეთის წერილობითი ძეგლების მდივან-მწიგნობარნი მერყეობენ უმლაუტიან ხმოვანთა გადმოცემისას და პრაქტიკულად გამოსატყვევენ მას ხან **ვი** კომპლექსით, ხან **უ**-თი და ხანაც **ო** ხმოვნით.

„*უფალო ღმერთო, მიეც დღე ბექის ჩხუმიანს, მის მეუღლეს გურანგუს, ქუჯუს ჩხვიმიანს, მის მეუღლეს მაქას... (XVIII საუკ. ტ. 1. მოსახ. 44 გვ. 305).*

„*ვინცა ლახამლს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: ხუცისა ქელბაგიანისა... ჯგვაბაესა... უჯგუშისა... ჯიჯისა... თვალშავისა... ოდიშელისა, თოულაესა, დუდაე ქარჩიანისა... ჯიჯი ცხვიმიანი-სა... ბახსანელასა... ცხაგა ფალგარიანისა*“ (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941, გვ. 120).

ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ადრინდელი პერიოდის ძეგლებში დაცულია ჩვენ მიერ ამოსავლად მიჩნეული **ცხუმიანი** ფორმა ამ გვარსახელისა, გვიანდელი პერიოდის XVI – XVIII სს. მოსახსენებლებში კი – **ჩხუმიანი / ჩხვიმიანი** ვარიანტები.

ქართველურში ხშირად გვხვდება ე. წ. ეპითეტური, ანუ დახასიათების შემცველი გვარები. დღეს ონომასტიკონში არარსებული, მაგრამ სწმ-ში დადასტურებული ფორმა გლანი სწორედ ამ ტიპის გვარებს უნდა განეკუთვნებოდეს. **გლანი** < სვან. **გგლე** „რეგვენი, უაზრო გამომეტყველების ადამიანი“ (შდრ. სვან.

ლი-გლნვ-ანწლ „უაზრო გამოხედვა, უინტელექტო ადამიანის უაზროდ ყურება; უაზრო გამომეტყველების ადამიანის მენერები“). გვარსახელი გლანი გვხვდება მხოლოდ „მატიანე სვანეთისა კრებისაში“. ესე იგი შედარებით ადრინდელი პერიოდის ძეგლში, რომელსაც ახასიათებს მკაფიო, გამჭვირვალე სემანტიკის ეპითეტური (ამ შემთხვევაში უარყოფითი კონოტაციის) ანთროპონიმია: „*ეცერს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა... ანგაჰრი აფაქიანისა, ნუნაჲ გლანისა* (მატ. VII გვ. 132). მანანა ფანჯიკიანისა, მიქელურა **გლანისა** (სვან. საისტ. ძეგ. 1941, გვ. 144).

საინტერესოა ერთი გარემოებაც: სულთა მატიანეებში ყურადღება მიიქცია ირაციონალური ზ ხმოვნის შემცველი ანთროპონიმების არარსებობამ. სვანურ პროზაულ ტექსტებში, საეკლესიო ჩანაწერებსა და ცოცხალ მეტყველებაში მრავლად დასტურდება ინლაუტსა და აუსლაუტში ანაპტიქსური ზ ხმოვნის შემცველი ანთროპონიმები: ბეჯა, ახემ, ქენჯა, ბათერ, ხარემ, ხერგფს, მჰქჩგ, ბიმგ, ჯგჯგგ, ჯამგრხან, ყვლგჩ, დარჯგ...

ადრეული პერიოდის ძეგლებში ზ ფონემის შემცველი ანთროპონიმების არარსებობა პრაქტიკული მიზეზებით უნდა იყოს განპირობებული; მდივან-მნიგნობარნი ზოგადად და „მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“-ს შემთხვევაში **დემეტრე ლოლელიანი** ირაციონალურ ხმოვანს გადმოსცემენ ხან უ-თი, ხან ე-თი, ხანაც ნუ-ლით.

ცნობილი თვალსაზრისია, რომ ონომასტიკა არის მეცნიერების ის უბანი, სადაც ერთიანდება ინტერესები ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა... გამომდინარე, ზოგადად, საკუთარ სახელთა სრულიად სხვადასხვა ასპექტით (ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ქრონოლოგიური, სოციალური, სტილისტიკურ-ესთეტიკური, ექსტრალინგვისტური...) კვლევა-ძიების შესაძლებლობებიდან. შესაბამისად X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლების, „სვანეთის სულთა მატიანეების“, ენათმეცნიერული კუთხით შესწავლა იძლევა არაერთი საინტერესო დაკვირვებისა და დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

გვარსახელი **მარეგიანი/მარგიანი** (<სვან. **ლი-მარგ** /ლა-მარგ „სიყოჩაღე, ვარგება“ (შდრ. კაცი მარგი...) **ლიმარგ** (ზს.) „ვარგისობა, სიმარჯვე, სიყოჩაღე, მოქნილობა, სისწრაფე, მამაცობა“ ქაჰუჰჰ ჩიჰჰ ამიშ **ლიმარგ** „ამის სიმამაცის ხმა ყველგან გავარდა“ (სვან. ლექსიკ., 2000, გვ. 440).

მარგიანი ერთ-ერთი ძველი და ცნობილი გვარია სვანურ გვარსახელთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ მატიანენი მესტიისა და მულახისა, სადაც ისტორიულად მარგიანები ცხოვრობდნენ, ჩვენამდე მოღწეული არ არის, მარეგიანი გვარის წარმომადგენელი, როგორც არქიტექტორნი და ციხე-კოშკთა მშენებლები ხშირად არიან მოხსენიებულნი სხვადასხვა ისტორიულ კონტექსტში, სწორედ ადრეული პერიოდის წერილობით ძეგლებში.

ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება. მოსახსენებელთა ტექსტები შეიცავენ მონაცემებს, რომლებიც შეეხებიან სვანეთის წარსულის ზოგიერთ კულტურულ-ისტორიულ საკითხს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია, მაგალითად, ცნობები სვანური საცხოვრებელი კომპლექსების – კოშკებისა და სახლების ამშენებელთა შესახებ. როგორც

ცნობილია, სვანური საერო ნაგებობების მშენებელთა ან მშენებლობის შესახებ არავითარი წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვებოდა, განსხვავებით საეკლესიო ნაგებობებისაგან... სვანური საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებლების ცნობების მიხედვით დღეს უკვე ჩვენთვის ცნობილია სულ ცოტა სამი კომპლექსის (დადიმ-ქელიანთა ციხის, ბაბიანთა ციხის და ბუზუ მულელანის ციხის) ამშენებელი ოთხი პირის სახელი: ერთი ცნობის მიხედვით დადიმგელიანთა ციხე აუგიათ ივანე და პორტი მარეგიანებს: „დადიჩქელიანის ციხესა ამშენებელსა **იოვანეს და პორტის მარეგიანსა** შეუნდოს ღმერთმან“ – ვკითხულობთ სამთა ძმათა დადიჩქელიანთა სახლის მოსახსენებელში.

მეორე ცნობის მიხედვით ბაბიანთა ციხე აუგია ბადი მარეგიანს: „ამა **ციხისა აღმაშებელსა ბადის მარეგიანსა** შეუნდოს ღმერთმან“. მესამე ცნობა შეეხება ბუზუ მულელანის ციხის მშენებლობას: „ამ ციხესა მაშენებელსა **დავით მარეგიანს** შეუნდოს ღმერთმან“.

ამ ცნობიდან ისიც ჩანს, რომ **მარეგიანები** ანუ გვარის თანამედროვე ფორმით **მარგიანები** ძველ დროსვე ქვით ხურობის ცნობილი ოსტატები ყოფილან და **სვანეთის საერო ხუროთმოძღვრების არაერთი დიდებული ძეგლი მათი აშენებული უნდა იყოს** (სილოგავა, სნძ, 1986, გვ. 267).

XVIII – XIX საუკუნეებში (სავარაუდოდ უფრო ადრეც!) მარგიანები არიან მულახის საეკლესიო-სამღვდელო პირნი, მათ სახელსვე უკავშირდება წერა-კითხვის გავრცელება და პირველი ორკლასიანი სასწავლებლის დაარსება სვანეთში. ამ სასულიერო პირთაგან ისტორიაში განსაკუთრებით ჩანს გიორგი მარგიანი, რომელსაც ხალხი არქმევს „**ხოშა ბაპს**“ დიდ მღვდელს.

„სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს იყო სვანეთის ისტორიის, სვანეთის წარულის საუკეთესო მცოდნე. სვანეთზე წიგნების ავტორნი მუდამ სარგებლობდნენ მისი ცნობებითა და ნაამბობით, რომლებიც სავსებით სარწმუნო უნდა იყოს (გაბლიანი, 1927, გვ. 82).

XIX საუკუნის სვანეთის კულტურის მოღვაწეთაგან განსაკუთრებული როლისა და დამსახურების მქონედ მიჩნეულია სამი პიროვნება, სამი მოღვაწე: ბესარიონ ნიჟარაძე, ივანე მარგიანი, ლაზარე დადუანი. სამივე აქტიურად თანამშრომლობდა იმდროინდელ ქართულ პრესასთან, პირადად ერის მამასთან – ილია ჭავჭავაძესთან ჰქონდათ უშუალო მიმონერა, სისტემატურად აქვეყნებდნენ წერილებს „ივერიასა“ და სხვა გაზეთებში სვანეთის ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებების, ქართულ-სვანური ენის ერთობის შესახებ, საწინააღმდეგოდ რუს მოხელეთა და ჩინოვნიკთა მიერ დამკვიდრებული აზრისა (ლეჟავა, 2008, გვ. 78).

სვანეთის სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნით აღშფოთებული და დიდად უკმაყოფილო ივანე მარგიანი მუჟალველის ფსევდონიმით ჯერ კიდევ 1891 წელს (მეცხრამეტე საუკუნეში!) „ივერიას“ აცნობებდა: „შევირდეbs ქართულ ენას არ ასწავლიან, ეს ჩვენი აზრით, დიდი ნაკლია ხსენებული სკოლის პროგრამისა“ (გაზეთი „ივერია“, 1891 წ. № 255, გვ. 2. დეკანოზი ი. მარგიანი, 2016, გვ. 47).

1901 წელს იგივე ივანე მარგიანი, წარსულის ღრმად მცოდნე და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ბედით შენუხებული წერდა:

„ვეგონებ, მართლაც არსად არ არის იმისთანა ქვეყანა, რომ სვანეთსავით მდიდარი იყოს ძველი ეკლესიებით, ხატებით და საეკლესიო წიგნებით. რას არ

ნახავს აქ კაცის თვალი? ვერ წამომიდგენია, თუ საიდან გაჩნდა ამდენი ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ხატი, ძვირფასი ქვებით შემკული აზარფეშები, ტყავზედ დაწერილნი საეკლესიო წიგნები თუ სხვა ძვირფასი ნივთები! ... მაგრამ მეორე მხრით ძლიერ დაგალონებთ ის გარემოება, რომ ყოველივე ეს ძველი ნაშთი შესაფერისად არ არიან დაცულნი. ... ეს ძვირფასი ხატები და წიგნები გაფანტულნი არიან სხვადასხვა ეკლესიებსა, კოშკებსა და სახლებში. სასურველია, რომ სვანეთის ერთ-ერთ ეკლესიასთან დაარსდეს მუზეუმი – ძველი ნივთების შესანახი“ (ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, 1973, გაზ. „მწყემსი“ 1901, № 16, გვ. 5).

1910 წელს აკადემიკოსმა **ექვთიმე თაყაიშვილმა** სვანეთში ექსპედიცია გაწარმოებდა. ის წერს: „წინათ ფიქრობდნენ, სიმრავლე ჯვარ-ხატებისა და ხელნაწერებისა, რომელნიც სვანეთში იყო და დღესაც არის, აიხსნებოდა იმით, რომ სვანეთში ეზიდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ამ ნივთებს შესანახად და გადასარჩენად განადგურებისაგან მტერთა შემოსევის დროს. ეჭვი არ არის, ამასაც ადგილი ჰქონდა, მაგრამ ჩვენის დაკვირვებით, ცხრა მეთაფი ჯვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას მოწმობს **სვანიზმები** წარწერებისა, გვარები შემკვეთელებისა და ოქრომჭედელთა. საზოგადოთ ოქრომჭედლობა სვანეთში დიდათ განვითარებული ყოფილა“ (თაყაიშვილი, 1910, გვ. 337).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სვანეთის წერილობით ძეგლებში მარგიანთა თორმეტი წარმომადგენელია მოხსენიებული გვარსახელის ადრინდელი, ურედუქციო ფორმით:

„ამისა გათავებისა თავზდებად მომიცემია ღმერთი: კაცთაგან იგდარ მარეგიანი, ჩარგას ხრთაგიანი (სწდ, 1986, გვ. 189).

„ვინ ესე გაუტეხოს, იგიმცა კაცი კრული არს ჯუართა ქრისტესითა... ამისა შუამავალნი ბულაირ ჭედელიანი, ბადრი გოშგოთელიანი, მჯაფარიანი და ხერეგიანი ყულა, მაცხოვრის დეკანოზი მულახისა მახარობელი ფრანგი მარეგიანი, გიორგი მარეგიანი, ივანე მარეგიანი, გუგუ უხოჯელიანი“ (სძწ, 1986, გვ. 199).

„თაუსდებად ზემო წერილნი წმიდანი, კაცთაგან: მარეგიანი ნავო, გოშგოთელიანი აზნავ, ხრთაგიანი პატარა“ (სვან. საისტ. ძეგ. 1941, გვ. 44).

თუკი წერილობით წყაროებში დაფიქსირების ხანას გავითვალისწინებთ, ლოგიკური იქნება მოსაზრება, რომ ეპითეტური, ანუ დახასიათების შემცველი გვარიდან **მარეგიანი>მარგიანი** ნაწარმოებად მივიჩნიოთ გვარსახელები: მარგიშვილი და მარგიევი. ი. ახუაშვილს წიგნში „ქართული გვარსახელები“ გამოთქმული აქვს ვარაუდი მარგიშვილის საკუთარ სახელ მარგოდან მომდინარეობის შესახებ, რაც მართებული არ უნდა იყოს. ამავე ავტორის ცნობით, დოკუმენტებში გვარი მარგიშვილი ჩნდება საკმაოდ გვიან: **„თავად დიმიტრი თურქესტანიშვილის გლეხად სოფელ ერტისს 1823 წ. მოიხსენიება გიორგი მარგიშვილი“ (ახუაშვილი, 1994, გვ. 431).**

გვარი მარგიანი არ არის ეპონიმური წარმომავლობისა. ის დახასიათების შემცველი, ეპითეტური გვარსახელია, მომდინარე ლექსემა მარგი-დან (მდრ. კაცი მარგი, კაცი ვარგი). ამოსავალი ეტიმონი ლა-მარგ/ლი-მარგ სვანურში სიყოჩაღეს, სიმარდეს, ვარგისიანობას გახაზავს და დადებითი კონოტაციის მქონეა ყველა

კონტექსტში, ისევე როგორც ამ გვარის წამომადგენელთა ისტორია და დამსახურება სვანეთში (და სრულიად საქართველოში), თანახმად X- XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლების ცნობებისა (სილოგავა, სნძ, ტ. I, გვ. 267).

ამრიგად, საქართველოში გვარსახელს დიდი ხნის, საუკუნეების ისტორია აქვს. ქართული გვარსახელების არსებობა დოკუმენტურად დასტურდება VIII-XIX საუკუნეებიდან. თუმცა ის ამდროს არ წარმოქმნილა. გვარსახელი ჩვენში უფრო ადრეა წარმოშობილი.

ქართველოლოგიაში გამოთქმულია და გაზიარებულია მოსაზრება, რომ ქართველურ გვარდაბოლოებათა შორის (-იან/-ან, -ძე, -შვილი, -ელ, -ულ/-ურ, -ია, -ავა, -ჭკორი, -სკირი, -ჩი, -ში, -ყვა, -ტი...) უძველესია სწორედ -იან/-ან ფორმანტიანი წარმოება. სვანეთის წერილობითი ძეგლების ონომასტიკური მასალების ანალიზი კიდევ უფრო ამყარებს ამ დებულებას.

ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ფაქტი, რომ წერილობითი ძეგლების, განსაკუთრებით კი სვანეთის სულთა მატთანების ანთროპონიმის ლექსიკურ-სემანტიკური მხარე თანამედროვე სვანურთან შედარებით მკაფიო და გამჭვირვალეა. მატთანებში არ დასტურდება უცხოენოვანი ანთროპონიმანტიებით (-ხან, -ყან, -ბი) წარმოები საკუთარი სახელები.

ონომასტიკური, ეთნოლინგვისტური, ისტორიული, ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით შესწავლა სვანეთის წერილობითი ძეგლებისა იძლევა საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

ლიტერატურა:

- გაბლიანი, ე. (1927). თავისუფალი სვანეთი, ტფილისი. გამომცემლობა „სახელგამი“.
- დეკანოზ ივანე მარგიანის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა (2016). თბილისი. „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“.
- ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე (1973). ლ. დადუანი, ბ. ნიჟარაძე, ი. მარგიანი, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- თაყაიშვილი, ე. (1910). არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.
- თოფჩიშვილი რ. (1997). როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბილისი. გამომცემლობა „კეგელი“.
- ლეჟავა, თ. (2008). ივანე მარგიანი, ცხოვრება და მოღვაწეობა, სვანური სიმღერების უნიკალური ფონოჩანაწერები, თბილისი: გამომცემლობა „აგორა“.
- მატიანე სუანეთისა კრებისაი (1941). სვანეთის საისტორიო ძეგლები. რედაქტორი პ. ინგოროყვა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- სილოგავა, ვ. (1986). სვანურ საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებელთა ზოგიერთი ცნობა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ქართული ემიგრანტული ლიტერატურა (1991). კრებული „დაბრუნება“, ტ. 2, თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“.
- ხუაშვილი, ი. (1994). ქართული გვარსახელები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- სნძ (1986, 1988). სვანეთის წერილობითი ძეგლები, რედაქტორი ვ. სილოგავა. ტ. I – II, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

გიორგი ქიტოშვილი
Giorgi Kitoshvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ტოპონიმი „ელამი“ ბიბლიის ქართულ ვერსიებში
The Toponym "Elam" in the Georgian Versions of the Old
Testament

საკვანძო სიტყვები: ქართული ბიბლია, ტოპონიმი, ბიბლიის თარგმანების
ურთიერთმიმართება, თარგმანის ტექნიკა

Keywords: Georgian Bible, toponym, correlation of the translations; the technology of
transfer

The Bible tells the century-old history of the Jewish nation that inhabited various territories and communicated with linguistically different peoples. Hence, the Old Testament contains the names of toponyms of numerous regions. Under the influence of Hebrew, these toponyms initially appeared in the Greek translation of the Bible and, later, in other translations based on the Greek version of the Bible, including the Georgian translations.

The following types of toponyms are found in the Georgian translations: 1. Local names of toponyms of Asia Minor and North Africa. These names have appeared in the Georgian versions under the influence of the Greek and Armenian translations of the Bible; 2. The Greek place-names that were well-known in the Hellenic period; 3. Greek versions of place-names formed by means of different morphological affixes. Therefore, translation of the geographical names requires a multidimensional approach.

We have studied the toponyms transferred into Georgian based on different methods by means of a comparative approach, taking into account the history of each text of the Bible. We have compared the relevant textual forms of toponyms and related ethnonyms. We have focused on the technique of translation, the practice of copying and the method of glossing.

It is interesting to find out which tradition of naming of toponyms was familiar to the Georgian translator and shared by the latter: Greek historiographic tradition, Greek Biblical tradition, the tradition of the country to which the toponym in question belongs, or the translator does not follow any of the above-mentioned traditions and merely follows the text, transliterating the geographical names and ethnonyms. In order to answer these questions, it is necessary to study the technology of transfer of toponyms.

A toponym may be translated if its meaning is known to the translator or if an exact correlate exists in the language of translation. In other cases, the translator creates transliterated forms and tries to achieve maximum closeness to the original version. In such cases, transliteration is due to the lack of information regarding the translated segment (Tov, 1999, pp. 503-4). In the latter case, the translator is obliged to copy the original word.

When analyzing the Georgian versions of Biblical toponyms, alongside with the study of translation technique, we should take into account the fact that the names containing phonemes alien to Georgian could have been changed in the process of copying.

By establishing correspondence between Georgian and foreign versions, we can identify the initial version found in the Georgian translation and the reading which is close to it. We can also find out what was changed by the copier and how authentically we have preserved the initial translation.

Thus, identification of the toponyms of the Georgian version of the Bible and textological research is an important task with reference to the study of the technique of transfer, the issues of origin and authenticity of translation and further history of the text. Identification of the Greek-Armenian and Georgian correlation of toponyms helps to analyze the knowledge and opinion of ancient Georgians and translators regarding the Biblical society and find out the awareness of Georgians regarding the regions and countries mentioned in the Bible.

The aim of the given research was to find out which Biblical textual tradition was shared by Georgian translators when transferring the toponym Elam. Research has proved that the toponym Elam was rendered in Georgian under the influence and imitation of Greek.

Regarding the technique of translation of the above-mentioned toponym in the Georgian Bible, we can conclude the following:

1. Elam is a fixed lexical equivalent used in all Georgian translations. Different readings (such as “Selonelisa“) are due to the error of the copier; 2. The Georgian versions of the Old Testament use the reading **Elam/Elamite**, obtained as a result of transliteration from Greek; 3. Georgian reveals a tendency of closeness to Greek; 4. At the time of translation, there was no Georgian adequate correlate for *Elamite*, therefore, the form was transliterated; 5. In the Georgian versions, there are no translations of the toponym or any correlates historically known to Georgians; 6. The toponym was transliterated based on its pronunciation (A1-e → e-(lam)). As for the ethnonym, it was based on the imitation of the pronunciation and spelling (-ἱτ → **ite**); 7. At the time of translation, the lexical unit denoting Elam was not found in the Georgian language. It is also possible that Georgians confused Elamites with other nation/nations, having overly general knowledge of the nations of the Middle East (e.g. Midianites).

8. During the transfer of Elam’s synonymous toponym (Ἐλυμαΐδα – “Elyamadad“), the transliteration was based not on the pronunciation but on the spelling. Georgian translator-editors were unable to identify the toponym Ἐλυμαΐδα (“Elumaydas“), because they were unaware of the toponymy of Elam’s regions. Hence, they failed to establish the correspondence between Ἐλυμαΐδα (“Elumayda“) and Elam.

9. Analysis of the Bible has proved that the meaning of the toponym Elam was narrowed with time. Initially (approximately in the 14th-13th centuries B.C.), the name Elam referred to the regions of Susiana and Anshan; later (approximately in the 7th-6th centuries B.C.) the name referred to Susiana only; finally (approximately in the 3rd-1st centuries B.C.), the name embraced Susa only.

Thus, for Georgian translators-editors, the Bible was a reliable source for the study of the country of Elam and the history of the Elamite ethnicity. The translation was not influenced by the background knowledge of the translators. On the contrary, based on the translation, the Georgians acquired knowledge regarding Elam – one of the powerful states in the ancient Middle East.

This research [PHDF-22-6557] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

შესავალი

ბიბლია მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ებრაელი ერისა, რომელიც სხვადასხვა ტერიტორიაზე ცხოვრობდა და ენობრივად განსხვავებულ ხალხებთან ჰქონდა ურთიერთობა. შესაბამისად, ძველი აღთქმა დატვირთულია არაერთი რეგიონის ტოპონიმებით, რომელთა სახელებიც ებრაულის გავლენით ჯერ ბიბლიის ბერძნულ თარგმანში გაჩნდა, ხოლო შემდეგ – ბერძნულიდან შესრულებულ თარგმანებში, მათ შორის ქართულშიც.

ქართულ თარგმანში სხვადასხვა ტიპის ტოპონიმები გვხვდება: 1. მცირე-აზიური და ჩრდილოეთაფრიკული ტოპონიმების ადგილობრივი სახელწოდებები,

რომლებიც ბერძნული და სომხური თარგმანის გავლით არის შემოსული; 2. ელინისტურ ეპოქაში ცნობილი ბერძნული სახელწოდებები; 3. სხვადასხვა მორფოლოგიური აფიქსით გაფორმებული, გაბერძნულებული სახელები, ამიტომ გეოგრაფიულ სახელთა გადმოტანა არაერთგვაროვან მიდგომას საჭიროებს.

ქართულში განსხვავებული მეთოდით გადმოტანილი ტოპონიმები შევისწავლეთ კომპარატივისტული მეთოდით, ბიბლიის თითოეული წიგნის ტექსტის ისტორიის გათვალისწინებით. ტოპონიმთა და მათთან დაკავშირებულ ეთნონიმთა რელევანტური ტექსტუალური ფორმები შევუდარეთ ერთმანეთს. შევისწავლეთ მათი თარგმანის ტექსნიკა, გადანერის პრაქტიკა, გლოსირების მეთოდი.

ჩვენთვის საინტერესოა, ტოპონიმის სახელდებისას რომელ ტრადიციას იცნობს და იზიარებს ქართველი მთარგმნელი: ბერძნულ ისტორიოგრაფიულს, ბერძნულ ბიბლიურს, იმ ქვეყნისას, რომლის ნაწილიცაა შესასწავლი ტოპონიმი თუ – არცერთს და უბრალოდ, სათარგმნ ტექსტს მიჰყვება და მასში მოცემული გეოგრაფიული სახელი თუ ეთნონიმი ასო-ასო გადმოაქვს. სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად არის აუცილებელი ტოპონიმთა გადმოტანის ტექნიკის შესწავლა.

ტოპონიმი შესაძლოა ითარგმნოს იმ შემთხვევაში, თუ მისი მნიშვნელობა ცნობილია თარგმანის შემსრულებლისთვის ან თარგმანის ენაში არსებობს ზუსტი შესატყვისი. სხვაგვარი, მთარგმნელი ქმნის ტრანსლიტერირებულ ფორმებს და დედნის ენას მაქსიმალურად ასახავს თარგმანში. ამ დროს ტრანსლიტერაცია გაპირობებული არის სათარგმნ სემანტიკაზე ცნობების ნაკლებობით (Tov, 1999, pp. 503-504). უკანასკნელ შემთხვევაში, მთარგმნელი იძულებული ხდება, გაიმეოროს დედნისეული ნაკითხვა.

ბიბლიის ქართულ თარგმანში ტრანსკრიბირებული ტოპონიმები ორგვარი მეთოდით გადმოვიდა: 1. ბერძნულ/სომხური წარმოთქმის ფონეტიკური წესების გათვალისწინებით; 2. ასო-ასო ტრანსკრიბირებით (ტრანსლიტერაციით). ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ მთარგმნელ-რეცენზენტისთვის ცნობილი იყო სათარგმნი სიტყვა ბერძნულში როგორ გამოითქმებოდა, ტრანსლიტერაციას წარმოთქმის ფონეტიკური წესების გათვალისწინებით ასრულებდა. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ტოპონიმი ასო-ასო იმდენად ზედმიწევნით გადმოდიოდა, რომ ხშირად ბერძნული და სომხური მანარმოებელი აფიქსებიც ფუძის შემადგენელ ნაწილად აღიქმებოდა და ისახებოდა ტრანსკრიბირებულ ფორმაში. სწორედ ამიტომ მიუთითებს ტოპონიმებისა და ეთნონიმების ქართულ-ბერძნული/ქართულ-სომხური ტრანსლიტერაციის მაგალითები, თუ რა სახის ინფორმაციას ფლობდნენ ქართველი მთარგმნელ-რეცენზენტები ბიბლიაში მოხსენიებული ამა თუ იმ რეგიონის შესახებ.

ბიბლიური ტოპონიმების ქართულ თარგმანში გადმოტანის შესწავლისას მნიშვნელოვანია თარგმანის ტექნიკის გათვალისწინება, ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ქართულისათვის უცხო ფონემატური სტრუქტურის სახელები შეიძლება გადანერის პროცესშიც შეცვლილიყო.

ქართულისა და უცხოენოვანი ვარიანტული ნაკითხვების შესაბამისობის დადგენით ვარკვევთ, თუ რომელი იკითხვისი შეიძლება ყოფილიყო თავდაპირ-

ველ ქართულ თარგმანში ან რომელი ნაკითხვაა მასთან ახლოს; რა შეიცვალა გადამწერის მიერ, რამდენად ავთენტურად არის მოლწეული პირვანდელი თარგმანი;

ამრიგად, ქართული ბიბლიის ტოპონიმების იდენტიფიცირება და ტექსტოლოგიური კვლევა მნიშვნელოვანი საქმეა გადმოტანის ტექნიკის, წარმომავლობის საკითხების, თარგმანის ავთენტურობის შესასწავლად და ტექსტის შემდგომი ისტორიის გასაცნობად. ტოპონიმების ქართულ-ბერძნულ-სომხური შესატყვისობების დადგენა გვეხმარება, გავერკვეთ მთარგმნელთა და იმდროინდელი ქართველების ცოდნა-წარმოდგენებში ბიბლიური საზოგადოების შესახებ; გავიგოთ, რა ინფორმაციას ფლობდნენ ქართველები ბიბლიაში მოხსნიებული რეგიონებისა და ქვეყნების შესახებ.

ელამი ბიბლიურ წყაროებში

ძველ აღთქმაში ლექსემა ელამს (Elam) განსხვავებული მნიშვნელობები დაეძებნება. მათ შორის ყველაზე ხშირად აღნიშნავს ანთროპონიმს. ბიბლიაში ექვსი პიროვნება გვხვდება სახელით ელამი: 1. ნოეს შვილის, სემის უფროსი ვაჟი (დაბ. 10:22; I ნეშტ. 1:17); 2. როამის ძე ბენიამინის ტომიდან, რომელიც იერუსალიმში სახლობდა (I ნეშტ. 8: 24); 3. ერთ-ერთი წინასწარმეტყველი, იექონიასა და ელიას წინაპარი, რომელმაც უარი თქვა „უცხოეთესლთაგან“ მოყვანილ ცოლსა და მისგან შეძენილ შვილებზე (I ეზრა. 10:2); 4. ტყვედ ჩავარდნილი ებრაელი, დაკავშირებული ეზრასთან (I ეზრა 2:7); 5. ებრაელების ერთ-ერთი მთავარი, რომელმაც ცოლად უცხოელი მოიყვანა (ნეემ. 10:14); 6. მუსიკალური უნარებით დაჯილდოებული ლევიტელი ეზრასა და ნეემიას დროს (ნეემ. 12:42).

სიტყვა ელამს ბიბლიაში, რასაკვირველია, ტოპონიმის მნიშვნელობაც აქვს. კერძოდ, ელამი ერქვა ასურელების მფლობელობაში მყოფ ერთ-ერთ ქალაქს, რომელიც სირიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ევფრატის მახლობლად, მდებარეობდა (II მეფეთას 10: 15-19). დავითის გამარჯვება ასურთა მეფე ადრაზარზე სწორედ ქალაქ ელამთან მოხდა. დამარცხებულმა ასურელებმა ელამს შეაფარეს თავი.

დაბოლოს, ძველი ახლო აღმოსავლეთის უძველესი ქვეყანა ელამი არაერთგან, ძველი აღთქმის სხვადასხვა წიგნში, არის მოხსენიებული.

ბიბლიური ცნობები ქვეყანა ელამის შესახებ

ბიბლია არის ერთ-ერთი სანდო და უძველესი წყარო ისტორიის რეკონსტრუქციისთვის. მასში გადმოცემული ამბების გათვალისწინებით, შესაძლებელია ძველი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, მათ შორის ელამის, ისტორიაზე საუბარიც.

წმინდა წერილის მიხედვით, ელამის პირველი მკვიდრნი სემიტური მოდგმის ხალხი იყო (დაბ. 10:22), ხოლო სპარსელები (თავად ელამელები ირანულ/სპარსულ ტომებთან ნაწილობრივ ასიმილირდნენ) – ირანული თუ არიული წარმომავლობისა (ОБССИ, с. 553). ელამის მეფეების, ეპარტიდების, მმართვე-

ლობის პერიოდს (1970-1600 ძვ. წ.; Le Brun, 1978, p. 180) უკავშირდება აბრაამის მოღვაწეობა და ელამის მეფე ქოდოლაგომორზე გამარჯვება. ამ დროისათვის ელამელები ებრძვიან ბაბილონელ კასიტებს მესოპოტამიის დაბლობზე გავლენის მოსაპოვებლად. წმინდა წერილის მიხედვით, შეგვიძლია მსჯელობა ელამის დაპყრობითი ლაშქრობების შესახებ. აბრაამის დროს ელამელების ძალაუფლება, შესაძლოა, სირიაზეც ვრცელდებოდა და აღწევდა ქანაანამდე. როგორც ბიბლია მოგვითხრობს (დაბ. 14: 1-22), ელამის მეფეთა ლაშქრობების პერიოდში ქანაანის ქვეყნები დაამარცხა მეფე ქოდოლაგომორმა, რომელსაც 12 წლის განმავლობაში მორჩილებდნენ და ხარკს უხდიდნენ ქანაანელები, თუმცა მეცამეტე წელს აუჯანყდნენ მას და შედეგად კვლავ დამარცხება იგემეს. ტყვედ ჩავარდა აბრაამის ძმისწული ლოტი თავისი სახლეულითურთ. მის გამოსახსნელად აბრაამი 318 მხედრით გაემართა, ელამელებს ღამით მოულოდნელად დაესხა თავს, დაამარცხა ისინი და დამასკოს მარცხნივ მდებარე ქალაქ ქობამდე დევნა, ხოლო ლოტი და მისი ჯალაბი გაათავისუფლა.

ამის შემდეგ ბიბლია აღარ გვაუწყებს ელამის მეფეების ევფრატის გაღმა ქვეყნებზე დამოუკიდებელი ლაშქრობის შესახებ. ელამელები ასურელთა ან ბაბილონელთა მხარეს იბრძოდნენ დასავლეთით წარმოებული ლაშქრობებისას.

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში ელამი მოხსენიებულია ასურეთის მოკავშირედ და დაწყევლილია მასთან ერთად. როგორც ძველი აღთქმის განმმარტებლები გადმოსცემენ (Лопухин, 1913, с. 744), ელამელები („ელამიტელები“) მონაწილეობდნენ ასურეთის მეფე სენაქერიმის მიერ იერუსალიმის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. ეზეკიელის თქმით, უფლის სასჯელი ისრაელიდან აღმოსავლეთით (ასურეთისა და ელამისაკენ) სწორედ ამიტომ იყო მიმართული (ეზეკ. 32:24).

იერემიას წინასწარმეტყველება მოგვითხრობს ნაბუქოდონოსორის მმართველობის პერიოდზე. ბიბლიური წყაროს მიხედვით (იერ. 49: 34-39=Greek 25: 14-19), ელამურ ტომთა გაერთიანება იცავდა თავიანთ დამოუკიდებლობას, თუმცა ემორჩილებოდნენ ბაბილონელთა ძალაუფლებას. მათ მიიღეს მონაწილეობა 607 წელს ნაბუქოდონოსორის სადამსჯელო ლაშქრობის შედეგად იერუსალიმის დარბევაში, რის გამოც პასუხს აგებდნენ „წინაშე პირისა უფლისა“.

წარმართთა ხვედრზე ქადაგებისას იერემია წინასწარმეტყველმა ელამი იმ ქვეყნებს შორის მოიხსენია, რომელთაც უფლის მიერ ენეოდათ საღმრთო შურისგება ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის, ხელით. წინასწარმეტყველის თქმით, ელამი 70 წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო ბაბილონელთა ტყვეობაში, რის შემდეგაც თავად ქალდეელებიც დაისჯებოდნენ და „აღიგავებოდნენ პირისაგან მიწისა“ (იერ. 25:25); იერემიას წინასწარმეტყველების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ეთმობა ელამის ხვედრს. საუბარია იუდეას უკანასკნელი მეფის, სედეკიას (ძვ. წ. 597-587), მმართველობის საწყის პერიოდზე, როდესაც იერემიამ წინასწარმეტყველა ელამის განადგურება. ელამს, როგორც სხვა წარმართულ ქვეყნებს, განსჯა მოელოდა ისრაელის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო (იერ. 46:1 M(Hebr.) = Geo. = Greek 26:1). იერემიას მიხედვით, ელამის მოსახლეობას ყველა ხალხი დაუნყებდა დევნას. ისინი ოთხივე მხარეს გაიფანტებოდნენ და არავინ მოიძებნებოდა მათი შემფარებელი (იერ. 49: 34-39 = Greek 25: 14-19).

ეზრას წიგნში გადმოცემულია ელამის დედაქალაქ სუსაში დასახლებული ელამური ტომების გარემიგრაციის ამბავი. ქალაქ სუსას მოსახლეობა მოხსენიებულია ელამელად (II ეზრა 4:9 Συσσαγααῖσι οἱ εἰσιν Ἠλαμαῖσι „სუსელები, რომლებიც არიან ელამელები“).

ელამში სამეფო ძალაუფლების დამხობისა და სახელმწიფოებრიობის შეწყვეტის განჭვრეტის შემდეგ იერემია წინასწარმეტყველმა გადმოსცა ღმერთის ბრძანება: „დავიდგა საყდარი ჩემი ელამსა შინა“ (იერ. 49:38), რაც ებრაელების ელამის ტერიტორიაზე დასახლებას მოასწავებდა. გარდა ამისა, იერემიას წიგნის მიხედვით, ცხადი ხდება, რომ ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოს ელამი ჯერ კიდევ მიდიისა და სპარსეთის გვერდით ინარჩუნებდა სახელმწიფოებრიობას.

ივდიითის წიგნი გვამცნობს მიდიის მეფე არფაქსადისა და ბიბილონელი ნაბუქოდონოსორის სამხედრო დაპირისპირების ისტორიას. ბრძოლაში ჩართული იყვნენ ელამელებიც, ისინი შუამდინარეთის სხვა ხალხებთან ერთად იბრძოდნენ თავიანთი მონათესავე მიდიური ტომების მხარდამხარ და მათთან ერთად განიცადეს მარცხიც. ნაბუქოდონოსორმა აიღო ეკვატანა, მიდიის დედაქალაქი, შემდეგ კი თავის მმართველობაში მყოფი ურჩი ქვეყნების (მათ შორის ელამის) მეფეებს გაუსწორდა (ივდ. 1: 5-14).

სწორედ ელამში იწინასწარმეტყველა დანიელმა სპარსული მმართველობისა და შემდგომი სახელმწიფოების ბედი (დან. 8: 2-10). ესაია და იერემია წინასწარმეტყველებმა კი ნათლად განჭვრიტეს ელამის მომავალი დაცემა და ეს განგება ღვთისა ენია კიდევ მას (ესაია 11:11, იერ. 25:25, 49: 34-38. ეზეკ. 32: 24-25). დანიელის წიგნში ელამი და სუსა მოიხსენიება უკვე სპარსეთის პროვინციად (დან. 8:2). მოგვიანებით სპარსეთის შემადგენლობაში მყოფმა ელამმა მიიღო მონაწილეობა ბაბილონის სამეფოს დამხობაში (ესაია 21: 2, 6). ესაიას წიგნი მოგვითხრობს ელამის, როგორც ერთ-ერთი წარმართული ქვეყნის, შესახებ. დანიელის წიგნის მიხედვით, ებრაელების გადასახლების გამო სპარსელები და ელამელები მოუფლინა ღმერთმა ბაბილონს სასჯელად. ასე რომ, ელამელები მონაწილეობას იღებდნენ როგორც ასურეთის, ისე ბაბილონის იმპერიის დანგრევაშიც (დან. 5:28). ხოლო მაკაბელთა წიგნი გვამცნობს, რომ ალექსანდრე მაკედონელის მიერ სპარსეთის იმპერიის განადგურების შემდეგ სუსიანას ეწოდებოდა ისევ ელამი (I მაკ. 6:1), თუმცა ამ დროისთვის ელამის სახელმწიფო გაერთიანების არსებობის შესახებ ცნობები ბიბლიაში არ მოიპოვება.

წინასწარმეტყველები ელამელებს აღწერენ, როგორც მეომარ ხალხს, მშვილდის სროლის ხელოვნებით განთქმულს (ესაია 22:6). ეზრას წიგნიდან ვიგებთ, რომ ელამი შედგებოდა მრავალი ტომისგან. ასურელების ბატონობის დროს ელამელების ნაწილი გადასახლდა ქალაქ სამარიაში (I ეზრა 4:9) და მათ ადგილას, შესაძლოა, დასახლდნენ ებრაელები (ესაია 11:11).

ელამის ებრაულ-ბერძნულ-სომხურ-ქართული ეკვივალენტები

𐎧𐎺𐎠 [ეილამ] „ელამ“, 𐎧𐎺𐎠𐎡 [უმეილამ], Αιλαμ, Ελαμ, Ηλαμ, Ἐλυμαῖδα, Եղամ [ელამ], ელამი, ელვამმაჲდა, უევე/უეღე

გეოგრაფიული სახელი Αἰλαμ, ბიბლიის ბერძნულ თარგმანშივე მყარი ლექსიკური ეკვივალენტია. სეპტუაგინტა არ ითვალისწინებს ისტორიოგრაფიულ მონაცემებს და ელამს სუსიანას ნაცვლად (ასე იყო ცნობილი ელამი ელინთა შორის (OBCCI, στ. 553) ებრაულის შესაბამის სახელს უძებნის. ორიგინალში მყარი ფორმა Αἰλαμ მიღებულია ებრაული წარმოთქმის მიბაძვით, ტრანსლიტერაციით (ძუუ [ეილამ] იკითხება „ელამ“ – ელამი; ძუუუუ [უმეილამ] – ელამიტელნი). ბერძნულში, ებრაულისგან (א-ეი) განსხვავებით, შემოთავაზებულია Αι- დიფთონგი, თუმცა წარმოთქმა ებრაულის მსგავსია. ეს სურათი უფრო მეტად თვალსაჩინო ხდება ბერძნულ ვარიანტულ წაკითხვებზე დაკვირვების შედეგად. ბერძნულის ვარიანტებში ხშირად ελαμ ვარიაციაა შემოთავაზებული და E-იანი ფორმაა დაცული. აქვე უნდა აღინიშნოს ელამის შესატყვისი Ηλαμ, რომელშიც Η გვხვდება დიფთონგის ნაცვლად. ელამს (Αἰλαμ) ბიბლიაშივე დაეძებნება სინონიმური ტოპონიმი Ἐλαμῖδα. სომხურ თარგმანში მისი შესატყვისია Տղամ [ელამ].

სეპტუაგინტას ბერძნულ თარგმანში გვხვდება ტოპონიმ ელამის (იგულისხმება ქვეყანა ელამი) აღმნიშვნელი ორი ძირითადი შესატყვისი, ესენია: უბრუნველი ფორმით მოცემული Αἰλαμ (და მისი სხვადასხვა დაწერილობა: Ελαμ, Ηλαμ) და ელინიზებული ფორმა Ἐλαμῖδα. ბერძნულ ორიგინალშივე ელამის შესატყვისად მყარი ეკვივალენტებია წარმოდგენილი. სეპტუაგინტას კრიტიკული გამოცემების (Brooke&Mclean, 1906; Hanhart, 1903; Hanhart 1966; Hanhart 1974; Hanhart 1979; Ziegler, 1939; Ziegler 1954, Ziegler 1957; Ziegler 2006) ვარიანტულ წაკითხვებში, ფონეტიკური განსხვავებების გარდა, მნიშვნელოვან კითხვასხვაობებს არ ვხვდებით.

იმისათვის, რომ ტოპონიმის თარგმანის ისტორია შევისწავლოთ, გეოგრაფიულ სახელთა გარდა, ეთნონიმების ტექსტუალური მონაცემებიც უნდა გავითვალისწინოთ. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი და გაანალიზებულია ბიბლიურ ტოპონიმებსა და ეთნონიმებში დაძებნილი ქართულ-ბერძნულ-სომხური შესატყვისობები ქვეყანა ელამისა; განხილულია ქვეყნისა და ქალაქი ელამის აღრევის შემთხვევები ქართულ თარგმანში (იხ. ქვემოთ „ელამი (ქალაქი) ≠ ელამს (ქვეყანას)“). ქართული ვერსიები დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით. ასევე წარმოდგენილია მხოლოდ ის ბერძნული ვარიანტული წაკითხვები, რომლებიც ჩვენთვის, კონტექსტისა და თარგმანის ტექნიკის მიხედვით, არის საინტერესო.

1. დაბადება

დაბ. 10:22 $\nu\acute{\iota}\sigma\iota\varsigma \Sigma\eta\mu \text{ Αἰλαμ καὶ Ασσουρ καὶ Αρφαξὰδ καὶ Λουδ καὶ Αραμ καὶ Καϊναν}$ | ძენი სემისნი: **ალიმ** და ასსურ და არფაქსად და ლუდ და არამ და კაინან BAS | დაბ. 14:9 $\pi\rho\acute{\omicron}\varsigma \chi\omicron\delta\omicron\iota\lambda\omicron\gamma\omicron\mu\omicron\varsigma \beta\alpha\sigma\iota\lambda\acute{\epsilon}\alpha \text{ Αἰλαμ}$ | ქოდოლაგომორს, მეფესა **ელამისა-სა** O; ქოდოლაგომორის მიმართ, მეფისა **ელამისა** SB |

დაბადების წიგნში ელამის შესახებ ორ ეპიზოდში გვხვდება ინფორმაცია. პირველ მათგანში ელამი ეთნონიმის მნიშვნელობის მქონე ანთროპონიმით არის წარმოდგენილი (დაბ. 14:9), ხოლო მოერეში – ტოპონიმს აღნიშნავს (დაბ. 14:9).

ელამი (**ალიმ**) ანთროპონიმია, თუმცა მას ეთნონიმის მნიშვნელობაც აქვს,

რადგან ალიმი (Αίλαμ) ელამური ტომების ეთნარქია. და მასში არა კონკრეტული პიროვნება, არამედ მისგან წარმომდგარი ხალხი იგულისხმება.

სამწუხაროდ, ქართული ბიბლიის ათონამდელ თარგმანს აკლია შესაქმის პირველი ეპიზოდი, ამიტომ ოშკური და იერუსალიმური ნუსხების ამ ეპიზოდებში ელამის შესატყვისობებზე საუბარი რთულია. საბას წაკითხვა (**ალიმ S**) კი გვიანდელი რეცენზირების შედეგად არის მიღებული, თუმცა შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, ვერ აიხსნება სომხურთან შედარებითა და სიახლოვის პრინციპის დაცვით, რადგან მისგან საგრძნობლად განსხვავდება, შდრ. სომხ. დაბ. 10:22 **Ելամ** [ელამ] (**Որդիք Սեմայ՝ Ելամ և Ասուր, Արփաքսադ և Լուդ և Արամ**). როგორც ჩანს, საბამ ლექსიკური ერთეული ანთროპონიმის მნიშვნელობით გაიგო და ვერ დააკავშირა ტოპონიმ ელამთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ელამ“ ფუძეს გამოიყენებდა ისევე, როგორც შესაქმის შემდეგ ეპიზოდში.

ამავე წიგნში (დაბ. 14:1) ელამის მეფედ ორჯერ არის მოხსენიებული ქოდოლაგომორი, რომელმაც ქანაანის ქვეყნები დალაშქრა და აბრაამის ძმისწული ლოტი გაიტაცა. ტექსტუალური თვალსაზრისით კვანტიტატიური განსხვავებები გვხვდება ქართულ ვერსიებში, თუმცა ტოპონიმს ყველა ნუსხაში ერთი და იგივე შესატყვისი აქვს: დაბ. 14:1 **ἐγένετο δὲ ἐν τῇ ...Χοδιλογομορ βασιλεὺς Αἰλαμ** და იყო მეფობასა... ქოდოლაგომორ მეფისა მის **ელამისასა O**; ხოლო იქმნა... ქოდოლაგომორ მეფემან **ელამისმან AS| Αἰλαμ| ელამისასა O, ელამისმან AS|**

ქართულ ვერსიებში ბერძნულის სიახლოვით გაპირობებული წაკითხვაა. ტრანსლიტერაციის გზით **AI** დიფთონგი ქართულში გადმოვიდა ე-ით. ბერძნული **AI-** დიფთონგი, ორიგინალშივე იკითხება ე-დ. ქართული ბიბლიის საკუთარ სახელებში **AI** დიფთონგი ტრანსლიტერაციით ან ასო-ასო (აი-) გადმოდის, ან უფრო ხშირად წარმოთქმის მიხედვით (ე-ით)¹. სწორედ ამგვარად, ბერძნული წარმოთქმის მიბაძვით, მივიღეთ ქართულში ტოპონიმი **ელამ-ი**.

2. ესაია – Αἰλαμ = ელამიტელ

ზემოთქმულის თანახმად, ეთნონიმთა ტექსტუალური მონაცემების ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია გეოგრაფიულ სახელთა კვლევის პროცესში, ამიტომ ყურადღება გავამახვილეთ ეთნონიმთა თარგმანის ტექნიკაზეც.

ჩვენთვის საინტერესო ეთნონიმთა შესატყვისის წარმომავლობის სახელები ბერძნულში ნაწარმოებია -IT აფიქსით (შდრ. **Αἰλαμίτης (nom.)** – ელამიტელი), რომლის ფუნქციას ქართულში -ელ სუფიქსი ასრულებს. ბერძნული საწარმოებე-

¹ თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ **AI** დიფთონგით დაწყებული ბიბლიური საკუთარი სახელების ბერძნულ-ქართულ შესატყვისობებს: ტოპონიმები: **Αἰθιοπία**] ეთიოპედმდე **O**, ეთიოპიადმდე **DFI** (ესთ. 3:12, 8:9, 8:12); ეთიოპისათა **ODFIS**; ესაია 11:11 ეთიოპიათ **OJ**, 18:11 ეთიოპისასა **OJ** (ივდ.: 1:10)| **Αἰλαθ**] ევილათსა **O**, ევლათსა **J**, ევილათს **FS** (III მეფ. 9:26); **αἰλαθι** **OFS**, **αἰλαθι** **J** (IV მეფ. 16:6)| **Αἰλαω**] ელონით **S** (ისო 19, 43); **αἰλωνιθ** **G** (2 სჯუ.)| **Αἰλααθ**] ემათისასა **OJGW** (იერ. 52:27)| **Αἰλαθ**] ემათისათ **OJ**; ემათისათ **FS** (3 მეფ. 8:65)| ანთროპონიმები: **Αἰλαυ**] ეთამ **FIS** (I ნეშტ. 2:6)| **Αἰλαμ**] ელონისი **OS** (დაბ 26:34)| **Αἰλαυ**] II ნეშტ. იალონი **DFIS**; ისუ 19:43 ელონისი **G**| არაზუსტი თარგმანია ესაიას წიგნში, თუმცა ტრანსლიტერაცია შესაძრწევა: **Αἰλαρ**] ემათისა **OJ** (ესაია 36:19); ემათისანი **OJ** (ესაია 37:13)| **Αἰλα**] **ნაინი** **OJ** (3 მეფ. 15:20); **κἰνι** **OJ** (4 მეფ. 15:29)| **AI** დიფთონგი დაშლილი ფორმით, ასო-ასო ტრანსკრიბირებით იშვიათად გადმოდის (შდრ. : **αἰλαთი**, **αἰλωνი**, **ნაინი**, **კაინი**).

ლი სუფიქსი ქართულ თარგმანშიც აისახა. ამ უკანასკნელში, ნაცვლად ეთნონიმის თარგმანისა, უპირატესობა ენიჭება ტრანსლიტერირებულ ფორმას ელამიტ-, რომლის ფუძეს წარმომავლობის სახელის მანარმოებელი ქართული აფიქსი -ელ (ელამიტელ) დაერთვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ელამ ძირიდან წარმოქმნილი ეთნონიმები დაიძებნება ზუსტად იმავე ნიგნებში, რომლებშიც – ტოპონიმები, თუმცა ესაიას ნიგნი ამ მხრივ გამონაკლისია. ელამი ესაიას ნიგნში ყველა შემთხვევაში წარმომავლობის სახელითაა გადმოცემული, ტოპონიმის მნიშვნელობით არ დაიძებნება. ეთნონიმში ელამიტ-ელ-ი გვხვდება სამ ეპიზოდში: ესაია 11:11 Αλαμῖτων] ელამიტეთ OJ; ელამიტელთაგან S cf. იერ. 29 (Greek 36) : 24, 31, 32, 3 მეფ. 12:24^o | ὁ ἄν καταλειφθῆν ἀπὸ τῶν Ἀσσυρίων καὶ ἀπὸ Αἰγύπτου καὶ Βαβυλωνίας καὶ Αἰθιοπίας καὶ ἀπὸ Αἰλαμῖτων] რომელი-იგი დაუშთეს ასურასტანელთა მათ, და ეგვიპტით და ბაბილონით და ეთიოპიასთ და ელამიტეთ OJ; რომელი უკუეთუ დაშთეს ასსურასტანელთაგან და ეგვიპტისაგან, და ბაბილონისაგან და ეთიოპიისაგან, და ელამიტელთაგან S|

საინტერესო ნაკითხვა გვხვდება ოშკურ-იერუსალიმურ ნუსხაში. ἀπὸ ნინდუ-ბულიანი გამოყოფითი ფუნქციის მქონე ნაკითხვაში (ἀπὸ Αἰλαμῖτων – ელამიტეთ) ფუძედ მიჩნეულია „ელამიტე“. ბერძნული დედნის შესაბამისად, ანთროპონიმად არ იქნა აღქმული ἀπὸ Αἰλαμῖτων, სწორედ ამიტომ შეიქმნა -ე ფუძიანი ტოპონიმი. ეს ფორმა წარმოაჩენს, რამდენად მიმსგავსებულია ქართული თარგმანი ბერძნულ ორიგინალს ტრანსლიტერაციის თვალსაზრისით: მანარმოებელი აფიქსი -ი- აქაც ფუძის ნაწილად არის გაგებული. (შდრ. სომხ. յէլամաց- [ელამაც-] „ელამელი“, ტრანსლიტერაციისას ფუძედ მიჩნეულია „ელამ“, რომელსაც წარმომავლობის აღმნიშვნელი - սք აფიქსი ერთვის, ქართულისგან განსხვავებით).

თარგმანის ტექნიკის თვალსაზრისით, ტექსტოლოგიური სურათი ესაიას ნიგნის შემდეგ ნაკითხვაშიც არ იცვლება, ელამის სწორედ ის ერთი მყარი ეკვივალენტია (ელამიტ-) წარმოდგენილი, რომელიც – ზემოთ განხილულ ეპიზოდებში: ესაია 21:2 Αλαμῖτων] ელამიტელნი OJ; ელამიტელნი S | $\text{oἱ Αἰλαμῖται καὶ οἱ πρῆσβυτεῖς τῶν Πεδῶν ἐπ’ ἔμῃ ἔρχονται}$] ელამიტელნი და მოციქულნი სპარსთანი ჩემდა მოვლენ OJ; ელამიტელნი და მოციქულნი სპარსთანი ჩემდამო მოვლენ S |; ესაია 22:6 Αλαμῖτων] ელამიტელთა OJ; ელამიტელნი S | $\text{oἱ δὲ Αἰλαμῖται ἔλαβον φαρῆτρας ἀναβάται ἀνθρῶποι ἐφ’ ἵπποις καὶ συναγαγῆ παρατάξασα}$] ხოლო ელამიტელთა მოიღეს ფარები, აღჯედრებულნი კაცნი ცხენებსა და კრებული განწყობილთა OJ; ხოლო ელამიტელნი, მოიღეს ფარები ამჯედრებულთა, კაცნი ცხენთა ზედა და შესაკრებელი განწყობილისა S|

ამრიგად, ეთნონიმი ელამიტელის თარგმანის ტექნიკის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: 1. ქართული მიდრეკილია ბერძნულთან სიახლოვისაკენ; 2. ქართულ ენაში თარგმანის დროისათვის არ არსებობდა ელამელის ადეკვატური შესატყვისი, ამიტომ მივიღეთ ტრანსლიტერირებული ფორმა; 3. ეთნონიმის ტრანსლიტერაცია განხორციელდა, ერთი მხრივ, წარმოთქმის (A*-e* → ე-(ლამ), ხოლო, მეორე მხრივ, წერილობითი ფორმის მიბაძვით (-*ιτ* → იტ); 4. ქართული ბიბლიის თარგმანის ეტაპზე მთარგმნელებს არ ჰქონდათ ადეკვატური წარმოდგენა ელამელი ეთნონიმის სახელის შესახებ, რადგან ელამელებს ვერ აღნიშნავდნენ

შესაბამისი ტერმინით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მთარგმნელებმა ელამის ან მისი ხალხის შესახებ არაფერი იცოდნენ. ჰიპოთეტურად შეიძლება დავუშვათ, რომ ეთნიკური და ტოპონიმური ტერმინების ტრანსლიტერაციას მიმართავდნენ სწორედ იმიტომ, რომ ელამელები სხვა ეთნოსებში შეიძლება ერეოდათ, ან ელამსა და ძველი ახლო აღმოსავლეთის რომელიმე ხალხზე საერთო წარმოდგენა ჰქონდათ, რასაც შემდეგი კვლევა გვიჩვენებს.

2. იერემია, III მეფეთა

იერ. 25:25 M(Hebr.) = Geo. = Greek 32:25 Αἰλαμ] ელამისთა Geo| και πάντας βασιλείς Αἰλαμ και πάντας βασιλείς Περσῶν] და ყოველთა მეფეთა ზამზრისთა და ყოველთა მეფეთა ელამისთა და ყოველთა მეფეთა არშაკათასა და სპარსათასა OJ; და ყოველთა მეფეთა ზამზრისთა და ყოველთა მეფეთა ელამისთა და ყოველთა მეფეთა მიდთა და სპარსათასა GW|

იერემიამ იწინასწარმეტყველა ელამის ტრაგიკული ბედი. ელამი სხვა წარმართულ ქვეყნებთან ერთად დაისჯებოდა ღმერთის მიერ: იერ. 46:1 M(Hebr.) = Geo. = Greek 26:1 περί Αἰλαμ] ელამისთვს OJ; -ათვის GS| ἐν ἀρχῇ/ βασιλευσιντος Σεδεκίου βασιλείος ἔγενετο ὁ λόγος οὗτος περί Αἰλαμ] დასაბამსა მეფობისა სედეკია მეფისასა იყო სიტყუაჲ ესე ელამისთვს. სიტყუაჲ, რომელი იყო უფლისა მიერ იერემია წინასწარმეტყუელისა მიმართ ყოველთა ზედა წარმართთა OJ; დაწყებასა მეფე-ყოფისა სედეკია მეფისასა იყო სიტყუაჲ ესე ელამისათვს², სიტყუაჲ, ქმნილი უფლისა მიერ, იერემიას მიმართ წინაასწარმეტყუელისა ყოველთა ზედა წარმართთა GS | περι| επι A 311 233 Arab Arm|

ცხადია, რომ მოხმობილ ეპიზოდში ქართული თარგმანი იზიარებს ლუკიანურ წაკითხვას და სომხურისაგან თვალნათლივ განსხვავდება, რამდენადაც ამ უკანასკნელში ბერძნული επι- (ἐπι) წინდებულის ეკვივალენტია გამოყენებული მაშინ, როდესაც ქართული -თვის თანდებულის (ელამისა-თვის) περι-ს შეესატყვისება და წარმოაჩენს, რომ ქართული ბერძნულ დედანს მიჰყვება და არ აქვს კავშირი სომხურთან.

იერემიას წიგნის მოცემულ მონაკვეთში გადმოცემული წინასწარმეტყველების თანახმად, ღმერთის განგებით ელამის მოსახლეობა გაიფანტებოდა ოთხივე მხარეს და არ დარჩებოდა ხალხი, რომელიც მათ არ განდევნიდა თავიანთი მიწიდან: იერ. 49: 34-39 = Greek 25: 14-19: Αἰλαμ] ელამი Geo| τὰ Αἰλαμ... τὸ τῶρον Αἰλαμ... οἱ ἔξωσμένοι Αἰλαμ... ἐν Αἰλαμ... τὴν αἰχμαλωσίαν Αἰλαμ... περὶ Αἰλαμ] ზედა ელამისთა... ელამისი... მოვავლინნე ელამის ზედა... ელამისნი... ელამსა შინა... ელამისი OJ; ელამისათვს... ელამისაჲ... ელამისნი... ელამს შინა... ელამისაჲ... ელამისაჲ GS |

ეს კონტექსტი ოშკურ-იერუსალიმურ ვერსიაში ბერძნულ ორიგინალთან მცირე განსხვავებით (ცდომილებით) არის შემოთავაზებული. კერძოდ, თითქოს

² ქართული იზიარებს ბერძნულ ვარიანტულ წაკითხვებსაც. მათ მსგავსად დამატებული აქვს დიდი მოცულობის ტექსტი: Αἰλαμ] ο λογος ο γενομενος παρα χυριου (tr. π. χυριου post ιερειαν 62 et post προφητιν 763; ος εγευθη λογος χυριου pro ο λογος ο γ. π. χυρ. 88 = M; *verbum domini quod factum est* Arm) προς ιερειαν τον προφητιν (τον προφ. sub → O) επι παντα τα εθνη (επι παντα τα εθνη hab. etiam Syh^{ms}) O L' Arm Tht. სიტყუაჲ, რომელი იყო უფლისა მიერ იერემია წინასწარმეტყუელისა მიმართ ყოველთა ზედა წარმართთა OJ = M|

ელამელები შეეხიზნებოდნენ თითქმის ყველა მოდგმის ხალხს მას შემდეგ, რაც ელამის ძლიერება შეიმუხრებოდა ნაცვლად იმისა, რომ ყველა მოდგმის ხალხი განდევნიდა ელამის მოსახლეობას თავიანთი მიწიდან. ამ მხრივ დედანთან სი-ზუსტეს გელათური და საბასეული ვერსიები იცავს. ნარმოვადგენთ ოშკურ-იერუსალიმური ვერსიის სრულ კონტექსტს გელათურისა და საბასეული ჩანართებით, რადგან ელამის ბედზეა საუბარი: 49:34 ...რომელსა წინანარმეტყულებდა იერემია ნათესავთა ზედა **ელამისთა**. 49:35 ესრე იტყვს უფალი: შეიმუხრენ მშკლ-დი **ელამისი**, დასაბამი ყოვლისა ძლიერებისა მათისაჲ. 49:36 და მოვაგვლინე **ელამის** ზედა ოთხნი ქარნი ოთხთაგან კიდეთა ცისათა და განვაბნინე იგინი შორის ყოველთა ქართა, და არა იყოს ნათესავი, რომელთა არა მივიდენ განბნეულთაგანნი **ელამისნი** (შდრ. და **არა იყოს ნათესავი, რომელი არა მოვიდეს მუნ, განმაგარებელნი ელამისნი** GS=ბერძ.; ὁὐκ ἔσται ἔθνος ὃ οὐκ ἦξει ἐκεῖ οἱ ἔξωσμένοι Αἰλαμ Gr.) 49:37 და შევაძრუნენ იგინი წინამე მტერთა მათთა, რომელნი ეძიებენ სულთა მათთა. და მოვაგვლინო მათ ზედა რისხვაჲ გულისწყრომისა ჩემისაჲ და მოვაგვლინო შემდგომად მათსა მახვლი ჩემი, ვიდრემდის არა მოვსრნე იგინი. 49:38 და დავიდგა საყდარი ჩემი **ელამსა** შინა და წარვწყმიდო მისგან მეფე და მდიდარნი მისნი. 49:39 და იყოს, აღსასრულისა დღეთა მოვაქციო ტყუფ **ელამისი** OJ.

ნაბუქოდონოსირის მიერ ისრაელიანთა ბაბილონში გადასახლების შემდეგ ბევრი ცრუნინასწარმეტყველი გამოჩნდა, რომლებიც მათ უქადაგებდნენ ბაბილონში დამკვიდრების აუცილებლობის შესახებ. მათ შორის არის იერემიას წიგნში **სამეა ელამიტელის** სახელით მოხსენიებული ცრუ წინასწარმეტყველი, რომელიც იჩემებდა ღმრთის ნების განცხადებას ებრაელთა შორის, მაგრამ მისი მტკიცება არ გამართლდა. მან „წიგნი“ მისწერა ისრაელიანებს, რის გამოც დაისაჯა ღმრთის მიერ: იერ. 29 : 32 εἴπεν ἰδὸς ἰδὸς ἐγὼ ἐπιστήσομαι ἐπὶ Σαμαίαν] აჰა ესერა მე ძიება-ვყო სამეაჲს ზედა **ელამიტელისა** OJ; აჰა, მე ზედ-მივიხილო სამეაჲს ზედა **ელამიტელსა** S|

იერემიას წინასწარმეტყველებაში სამჯერ არის მოხსენიებული სამეა ელამიტელი. ელამის მყარი ეკვივალენტი სამივე შემთხვევაში უცვლელია: იერ. 29:24 (Gr. 36:24): τὸν Νελαμίτην Ra.] ελαμιτην (აილ. B 88 alii) rel. ელამიტელსა OJ; ელამიტელისა GS: cf. 31 | καὶ πρὸς Σαμαίαν τὸν Νελαμίτην ἔδειξ[და სამეაჲს ელამიტელსა არქუ OJ; და სამეაჲს მიმართ ელამიტელისა სთქუა GS|; იერ. 29:31 (Gr. XXXVI, 31): τὸν Νελαμίτην Ra.] ελαμιτην (აილ. B Q-V 88 alii) rel. ელამიტელისა Geo: cf. 24| ἐπὶ Σαμαίαν τὸν Νελαμίτην] სამეაჲსთჲს ელამიტელისა OJ; სამეაჲს ზედა ელამიტელისა S|

მოცემული მაგალითებიდან ჩანს, რომ ოშკურ-იერუსალიმური ხელნაწერის წაკითხვა ორიგინალის ვარიანტულ კითხვასხვაობებს იზიარებს, რადგან მათი მიბაძვით **ელამ-** ფუძე აქვს ტრანსლიტერირებული, თუმცა კონკრეტულად რომელ ვერსიას ემყარება, მხოლოდ ქვემოთმოხმობილი მაგალითიდან ხდება ცხადი. იერემიას წიგნის მოცემულ ეპიზოდში ოშკურ-იერუსალიმური ვერსია მიჰყვება ლუკიანურ წაკითხვებს: იერ. 29:32 (Gr. 36:32): Σαμαίαν] + (※ O) τον ἰεραμιτην (აილ. 88; 10074 Syh) O-86^m L' Geo Arm = M: cf. 29:31 = ელამიტელისა OJ |

III მეფეთა

III მეფ. 12:24^o Σαμιαν τὸν Ελαμ] სამეფასა მიმართ სელონელისა O; სამოს მიმართ ელამიტელისა B|

ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანში ასევე ელამელად არის მოხსენიებული სხვა სამეა წინასწარმეტყველიც, რომელიც გახლდათ „კაცი ღმრთისაჲ“ (III მეფ. 12:22) რობოამის მეფობის დროს.

სამეას მიმართ პატივისცემა გამოიხატა იუდეასა და იერუსალიმში, როდესაც ღმერთის სახელით წარმოთქმული მისი სიტყვა საკმარისი აღმოჩნდა იუდეასა და ისრაელის ათ ტომს შორის ბრძოლის შესაჩერებლად. ბიბლიის მიხედვით, როდესაც რობოამმა და ისრაელის შვილებმა შეწყვიტეს უფლის მსახურება, ღმერთმა დასაჯა ისინი. მოუვლინა ეგვიპტის მეფე სუსაკიმი. მტერმა იუდეა დაარბია და მიადგა იერუსალიმს. სამეა წინასწარმეტყველმა რობოამი და მისი მხლებლები ამხილა და ამცნო, რომ ეგვიპტელთა ლაშქრობა მათი ცოდვების შედეგი იყო. მეფემ აღიარა შეცოდებანი, რის გამოც ღმერთმა დაინდო იგი და სუსაკიმი მხოლოდ სოლომონ მეფის შექმნილი ქონების ძარცვას, ტაძრის სიმდიდრის პარვასა და სამეფო სასახლის დარბევას დასჯერდა (II ნეშტ. 12: 2-12).

III მეფეთას მოცემული იკითხვისი (III მეფ. 12:24^o Σαμιαν τὸν Ελαμ] სამეფასა მიმართ სელონელისა) მხოლოდ ორ, ოპკურსა და ბაქარისეულ, ქართულ ვერსიაში გვხვდება. პირველ მათგანში სამეა მოხსენიებულია, როგორც „სელონელი“ წინასწარმეტყველი, რაც, ჩვენი აზრით, არაზუსტი თარგმანია. არ შეიძლება იგი τὸν Ελαμ-ის მართებულ შესატყვისად მივიჩნიოთ: შეცდომა გაპირობებულია იმავე თავსა და მუხლში სხვა წინასწარმეტყველის, აქია (და არა სამეა) სილონიტელის რამდენჯერმე მოხსენიებით (შდრ.: III მეფ. 12: 15, 24 Ἀχια τὸν Σηλωνίτην] აქია, რომელი იყო სელონელი O; აქია სილონიტელისათა JFS; აქია სილომიტელისათა B|) შესაბამისად, სამეასა და აქიას აღრევა ცხადზე ცხადია.

შესაძლოა ბერძნული ვარიანტული წაკითხვების მსგავსებით გამონვეული შეცდომის შესახებაც ვისაუბროთ. კერძოდ, აქია სილონიტელის შემთხვევაში, შემდეგი ვარიანტული კითხვასხვაობები იძებნება: III მეფ. 12:24 τηλωνειτην ხοε₂E] σιλωνιτην Ngin; σαλωνιτην a₂] ჩვენთვის საინტერესო სამეა წინასწარმეტყველის შემთხვევაში, τὸν Ελαμ რედაქტორის მიერ აღდგენილი ფორმაა. მისი ბერძნული ვარიანტებიდან³ ყველაზე საინტერესოა σελαμιτην z^{a?} (=ელმიტელისა), რომელიც დაწერილობის თვალსაზრისით ახლოს დგას სილონიტელის შესატყვის ბერძნულ წაკითხვებთან. ასე რომ, სილონიტელისა და ელამიტელის აღრევა ბერძნული ვერსიული კითხვასხვაობების მსგავსებით შეიძლება იყოს გაპირობებული. ამრიგად, შეცდომა ან თარგმანის დროს არის დაშვებული, ან გადაწერის პროცესში, რაც უფრო მეტად სავარაუდოა.

მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც დაბადების, ისე იერემიას წიგნში, ელამს მყარი ლექსიკური ეკვივალენტი აქვს ყველა ქართულ ვერსიაში. ხოლო განსხვავებული წაკითხვები (როგორც არის მაგ.: სელონელისა), სავარაუდოდ, გადამწერის შეცდომით არის გაპირობებული.

³ τὸν Ελαμ Ra.] ελαμει B; ελαμιτην Ng; αλαμιτην c₂e₂; σελαμιτην z^{a?}; ελαμιτην z* rell Thdt|

3. ეზეკიელი

ეზეკიელის თქმით, უფლის სასჯელი ისრაელიდან აღმოსავლეთით არის მიმართული, ასურეთისა და ელამისაკენ. ტექსტუალური სურათი აქაც უცვლელია: ეზეკ. 32:24 Αιλαμ] ელამ Geo| ἐκεῖ Αἰλαμ καὶ πᾶσα ἡ δὴναμας αὐτοῦ περιεκύρω τὸν μὴματος αὐτοῦ] მუნ ელამ და ყოველი ძალი მისი გარემო საფლავსა მისსა OJ; მუნ ელამ და ყოველი ძალი მისი გარემოჲს საფლავისა მისისა GsW|

4. დანიელი

ტოპონიმ „ელამის“ თარგმანის ტექნიკის თვალსაზრისით, დანიელის წიგნი განსხვავებულ სურათს არ აჩენს, მასშიც ისევე, როგორც ზემოხსენებულ წიგნებში, მყარი ეკვივალენტი გვხვდება ელამის შესატყვისად: დან. 8:2 Αἰλαμ] ელამისასა OJ, ელამისსა BS |καὶ ἦσαν ἐν Σούσοις τῆ βῆρδι ἡ ἔστιν ἐν χῶρδι Αἰλαμ] ვიყავ მე შუმს-ციხესა, რომელი არს სოფელსა მას შინა ელამისასა OJ; და ვიყავ მე შობიბორისასა ტაძარსა, რომელ არს სოფელსა ელამისსა BS |

5. II ეზრა – Ηλαμαῖοι

II ეზრას წიგნი მოგვითხრობს სუსელი, ანუ ელამელი ხალხის შესახებ: II ეზრა 4:9 τὰδε ἔκριεν Ραουμ βααλταμ καὶ Σαμσαι ὁ γδραμματεὺς καὶ οἱ κατὰλοιποι σὺνδουλοι ἡμῶν Διναῖοι Αφαρσαθαχαῖοι Ταρφαλλαῖοι Αφαρσαῖοι Αρχυαῖοι Βαβυλώνιοι Σουσαναχαῖοι οἱ εἰσιν Ηλαμαῖοι ჰილიამ [ჰრეუმ], **Ρααηηსემ** [ბაალტემ] **և** **Σαμσαჟი** [სამსაი] **գրիչ**, **և** **այլ** **և** **δωσայასიჟგ** **մեր**, **Դեննէ** [დეენეს], **Սփարսաթարայիէ** [აფარსათაქაიე], **Տարփաղէ**, [ტარფარე] **Ափերսէ**, [აფერსე], **Ոքուէ** [ოქრევე], **Բաբելունէ** [ბაბელვონე], **Սուսանա** [სუსანა] **Քեղասէ** [ქედაე] Arm] ესე გამოირჩიეს ერეუმ, ბაალტამ და სამსაი მწერალმან და სხუათა მონათა და მოდგამთა ჩუენთა: დენეე, აფასათაქაიე(-ს S), ტარფალიე, ალფარსიე (ალფასიე S), აქუევე, ბაბილვანიე (ბაბულვანიე ID), სუსანა(-ნ JFS), ქედა(-ე S), უელე (უვეე IDF) JIDFS]; და სხუათა თანა მსახურნი ჩუენი: დანიე და აფარსაფაქესი, თარფალეის, არფასეის, არხეის, ბაბილოვანთა და სუსანაქეს, სავეი, ვლამითი B| კონტექსტი სრულად არის წარმოდგენილი, რათა მეტად თვალსაჩინო იყოს ქართულისა და სომხურის მსგავსება. ქართულში სომხურის ზედმინევენითი და მიახლოებული ტრანსლიტერირებული ვარიანტები გვხვდება ტოპონიმთა ჩამონათვალში. აქედან „დენეე“ სრულად იზიარებს სომხურის დაბოლოებას -**է** (მიუხედავად იმისა, რომ **Դեննէ**-ს [დეენეს] **სომხურში -ეს დაბოლოება აქვს, ქართულ თარგმანში ნ-ს ადგილი აქვს შენაცვლებული გადანერის პროცესში);**

ქედა(-ე S) ნაკითხვაში სომხურის -**է** დაბოლოება ქართულ ნაკითხვებში არ ასახულა, თუმცა სომხური ფუძე „**Քեղას**“ ტრანსლიტერირებულია. S-ში კი სომხურ დედანთან სიახლოვის მიზნით დაბოლოება ჩასწორებულია (ქედე S). ხოლო „ტარფალიე“, „ალფარსიე“, „ბაბილვანიე“, სომხურთან მიახლოებული ტრანსლიტერირებული ფორმებია. -იე დაბოლოება გადანერის შეცდომაა, თავდაპირველ თარგმანში არსებული „-ეე“ მცდარად იქნა ამოკითხული, რადგან -**իქ** - იე დაბოლოებიანი ეთნონიმი (**Սփարսաթարայիէ** [აფარსათაქაიე]) უსწრებდა წინ. ტრანსლიტერაციის ტენდენცია შეიმჩნევა აქვე ანთროპონიმის გადმოტანისას: ერეუმ = ჰილიამ [ჰრეუმ].

ელამელების შესატყვისად ქართულ თარგმანში პირობითად შეგვიძლია მივიჩნიოთ უელე/უვეე: **II ეზრა 4: Βαβ., Σουσαναχαϊοι** | babylonis · usannachaei La 123 : cf V ap | om Σουσαναχαϊοι—fin 125: homoiot | σουσναχαιοι B | Δαυαϊοι | δουαιοι 74; δαυαιοι 106; δεαυαιοι 71: cf V; δαυαυαιοι 119; σαυαιοι Ald; δαυαυαιοι αϊλαμειται (και λαμυται 19') L; danaei · elammitae La 123 ; + ελαμυται Compl = m; οι εισιν (pro⁷⁷⸰: cf Par I 4:35, 9:8) ηλαμαιοι (ηλαμοι 55) B' Aeth (sim) Ra.: cf m, TGE II; > 107 58; უელე (უვეე IDF) JIDFS; ვლამითი B |

ბერძნულ ვარიანტულ ნაკითხვებში Δαυαϊοι-ის ნაცვლად მოცემულია **ελαμυται**, რომელშიც ელამელები იგულისხმებიან. სომხურში დაკარგულია ბერძნულის ის ნაკითხვა, რომელშიც ელამელები არიან მოხსენიებული (დაუაიო **αϊλαμειται (και λαμυται 19')** L; danaei · elammitae La 123 ; + **ελαμυται** Compl = m; **οι εισιν** (pro⁷⁷⸰: cf Par I 4:35, 9:8) **ηλαμαιοι (ηλαμοι 55)** B' Aeth (sim) Ra.: cf m, TGE II; > 107 58). ქართული თარგმანი ინახავს სომხურის დაკარგულ იკითხვის, რომელიც უელეს (Δαυαϊοι | δουαιοι 74; δαυαιοι 106; δεαυαιοι 71: cf V; δαυαυαιοι 119; σαυαιοι Ald; δαυαυαιοι αϊλαμειται) შესატყვისი იქნებოდა. თავად სომხურ თარგმანში ბერძნული ერთი იკითხვის დაშლილი ფორმით გადმოვიდა Σουσαναχαϊοι → Σουσανα – **Սուսանա** [სუსანა], **χαϊοι – Բեդաւէ [ქედაუე]**, შემდეგ კი საუაიო სიგმის გამოკლებით აისახებოდა სომხურ თარგმანში. ვფიქრობთ, რომ IDF ნუსხების ნაკითხვა **უვეე** უფრო მიახლოებულია სომხურ თარგმანს (გადმოტანილია სომხურის **-է** დაბოლოება), ვიდრე იერუსალიმური ნუსხის (**უელე**). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორივე ნაკითხვაში კონსონანტები გადანერის პროცესშია გაჩენილი და თავდაპირველი ფორმა **უეე** იყო.

საკუთარ სახელთა სომხურ-ქართული მსგავსება ცხადყოფს, რომ **II ეზრას** მოცემულ ეპიზოდში ქართული თარგმანი მიმსგავსებულია სომხურს, როგორც მოსალოდნელი იყო⁴. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **II ეზრას** ქართული ტექსტი, რომელიც დაცულია 978 წლის ოშკის ბიბლიაში, ეზრას ხანმეტი ფრაგმენტისაგან განსხვავებით, სომხურიდან არის თარგმნილი (Kharanauli, 2020, pg. 462). ც. ქურციკიძის ვარაუდით, **II ეზრა** სომხურიდან თარგმნილი უნდა იყოს VIII საუკუნემდე, ქართულ-სომხური მწერლობის ურთიერთობის პირველ ეტაპზე, სანამ ქართული და სომხური ეკლესიები „საბოლოოდ გაეთიშებოდნენ ერთმანეთს“ (ქურციკიძე, 1973, გვ. 65). შესაბამისად, შეგვიძლია უელე/უვეე ფორმა ქართულ თარგმანში ამ დროისთვის (არა უგვიანეს მე-10 საუკუნისა) გაჩენილ, სომხურიდან ტრანსლიტერირებულ ვარიანტად მივიჩნიოთ.

ამრიგად, უელე/უვეეს სომხური დედნით გაპირობებული ერთეული ნაკითხვა ელამის მყარი ეკვივალენტის შესახებ მსჯელობაზე გავლენას ვერ იქონიებს.

ტოპონიმ ელვამმადას (Ελμαϊνδα) შესახებ **Ἐλμαϊνδα – ელვამმადა = Αϊλαμ – ელამს**

ტოპის ნიგნში საუბარია ელამსა და ამავედროულად მის ერთ-ერთ რეგიონზე, რომელსაც Ἐλμαϊνδα „ელუმიდა“ ეწოდებოდა. Ἐλμαϊνდა ელამის ელინიზებული ვარიანტია. დაბრმავებულ ტოპის მეგობარი უვლიდა სწორედ ელამში ნასვლამდე:

⁴ „ეზრა I ნიგნში განსაკუთრებით ბევრია საკუთარი სახელი. ქართული და სომხური ტექსტები საკუთარი სახელების გადმოცემის თვალსაზრისით ძირითადად მისდევენ ერთმანეთს, ეს ფაქტი მით უფრო საზგასასმელია, რომ ქართულ-სომხური თარგმანები ამ მხრივ მკვეთრად სხვაობენ ბერძნული წყაროსაგან“ (ქურციკიძე, 1973, გვ. 54).

5. ტობ. 2:10 ἐπορεύθητιν πρὸς ἰατρὸν καὶ οὐκ ἀφέλιπέν με Ἀχιαχάρως δὲ ἔτρεφέν με ἕως οὗ ἐπορεύθη εἰς τὴν Ἑλμαῖδα] მივედ მკურნალთა და არაჲ მარგეს ხოლო აქიაქაროს მზრდიდა მე ვიდრე წარსლვამდე ელჳამადად. Ἑλμαῖδα B 74] ελμαῖδα 402 107 669*; ελῖμαῖδα 98 319*; ελεμαῖδα 71; λμαῖδα 126 535 lumaida 126 535 ᾤ: cf. Mac I 61; limaidam LaQPJ; lymaidem LaM ქნქაქიქაქ Arm: cf I Mac 6:1; ელჳამადად I; ელჳამადად D; ელჳიამაიდად F; lac. Geo⁰¹, > Geo^{SB}]

ჩვენი მიზანია ტობონითა თარგმანის ტექნიკის შესწავლა. მის შესაფასებლად კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართულისათვის უცხო ფონემატური სტრუქტურის სახელები შეიძლება გადაწერისას ხშირად იცვლებას. ვფიქრობთ, რომ ზემოთმოხმობილი იკითხვისები ტობის წიგნის ერთ-ერთი ეპიზოდისა სწორედ გადამწერისეულია, თუმცა შესაძლებელია მათ შორის ყველაზე ძველი, თავდაპირველი ვერსიის გამორკვევა.

Ἑλμαῖδα – ელჳამადად წაკითხვაში ბერძნული ტექსტის მიბაძვით „ს“-ის შესატყვისად ჩაიწერა „ჳ“, რამდენადაც ქართულში უ-სა და ი-სთან ერთად უფსილონის ერთ-ერთი ფარდია ჳ, როგორც თარგმანის ტექსნიკის, ისე ანბანის რიგის მიხედვით (მახარაძე, 1978, გვ. 11-21). ეს გარემოება ადასტურებს, რომ ტრანსლიტერაცია არ შესრულებულა წარმოქმის მიხედვით. ასე რომ მომხდარიყო „ჳ“-ს ნაცვლად უ-იანი წაკითხვა გვექნებოდა. ვფიქრობთ, ს - ჳ შესატყვისობა თარგმანის პროცესშივე შედგა, რამდენადაც I და D ნუსხები ამ თვალსაზრისით ერთგვარ სურათს გვიჩვენებენ (ელჳამადად I; ელჳამადად D), გარდა ამისა, მსგავსი ფორმა გვხვდება ივდითის წიგნის წაკითხვაშიც (ივდ. 1:6 Ἑλμαῖδων] ელჳმელთაჲსაჲ OJIDFS]). I ნუსხაში ორი „მ“-ს თავმოყრაზე დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გადამწერისეული შეცდომაა, მან ზეპირად ჩაწერა დედნის წაკითხვა, ამიტომ ერთის ნაცვლად, ორმა მანმა მოიყარა თავი. „ჳ“-ს ვოკალიზების მიზნით დაერთო „ა“ ხმოვანი (ელჳამადად I), ხოლო ბერძნული „ა“ მართებულად არ შეფასდა დიფთონგად და ტრანსლიტერირდა, როგორც „აჲ“ (ელჳამადად I).

D და F ხელნაწერებში წარმოდგენილი წაკითხვები გვიჩვენებს, რომ მოგვიანებით, გადამწერის პროცესში, კიდევ უფრო მეტი ფონეტიკური ცვლილება განხორციელდა, კერძოდ, D-ში „ჲ“ დაიკარგა (ელჳამადად D), ხოლო F-ში „ჲ“ იქცა ცრუ ხმოვნად (ელჳიამაიდად F). ამასთან ერთად F-ის წაკითხვის გვიანდლობაზე მეტყველებს „ჳ“-ს კონსონანტად და ვოკალად დაშლაც (ელჳიამაიდად F).

ამრიგად, I ნუსხა ინახავს ბერძნულ ორიგინალთან და თავდაპირველ ქართულ თარგმანთან ყველაზე მეტად მიახლოებულ ვარიანტს, ხოლო D და F ხელნაწერებში თარგმანი ავთენტურად აღარ არის მოღწეული

ტობის წიგნის ქართულ-სომხური თარგმანის ურთიერთმიმართების საკითხი დღეისათვის უკვე გარკვეულია⁵, თუმცა მოცემული მაგალითი კიდევ ერთხელ ცხადყოფს მათ განსხვავებას. ცხადია, ჩვენთვის საინტერესო ქართული წაკითხვები (ელჳამადად I; ელჳიამაიდად F; ელჳამადად D) სომხური ვერსიისაგან (მდრ.: Arm ქნქაქიქაქ) ფონეტიკური შედგენილობით სავსებით განსხვავდება.

⁵ ც. ქურციკიძე შენიშნავს, რომ ქართულის ბერძნული ორიგინალისაგან განსხვავებული წაკითხვები სომხურ ტექსტში არ დასტურდება (ქურციკიძე, 1973, გვ. 136).

შესაბამისად, არ შეიძლება ტრანსლიტერაციის თვალსაზრისით, ქართულ-სომხურ მსგავსებაზე საუბარი.

ტოპონიმ Ἐλμαῖνα-ს კიდევ ერთი საინტერესო ფორმაა ჩვენამდე მოღწეული ივდითის წიგნში ეთნონიმის სახით:

11. ივდ. 1:6 Ἐλμαῖνα] ელუმელთაჲსა OJIDFS; იელიკორისა B| ივდითის წიგნი გვამცნობს მიდიის მეფის, არფაქსადისა, და ბიბლონელი ნაბუქოდონოსორის სამხედრო დაპირისპირების შესახებ. ომში ჩართული იყვნენ ელამელებიც. ისინი შუამდინარეთის სხვა ხალხებთან ერთად იბრძოდნენ მიდიური ტომების მხარდამხარ და მათთან ერთად განიცადეს მარცხიც. ნაბუქოდონოსორმა აიღო ეკვატანა, მიდიის დედაქალაქი, შემდეგ კი თავის მმართველობაში მყოფი ურჩი ქვეყნების მეფეებს გაუსწორდა: ივდ. 1:6 καὶ συήντισαν πρὸς αὐτὸν πάντες οἱ κατοικοῦντες ... Τίγρις καὶ τὸν Ὑδάσπιον καὶ πεδία Ἀριαχ βασιλέως Ἐλμαῖνα] და შეემთხვნეს მას ბრძოლად ყოველნი მკვდრნი ტიგრისისანი და ჯდასპესანი და ველისა არეოქისანი, რომელნი არიან მეფისა ელუმელთაჲსა ODFIS; და გარე განვიდა მისა ველსა ზედა დიდსა, ტიგრისა და იადასონისა ველსა ზედა იერიხოს მეფე იელიკორისა B⁶].

განხილული ტოპონიმის თარგმანის ტექნიკა ივდითის წიგნშიც ისეთივეა, როგორც ტობის ზემოთმოხმობილ ეპიზოდში, – „ს“ „ჯ“-თი გადმოდის, თუმცა არ არის დაშლილი კონსონანტად და ვოკალად (ელუმელთაჲსა ODFIS. მსგავსი პრინციპია დაცული ტოპონიმის Ὑδάσπιον გადმოტანისას, შდრ.: ჯდასპესანი ODFIS. თუ დავაკვირდებით, ყველა ეთნონიმი ტრანსლიტერირებულია, მათ შორის ტიგრისისანი – Τίγρις და არეოქისანი – Ἀριαχ. „I“ ენით არის გადმოტანილი, თუმცა ეს ბერძნულ-ქართული მიმართება ბერძნული ვარიანტულ კითხვასხვაობებთან მსგავსებით არ არის გამოწვეული (შდრ.: Ἀριαχ] იაქიდაχ V; Ἀριαχ 583; εῤῥαχ 52 = V; εῤῥαχ Sixt; Ἀριασε S*; *arioth* La^{SOP}; *ariat* La^x; *iericho* La^c: cf V^{ap}). თარგმანის მსგავსი ტექსნიკა მიუთითებს, რომ რეგიონის ტოპონიმის ნაკლებად იცნობენ ქართველი მთარგმნელ-რეცენზენტები.

ეთნონიმში (ელუმელთაჲსა ODFIS) „ჯ“ გახმოვანებული არ არის ისე, როგორც ზემოთ, ტობის წიგნის წაკითხვაში, იყო (შდრ. ტობ. 2:10 ელუმელთაჲსა I). გარდა ამისა, ბერძნული ფუძე (Ἐλμαῖνα) თარგმანის (ტრანსლიტერაციის) მომენტშივე შემოკლებული ფორმით გადმოვიდა, „აი“ დიფთონგის ტრანსკრიპცია ქართულში არ აისახა. მთარგმნელმა ფუძედ „Ἐლμα“ მიიჩნია და მას ქართული წარმომავლობის სუფიქსი -ელ დაურთო. სხვაგვარად, ბერძნული ფუძის სრული ტრანსლიტერაციის შემთხვევაში მივიღებდით ფორმას „ელუმელთაჲსა“. რამდენადაც ბერძნულში წარმომავლობის სახელი ბრუნვის ფორმით არის ნაწარმოები (Ἐλμαῖνα),

⁶ ბაქარის ბიბლიის წაკითხვას არ ვითვალისწინებთ ელამის მყარ ეკვივალენტებზე მსჯელობის საკითხში, რადგან ამ ნუსხაში, როგორც გვიანდელ თარგმანში, არაერთგვაროვანი წარმომავლობის შესატყვისებია წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში, საბასეული, ე.წ., მცხეთური ხელნაწერის წაკითხვებია გაზიარებული: დაბ. 14: 1, 9 ელამს B = S (ელამისმან); დაბ. 10:22 ალიმ B = S (ანთროპონიმის მნიშვნელობით არის გაგებული ისევე, როგორც საბასთან); დან. 8:2: ელამისსა B = S. სხვა შემთხვევებში სლავურ დედანს მიჰყვება: ივდ. 1:6 იელიკორისა B contr. S (ელუმელთაჲსა); III მეფ. 12:24^o ელამიტელისა B, lac. S; I მაკ. 6:1 Ἐλμαῖνα] ელიმის B, lac. S| I ეზრ. 4:9 Ηλαμαῖσι] ელამითი B contr. S.

ქართველ თარგმანში ბრუნვის ნიშანთან ერთად ფუძის ნაწილიც (αί) არ აისახა. ამ მხრივ ნაწილობრივ ტრანსლიტერირებული წაკითხვა მივიღეთ.

ტობის და ივდითის წიგნების ზემოთმოხმობილი წაკითხვების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი მთარგმნელ-რეცენზენტები არ იცნობენ რეგიონის ტოპონიმებს და უჭირთ ტოპონიმ 'Ελσαίνδα-ს („ელუმაიდას“) იდენტიფიცირება; ისინი 'Ελσαίνδα-სა („ელუმაიდასა“) და ელამს შორის კავშირს ვერ ამყარებენ (საწინააღმდეგო შემთხვევაში, ტრანსლიტერაციის ნაცვლად გეოგრაფიული სახელის თარგმანს შემოგვთავაზებდნენ), და არ შეუძლიათ მისი ისტორიული სახელით მოხსენიება; მეტიც, არ ფლობენ ზუსტ ინფორმაციას, თუ როგორ წარმოითქმებოდა მოცემული ტოპონიმი, ამიტომ იძულებული არიან, ბერძნულთან, ტექსტის მიხედვით, ფონეტიკურად მაქსიმალურად მიმსგავსებულ ტრანსლიტერაციას მიმართონ.

ზოგი მკვლევარი 'Ελσαίνδα-ს განმარტავს, როგორც ელამის პროვინციას⁷, თუმცა მისი მნიშვნელობა, როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ვერსიებში უტოლდება ელამის სემანტიკას. ასე რომ, ბერძნულშივე 'Ελσαίνδα და Αιλαμ სინონიმური ტოპონიმებია. მაკაბელთა წიგნის მიხედვით (6. I მაკ. 6:1 ὅτι ἐστὶν 'Ελσαίνδ' ἐν τῇ Περσίῃ, πάλιν ἐνδίοξο πάλιν ἀργυρίῳ καὶ χρυσίῳ) რამეთუ არს **ელიმაის** სპარსეთსა შინა, ქალაქი დიდებული სიმდიდრითა, ვერცხლითა და ოქროთა B|), ნათელი ხდება, რომ ელამის ტერიტორიის შემცირებასთან ერთად ელუმაიდას მნიშვნელობაც დავიწროვდა. მაკაბელთა წიგნის ბერძნულ ორიგინალშივე 'Ελσαίνδα-ში (ელიმაის B) კიდევ უფრო მცირე ტერიტორია მოიაზრებოდა, ვიდრე პროვინცია. კერძოდ, **ძვ. წ. III-II საუკუნეებისთვის ტოპონიმი 'Ελσαίνδ, იგივე 'Ελσαίνδα („ელუმაიდა“, ელამი) გულისხმობდა მხოლოდ დიდებულ ქალაქ სუსას.**

აღსანიშნავია, რომ დანიელის წინასწარმეტყველების სეპტუაგინტას ვერსიაში ტოპონიმ 'Ελσαίνდა-თი არის მარკირებული ელამის დედაქალაქი სუსა: (დან. (თ) 8:2 ὄντος ἐν Σούσις τῇ πόλει ἥτις ἐστὶν ἐν 'Ελσαίνδ' ἡ πόλις μου πρὸς τῇ πόλει Αἰλαμ „ვიყავი მე სუსაში, რომელიც არის ელუმაიდას ქვეყანაში (მინაზე), სადაც ვიყავი მე (მიმავალი) ელამის კარიბჭისკენ“). თუმცა ქართული, კერძოდ, ომკურ-იერუსალიმური ვერსია, ამ ეპიზოდში მიჰყვება თეოდოტიონის ბერძნულ თარგმანს, რომელიც სეპტუაგინტასაგან როგორც კვანტიტატიურად, ასევე კვალიტატიურად განსხვავებულ წაკითხვას იძლევა: დან. 8:2 καὶ ἦμιν ἐν Σούσις τῇ βάρει ἡ πόλις ἐν ἡρώδ' Αἰλαμ] ვიყავ მე შუშს-ციხესა, რომელი არს სოფელსა მას შინა ელამისასა OJ. ამრიგად, ელუმაიდა დანიელის წინასწარმეტყველების ქართულ ვერსიებში არაა მოხსენიებული.

დანიელის წიგნის სეპტუაგინტას თარგმანის მიხედვით, ცხადია, რომ ელამი, ანუ 'Ελσαίνδα, ეწოდებოდა მთელს რეგიონს, ხოლო მკაცრი გაგებით ამ ტოპონიმით აღნიშნავდნენ მხოლოდ სუსიანას (ОБССИ, 1879, сТ. 91). სუსა მიეკუთვნებოდა 'Ελσαίνდა-ს („ვიყავ მე შუშს-ციხესა, რომელი არს სოფელსა მას შინა ელამისასა“), იყო მისი ცენტრალური ქალაქი, მოიხსენიებოდა „ელამის კარიბჭედ“, ანუ დედაქალაქად (შდრ. ბერძ.: τῇ πόλει Αἰλαμ). თავად ელამი კი ძვ. წ. VII საუკუნეში

⁷ „ელუმაიდა ქალაქი არაა, არამედ – ელამის პროვინცია, სპარსეთის დაბლობთან, სუსიანასა (დედაქალაქ სუსასთან ერთად) და სპარსეთის (მთავარი ქალაქით პერსეპოლისი) პროვინციებს შორის“ (ОБССИ (1879), с.565).

დამოუკიდებელ გეოგრაფიულ ერთეულად – სახელმწიფოდ, მხარედ ან პროვინციად – იყო მიჩნეული (შდრ. ბერძ.: $\chi\alpha\rho\alpha$] სოფელსა).

როგორც ზემოთ, ელამის ისტორიის განხილვისას, ვახსენეთ, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შემდეგ ელამის სახელმწიფო გაერთიანების შესახებ არ მოიპოვება ცნობები. თუმცა ბიბლიაში ტოპონიმ ელამის ისტორიის შესწავლა გვაძლევს შესაძლებლობას არა მხოლოდ თარგმანის ტექნიკის, არამედ ელამის სახელმწიფოს ისტორიის შესახებაც ვიმსჯელოთ და მოვიპოვოთ დამატებითი ცნობები.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტოპონიმ ელამის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში ვიწროვდებოდა: დანიელის ნიგნში Ἐλαμῶν გამოყენებულია სუსიანას აღმნიშვნელ ტერმინად. მასში არ მოიაზრება ანშანის რეგიონი, რომელიც ამ დროისათვის ელამს დაკარგული ჰქონდა და უშუალოდ სპარსეთის პროვინციაში შედიოდა (Levine, 1974, p. 118-120). როგორც ვხედავთ, ელამის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იმდენად ვიწროვდებოდა, რამდენადაც იგი ნელ-ნელა კარგავდა ძალაუფლებასა და კონტროლს სხვადასხვა რეგიონზე: მისი მნიშვნელობა დანიელის წინასწარმეტყველებაში უკვე დავიწროვებულია დაბადების ნიგნთან შედარებით (ამ უკანასკნელში ელამი თავისი სიდიადის ხანაშია და მისი ტერიტორია სუსასა და ანშანის რეგიონებს მოიცავდა), ხოლო მაკაბელთა ნიგნის მიხედვით, ელამი კიდევ უფრო მცირე ტერიტორიას, მხოლოდ ქალაქ სუსას გულისხმობდა (მოიცავდა).

დასკვნა

ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია, თუ რომელ ბიბლიურ ტექსტულურ ტრადიციას იზიარებდნენ ქართველი მთარგმნელები ტოპონიმი ელამის გადმოტანისას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართველ თარგმანში ტოპონიმი ელამი ბერძნულის გავლენითა და მიბაძვით გადმოვიდა.

ქართულ ბიბლიაში ზემოხსენებული ტოპონიმის თარგმანის ტექნიკის შესახებ შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1. ელამ-ი მყარი ლექსიკური ეკვივალენტია ყველა ქართულ ვერსიაში. ხოლო განსხვავებული ნაკითხვები (როგორიც არის მაგ.: სელონელისა), გადამწერის შეცდომით არის გაპირობებული; 2. ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში დამკვიდრებულია **ელამ/ელამიტელ** ნაკითხვა, რომელიც ბერძნულის ტრანსლიტერაციის შედეგადაა მიღებული; 3. ქართული მიდრეკილია ბერძნულთან სიახლოვისაკენ; 4. ქართულ ენაში თარგმანის დროისათვის არ არსებობდა ელამელის ადეკვატური შესატყვისი, ამიტომ მივიღეთ ტრანსლიტერირებული ფორმა; 5. ქართულ ვერსიებში არ გვხვდება ტოპონიმის ნათარგმნი, ან ქართველებისთვის ისტორიულად ცნობილი შესატყვისი; 6. ტოპონიმის ტრანსლიტერაცია განხორციელდა წარმოთქმის მიხედვით ($A_1-e \rightarrow \text{ე-(ლამ)}$), ხოლო ეთნონიმისა – როგორც წარმოთქმის, ისე წერილობითი ფორმის მიბაძვით ($-\text{it} \rightarrow \text{იტ}$); 7. თარგმანის დროისათვის ქართულ ენაში არ არსებობდა ელამის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული, ან ელამელები სხვა ხალხში ერეოდნენ და მათზე და ძველი ახლო აღმოსავლეთის სხვა რომელიმე ეთნოსზე//ეთნოსებზე (მაგ.: მიდიელებზე) საერთო წარმოდგენა ჰქონდათ.

8. ელამის სინონიმური ტოპონიმის (Ἐλαμίδα – ელჰამადად) გადმოტანისას ტრანსლიტერაცია არა წარმოთქმის, არამედ წერილობითი ფორმის მიმსგავსებით შესრულდა. ქართველი მთარგმნელ-რეცენზენტები ვერ ახერხებენ ტოპონიმ Ἐλαμίδα-ს („ელჰამადას“) იდენტიფიცირებას, რადგან ელამის რეგიონების ტოპონიმისას ნაკლებად იცნობენ. სწორედ ამიტომ Ἐλαμίδα-სა („ელჰამადასა“) და ელამის გაიგივება უჭირთ.

9. ბიბლიის მიხედვით, ცხადი ხდება, რომ ტოპონიმ ელამის მნიშვნელობა დრო და დრო ვიწროვდებოდა თავდაპირველად (დაახლ. ძვ. წ. XIV-XIII სს), ელამი ერქვა სუსიანასა და ანშანის რეგიონს, მოგვიანებით (დაახლ. ძვ. წ. VII-VI) – მხოლოდ სუსიანას, და ბოლოს (დაახლ. ძვ.წ. III-I სს) – მხოლოდ სუსას.

ამრიგად, ქართველი მთარგმნელ-რეცენზენტებისთვის ბიბლია იყო სანდო წყარო ელამისა და მასში დასახლებული ელამური ერთნოსის ისტორიის შესასწავლად. თარგმანზე არ ასახულა მათი წინარე ცოდნა, პირიქით, თარგმანის მეშვეობით შეითვისეს ახალი ინფორმაცია ძველი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფოს, ელამის, შესახებ.

ლიტერატურა:

- აბულაძე, ი., გოგუაძე, ნ., კეკელია, ვ., ქურციკიძე, ც. (2017). ბიბლია, ძველი აღთქმა, ტ. I. თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- აბულაძე, ი., გოგუაძე, ნ., კეკელია, ვ., ქურციკიძე, ც. (2017). ბიბლია, ძველი აღთქმა, ტ. II. თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- მაისურაძე, ა., ჯიქურაშვილი, თ. (2016). სტუდენტური წელიწდეული – ჰუმანიტარული კვლევები № 1: ოშკური ბიბლიის ავთენტურობის საკითხი პალეოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით.
- მელიქიშვილი, გ. (1988). ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია (მეორე დამუშავებული გამოცემა). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
- მიროტაძე, ნ. (2014). ესთერის წიგნის ქართული ვერსიები, ბიბლიის თარგმნისა და ბიბლიოლოგიის ფონდი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- ქურციკიძე, ც. (1973). ძველი აღთქმის აპოკრიფული (არაკანონიკური) წიგნების ქართული ვერსიები, წიგნი II, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ყაუხჩიშვილი, თ. (1960). ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1959). ძველი ქართული ენის კათედრის შრომები №5: სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის.
- შანიძე, მ. (1976). გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის შრომები: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ტ. I, გვ. 162-170.
- ცინდელიანი, უ. (1980). „III-IV მეფეთას წიგნების შედგენილობა (ჩანართების საკითხი)“. მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 7, ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 77-97.

- ცინდელიანი, უ. (1999). „IV მეფეთა 22-25 თავების მიმართებისათვის უცხო წყაროებთან (I ნაწილი)“, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 18, ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 180-195.
- ცინდელიანი, უ. (2001). „IV მეფეთა 22-25-ე თავების მიმართებისათვის უცხო წყაროებთან (II ნაწილი), მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 19, ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 176-185.
- AYBD (Anchor Yale Bible Dictionary), 1992, Edited by: David Noel Freedman, Gary A. Herion, David F. Graf, John David Pleins, Astrid B. Beck, vol 4, Doublday.
- Brooke, A. E., M^clean, N. (1906) The Old Testament In Greek, According to the text of Codex Vaticanus, supplemented from other uncial manuscripts, with a critical apparatus containing the variants of the chief ancient authorities for the text of the Septuagint. Cambridge University Press, London.
- Gelb, I. J., Kienast, B. (1990). *Die altakkadischen Königsinschriften des dritten Jahrtausends v. Chr.*, Freiburger altorientalische Studien 7, Stuttgart.
- Grayson, A. K. (1974-77). The Empire of Sargon of Akkad. *Archiv für Orientforschung* 25, pp. 56-64.
- Hansman, J. (1972). Elamites, Achaemenians and Anshan, Iran 10, published by Taylor&Francis, pp. 100-127.
- Le Brun, A. (1978). Chantier de l'Acropole I, *Paléorient* 4, pp. 176-93.
- Levine, L. (1974). *Journal of the british institute of Persian studies*, Geographical Studies in the Neo-Assyrian Zagros II, vol. 12 (Iran), The british academy, London, pp. 99-124.
- Stolper, M. W. (1982), On the Dynasty of Šimaški and the Early Sukkalmahs, *ZA* 72, Berlin pp. 42-67.
- Hallock, R. T. (1969). *Persepolis Fortification Tablets*, Oriental Institute Publications 92, Chicago.
- Redpath, H. A. (1903). *The Geography of the Septuagint*, vol. 7, London, England.
- Hanhart, R. (1966). *Septuaginta, Vetus Testamentum Graecum. Autoritate Societatis Litterarum Gottingensis editum. Iudith. vol. VIII, 4.* Göttingen: Vandenhoeck&Ruprecht.
- Hanhart, R. (1974). *Septuaginta, Vetus Testamentum Graecum. Autoritate Societatis Litterarum Gottingensis editum. Esdrae. vol. VIII, 1.* Göttingen: Vandenhoeck&Ruprecht
- Hanhart, R. (1979). *Septuaginta, Vetus Testamentum Graecum. Autoritate Societatis Litterarum Gottingensis editum. Iudith. vol. VIII, 4.* Göttingen: Vandenhoeck&Ruprecht.
- Tov, E. (1999). *Transliteration of Hebrew Words in the Greek Versions of the Old Testament, A Further Characteristic of the Kaige-Th. Revision*, *The Greek and Hebrew Bible*, Brill, pp. 501-12.
- Tov, E. (2015). *Textual Criticism Collected Esseys*, vol. 3: Personal Names in the Septuagint of Isaiah, pp. 413-428.
- Van Der Meer, M. (2012). *Die Septuaginta. Text, Wirkung, Rezeption: Syria in the Septuagint*, pp. 171-211.
- Umhau ,Wolf C. (1971). *The onomasticon of Eusebius Pamphili, compared with version of Jerome and annotated.*
- Kharanauli, A. (2020). *The Deuterocanonical Scriptures, Ezra, Georgian, Volume 2B*, BRILL, Leiden| Boston, pp. 461-466.
- Ziegler, J. (1939). *Septuaginta, Vetus Testamentum Graecum. Autoritate Societatis Litterarum Gottingensis editum. Isaias. vol. XIV.* Göttingen: Vandenhoeck&Ruprecht.
- Ziegler, J. (1954). *Septuaginta, Vetus Testamentum Graecum. Autoritate Societatis Litterarum Gottingensis editum. Sussanna, Daniel, Bel. et Draco. vol. XVI, par. 2.* Göttingen: Vandenhoeck&Ruprecht.

- Ziegler, J. (1957). Septuaginta, Vetus Testamentum Graecum. Autoritate Societatis Litterarum Gottingensis editum. Ieremias. Baruch. Threni Epistula Ieremiae. vol. XV. Göttingen: Vandenhoeck&Ruprecht.
- Ziegler, J. (2006). Septuaginta, Vetus Testamentum Graecum. Autoritate Societatis Litterarum Gottingensis editum. Ezechiel. vol. XVI, par. 1. Auflage 3. Göttingen: Vandenhoeck&Ruprecht.
- ОБССИ, Прот. П. Солярский (1879). Опыт Библейскаго Словаря Собственныхъ Именъ. Т. I. С.-Петербургъ.
- Лопухин, А.П. (1913). Толковая Библия, Ветхий Завет, Т. XVI, Петербургъ.

*კვლევა [PHDF-22-6557] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.*

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნათია დვალი, ნინო ებრალიძე, ლელა წიკლაური

მხატვარი - თინათინ ჩირინაშვილი

გარეკანის დიზაინერი - მარიამ ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 2023

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tshavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

